

114
1950

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლური
კავშირების
მინისტროს
საბიბლიოთეკო-საინფორმაციო
სამსახური

მხატვრობა

6

086060



1950

მნათობი

ქრეველთვიური ლიბერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საბართველს სავსოთა მწიარლებს კავშირის ოგბანო

წელიწადი ოცდამეხუთედი

4894

5815



6

*

ი ვ ი ს ი

19

თბილისი
სახელგამი

50

საბართველს
კავშირის
მწიარლებს
ბიბლიოთეკა

სოლომონ თაყაიძე

ფოლადი

რომანი

პირველი ნაწილი

★

I

მომავლის კარი

კრწანისის გასწვრივ, გზატკეცილზე, მანქანა მისრიალებს.

ახალგაზრდა შოფრის გვერდით ზის ტარიელ ბარველიძე, ორმოცდახუთი წლის ვაჟკაცი, ტანადი, მხრებგაშლილი; მისი მტკიცე, ხორბლისფერი სახე, სწორი ცხვირი და მოხდენილად მოხაზული ტუჩები, გეგონებთ, ბრინჯაოსაგან არისო ჩამოსხმული.

საუცხოოდ უხდება ტარიელს ღიმილი, მაგრამ ახლა, ეტყობა, ძალიან მოწყენილია, ღიძრონი, მუქი თაფლისფერი თვალები ენისლება, შავი წარბები მალიმალ ეკმუნხება, მაღალი მუბლი უხაოქდება, საფეთქელთან შეპარული ჭაღარაც თითქოს ამ დროს უფრო ემჩნევა.

რამდენჯერმე სცადა შოფერმა გასაუბრება, მაგრამ ტარიელის დაღვრემილობამ არ მიიჯარა, თვალი აარიდა და მანქანას სისწრაფე მიუმატა.

ზამთრის სუსნიანი დილაა.

ხელმარჯვნივ, მთების დაგრაგნილ კალთებს ქარი აწყდება; დაბლობში, მტკვარზე, აქა-იქ ყინულის ხორცები ტიკტიკებენ, ხოლო ოღრო-ჩოღრო შენობების მიღმა, ცისიერში, რადიოს ანძები აღმართულან.

ტარიელმა თავი გაიქნია, თვალები მოჭურტა და შორეულ სერებს გახედა.

რა საძაგელი, რა დამამცირებელი ფიქრი გამოჰყვა ამ დილას შინიდან!

წინათაც აღძვრია ამგვარი ნაღველი, მაგრამ მუისვე დაუძლევეია იგი, ახლა კი ლამის ძვალ-რბილში გაუჯდეს, თავისი თავი შეაჯავროს.

არა, დედის ხათრი, თორემ თბილისში თვეში ერთხელაც აღარ ჩავა, სადა სცალია, დღე და ღამე გასწორებული აქვს; მშენებლობა თანდათან რთულდება, გონების უდიდეს დაძაბვას მოითხოვს...

მთებს თვალი მოსწყვიტა ტარიელმა, ვრცელ ჭალაში შესასვლელთან გადმომდგარ პიტალო კლდეს მიამტერდა.

ფიქრი ფიქრს იწვევდა.

ანაზღად იელვა გულის სიღრმეში სათუთად შემონახულმა ხსოვნამ:

ბორჯომის ხეობა. ზაფხულის ცხოველი ჰაერი. ფიჭვ-ნაძენარით შეხუქუქებულ ფერდობებს მაღალი მთებისას თითქოს მზიური მარამაში გადმოჰყენია და გულს სიცოცხლის ხალისით ავსებს.

ტარიელი თავის პატარა ბიჭვოს ეთამაშება.

მინდორზე ფერადი ყვავილებია და ზედ თეთრი პეპლები დაფარფატობენ. ხანაც მერცხალი ჩაიქროლებს, ბალახს თითქმის მკერდს შეახებს და უმაღლე სივრცეში აიჭრება.

პატარა ზურიკოც ხანდახან ისე იციინის, თითქოს მერცხალი კიკიკიობსო; ხელს გაშლის, ჩაჩოქებული მამისაყენ გაეჭანება და ყელზე მოეხვევა.

მამისეული თვალები უბრწყინავს ზურიკოს, ქორფა სახეშიაც ნათელი გამოსკვივის და აღტაცებულ ტარიელს სულში ეფინება.

ენით არ გამოითქმის ეს სიხარული, გარემომცველი ბუნების მშვენიერებასთან შერწყმული.

მაშინაც კი, როცა ტარიელი ირგვლივ თვალს მოაეღებს, ასე ჰგონია, მთელი ეს ბრწყინვალება, ეს სხივოსილი მთები, ეს წერწყტა ფიჭვები, ეს ბროლივით მოკამკამე ჩანჩქერი, ეს მინდორი, ეს ყვავილები, ყველაფერი ამ პატარა ბავშვის არსებაშია ფესვგადგმული, მასთან ერთად შეხარის ქვეყნიერებას...

და ერთ მწუხარე დღეს ზურიკო კუბოში იყო ჩასვენებული, გარს ყვავილები ჰქონდა შემოწყობილი. უცნაურად მოჩანდა შავი წარბები და გრძელი წამწამები სანთელივით ფერგამკრთალ სახეზე... გარეთ რომ გამოასვენეს, თოვდა, ბავშვს პირზე ფანტელი ეფრქვეოდა...

ტარიელი შეირხა, ქვედა ბაგეს კბილი დააქირა, ზმანებას ფარდა ჩამოაფარა.

ასე სჩვეოდა. გულქვა როდი იყო, ნაღვლიანი განწყობილება ბევრჯერ სწვევია, მაგრამ სევდას ხანგრძლივად არ მიეცემოდა.

არ ეცალა, მუდამ საქმეში იყო გართული, შემდეგ სამამულო ომი დაიწყო... ახლა უდიდესი მშენებლობის ცენტრშია...

სიცოცხლე — შემოქმედების შრომაა; დღით-დღე დახარჯულ უნაღვლო ენა-მოქმედარში სახიერდება. ესაა ტარიელის არსებობის შინაარსი, ამიტომ არ ძალუძს აჰყვეს შინიდან გამოყოლილ საგონებელს, გადაუდებელი საქმე უხმობს, აჩქარებს.

მანქანა სოფელს გასცილდა, ტაფობში დაეშვა.

მახლობლად, წყალჩამდგარ ლელში. გარეული იხვეები აფრინდნენ, შორი ტბისაყენ გაემართნენ.

შოფერმა იხვეებს თვალი გააყოლა, თანაც ტარიელს გამოცოცხლება შეამჩნია, მაგრამ გასაუბრებას მაინც მოერიდა, ისე, თავისთვის ჩაილაპარაკა:

— თოფი რომ გვექონოდა, ასე ახლოს არ მიგვიშვებდნენ.

ტარიელმა ამ დილით პირველად შეათვალიერა თავისი შოფერი — გაიოზ დარჯანია; რაღაცა მოაგონდა, გაეღიმა, სახე დაუშვენიდა.

გაიოზისათვის ეს საკმაო იყო, მყისვე ენა ამოიღდა:

— ვერ წარმოიდგენთ, ამხანაგო ტარიელ, რანაირად ვარ გულდაწყვეტილი იმ დღის შემდეგ. იმდენი ვიარეთ, რამდენ ალდეზე აიფოფხოით და იმ დროს წაეაწყდი იმ ტურის შესაქმელ კაჯებებს, როცა სულ არ ველოდი. გული გამისკდა, შურდულივით რომ ამოფრინდნენ. ქე მივაყოლე ზედიზედ, მაგრამ რა გამოვიდა მერე... არა, ახლა კი მაქვს გამოცდილება, ნეტავი ერთხელ კიდევ მოიცლიდეთ და წამიყვანდეთ.

ტარიელი ჰაბუკობიდანვე გატაცებული მონადირე იყო. სწავლაშიაც, შრომაშიაც დღე დღეზე გადაბმული ჰქონდა, მაგრამ, რამდენადაც დადლილი არ უნდა ყოფილიყო, სანადიროდ რომ შეეშალებოდა, გადახალისდებოდა, ჩვეულებრივი სიმკვირცხლე უბრუნდებოდა; ხოლო დილით, როცა მინდორში გავიდოდა და გარემოს თვალს მოაეღებდა, ბუნებას თითქოს საესებით შეეზრდებოდა, თანაც თავისი საკუთარი არსე-



ბის ძლიერებას იგრძნობდა, გამთელდებოდა.

რა კარგია, როცა კაცი თავისთავად, მოუფიქრებლად თავს უსაზღვრო კვეყნიერების ნაწილად სთვლის, როცა თავისი რწმენით მალა დგას ყოველივე წარმავალსა და ამოებაზე!

ამგვარი განწყობილება ტარიელის ხასიათის მთავარი თვისება იყო. მას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ დასახული მიზანი განუხორციელებელი დარჩებოდა. სამამულო ომის მძიმე წლებშიაც კი, როცა არაერთხელ მოექცა საბედისწერო განსაცდელში, მის გულს სასოწარკვეთილება არ გაჰკარებია.

ხოლო ამ დილით, შინიდან რომ ძალიან ცუდი გუნება გამოჰყვა, ეს არაფერია... თუმცა რაღაცა დიდი ძვრა კი უნდა მოხდეს მის პირად ცხოვრებაში...

ალმართი უკან მოიტოვეს. გაიოზმა ვრცელ ზეგანზე ლარივით გაკიმულ გზას ჰკიდა თვალი, მერე ისევ ტარიელს მიხედა. მისგან პასუხს მოელოდა.

ტარიელი მიხედა. თვალი გაუსწორა, მხარზე ხელი დაადო.

— უთუოდ წაეალთ, გაიოზ, უთუოდ. ძალიან დატვირთული კი ვართ, მაგრამ არა უშავს რა, თუ ამ კვირას არა, შემდეგში მაინც გავივლით.

გაიოზს ჭერა საზე გაუნათდა, უნდოდა სიხარული სიტყვით გამოეთქვა, მაგრამ ტარიელის მოერიდა.

ძალიან მოკრძალებული ქაბუჯი არ იყო გაიოზი, ტოლ-ამხანაგებში თავი თავისუფლად ეპირა, უყვარდა ოხუნჯობა, მოსწრებული სიტყვა.

მართალია, ჯერ მხოლოდ ოცდაორი წლისა იყო, მაგრამ ცხოვრებაში ბევრი რამ ენახა. ათას ცხრაას ორმოცდაოთხ წელს, სხვა მრავალ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად, ისიც გაიწვიეს. სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში სწავლობდა. მეფოლადეა. ტარიელთან შოფერად დროებით არის, უყვარს მანქანის ტარება. ისე კი მოუთმენ-

ლად მოეღოს ახალი საექსპერტ-კამერებისა.

გამოცდილებით იცის გაიოზმა: ერთხელ თუ შეეთვისე ფოლადის დნობის საიდუმლოებას, თუ ეზიარე ღუმელში მოგუგუნე ალის ნაკადსა და ციცებებში ჩაშვებულ ნაპერწკლიან ჩქერს, შემდეგ სხვა ხელობა აღარ მიგზიდავს.

სამეგრელოში გაიოზს ქარმაგი მშობლები ჰყავს, შეძლებული კოლმეურნეები არიან. უმცროსი ძმები და დაი სკოლაში სწავლობენ. თვითონ ათწლედი დამთავრებული ჰქონდა, როცა სტალინგრადში ჩავიდა და ომის დროს საშინლად დანგრეულ ქარხანაში მოხვდა. პირველად ძალიან გაუჭირდა, სოფელი ენატრებოდა, მერე კი...

განა მარტო ლითონი დნება და ყალიბდება, აღამიანიც ფოლადდება. ხოლო გაიოზს თუ ტარიელს მიმართ თავი მორიდებულად უჭირავს, ეს მართოდენ იმით როდია გამოწვეული, რომ ტარიელი მისი უფროსია, არა, აქ გაცილებით მეტია: ტარიელის სიტყვა და საქმე ერთია. რამდენი უნახავს გაიოზს თავის ტოლ-ამხანაგებში შემკრთალი შიმში ამოცანის წინაშე. ეს კი, ეს გამოზრდამედილი ბოლშევიკი არასოდეს უკან არ დაიხევს, არც არაფერი დარჩება განუხორციელებელი.

რუს მთას მიუახლოვდა მანქანა.

ხელმარცხნივ, ბორცვებით შემორკალული ველის ბოლოში, მტკვრის ნაპირს აქლემისფერი გორები შემოეჯარნენ. აქაც ყველგან, ამ მწირ ზეგანსა და შეფენებებზე, რუსი ფერი სჭარბობს, სრულიად არ გააჩნიათ სიცოცხლის ნიშანწყალი ზაფხულის მზისაგან გადარუჯულ უდაბნოს მცენარეებს — კანგრას, კაპუეტას, აბზინდას, ვაციწვერას.

არსად, არაფერში არა ჩანს, რომ აქ ოდესღაც სიცოცხლე სდუღდა, ქართველი დედები მამულს შვილებს უზრდიდნენ, იყო ბრძოლა, თავგანწირვა.

არც იქ, მტკვრის გაღმა, ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევის მახლობლად...

მხოლოდ ახალი ქალაქის მშენებლობის დროს აღმოჩენილი ძველისძველი საფლავები, უამრავი საფლავები...

ზეამოწეულმა მზემ ნარინჯისფერად შეღებდა პირგაცრეცილი ღრუბლები, აქაიქ ნაპრალებში სხივებმა კიატი იწყეს და შიშველი მთის კალთას მკრთალი ნათელი შეეფინა.

ტარიელმა თვალი გააყოლა ამ ნათელს და...

საოცარი ფერისცვალება მოხდა: ზრიაკ კორდებზე, უმცენარო სერებსა და კბოდეებზე ბალნარი აბიბინდა, ახალი ქალაქი აღიმართა.

ეს არის სამერმისო სამკვიდრებლის ძირითადი ნაწილი.

რა მშვენიერი ჰავაა აქ! როგორ უხდებათ ამ ბორცვებს, ამ მაღლობებს ეს ნაირფერადი შენობები, ქართული ხუროთმოძღვრების მშვენიერი ნიმუშები, ძველი ხალხური ხელოვნების ჰაეროვნება და მზიურობა, თანამედროვე მიღწევებით გამდიდრებული!

ახლა ეს ქარსაცავი ზოლები, ეს ხეივნები, ეს ბალები, ყვავილნარები, შადრევნები!..

აქ ყველგან შორიდან გამოყვანილი წყაროს ნაკადი გადმოსჩქედს.

ნათელი ბინები, დიდრონი სახლები და პატარა კოტეჯები ქარხნიდან მიღებული აირით თბება... სისუფთავე, კეთილმოწყობა...

მანქანამ მწყემსების გომურებთან მოუხვია, მტკვრისაკენ დაექანა.

სახეგანათებულმა ტარიელმა რიყეს გახედა, მაგრამ აქაც, ხელმარცხნივ, მრავალ შტოდ დაყოფილი მდინარის მიერ მრავალგზის წალეკილი ქალის ნაცვლად თვალწინ დაუდგა წყალმიმღები სადგურის გასწვრივ რკინაბეტონის მაღალ კედლებში მომწყვდეული მტკვარი, ხოლო ამ ვრცელ რიყეზე, აი იქ, სადაც ახლა მთიელების ბრიგადა მდინარის ერთ შტოზე ჯებირს აკეთებს, ძველი, ნაცადი ხერხით ებრძვის სტიქიონის მძლავრობას, მთელ ამ ოლ-

როხლოდ რიყეზე კულტურულად დასვენების ბაღი გაშენდება. აქ სადამაოობით, როცა გრილი ნიავი დაუბერავს, გამოეფინებიან ამ აღორძინებულ მხარის მკვიდრნი თავიანთი ოჯახის წევრებით, თავიანთი ცქრიალა ბავშვებით...

...საკვირველია, საიდან ამოტივტივდა ასე მოულოდნელად ზურიკოს სანთლისფერი სახე, უსიცოცხლო ყვავილებით გარსემოფენილი.. მალლა აღმართულ კუბოს თოვლის ფანტელები ეფრქვევა...

შუბლი შეიკრა ტარიელმა, მდინარეს დაამტერდა.

ამ დროს მანქანა ნაევზე ბორნის მსგავსად გაღებულ ხიღზე გადიოდა; ნაევი ირწეოდნენ, მანქანა ქანაობდა.

ტარიელს თითქოს თვალებზე ბინდი გადაეფარა და ჩვეულებრივად არ შეუთვალეირებია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი დიდი ხიდი.

გაიოზმა მიხვეულ-მოხვეულ აღმართზე მანქანა სწრაფად აატარა, კბოდესთან, გზაჯვარედინის მახლობლად, ტარიელს მიაპყრო თვალი, რომ გაეგო — საით ისურვებდა წასვლას.

ხელმარჯვნივ, ხიდის თავში, რკინიგზის ლიანდაგზე ორთქლმავალი და სამშენებლო მასალებით დატვირთული ვაგონები იდგნენ, მახლობლად ფხვნილი ქვანახშირი იყო შეზვინული. ღია ფარულში ხელოსნები მუშაობდნენ; სახეზე ფარაფარებული ელექტროშემღებლები მოყვითალო ნაპერწკლების ჩქერს აფრქვევდნენ.

ტარიელმა ყოველივე ამას წამსვე მიმოავლო თვალი, ზოგი რამ საყურადღებო იგულისხმა, ახალი სამოქმედო წარმოესახა, მერე მშენებლობის ვრცელ ფართობს გახედა.

აქ ბევრი რამ უკვე ხორცშესხმული იყო, ნათლად მოჩანდა რამდენიმე წლის დაძაბული შრომის ნაყოფი.

მართალია, მთავარი ნამუშევარი არა ჩანს, მიწის ქვეშაა, მაგრამ ტარიელი გარკვევით ხედავს ბეტონის ვეირაბე-

ბის ქსელს, ვეება მიღებს, საამქროების უზარმაზარ ბალავრებს...

ხოლო მიწის ზედაპირზე რამდენი უკვე დამთავრებული ლამაზი სახლები, კოტეჯები, კლუბი, სკოლა, ახალგაზრდა მცენარენი... უფრო მეტი: ჯერ დაუშთავრებელი სახლები. ზოგი უკვე კრამიტით დახურული, ზოგი მხოლოდ კედლებამოყვანილი... სამშენებლო ქვაყორები, აგურები რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, ზეადმართული ამწეები... ახალგაშენებული ტყის ზოლის მიღმა კი — დამხმარე საამქროების ახალთახალი კორპუსები, თბოელექტროცენტრალის ვარდისფერი შენობა და ცადაწვდილი კვამლსადენები...

სუსხიანი ქარი უბერავს.

მიმოხვეულ გზებზე განუწყვეტლივ

დაჰქრიან ნაირნაირი სპეციფიკო/მანქანები. ახალგაყვანილ რკინიგზებზე კართქლმავლები ყვირიან, მტკიცე ხმებით ქვიტყირივით შედუღებულ ნარიყალს ღრღნიან და ზეამოაქვთ...

პირველად არ არის ეს, ტარიელმა რომ მთელ თავის არსებაში ცხოველმყოფელი ძლიერების მოზღვავება იგრძნო, თითქოს ახალგაზრდა მუხასავით ფეხს იდგამს იქ, სადაც მლამობისა და უღაბნოს უფერული მცენარეების მეტი არა იყო რა, იზრდება და მხრებსა შლის, უმრავ კედლებსა და ხარაჩოებთან ერთად აღის მაღლა, რომ ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ მომავალს თავისი ხელით გაულოს კარი.

გაიოზს მიხედა: წყალმიღლები სადგურისაკენ გასწიო. ანიშნა თვალით.

II

მელური ბრძნობები

იმდენად ტანსრული არ იყო ტარიელი, როგორც საზამთრო პალატოში მოჩანდა. მსუბუქად გადაბტა განიერ თხრილზე და წყალმიღებისაკენ გაემართა.

ძველი ტყის ბოლოში, მაღალ კბოდეისთან, რომელსაც პირდაპირ სცემს მტკერის მთავარი შტო და სამხრეთით უხვევს, ამოყვანილია რკინაბეტონის მაღალი კედელი. ხოლო მრავალსართულიანი შენობის იატაკზე უკვე დადგმულია სამი მძლავრი ტუმბო, რომლებმაც თბოელექტროცენტრალს წყალი უნდა მიაწოდონ.

იანერის პირველისათვის იყო განზრახული თბოელექტროცენტრალის ამუშავება, მაგრამ ზოგი რამ ვერ მოესწრო, რადგან აქაც იჩინა თავი მოულოდნელმა დაბრკოლებამ.

როგორც კი მოჰკრა თვალი ტარიელს ამ უბნის სამუშაოთა მწარმოებელმა, იჩინერმა ოთარიძემ, უმაღვე მისკენ გამოეშურა. ქარგა ხანია დაძაბულად

მუშაობდა ოთარიძე, დრო არა ყოფნიდა შესასვენებლად, მაგრამ მის ენერგიულ, ქარდაკრულ სახეზე დაღლილობას ვერ ამოიკითხავდით.

ლიბილით შეეგება იგი ტარიელს, ტარიელმაც გაუღიმა; მაინც რაღაც გულნაკლულობა ემჩნეოდა ერთსაც და მეორესაც. ოთარიძეს იმიტომ, რომ ამ მოულოდნელ დაბრკოლებაში მას ბრალი არ მიუძღვოდა, პასუხისმგებლობა კი უნდა ეკისრნა. ხოლო ტარიელს იმიტომ, რომ ოთარიძემ ეს დაბრკოლება წინასწარ ვერ გაითვალისწინა და ელექტროცენტრალის ამუშავება დაგვიანდა.

ჩვეულებრივად მიესალმა ტარიელი. მხოლოდ საქმის შესახებ არა უკითხავს რა, მომუშავეებისაკენ გასწია.

რკინაბეტონით ამოყვანილ ღრმა ბუკში წყალი გაყინულიყო. ერთოზე ამწე იდგა და მიღები ეყარა.

ერთ ჰამი ხარაჩოებით ჩასულიყვნენ ოსტატები. ყინული ამოეტეხათ და არ-

კვედნენ, თუ რა აბრკოლებდა ტუმბოს ნორმალურ მუშაობას.

— როგორაა მანდ საქმე? — ჩასძახა ტარიელმა ოსტატებს.

არც ერთს ზევით არ ამოუხედავს, მხოლოდ ერთმა ჩაილაპარაკა:

— გშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი!..

მერე აღმაცერად ამოიჭვრიტა და...

— აჰ, თქვენა ხართ, ამხანავო ტარიელ?... ვმუშაობთ, საცაა ჩავაულებთ ლაყუნში ხელს.

— აბა, თქვენ იცით! — გამამხნევებელი ხმით ჩასძახა ტარიელმა. მერე საღებურში შევიდა.

ქვედა სართულში, ცემენტის იატაკზე მღვრიე წყალი შეტბორებულიყო. ტუმბოები უსიცოცხლოდ იდგნენ შემალლებულ ფუძეებზე. ზევით, აპარატურის მახლობლად, ზეინკალი გირაგზე რადაცას ქლიბაღდა.

კვლავ ერდოზე ავიდა ტარიელი, რკინის მოაჯირს მიაღდა.

დასაუღეთიდან სასტიკი ქარი უბერავდა, ტარიელი თვალმოჭუტული გააყურებდა ვრცელ ქალას, მტკერის შტოებს აკვირდებოდა.

ჯერ კიდევ ჟონავს წნელით ჩახერვილ ჯებირში, აუცილებლად საჭიროა, რომ მთელი მდინარე ამ კალაპოტში მოექცეს. თორემ აქ წყალი საცაო არ იქნება. ბევრი, ძალიან ბევრი სჭირდება თბოელექტროცენტრალს, მთელ ქარხანას. აი, როგორ ენარცხებიან კედელს ტალღები, იგრაგნებიან უაქციუღნი, ყალბზე დგებიან, საოცარი ძალით ტრიალებენ და ხვეულად მიექანებიან ხიდისაკენ, მაგრამ ეს ცოტაა, მთლად უნდა შეიკრას.

აგერ, მუშათა ერთი რაზმი უკვე აბეტონებს სანაპირო ჯებირს. წუხელ მაგარი ყინვა იყო, ნამუშევარი ხომ არ დაუზიანდათ?

ირგვლივ მიმოიხედა, მახლობლად მდგარ ოთარიძეს თვალი გაუსწორა, გაუღიმა.

ოთარიძემ თავი დახარო, თითქოს არ ეამაო, ტარიელის გამომეტყველებებში რომ პატიება ამოიკითხა.

— თუ ძმობა გწამს. — უთხრა ტარიელმა თავისი რბილი, მაგრამ შეუვარი ხმით. — დააკვირდი, არაფერი გამოგჩნეს. საღებურის ამუშავებას მეორეჯერ ველარ გადავდებთ. ისედაც ჩამოვრჩით, სირცხვილი გქამეთ... ჩვენ აქ ყოველდღე ვსწავლობთ, ახალს ვქმნით, ახალს ვაშენებთ. კარგი ოსტატი ისაა, ვინც რაიმე ახალს შეიტანს პრაქტიკაში და თეორიაშიაც...

ხელი გამოსდო, გაიყოლია. ვზახე, მანქანასთან, წყალსადენის მშენებლობის ერთი უბნის ხელმძღვანელი, ინჟინერი გერიშიძე დაინახა, ნაბიჯს აუჩქარა.

— აბა, ერთი ვნახოთ, როგორაა იქ საქმე, ყინვამ ახალი ბეტონი ხომ არ დააზიანა? — მიმართა ტარიელმა გერიშიძეს და მანქანაში ჩაჯდა.

გაღმა რომ გადიოდნენ, ტარიელს ვეება ბურჯებზე შედგმული ხიდისათვის თვალი არ მოუშორებია. გუნებაში უკვე დაასკვნა: ორიოდ კვირაში ძირითადად ესეც მზად იქნებაო.

საერთოდ მის გონებაში ერთი რომ ისახებოდა, მეორე შენდებოდა, მესამე მთავრდებოდა, ხოლო პერსპექტივის სიღრმეში უამრავი ახალი წამოწყებანი ინაკეთებოდნენ.

მანქანა რიყეზე დასტოვეს, მებეტონეებთან მივიდნენ.

ერთ მხარეს ქვისსამსხვრევ მანქანაზე ქალები მუშაობდნენ, ხოლო მდინარის პირად ახალდაბეტონებულ ჯებირზე სქელი ქეჩა იყო გადაფენილი, რომ იგი ყინვისაგან დაეცვათ.

ტარიელს უბნის უფროსი ივანოვი შემოეგება, მრავალ მშენებლობაზე ნაცადი, სახელმოხვეკილი მებეტონე.

ზოგი აღამიანი იმდენად შეზრდილია თავის პროფესიას, რომ თითქოს სახეზე რაღაც თავისებური იერი გადაჰკრავს, რომ იტყვიან, ქვიტირავით მტკიცაო,



სწორედ ასეთი იყო ამ პირხმელი მშენებლის აღნაგობაცა და გამომეტყველებაც.

ტარიელმა ქეჩის სქელი ფენა გადასწია; ორთქლი რომ გაიფანტა, აქა-იქ ნაიარევივით გამოჩნდა ყინვის ხორცლები.

— არა უშავს რა, ადვილად გამოსწორდება. — სთქვა ივანოვმა და ქეჩის გადაფარებაში შეეშველა ტარიელს.

მთიელთა ბრიგადის მეთაურმა გელა გიგაურმა შორიდან მოჰკრა თვალი ტარიელს, ჯებირს მიაშურა, ზედ მომუშავეებს გასძახა:

— უფროსი გამაიელის. ე მანდ ყველაფერი რიგზე იყოს.

მიიარ-მოიარა, ფიჩხის ზვინი შეასწორა, ბოლოს გულმა არ მოუთმინა და ტარიელისაკენ გასწია.

სამოცდაათი წელი უსრულდებოდა გიგაურს. მსუბუქად იყო გამოწყობილი ელადი სამოსით; მოხდენილად მიაბიჯებდა მაღალი, მხრებგაშლილი; მის მშემოკიდებულ სახეზე ნაოქები ჭკნობას როდი გამოხატავდნენ, ღვაწლმოსილებას მეტყველებდნენ.

— აა, გელას სიცოცხლე! — მიეგება ტარიელი, — რასა იქ? როგორ არიან შენი ბიჭები?

— გმადლობთ, უფროსო, არა გვიშავს რა. — უბასუხა გიგაურმა და გამოწედილი ხელი ორივე ხელით ჩამოართვა, ღიმილით შეავლო თავისი მახვილი თვალები.

— საქმე როგორ მიდის?

— კარგად, უფროსო, კარგად, თქვენი დახმარებით.

— ძალიან მადლობელი ვარ, რომ გვასახელებთ, — შეაქო ტარიელმა. — მდინარე დაიმორჩილეთ, ამ საქმის სპეციალისტებს აჯობეთ.

— ეგ სულ თქვენი ხელის შეწყობით, უფროსო. ჩვენა კი სხვა რა საქმე გვაქვს, ეშრომობთ, თავს არა ვზოგავთ. ზომ მოგვხსენებთ: კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.

მოსწონდა ტარიელს ეს უტყუარ ნიერი მოხუცი, მასში უტყუარების ბუნებრივ ძლიერებას ხედავდა.

— იცოცხლე, ჩემო გელა, იცოცხლე. მათრახი ახლა რა სახსენებელია, ქვეყანა იმისია, ვინც შრომით თავს ისახელებს.

— დიახ, ეგრეა, უფროსო. — დაემოწმა გელა. მერე თავი ოდნავ დახარა, ბოხობი შეისწორა და ტარიელს მოკრძალებით მიმართა:

— შენა ერთი სათხოვარი მაქვს, უფროსო.

— რა? — დაინტერესდა ტარიელი.

— რაი და ჩვენს კოლმეურნეობას მავთული ესაქიროება. მე უკვე მიმავალი ვარ, მინდა რაიმე სამახსოვრო გავუყუეთო... ეგების თქვენ დაგვეხმაროთ, უფროსო.

ტარიელს ღიმილი მოერია, გიგაურს მხარზე ხელი დაჰკრა.

— კარგი, მაგაზედაც ვიფიქროთ. — უბასუხა გახარებულ მოხუცს და მანქანისაკენ გასწია.

ქარმა თანდათან იკლო. მზე გამოჩნდა მიმოფანტულ ღრუბლებს შორის, დათბა.

შხრიალით მიდიოდა მანქანა ატალახებულ გზაზე.

ტარიელი თვალის ერთი გადავლებით ხედავდა, სად და როგორ იყო განლაგებული სხვადასხვა უბანში მრავალი ათასი მუშა, ინჟინერ-ტექნიკოსი. განა მართო ამ ვრცელ მოედანზე? არა, ძალიან შორს, საქართველოს მრავალ კუთხეში... არიშს უგზავნიან თავიანთ უახლოეს მანქანებს დონბასის, ურალისა და ჩელიაბინსკის გიგანტები. არიშისაკენ მოედინება უამრავი სამშენებლო მასალა საბჭოთა ქვეყნის ყველა კუთხიდან...

და ყოველივე ამას არ უნდა მოაკლდეს დამრავლები, წარმმართველი თვალი.

გაიოზმა მანქანა შესასვლელთან გააჩერა.

მარდად გადახტა ტარიელი, სწრაფი ნაბიჯით გასწია თავისი კაბინეტისაკენ; არ მიმოუხედავს, თუმცა გრძნობდა, რომ ტალანში ვიღაცას მასთან გასაუბრება სურდა, ვიღაცას რაღაც საქმე ჰქონდა და ელოდა.

მდივანი, დარბაისელი ქერა ქალი, წიგნს კითხულობდა; ფეხის ხმაზე იცნო ტარიელი. ადგა და კაბინეტის კარი გააღო.

მეტად ვრცელი იყო ეს დარბაზი; სამუშაო მაგიდაზე მეორე გრძელი მაგიდა იყო მიდგმული, მუდგადაფარებული, სკამებზემოწყობილი. კედლებზე ბელადების პორტრეტები ეკიდა; განცალკევებულად მოჩანდა არიშის მშენებლობის გეგმა.

ტარიელმა პალტო გაიხადა, ქუდი ჩამოჰკიდა. ახლა უფრო გამოჩნდა მისი მოხდენილი ტანადობა.

მაგიდას მიუჯდა ფიქრობიერი; მარცხენა ხელის თითები მოკლედ შეკრეპილ უღვაწებზე გადაისვა; უკან გადავარცხნილ სქელ თმაში ჰაღარა მხოლოდ ერთ ადგილას უბრწყვიალებდა.

საქმეში გაერთო. რამდენიმე კაცს ტელეფონით გაესაუბრა, ზოგი თვითონ გამოიძახა, ზოგს პასუხი გასცა.

თანდათან უფრო საგრძნობი შეიქნა კავშირი მშენებლობისა და ქარხნის უამრავ დარგთან.

შემდეგ სასწრაფო საქმეებზე მოსულთ ეთათბირა. უსაფუძვლოდ დამთმობი არ იყო, მაგრამ ვერც იმას შეამჩნევდით, რომ ვისმეს თავის აზრს აძალებდა. ხოლო თუ მისი მკაფიო წინადადება თითქმის ყოველთვის მისაღები იყო, ეს იმიტომ, რომ იგი ნათლად გამოხატავდა პარტიის ძირითად გეზს, მშენებლობის უშუალო ინტერესებს. ეს მარტოოდენ ცივი გონებით როდი იყო გათვალისწინებული, მგზნებარე გულით იყო ნაგრძნობი.

სასადილოდან თეთრხალათიანმა ქალმა საუხმე შემოუტანა. სწრაფად დახაყრა.

ამ დროს შევიდა თედო კორთაძე, შეხანის კაცი, სრულფასოვანი. მაამებელი ღიმილით მიუხედავად ტარიელს.

ჭროლა თვალების სიღრმეში ცბიერება რომ გაუელვებდა, დაღარულ შუბლს შეიკრავდა თედო, საფეთქელთან, წარბების ძირში ნაოკები გაუმრავლდებოდა და მკაცრად, ქვეშ-ქვეშად იწყებდა მხერას, მაგრამ უმალვე გონს მოეგებოდა, სახეს გაშლიდა და ბოხ ხმაში იმ სიმსაყურებდა, რომელიც, თუ დააკვირდებით, გაქნილი კაცის სულს ამტავნებს.

ტარიელს არ მოსწონდა იგი, მასთან შეხვედრის შემდეგ ცუდ გუნებაზე დგებოდა.

— ტარიელ ზურაბოვიჩს ვახლავარ! — სთქვა კორთაძემ და თავი დახარა.

ტარიელმა უნებლიედ ქაღალდი გადაფურცლა, თითქოს დრო უნდა მოეგოს და რაღაც მოისაზროსო, მერე თავი ასწია და თვალით ანიშნა თედოს: — დაბრძანდით.

— მგონი თბილისში იყავით, — შინაურულად დაიწყო თედომ, — ნელი კასილიენვა როგორ არის?

ტარიელმა წყენა ვერ დამალა, სახე მოედრუბლა, თითქოს პირველად ჩაუკვირდა იმ გარემოებას, რომ კორთაძე მისი ცოლის ახლო ნათესავი იყო... პო, რაღაც მსგავსება არის მათ შორის... მაინც რა? ძველი მედღეუქნების ნაშეკრები არიან. იქიდან მოსდგამთ კუდაბ-ზიკობა, სიხარბე, უქნარობა... გული პატივმოყვარეობით აქვთ სავსე. სხვისი წარმატება თავიანთი დამცირება ჰგონიათ. აქედან მოდის შური.

გაივლო ეს გუნებაში და კორთაძეს დაკვირვებით ახედ-დახედდა. თან უნებლიედ ის ჯავრიც განუახლდა, დილით რომ შინიდან გამოჰყვა. ეს განწყობილება ვერ დამალა, სახეზე აღებუჭდა.

კორთაძემ განზე მიიხედა, მაგიდაზე თითები შეათამაშა, მერე უცებ ტა-

რიელს თვალი გაუსწორა და შემბარა-
ვი ღიმილით მიმართა:

— ბევრს მუშაობთ, ტარიელ ზურა-
ბოვიჩი, ხანდახან თავსაც უნდა მიხე-
დოთ... ამასწინათ ნელი მეუბნებოდა,
ოჯახი სრულიად აღარ ახსოვსო, ჩვენი
ცხოვრება აბა რა ცხოვრებააო. კვირა-
ში ერთხელ თუ ვნახავ, მაშინაც ან საქ-
მეებითაა დატვირთული, ან საშინლად
დაღლილიაო... მართლაც და, არც ასე
ვარგა, ტარიელ ზურაბოვიჩი...

ტარიელი გრძნობდა, თუ რამდენად
ყალბი იყო კორფაძის სიტყვებში ჩაქ-
სოვილი მეგობრული მზრუნველობა,
გრძნობდა და ფიქრობდა:

„ძალიან მოხერხებული კაცია, სამე-
ურნეო საქმეებს ეტანება, მივლინებებ-
ში დადის. ომის დროს კი თბილისს არ
გამორებია, რალაც ფსიქიკურ ავადმყო-
ფობას იმიზეზებდა... წვეულებებითა და
ქეიფით მაგის ოჯახი განთქმულია...
რამდენჯერ მითხრა ნელიმ: „აგერ, ჩვენი
თედო სულ უმნიშვნელო თანამდებო-
ბაზე მუშაობს, მაგრამ მაინც ხელგაშ-
ლილად ცხოვრობსო, კაცი ასეთი უნ-
დაო“...“

შუბლი შეიკრა ტარიელმა, სრულიად
მოულოდნელად შეეკითხა კორფაძეს:

— ხე-ტყის დამზადების საქმეზე
რომ რევიზია იყო დანიშნული, როგორ
დამთავრდა?

თედო შეცბა, მარჯვენა წარბი ასწია,
ელაში კაცის გამომეტყველებით შეაც-
ქერდა ტარიელს, მერე უცებ სახე გაშა-
ლა და დარდიმანდულად აიქნია ხელი.

— არ იცით უსაქმო ხალხის ამბავი?
ჯერ ამბობდნენ, საქმე პროკურორის
უნდა გადაეცეთო, მაგრამ მერე დარწ-
მუნდნენ, რომ იქ საპროკურორო არა-
ფერი იყო... ზოგიერთს თვითონ არა-
ფერი გაეგება და სხვის საქმეში ეჩრე-
ბა... ახლაც იმიტომ მოვედი, ტარიელ
ზურაბოვიჩი.

თედოს წმა დაუტება, სახე გაუნათდა.

— ერთი თქვენებურად უნდა და-
ტუქსოთ ჩვენი მეტიჩარა პავლოვი. შე-

ითქვეს პირი მაგან და მთავარმა ბუხ-
ალტერმა. რანაირი ანგარნშიც არა უნ-
და წარედგინო, მაინც რაღაცას უნდა
პირდაპირ სული ამოიღეს. ნეტა რამე
მაინც ესმოდეთ! მაგისთანა ჯიუტი და
გულღებარბიანი კაცი წარმოუდგენე-
ლია...

ტარიელმა ვიდრე კორფაძე პავლოვს
უჩივოდა და საძაგლად ახასიათებდა,
ქალალზე დასწერა:

„პავლოვს გამოუძახეთ. ახლავე მო-
ვიდეს“.

ლილს თითი დააქირა. მდივანი შემო-
ვიდა. ტარიელმა ქალალდი გაუწოდა,
თვალით ანიშნა: მანდ რომ სწერია, ისე
მოიქცეო.

კორფაძემ წყალი მოსვა. მდივანს
თვალი გააყოლა, მერე განაგრძო:

— ჰოდა, ტარიელ ზურაბოვიჩი, ეგ
კაცი საქმეს აფერხებს. მაგის ხელში
არაერთი რამე რატო უღობია არ შეიძ-
ლება. განა არა სჯობს, სხვა ვინმე დი-
ნიშნოს? რა მოხდა, განა კაცი გამოგვე-
ლია?.. არ დავიტრაბახებ და, მაგაზე
უფრო დიდ საქმეს ვუძღოდი, ეგ რაა?..
მერე კიდევ, კაცმა არ იცის, რა სული
უდგას... აბა, რა მოხდა, ასე რომ ამომი-
ჩემა და გასაქანს არ მაძლევს?

ტარიელი პავლოვის მოსვლას ელო-
და. უნდოდა ენახა, როგორ შეხვდებო-
და მას კორფაძე ამ საუბრის შემდეგ.

— მაინც რატომ გადაგვიკიდათ ნი-
კოლოზ პეტროვიჩი, რა აქვს პირადად
თქვენი საწინააღმდეგო? — დინჯად
შეეკითხა ტარიელი.

— მაგას არ ვამბობ?! — წამოიძახა
კორფაძემ. მარჯვენა წარბი შეუთამაშ-
და. თვლებთან ნაოჭები გაუმრავლ-
და. — პატივისცემის მეტი არაფერი
მიმიძღვის, რამდენჯერმე ოჯახშიაც
მივიწვიე, პატივი ვეცი... ხომ მოგეხ-
სენებათ ჩვენი ოჯახის ამბავი? თქვენ
აგვალეთ ხელი, თორემ...

მწარედ გაელიმა გუნებაში ტარიელს.
იცის, კარგად იცის კორფაძისთან ოჯა-
ხის ამბავი. თითქოს ხელგაშლილია,

არაფერი არ ენანება, ნამდვილად კი ყველაფერი ანგარიშზეა აგებული. სამაგიეროს ერთი ორად მოელის... ეს ისეთი გადმონამთია ჩვენს დროში, რომ... შრომა არ უყვართ მაგათ, მამასადამე, ადამიანიც არ უყვართ. პატივმოყვარეობა კი ავადმყოფობად აქვთ გადაქცეული...

ამ დროს მდივანმა კარი გააღო და დარბაზში ნიკოლოზ პავლოვი შემოვიდა.

ახოვნება შეენოდა ამ ხანდაზმულ მშენებელს. მისი უკლები თმა უკვე ნაცრისფერი გამხდარიყო. საეხე სახეზე ნაოჭები არ ემჩნეოდა. ღრმად ჩამჯდარი ცისფერი თვალები სიღინჯესა და სიღარბაისლეს გამოხატავდნენ.

კორფაძეს სახე მოელუშა, თვალები მოკუტა, აღმაცერად ახედა ტარიელს, მაგრამ, როცა დაინახა, თუ როგორი გულგაშლილობით ეგებებოდა იგი პავლოვს, გესლიანი გამომეტყველება მყისვე შეეცვალა, წამოიმართა, ისე შესცინა პირში პავლოვს, თითქოს მისმა მოსვლამ უდიდესი სიხარული მოგვარა, თითქოს მისი გაკილეა არასოდეს აზრად არ მოსვლოდეს.

სხვა დროს ტარიელს შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცია ამგვარი საქციელისათვის, მაგრამ ახლა მეტად ღრმად ჩაიხედა კორფაძის სულში და შესძაგდა იგი.

ერთი წამის წინათ როგორ სთითხნიდა ეს გაიძვრა ამ პატიოსან მშენებელს, ძირს უთხრიდა, ახლა კი, შეხედე, როგორ უტიფრად ელაქუცება...

ნიკოლოზმა ორთავეს სალაში მისცა, თან თითქოს რაღაც იაზრა და კორფაძეს დაკვირვებით ახედ-დახედა.

უხერხული ღუმილი ჩამოვარდა.

ის იყო, ტარიელს უნდოდა აეხადნა ამ ღუმლის ფარდა, რომ თედო აჩქარდა, ნიკოლოზს დაბლად თავი დაუყრა, ხოლო ტარიელს გულუბრყვილო გამომეტყველებით უთხრა ქართულად:

— მე წავალ ახლა და თქვენ იცით... ამ შინაურმა კილომ შექმნილი ალუძრა ტარიელს. უნდა იყოს შექმნილი ბინა კორფაძე და ნიკოლოზის თანდასწრებით ეთქვა, რასაც ამ წამს მასზე ფიქრობდა, მაგრამ თავი შეიკავა, მხოლოდ ირონიული ღიმილი გააყოლა.

— რაშია საქმე, ტარიელ ზურაბოვიჩი? — პირდაპირ იკითხა პავლოვმა.

ნიკოლოზის გულალაღმა გამომეტყველებამ ჩვეულებრივი სიმშვიდე მოგვარა ტარიელს.

— თქვენთან ძალიან საჭირო საქმე მაქვს, მაგრამ ჯერ ეს მითხარი: რატომ გადაეცადეთ თქვენ ამ კაცს?

— ვის? კორფაძეს? რას ბრძანებთ! რა, მე მიჩივოდა?

— ღიან? გასაქანს არ მამძღვესო, არავითარი ოპერატიული მუშაობა მაგის ხელში არ შეიძლებაო.

— ჰო, გასაგებია.— ჩაილაპარაკა პავლოვმა. ბაღრ სახეზე ჩრდილი მოეფინა, თვალები მოკუტა, მერე ფიქრნარევი ხმით წამოიწყო:

— იცით, ტარიელ ზურაბოვიჩი, ამხანაგი სტალინი ერთ თავის აღრიზდელ შრომაში ლაპარაკობს ველურ ჩვევებსა და ველურ გრძნობებზე, რომლებიც სოციალისტურმა საზოგადოებამ უნდა აღმოფხვრას ადამიანში. ეს ასეც ხდება. ამას ცხადყოფს ჩვენი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების, ჩვენი მშრომელი ქალების ნამდვილი შემოქმედი შრომა, მათი თავდადება. მხოლოდ აქა-იქ დარჩნენ ველური გრძნობებით დაავადებულნი, რომელნიც იმას ცდილობენ, თუ სად რა გამოჩინდნ. სად რა მიითვისონ... მე მგონია, თუ არა ვცდები, კორფაძეც ასეთებს უნდა ეკუთვნოდნ. ამიტომაც საჭირო მის მიმართ მეტი სიფხიზლე, მეტი უნდობლობა, თუ შეიძლება ასე ითქვას. მთავარი ის კი არაა, რომ ასეთი პირები ბევრს დააკლებენ ჩვენს სახელმწიფოს, მთავარი ისაა, რომ მათ საქციელს სხვები ხედავენ და ეს ბევრზე ცუდად მოქმედებს.



ახალგაზრდობის კეთილად აღზრდა მხოლოდ მაგალითის მოცემით შეიძლება. ჩვენ ხომ მათთვის გვინდა ყველაფერი, საუკეთესო ბინები, კეთილმოწყობა. მაგრამ ჯერ ბევრი ვერ დაგვიკმაყოფილებია, საერთო საცხოვრებელში გვეყავს; ზოგმა უკვე ცოლი შეირთო, ბინას მოეღოს. აი, ესენი უნდა ხედავდნენ, თუ როგორ ვზღუდავთ ჩვენ ველური გრძნობებით შეპყრობილ ვაჟბატონებს...

უსმენდა ტარიელი პავლოვს და ყოველგვარი კმუნვისაგან თავისუფლდებოდა; ის დარდიც უქარწყლდებოდა, დილას რომ შინიდან გამოჰყვა.

„აი, ეს არის ჩვენი მთავარი ბუნება, ეს შინაგანი ნათელი, ეს რწმენა, — ფიქრობდა ტარიელი. — რა რთული გზა აქვს გამოვლილი ან ნაცად შშენებელს! სად არ ყოფილა, საბჭოთა ქვეყნის რომელი მხარე არ მოუვლია; რამდენი გიგანტის მშენებლობაში მიუღია მონაწილეობა... ამ მიმოსვლაშიაც რა შესანიშნავი ოჯახი შეუქმნია. მაგისი ქალუკათ უნივერსიტეტში სწავლობს,

უმცროსი ქალიშვილი აქ არის სკოლაში, ცოლი კი საგემო ნაწარმის მწარმოებელია“...

ანაზღად ისევ გაპკრა გულში ბრწყალი დილანდელმა ნაღველმა, მაგრამ წამსვე უკუაგდო იგი და ნიკოლოზს მოაგონა:

— ხომ იცით, ნიკოლაი პეტროვიჩ, ხალხი ამბობს: „მახინჯი ყოველ ოჯახში მოიპოვებაო“.

ნიკოლოზმა ფანჯრიდან სივრცეს გახედა, თითქოს გასააზრებლად შორი მანძილი სჭირდებოდა, მერე უცებ ენერგიულად წამოიძახა:

— არა, არა! მაგ თქმაში შეშარბილებლობა გამოსკვივის. ჩვენ კი ვერაფერს სიმახინჯეს ვერ შევუბრუნებთ, თავზე ხელს ვერ მოვუსვამთ, ვერავის ვეტყვით: რა გაეწყობა, შინაური ხარ, უნდა შეგითვისოთო. არა, ვერ შევიწყნარებთ ჩვენ ველურ გრძნობებს, ვამხელთ, აღმოვფხვრით. ახლა უკვე ეს იმდენად ძნელი არაა, ახლა ჩვენ დიდ გზაზე ვართ გამოსული, კომუნისმის გზაზე...

III

მთლიანი ადამიანი

პავლოვი რომ გაისტუმრა, ტარიელი აღგა, ფანჯარასთან მივიდა. ატალახებულ გზაზე მიმავალ მანქანას გააყოლა თვალი. მერე წინა წელს დარგულ ხეს დახედა.

„ველური გრძნობები“, გაიფიქრა გუნებაში და ფიქრი განაგრძო: „ჩემს ოჯახში რატომ უნდა ცოცხლობდეს ეს ველური გრძნობები?... თუმცა სადღაა ოჯახი?... ერთადერთი დედაა, ობოლ ბავშვსა ზრდის... ის კი თანდათან უფრო ეფლობა კაობში“...

თავი გაიქნია და თვალი მოაშორა იქაურობას.

წინათ რატომ არ მიაქცია ამას ყურადღება? გულკეთილობით მოსდიოდა?

რა შუაშია. კეთილი გული ისაა, რომელიც არაფერს უკეთურობას არ ურიგდებდა... ბავშვი რომ გარდაეცვალოთ, ერთხანს საერთო წუხილი, საერთო მოგონება აკავშირებდათ მაგრამ შემდეგ თანდათან გაიბზარა ეს კავშირი, უქნარა აღამიანის ცბიერმა ბუნებამ იჩინა თავი და არ იქნა, ვერ გააკეთილმოიბილა იგი, ვერ აამაღლა, ვერ ჩაუნერგა თავისი მისწრაფებანი. ეს იმას ჰგავდა: აღამიანს ორმოში ხედავდნენ, მზის სინათლეზე ამოყვანა გასურდეს, მას კი თავი მწყვერვალზე ეგონოს და ქვევით ჩათრევას ვიპირებდეს... მერე კიდევ ომის დროს მთელი წლობით შინ არ იყო... ახლა კი გვიანაა...

— ტარიელ ზურაბოვიჩ!

ტარიელი შეერთა, თითქოს დიდი ხნის წინათ გაგონილი, სადღაც გულის სიღრმეში ჩარჩენილი ხმის ელერა მოესმა.

— მაბატიეთ, მგონი ხელი შეგიშალეთ.

— არა, რას ბრძანებთ! — ანგარიშ-მიუცემლად ჩაილაპარაკა ტარიელმა და მომადლო, გულმკერდსავე ქალს თვალი გაუსწორა; ისეთი გრძნობა აღედგრა, თითქოს მას პირველად ხედავსო.

ორიოდ თვის წინათ ჩამოვიდა არიშ-ში რუსეთიდან მოვლინებული ინჟინერი ქალი მარინა სერგეევანა. რამდენჯერმე შეხვდა ტარიელი. მოეწონა მისი სიღინჯე, საქმიანობა. თან რაღაცა ფარული სევდა ამოიკითხა მის ნათელ სახეზე, მაგრამ ახლა სულ სხვანაირად წარმოუდგა მარინა სერგეევანა.

— დაბრძანდით! — მიმართა ტარიელმა.

მარინამ ტარიელის დაკვირვებულ მზერაში რაღაც განსაკუთრებული ყურადღება ამოიკითხა; არ მოეწონა, შებღი შეიკრა, მერე სკამი გამოსწია, პორტფელი მაგიდაზე დადო, ბერეტიდან ჩამოშლილი მუქი წაბლისფერი თმა გაისწორა.

— დაბრძანდით! — გაიმეორა ტარიელმა, მაგიდასთან მივიდა, დაჯდა. — ჰო, მას შემდეგ აღარ მინახავხართ, ბინა ხომ მიიღეთ?

— დიახ, მომცეს.

— როგორ მოეწყვეთ?

— არა უშავს რა. მარტოხელა აღამიანს მეტი არ ესაჭიროება.

„მარტოხელა“, — გაიმეორა გუნებაში ტარიელმა. — ასეთი ახალგაზრდა, ასეთი სიცოცხლით სახვე ქალი და მარტოხელა! რატომ? რა შეემთხება? ან არაა, იქნებ ქმარ-შვილი რუსეთში ჰყავს და მალე გაბრუნებას მოელის?.. ეს სევდა რაღაა, მის გამომეტყველებას რომ არ შორდება?..

— ტარიელ ზურაბოვიჩ, — ჩაილაპარაკა მარინა სერგეევანამ და პორტფელი გაშალა, ნახაში ამოიღო, — აი პრო-

ექტი, რომელიც მე უნდა წარმომედგინა... გარდა ამისა, თბოელექტროცენტრალის ლაბორატორიის აპარატურაც შემოწმებას საჭიროებს...

ახლა ტარიელი ისევ იმ დინჯ, საქმიან ინჟინერ ქალს უსმენდა. ამ ქალის სიცოცხლის შინაარსი მარტოოდენ მის მოღვაწეობაშია; ესაა მთავარი, ხოლო მისი ფარული სევდა და მარტოხელობა სულ სხვა საწყაროა, ტარიელს იქ არა ეკითხება რა...

ამ ფიქრმა კიდევ უფრო გაუძლიერა ტარიელს ცნობისმოყვარეობა და, საქმეზე საუბრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, მორიდებულად შეეკითხა მარინა სერგეევანას:

— ბოდიში, მაგრამ... თქვენ წელან სთქვიით: მარტოხელას მეტი არ ესაჭიროებაო... სად არიან თქვენი ოჯახის წევრები? არ შეიძლება, რომ აქ ჩამოვიდნენ?

მარინამ თვალი დახარა. ერთ წამს იყუჩა. მერე ბურუსიანი მზერით ახედა ტარიელს, შეუღებავე, ბუნებრივად ლამაზი ტუჩი ოდნავ შეერხა, ნათელ სახეზე სევდამ გამოჟონა.

ტარიელს გულმა მოსთხოვა, რომ მარინას მიშველებოდა:

— ომის წლებში რაიმე უბედურება ხომ არ შეგემთხება?

— დიახ... ქმარი ომში დამეღუპა... ბავშვი ანთებით მომიკვდა...

ქალის მწუხარე ხმამ დააღონა ტარიელი. ლიტონი თანაგრძნობა შეუფერებლად მოეჩვენა.

მარინამ ტარიელის სახეზე წრფელი, მღელვარე გრძნობა ამოიკითხა, გულს თითქოს ალერსის სითბო მოედინა, თვალები ცრემლით გაუბრწყინდა, თან სახე იმ მკრთალი ღიმილით გაუნათდა, რომელშიაც მწუხარებაც არის და ამ მწუხარების დამთრგუნავი ძალაც.

— მე შრომამ და სწავლამ გადაამარჩინა, — განაგრძო მერე. — ინსტიტუტი დამთავრებული არა მქონდა. საღიბლო შრომა შარშანწინ ჩავებარე...

— ჩინებულად მოქცეულხარო. — მოუწონა ტარიელმა.

— ჩვენთვის, ვინც გადავჩით, ეგ ჩვეულებრივი მოვლენაა. ყოველდღიური შრომა ჰგარავს გამოვლილ მწუხარებას.

— საქმეც ეგ არის. ადამიანი წარსულს კი არ უნდა მისტიროდეს, წინ უნდა იხედებოდეს.

ამ მტკიცედ თქმულ ფრაზაში მარინას ცივი ეღერა მოესმა; არ ესიამოვნა. თავისდა უნებურად ამ წუთას ტარიელი-საგან მეტ თანაზიარობას, მეტ გულისხმეირებას მოელოდა.

— ეგ ადვილად ითქმის, — ცივად შეესიტყვა მარინა, — მაგრამ განა წარსულში არ ვტოვებთ ხოლმე იმას, რაც აღარ განმეორდება?

— როგორ გეკადრებათ! — აუწია ხმას ტარიელმა, — თქვენ ხომ ჩვენი საბჭოთა ქალი ხართ!

— იცით, ტარიელ ზურაბოვიჩ, ადამიანის პირად ცხოვრებაში ზოგი რამ ისეთი იფერფლება, რომ იმისი ხელახლა ანთება შეუძლებელია.

ტარიელმა შებლი შეიკრა. უცებ, სრულიად მოულოდნელად თვალწინ დაუდგა ზურაბოს სანთელივით ფერგამკრთალი სახე... კუბო ქუჩაში გამოასვენეს. ბავშვს პირზე თოვლის ფანტელები ეფრქვეოდა...

მარინამ ტარიელის გამომეტყველებაში ახალი ელფერი შეამჩნია. ამ ფოლადივით მტკიცე კაცის არსებაშიაც ჩაფერფლილა რაღაცა, — გაივლო გუნებაში და ამ წამს ისეთი მახლობლობა იგრძნო ამ ახალგაცნობილ ადამიანთან, თითქოს იღუმალად მოელოდა მასთან შეხვედრას მწუხარების გასაზიარებლად.

— თქვენ მართალი ხართ — ნღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა ტარიელმა: — ზოგი რამ მართლა აღარ გაცოცხლებდა... მწგრამ...

— ვიცი, რისი თქმაც გინდათ, — გულზე ხელი არ უნდა დაგიკრძოთ, უნდა ვიმოქმედოთ. სწორია. ის კი არა, მე ვფიქრობ, ჩვენს დროში რამდენადაც მეტი სანადგულო გამოუვლია ადამიანს, მით უფრო მეტი საზოგადოებრივი უნარი უნდა გამოიჩინოს, რომ მთლიანობას მიაღწიოს.

— ჩვენი იდეალი ხომ უწყლულო, ჰარმონიული ადამიანია. — დაემოწმა ტარიელი.

მარინა სერგეევნამ ტარიელს გამომცდელი თვალი შეანათა და მყისვე დაასკვნა: თუ ვინმეა მთლიანი, უთუოდ ეგ იქნებაო. მაინც შეეკითხა:

— რას გულისხმობთ თქვენ ჰარმონიულში?

— შეიძლება ადამიანს პირადად ბევრი მწუხარება შეემთხვას, საყვარელი არსება დაჰკარგოს, მაგრამ თუ მას აქვს დიდი იდეა, ურყევი მისწრაფება, მისი დანიავება, მისი გაბზარვა შეუძლებელია... მე მჯერა, გაბზარული გულის გამთელებაც კი შეიძლება.

მარინამ განზე გაიხედა, თვალი გაუშტერდა. თავისი ქმარ-შვილი ცოცხლად დაუდგა თვალწინ... ძალიან ახალგაზრდა იყო მაშინ, ცხრამეტი წლისა... განა შეიძლება იმ უღრუბლო ცხოვრების აღდგენა?.. ტუჩი შეერხა, თავი გაიქნია. წამოიმართა.

შალის კოსტუმზე მოკლე დაბამბული ჯუბა ეცვა, მაგრამ მისი მოხდენილი ტანადობა არ იჩრდილებოდა. თანაც წარმოსადგევი ძალოვანობა შეენოდა.

ამ წამს კი მის მწყახარ სახეზე ღრმა კაეშანი აღბეჭდილიყო. ამკარად ემჩნეოდა, თავს ძალას ატანდა, რომ გულის წყლული არ გამოემქვანებინა.

ტარიელმა კარებამდე მიაცილა.

აქ მოუხედა მარინამ, ცისფერი თვალები ნღვლიანმა ღიმილმა გაუნათა; ამ ღიმილმა მისი სულიერი სიწირფოება გამოხატა.

ახალგაზრდა ოსტატები

განახლებული ძაღლით განაგრძო მუშაობა ტარიელმა; მარინა სერგეევას მიერ წარმოდგენილმა პროექტმა ძალიან დაინტერესა. კარგა ხანს ათვლიერა ნახაზები. ახალი იდეა დაეხადა. თავი ასწია, ფანჯრიდან სივრცეს ვახედა, — შთაგონების უამს სჩვევოდა ასე. უჯრიდან რვეული ამოიღო და შიგ რაღაცა ჩასწერა. მერე სხვა საქმეს მიჰყო ხელი. მისთვის ჩვეულმა განწყობილებამ შეიპყრო; იცოდა, რომ დიდ საქმეს აკეთებდა. ეს ამაღლებდა, ხალისს უორკეცებდა.

ნაშუადღევს კაბინეტიდან გამოვიდა, საამქროებისაკენ გასწია.

ქარი ჩამდგარიყო, ჰაერში ზამთრის სუსხი აღარ იგრძნობოდა.

ტარიელმა თვალის დასასვენებლად ცას ახედა. უნებლიედ შედგა. თეთრად კამკამბდნენ ნაქერ-ნაქერ მიმოფანტული ღრუბლები, აქა-იქ ოდნავ მოოქროვილნი; ცა მალალი იყო და თანაც ახლობელი, სუფთა და მშობლიურად მოაღერეს... ერთხელ, მამა რომ ციმბირში იყო გადასახლებული, დედამ ტარიელი ბაქოდან გურიამი ჩაიყვანა, თავის მშობლებთან; მაშინ გამოეგება თოვლივით თმათეთრი ბებიია, მიეფერა:

— ნენა, შეილო, რაიზა ხარ, შემოგველე, ასე მოწყენილი? ნუ გეშინია, ბებიეო, შენ ყველაფერ კარგს მოესწერები...

ახლაც მოესმა თითქოს ტარიელს ეს სიტყვები და დიმილი მოერია. არიშს თვალი მოავლო.

შორს, ახალ სახლებს მიღმა, ძველი ტყის ზოლი მოჩანდა. აქა-იქ ტოტებგაფარჩხული ვერხვები გამოირჩეოდნენ, ხოლო მახლობლად, ვრცელ მოედანზე, იმდენი რამ იყო აშენებული, იმდენი კორპუსები, იმდენი წამოწყებანი, იმდენი

ნი ბალავრები, იმდენი გვირაბები და რკინიგზები, რომ ერთბაშად მათი წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო.

გზა განაგრძო ტარიელმა, მთელ ტანში შემამსუბუქებელი სითბო იგრძნო, რადგან ერთხელ კიდევ ჩასწვდა იმ აზრს, რომ არასოდეს, ქართველი ხალხის არსებობის მთელ მანძილზე, არავის იმდენი არ დაურგავს, იმდენი არ გაუშენებია და აუშენებია, რამდენიც ტარიელ ბარველიძის თაობას.

ჩვიდმეტი წლისა იყო ტარიელი, როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. მას შემდეგ მოენართება წინ, სწავლობს, აშენებს, თმობს, კვლავ აშენებს... ჯერ კიდევ სადაა: ყოველი დღე ოქროს ზოდვიით ემატება განვლილს და განუწყვეტელად იჭედება ახალი ქვეყნის ზეაღმავალი საფეხურები...

მოასფალტებული გზის პირად ჩამწყრივებულ ხეებს მოავლო თვალი. რა ლამაზი სანახაო იყო ეს ნერგები გასული წლის გაზაფხულზე, როცა პირველად გაიფურჩქნა!

მალათალებიანი სამსხმელო საამქროს მოწყობა ჯერ დამთავრებული არ იყო. ორი ზიდური ამწე და ერთი ბოვი მუშაობდა; თუჯის შედუღებას ერთი ცვლა აწარმოებდა საღამოობით. ახალგაზრდა მეყალიბენი ხშირად საქმით დატვირთული არ იყვნენ, რადგან ერთ ბოვს ბევრი ყალიბი არ ჰქირდებოდა.

სამრობ ღუმელთან შედგა ტარიელი, ჯგუფჯგუფად მომუშავე ახალგაზრდა ოსტატებს ვახედა. ამათში ბევრს ძალიან ახლო იცნობდა, იცოდა ვინ რომელი სოფლიდან იყო, რომელ ქარხანაში სწავლობდა, როგორ შეითვისა თავისი სპეციალობა.

საქართველოს ყველა კუთხიდან იყვენენ აქ, — ქართლელი, კახელი, მეგრელი, გურული, იმერელი; ისე, როგორც სხვადასხვა კაზმისაგან შედუღდება ხოლმე ფოლადი, ესენიც საქართველოს სხვადასხვა მხარის თავისებური ძლიერებით შემტყიცდებიან და ქართველ მეტალურგთა ახალი თაობაც გამოიბრძმელება.

ასე ფიქრობდა ტარიელი, ამიტომ აქცედა მათს მუშაობას განსაკუთრებულ ყურადღებას.

საამქროში მყუდროებას თიხასარევი მანქანის ხრიალი და ხილური ამწის ხმაური არღვევდა.

ერთ ადგილას ყალიბის გასაშრობად კოჭსი გაეჩაღებინათ, რამდენიმე დამხმარე მუშა-ქალი იღვა იქ და თბებოდა.

პირხმელი, ფერმკრთალი ბრიგადირი ყალიბს ზეწოთ პირს უსწორებდა, საქმეში იყო გართული და ტარიელის მოახლოება არ შეუმჩინევია.

— ელიზბარს გაუმარჯოს!

მეყალიბებმ თავი ასწია, მეგობრულად გაუღიმა.

— საქმე როგორ მიდის?

— არა უშავს რა... — უბასუხა და წამოღდა, თავის ბრიგადის წევრს, პირმრგვალ, ჩასკენილ ჯაბუკს ახედ-დაბედა. მერე ისევ ტარიელს გაუსწორა თავისი კეთილი თვალეზი და მორიდებულად უთხრა:

— მეტი გზა არაა, ისევ თქვენ უნდა შეგაწუხოთ.

— რაშია საქმე?

— აგერ, ეს ბიჭი ძალიან გაწვალეზულია. ცოლიანია, შვილიცა ჰყავს. შაბათ-საღამოობით წავა ხოლმე შინ, რკინიგზის სადგურიდან ღამით თორმეტი კილომეტრი უნდა გაიაროს. ნაშუადღევს მიაღწევს შინ. ამასწინათ, უკან რომ ბრუნდებოდა, ქარბუქში მოხვდა, კინაღამ დაიღუპა. თქვენ უნდა დაგვეხმაროთ. ბინა უნდა მისცენ ამას.

— დირექტორის მოადგილეს ხომ მითხრით?

პირმრგვალ ჯაბუკს ^{სახე-მიმდევრულბ-}ლა, უიმედოდ ჩაილაპარაკა:

— რა გამოვიდა მერე! დაიცადეო, სიაში ხარო ჩაწერილი.

— ჰო-და, შე კაცო, — მეგობრულად უთხრა ტარიელმა. — ცოტა კიდევ უნდა მოითმინო. ხომ ხედავ, რამდენ სახლს ვაშენებთ, სულ თქვენთვის არ გვინდა?

— რა ვიცი, შორიდან მოსულებს წამსვე ჩაასახლებენ ხოლმე, მე კი სამველი არ დამადგა.

ტარიელმა დაკვირვებით შეათვალიერა ეს ჩასკენილი, ძალ-ღონით სავე მეყალიბე, მიხვდა, რომ გაჭირვება აღაპარაკებდა, მაგრამ მაინც მოსაყვედურე ხმით მიმართა:

— შორიდან მოსულებს შენ ნუ ეხები! შენ რა, დონპასში რომ ჩახვედი, უბინაოდ დაგტოვეს? ჩვენთან გამოცდილი მუშაკები მოდიან, ქარხანას გვიშენებენ. ქუჩაში ხომ არ დავტოვებთ! ჩვენ აქ ახალ ოჯახს ვიშენებთ, ახალ ფუძეზე ვმკვიდრდებით.

— ნეტავი დამკვიდრებას მოვესწრებოდე და...

— მოესწრები, მშობილო, მოესწრები! დაგაეწყვია, რომ რამდენიმე წლის წინათ ამ ტრიალ მინდორზე სრულიად არათფერი არ იყო? ახლა ხომ ხედავ, რას მივაწლიეთ? ჰოდა, სულმოკლეობამ არ უნდა აგეყოლიოს...

ტარიელი რომ წავიდა, ბრიგადირმა სინანული გამოსთქვა:

— რა საჭირო იყო ახლა ეს? არ უნდა მეთქვა.

— მეც აგრე ვფიქრობდი, მაგრამ შინ არ მომასვენა ცოლმა და დედამ: ენაბლუ ხარო, ხმა ვერ ამოგიღია, თორემ ბინას ამდენხანს მოგცემდნენო.

საამქროს ბოლოში შემოფიცრულის კარი შეაღო ტარიელმა. აქ ძეგლთა ინსტრუქტორმა მანობლა კარი რომ გაიღო, ოსტატმა დახვებერი



თიხით სავეს საცერი დასდო და ტარიელს გულგაშლილი ღიმილით მიეგება.

არავითარი საგანგებო სასწავლებელი არ დაუშთავრებია ამ ოსტატს, ბუნებრივი ნიჭით იყო უხვად დაჯილდოებული. მის სწორნაკეთებიან სახეზე და ღრმად ჩამჯდარ ცისფერ თვალებში შინაგანი ძალა და რწმენა გამოსჭვივოდა. მის სიტყვებშია ცი გულდაჯერებულობა და თავისი საქმის ღრმა სიყვარული ქვრდა.

ოსტატმა ქანდაკებას საბური გადახადა.

ეს იყო ჩამოსასხმელად თითქმის საესებით გამზადებული მაღალი მონუმენტი დიდი სტალინისა. მოქანდაკეს დიდი ოსტატობით განესახიერებინა ბელადის გენიალური შორისმჭერეტელობა.

ტარიელმა უკან დაიხია, სტალინის შთაგონებულ სახეს დააკვირდა, მის მზერას გააყოლა გონების თვალი და ნათლად დაინახა ახლანდელ და მომავალ თაობათათვის გაშლილი დიდი ასპარეზი, შემოქმედებითი შრომისა და დიდების დაუსრულებელი გზა.

ამ დროს თითქოს დედის სიტყვები მოესმა, მრავალჯერ განმეორებული სიტყვები:

„სამი წლის იყავი, შეილო, შენ მაშინ ჩვენ ბაქოში ეცხოვრობდით, ბიბიებათის რაიონში. მაღლობზე გვექონდა ბატარა ოთახი. მამაშენმა მოიყვანა სტალინი. შენ მუდამ გაბედული იყავი, შეილო. კართან მიამურე, სტალინმა ხელი ჩაგაელო და მაღლა აგწია“...

ტარიელმა კვლავ ახედა ბელადის ნათელ სახეს და ისეთი გრძნობა აღქმრა, თითქოს ახლაც მხრებში შეუდგაო ამ ღვიძლი ადამიანის, ამ მხეკაცის დაუმრეტელი ძალთა-ძალი.

სხვა საამქროებში აღარ შეუვლია, თბოელექტროცენტრალისაყენ გაპყვარკინიგზის ლიანდაგს.

აქ ირველოვ ათასგვარი მანქანების უამრავი ნაწილები, ვეება ბორბლები,

ლილვები, პირფართო ცეცხვებუაგლაგა. ძნელი წარმოსადგენი მანქანათმშენველივე ეს თავის ადგილს იპოვიდა და საათივით აეწყობოდა.

ხელმარჯვნივ ერთერთი საამქროს ჩონჩხედს გახედა, შეჩერდა, ჩრდილოეთ-დასავლეთით გააყოლა თვალი.

აგერ, სანამდის მიალწევს მისი კორპუსები, მთელ კილომეტრზე იქნება გაშლილი; ხოლო დასაწყისში, რომელიც უკვე ამოკედლული და გადახურულია, წელსვე დაიწყება მუშაობა.

...თ, გორგოლაქებზე დაეშვა აღისფრად მოვარვარე ზოდის და მთავარი დაზგისაყენ გაექანა; აქ მაღლობზე მდგარმა ოპერატორმა საკე გადასწია და ზოდი საწნეს ლილვებში შეცურდა, ნაპერწყვლების ჩქერი მიმოაფრქვია, გაბრტყელდა, მერე სხვა ლილვებში გადავიდა და ოთხკუთხად დაგრძელებული გაემართა შემდეგი დაზგისაყენ...

„რამდენი სამუშაოა, დრო კი რა სწრაფად მიჰქრის! — გაიფიქრა ტარიელმა. — რა შშენიერი სანახავი იქნება, ეს მუნჯი ლითონები რომ სულს ჩაიდგამენ“.

ორთქლმავალი მოახლოვდა, ახალი მანქანებით დატვირთული ვაგონები მოჰყავდა.

ტარიელი განზე გადადგა არ შეუშინევი, მომალო, ტანადძლიერი ჰაბუკი რომ დაეწია.

— ტარიელს სიცოცხლე!

ტარიელმა უკან მიიხედა.

— აა, ვასოს გაუმარჯოს!

ვასომ თავისი გრძელი, მაგარკუნთოვანი მკლავი გაუწოდა და მძლავრად ჩამოართვა ხელი.

— როდის ჩამოხვედი, ვასო?

— აგერ, ერთი კვირა იქნება.

— ბიჭოს, მერე ამდენ ხანს არ მნახე? — უსაყვედურა ტარიელმა, მეგობრულად დაადო მხარზე ხელი. — შინ როგორ არიან? მამაშენი ხომ არ მოხუცდა?

ვასოს გაეღიმა, მოგრო სახე დაუშვინდა, თავზე კეპი გაისწორა.

— მამაჩემს რა მოახუცებს. შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო უხვი მოსავლისათვის. ქია ისე, როგორც გინახავს. ხანდახან კი მოიწყენს ცოტას, ბიჭი მოაგონდება, მამუკა, მაგრამ მწუხარებას, თუ არ დააკვირდი, ვერ შეამჩნევ.

— ასე შეჰფერის, ძველი მეგობრობა, გამობრძმედილი, — ჩაილაპარაკა ტარიელმა. — ძალიან მენატრება, დიდი ხანია არ მინახავს.

— მამაც ძალიან გნატრულობთ. დამაბარა, ტარიელს გადაეცი, დიდი მადლობელი ვარ, ჩემი გულითადი ამხანაგი, ჩემი ზურაბი რომ ასე ასახელო.

ტარიელს სახე გაუნათდა. სხვას რომ ეთქვა ეს სიტყვა, არაფრად მიიჩნევდა; ვასოს მამას, ვახტანგს კი სიყრმიდანვე დიდად აფასებდა. დიდი ამაგი მიუძღოდა ვახტანგს ტარიელის ოჯახისადმი. ათი წლისა იყო ტარიელი, ციმბირში გადასახლებული მამა რომ მოუყვდა. მას შემდეგ მხარში ამოუდგა დედა-შვილს ვახტანგი. ბაქოდან საქართველოში ჩამოვიდნენ. ვახტანგმა რევოლუციის პირველი წლიდანვე სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი, გაძლიერდა, ოდა აიშენათან ტარიელსაც არ ივიწყებდა; ზაფხულობით, არდადეგების დროს, სოფელში მიჰყავდა. თბილისშიაც რამდენჯერ მიაკითხა სახე ზურჯინით.

ყოველივე ეს ცხოვლად მოაგონდა ახლა.

— გამაღობთ, ვასო! დიდი მოკითხვა მისწერე ვახტანგს. ერთი რამენაირად უნდა ჩამოვიყვანოთ აქ.

— მითხრა, აუცილებლად ჩამოვალ. ამ ცოტა ხანში მოველი.

— ო, ეს ძალიან კარგია! იმავე დღეს გამაგებინე, იცოდე.

— აუცილებლად. — უბასუხა ვასომ, მერე მოკრძალებით მიმართა: — ბატონო ტარიელ...

არ მოეწონა ტარიელს ეს „ბატონო“. იცოდა, რომ ვასოს ამით თავისი ზრდილობა სურდა გამოეხატა, მაგრამ ვახტანგის ვაჟისაგან მაინც ეუცხოვა იგი, შუბლი შეიკრა.

ვასო მეტად მგრძნობიარე ჰაბუკი იყო, უმაღვე ამოიკითხა ტარიელის სახეზე აღბეჭდილი უკმაყოფილება, სიტყვა შეუფერხდა, დაწეული ხმით განაგრძო:

— მეტად შეუფერებელია ჩემთვის საწყობში მუშაობა, ასე მგონია, არაფერს არ ვაკეთებ-მეთქი... ჩვენი სამქრო დიდხანს არ იქნება. მანამდე სამსხმელოში რომ გადამიყვანდნენ, უმჯობესია...

ტარიელმა ყურადღებით ახედ-დახედა ვასოს. „მამას ჰგავს, — გაიფიქრა გუნებაში, — ისეთივე ახოვანია, ძლიერი. ისეთივე მახვილი თვალები, კეხიანი ცხვირი და წინწამოხრილი ღარიანი ნიკაპი, მხოლოდ ეს კოხტად შეკრებილი მოწაბლისფრო უღვაშები და ხორბლისფერი ღაწვების რაღაც თავისებური სინაზე ანსხვავებს... არაფერია, ეწრობა, ნამდვილი მეფოლადე დადგება“.

— ცოტა კიდევ მოითმინე მანდ. არ ღირს ახლა სხვაგან გადასვლა. ამ ზაფხულზე შეიძლება კიდევ გაგზავნოთ გადასამზადებლად. შემოდგომაზე ხომ შენი სამქროც ამუშავდება... ასე, თუ ძმობა გწამს...

ეს ფრაზა — „თუ ძმობა გწამს“ — მამისაგან ჰქონდა მრავალგზის გაგონილი და შეთვისებული ტარიელს. შვიდი წლისა იყო, ზურაბი რომ უკანასკნელად ნახა ბაილოვის ციხეში. იქაც მოისმინა მამისაგან ეს სიტყვები. ჩვეულებად ჰქონდა ზურაბს, რამდენიმე ფრაზაში უთუოდ გამოურევედა. მაშინ დედა-შვილს ვახტანგი ახლდა ციხეში. წამოსვლისას მოამბა ზურაბმა:

— თუ ძმობა გწამს, ვახტანგ, შენ გაბარებ ამ ქალ-ბაღანას...

ნატაშა

ვასო საწყობში შებრუნდა, კუთხეში შეჩერდა. არ ესიამოვნა იმ გამეფებულ სიჩუმე, გაიარ-გამოიარა, ნაღვლიანმა ფიქრმა შეიპყრო.

რამდენიმე დღით იყო ამასწინათ გუჩიაში. დედამ არ მოუსვენა: იშოვნიდა თუ არა ღროს, გვერდით მიუჯდებოდა, ჯერ უფროსი ვაჟის, მამუკას პორტრეტს ახედავდა, უსასოო ხმით ჩაილაპარაკებდა ჩვეულებისამებრ:

— ვაი შენს ღედას, შვილო!.. სად მყავხარ, ნენა!.. ველარ მოვესწარი შენს მოსვლას... მე მაინც ჭე მიდგას სული...

მერე ვასოს მიაპყრობდა ცრემლამომზრალ თვალებს; გამხდარ, კენობაშეპარულ სახეზე თითქოს რაღაც ნათელი შეეფინებოდა, სულში ჩამწვდომი აღერსით ეტყოდა:

— დროა აწი, ნენა, უნდა დაცოლ-შვილდე... ვინ იცის, ვის გადაეციდები, შეიძლება იმისთანას გადაეყარო, რომ სულ ვერ გაიხარო... პო-და, დადნა, ნენა, იგი გოგო შენი ჯავრით... რა ვიცი, რა, რუსეთში წასვლამდე, პატარაი რომ იყავი, ნამეტანი მიგაჩნდა... მერე იგი უბედურება შეგემთხვა, შვილო, მარა რაღა გაეწყობა ახლა...

შუბლს შეიკრავდა ვასო, გულს ცეცხლი შემოენთებოდა. სწუხდა და უკვირდა, რომ დედამისი, ასეთი გულკეთილი, ასეთი სათნო აღამიანი იყო და ვასოს მწუხარებას მაინც ვერ ჩასწვდა. მისთვის თითქოს შორეული ზღაპარი იყო, ვასოს რომ სტალინგრადში ცოლი მოუკვდა, ნალოჯინევზე გაცივდა და ველარ გამობრუნდა. ძალზე მოხუცი ბებია ზრდიდა ჩვილ ბავშვს... წამოსვლისას უნდოდა წამოეყვანა, მაგრამ არ გამოატანა... ახლა ის მოხუციც გარდაცვლილა და, ვინ იცის, ბავშვი ვის ხელშია...

ვერც მამას და ვერც სხვას აჭაურებს გულთან ახლოს ვერ მიუტანიათ, რომ ვასო ჭკრივია, ნორჩი ბავშვი ჰყავს. შორს წასულ ახალგაზრდას რა არ შეემათხვევაო, — ეტყვიან ხოლმე, — შენ ნამდვილი საცოლო ვაჟაკი ახლა ხარო.

საწყობის კართან შედგა ვასო, ორთქლამწე მანქანას გახედა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ვაგონიდან რომ ფიცრებშემოკრული მძიმე ნივთები გადმოჰქონდათ.

„...არ გამეტყუწნებთ, — განაგრძობდა ფიქრს, — თავისი თვალით არ უნახავთ უბედური ნატაშა, არც ანდრეი კუზნიჩი, არც პელაგია დიმიტრეენა. ასე უოფილა, თუ გულმა გული არ იგრძნო, ისე შორიდან არ ხერხდება თურმე ნათესაური გრძნობის გაღვივება... მე კი რა დიდი სიყვარული, რა დიდი სევდა მაკავშირებს იმათთან“...

თერამეტი წლისა იყო ვასო, სტალინგრადში რომ ჩავიდა. საშუალო სასწავლებელი იმ წელს დაამთავრა. პირველად ძალიან ეუცხოვა ნაომარი, საშინლად დანგრეული ქალაქიცა და ჯერ მთლიანად აღუდგენელი ქარხანაც.

სოფელში იზრდებოდა, ბათუმსა და თბილისში მხოლოდ რამდენიმე დღეობით იყო ნამყოფი. დედა ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელ ყმაწვილად სთვლიდა. მოვლას არ აკლებდა.

აქ კი სულ სხვა გარემოში მოხვდა. ბუნების წიაღში იყო გაზრდილი, მკვირცხლსა და ხალისიან ახალგაზრდებში ტრიალებდა.

მარადმწვანე მცენარეებით მოსილი გორაკები, ჩაის ბუჩქნარებიანი ფერდობები და ველები, საუცხოოდ გაშენებული ეზო, ხოლო შორს, ცის დასალიერისაკენ, ხან ბურუსიანი, ხან მტრედის-



ფრად მოკამკამე ზღვის ნაპირი, — ყოველ დღე ეს ედგა თვალწინ.

ხოლო აქ სულ ნანგრევები, შემზარავი ნანგრევები, კორპუსჩალეწილი ქარხანა და ომის ქარცეცხლში გამოვლილი მუშები.

საერთო საცხოვრებელშიც ძალიან გაუჭირდა პირველად; დედის მიერ დატრიალებული ოდის ფართო ოთახებს იყო შეჩვეული.

ხანდახან ვოლგის პირად შესვენებდა თვალს, დაუსრულებელ ველებსა და ტყეებს გახედავდა, მაგრამ აქაც მშობლიური კუთხე მოენატრებოდა; თავისდა უნებლიედ იზიდავდნენ, თავისკენ უხმობდნენ ნათესავ-მეგობრების სახეები. მათ შორის ხშირად გაიღვებდა რუსიკოს შავი თვალები, ნაღვლიანად გაუღიმებდა და წამოსვლის დროს ნათქვამ სიტყვებს მოაგონებდა:

— დავაიწყებები, ვასო, თუ არა აგერ ნახავ...

სახე გაუნათლებოდა ვასოს და როდი იტყოდა, გული თავისთავად ამეტყველებოდა:

ვის, რუსიკოს დაივიწყებს ვასო?! ეს რამ ათქმევინა? ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ. მართალია, მათ შორის არაფერი თქმულა ისეთი, რაც ქალ-ვაყის მისწრაფებას გამოხატავდა, მაგრამ ეს საჭირო არ იყო, თავისთავად იგულისხმებოდა.

დრო გადიოდა. საქართველოდან გამოგზავნილი ჭაბუკებიდან ვასო პირველთაგანი შეეჩვია ქარხანას, მარტენის საამქრომ მიიზიდა, ფოლადის დნობამ დააინტერესა. აქ მას თავისი ახოვანებაც ხელს უწყობდა და შრომის უნარიც. ვახტანგ სიამაშვილის ვაჟი იყო, თავს არ შეირცხვენდა. თბილისამდე გამოაცილა მამამ. რამდენჯერმე გაუმეორა გზაში:

— კი მერჩია, შეილო, უმაღლესში გამეგზავნე სასწაილად, მარა რაკი ეს შეგხვდა, რა გაეწყობა. ყოველი საქმე

კარგია, თუ მას შეიყვარებ, თუ მთელი გულით მოეცილები.

მაშინ ჯერ კიდევ ომი იყო. ჩვენი პომია მტერს მიერტყებოდა. პირველ ხანებში ბევრჯერ უნატრია ვასოს, ნეტავ ფრონტზე ვიყო, ბრძოლაში მონაწილეობას ვიღებდეთ. უფროსი ძმის, მამუკას ბედს შენატროდა. მამუკა სახელმწიფო-პილი მფრინავი იყო, მთელი ოჯახისა და ნათესავ-მეზობლების სიამაყე. მისგან რომ წერილს მიიღებდნენ, ადამიანები კი არა, მგონია, მთელი გარემოც კი შეიგრძნობდა, სულ ერთიანად გაბრწყინდებოდა.

ბოლოს დარწმუნდა ვასო, რომ ქარხანაც ომის ნაწილი იყო. ყველაფერი — შესასვლელთან გაცრული წარწერებიც, თავდაუზოგავ მომუშავეთა გამომეტყველებაც, — ყველაფერი მოუწოდებდა: „მეტი ფოლადი, მეტი ჯავშანი, მეტი იარაღი მივცეთ ჩვენს არმიას!“

და მარტენის მოვარეარე ლუმელთან თავისი ხანდაზმული ოსტატის გვერდით დადგებოდა ვასო, გრძელტარაინ სალოპრავს ხელს მძლავრად ჩასკიდებდა, ოფლში გაიდვრებოდა და გუნებაში უკვე თავი მოსწონდა. სამწუხარო ეს იყო მხოლოდ: ამ ამბის ისე აღწერა არ შეიძლებოდა, რომ იგი ფრონტელის წერილს დამსგავსებოდა. ამიტომ შინ ბარათის გაგზავნა არ ეხალისებოდა.

ხოლო აქ უკვე დაიმსახურა ყურადღება. ისეთმა გამობრძმედილმა მეფოლადემაც კი შეაქო, როგორც მისი ოსტატი ანდრეი კუზმიჩი იყო.

იშვიათად ნახავდით გაღიმებულს ანდრეი კუზმიჩს, ომში დაღუპულ შვილებს გლოვობდა. მხოლოდ მუშაობის დროს წამოეგზნებოდა მიწისფერი, ძვალტყავა სახე, ღრმად ჩამჯდარი თვალები აღმასივით გაუმახვილდებოდა და სინჯის აუღებლად ამჩნევდა, თუ როგორ მიმდინარეობდა ლუმელში ფოლადის დნობა.

ერთხელ ანდრეი კუზმიჩმა კარგა ხანს ადევნა თვალი ლუშელთან მომუშავე ვასოს, მოეწონა ამ ტანადილიერი ჰაბუკის მიხრა-მოხრა. შესვენების დროს განზე გაიხმო ანდრეიმ ვასო; არა როგორც ხელქვეითს, არამედ როგორც თანასწორს, ისე დაადო მხარზე ხელი, მამობრივად გაუღიმა და უთხრა:

— შენ ნამდვილი მეფოლადე დადგები, შვილო, ნამდვილი, ძალიან მოხარული ვარ, რომ ამ სიბერის დროს შენისთანა ღირსეულს ვუზიარებ ჩემს გამოცდილებას, ყველაფერს, რაც მისწავლია...

იმევე დღეს, მუშაობა რომ დაამთავრეს, ანდრეი კუზმიჩმა თავის ოჯახში წაიყვანა ვასო.

— ეს ახალგაზრდა კაცი, — მიმართა ანდრეიმ თავის მეუღლეს, შვილების დარდით ძალზე დაუძღურებულ პელაგია დიმიტრეენას, — ჩემი საუკეთესო ხელქვეითია. ასეთი კარგა ხანია არა მყოლია. მოდი, გადმოგიყვანოთ ჩვენთან. ცოდნა საერთო საცხოვრებელში.

პელაგია დიმიტრეენამ უხალისოდ ახედა ვასოს, თითქოს არ ესიაშვნაო შვილების დამკარგავს ამ უცხო ვაჟის სტუმრობა, თვალი დახარა და წყნარად ჩაილაპარაკა:

— კეთილი. საწინააღმდეგო რა მაქვს! დაე იცხოვროს...

ამ დროს კუზმიჩის ქალიშვილი შემოვიდა, ნატაშა. ისიც ქარხანაში მუშაობდა. ვასოს შორისხლოს იცნობდა, მაგრამ ახლა თავის ოჯახში რომ ნახა, გაოცდა, თავი ოდნავ დასწია და თავის პატარა ოთახში გავიდა.

ტანად მაღალი იყო ნატაშა, ქერა სახე ჰქონდა, ოქროსფერი თმა და წყაროსავით სუფთა თვალები.

პირველად შეამჩნია ეს ვასომ და შეცბა, რადაც უხერხულობა იგრძნო. საერთოდ მორცხვი არ იყო, მაგრამ იმ საღამოს, რაკი ჯერ კიდევ რუსული ენა საკმაოდ არ იცოდა, ლაპარაკს ერიდებოდა, ნატაშამ ამ დამძრაბოსო.

რამდენიმე დღეც არ გასულა, რომ ვა-

სომ ამ ოჯახურ მყუდროებაში დიდი შეგება იგრძნო. ქარხნიდან მისი მისწავლა უხაროდა. გულნაღვლიან პელაგიას დიმიტრეენა თუმცა ალერსიან სიტყვას იშვიათად იმეტებდა, მაგრამ ყოველ მის საქციელში დედობრივი მზრუნველობა გამოსჭევოდა.

ნატაშა კი...

საოცარია, თვითონაც არ გაუგია ვასოს, როდის აეთო მის გულში მცირე ნაპერწყალი და თანდათან იწყო გაღვივება... ხშირად ტუქსავდა თავისთავს, რუსიკოს იგონებდა, ბავშვობიდანვე საზარელი სიტყვა — ღალატი პირზე ადგებოდა, მაგრამ ამაოდ. არასოდეს თავის სიცოცხლეში არ უგრძენია ვინმესთან ახლოს ყოფნის ასეთი დაუძლეველ წყურვილი.

ნატაშას წიგნის კითხვა უყვარდა, მხატვრული ლიტერატურა იტაცებდა. გადამიშვალსაც ხელში წიგნი ეჭირატრამეაის ვაგონში რომ ჩაჯდებოდა, ირგვლივ როდი იხედებოდა, წიგნს დაჰყურებდა.

ნატაშას რჩევით ვასოც დაეწაფა რუსი კლასიკოსების თხზულებებს, მიხვდა, რომ ამით ძალიან უადვილდებოდა რუსული ენის შესწავლა. მოვიდოდა თუ არა სამუშაოდან, ხელ-პირს დაიბანდა, დანაყრდებოდა და წამსვე წიგნს მიუჯდებოდა. ხანდახან, თუ ნატაშა თავის ოთახში იყო და წიგნს კითხულობდა, უნებლიედ გაეპარებოდა ხოლმე მისკენ თვალი, მაგრამ არასოდეს აზრად არ მოსვლია თავხედურად დაერღვია მისი მყუდროება.

ქალის გული ანდამანტივით მგრძნობიარეა და ნატაშას, ამ გაფურჩქნელ ქალიშვილს, თუნდაც ომში დაღუპულ ძმებზე მგლოვიარეს, როგორ შეეძლო არ შეემჩნია ვაჟის ეს განსაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ჯერჯერობით თავი მაინც განკერძოებულად ეჭირა; მარტოდენ მის სიტყვაში გამომკრთალი სიტბო და წყაროსავით სუფთა თვალების ნათელი თუ ამელავნებდა გულში იღუ-

მაღალ აღმოცენებულ ყვავილს სიყვარულისას.

ბოლოს ერთმა შემთხვევამ გადასწყვიტა მათი ბედი.

იმ დღეს ანდრეი კუზმიჩმა, თავისი ხანდაზმულობის მიუხედავად, ფოლადის გამოდნობაში ახალი წარმატება მოაპოვა, მიღწეულ ვადაზე ნახევარი საათით ადრე გამოუშვა საუკეთესო ხარისხის ფოლადი.

მეორე ცვლა მოვიდა. ანდრეი კუზმიჩი საამქროს უფროსთან დარჩა. ნაოფლარი, გახარებული ვასო შინისაკენ გაემშურა.

ზამთარი იყო, სასტიკი ყინვა მძვინვარებდა.

მამინ გახდა ავად ფილტვების ანთებით. რამდენადაც მაგარი ორგანიზმის პატრონი იყო, მით უფრო სასტიკად ჩასჭიდა ხელი სენმა.

გრძნობას ჰკარგავდა, ბოდავდა.

პელაგია დიმიტრიევნამ და ნატაშამ ექიმის მიერ გამოგზავნილ სანიტარებს ვასო საავადმყოფოში არ წააყვანინეს, ვინ იცის, იქ რა მოუტა, აქ ჩვენ უკეთ მოვუვლითო.

ნატაშა პელაგია დიმიტრიევნას ეშველებოდა, ვასოს სასთუმალთან ეჯდა, სველ ტილოს უცვლიდა.

ვასო გაახელდა ხოლმე თვალს, ჯერ უაზროდ მიაშტერდებოდა. ნატაშას ვერ ამჩნევდა. ხანდახან ეჩვენებოდა, თითქოს ნაბრალზე იყო დაკიდული, ძაღლონე აღარ ყოფნიდა და საცაა უფერულში უნდა დაშვებულყო. საცოდავი ხმით უხმობდა ქართულად მშველელს, დედას ეძახოდა, ნატაშას ახსენებდა.

ნატაშამ თუმცა ქართული არ იცოდა, მაგრამ მიმხედარი იყო, რომ ვასო მას შველას სთხოვდა. გული უკენესოდა, ეფერებოდა; ოღონდ მორჩი და მტლად დაგედებო, ეუბნებოდა გუნებაში. ახლა დედასაც არ უმაღავდა, რომ ვასო თავზე მეტად უყვარდა.

წყინარად შესდგამდა ფეხს ოთახში

ანდრეი კუზმიჩი, ვასოს დახედვდა, თავისი ქალიშვილის მწუხარებზე გვეცხლად შემოენთებოდა, სახელბარულს შეკლავდა დიმიტრიევნას მიაპყრობდა ცრემლიან თვალებს და ფეხაკრეფითვე გაბრუნდებოდა.

რა დიდი სიხარული ჩამოდგა ანდრეი კუზმიჩის ოჯახში, როცა ვასომ კრიზისი გადაიტანა და გამოკეთება იწყო! პელაგია დიმიტრიევნას თითქოს შინმოუსვლელ შეიღებზე დარდი დაევიწყდა, სახე უღიმოდა, მკვირცხლად მიმოდოდა. ანდრეი კუზმიჩი მეფოლადისებური სიღინჯით აბოლებდა ჩიბუხს; ვასოსთან რომ შევიდოდა, ხუმრობის კილოთი ეტყოდა:

— აი, ახლა უკვე წართობილი ბიჭი ხარ, ამიერიდან მართლაც ნამდვილი მეფოლადე იქნები...

ხოლო ნატაშა სავსებით აყუავდა, დამშვენდა.

ვასო თვალს არ ამორებდა ნატაშას, სტკებოდა. სიყვარულის მაღლით იტურნებოდა.

დამდებოდა.

ცოტა რომ მომჯობინდა, მოინდომა სიტყვით გამოეთქვა თავისი გულისხმადები, მაგრამ გაუძნელდა; ნატაშას ხელი ყელთან მიიტანა, მოეფერა, ოღონდ გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

— მე რითი-ღა გადავიხადო...

ნატაშას სახეზე აღმური შემოენთო, ნაზად მოუსვა ნიკაპზე ხელი ვასოს და უსაზღვრო აღერსით სავსე ხმით უთხრა:

— მოისვენე, ძვირფასო, ღვიძლო, ჩემო...

ამის შემდეგ მთელ წელიწადს ბედნიერად ცხოვრობდნენ.

.....არა, აუცილებლად უნდა წაგიღე, — მიმოდოდა საწყობში ვასო და ფიქრს განაგრძობდა, — ანდრეი კუზმიჩი უნდა ენახო, პელაგია დიმიტრიევნას გარდაცვალება მივეუსამძიმრო... ბავშვს წამოვიყვან, იმას მაინც ვაგზრდი ნატაშას სახსოვრად“.



VI

სოლომონის მიხედვით თვალი

სადამოს ტარიელი მშენებლობის უფროსის მიერ მოწვეულ თათბირზე გაეშურა.

ლამდებოდა.

რუხი მთის გასწვრივ ცის თაღზე ნაცრისფერი ღრუბლები მიმოფანტულიყო, ალაგ-ალაგ აღმოდებულ ნაპრალებში ჩამავალი შხის სხივები გამოკრთოდა და მტკვრის პირად მალალი ვერხვების გვირგვინებს ანათებდა. ჩრდილოეთიდან მონაბერ ნიაცს სუსხი ემატებოდა. მშენებლობის სხვადასხვა უბნიდან მუშები ბინებისაკენ მიემართებოდნენ.

თბოელექტროცენტრალის ერთი მილიდან მურისფერი კვამლი ამოდებოდა და ცისიერში იფანტებოდა.

საერთო მყუდროებას მრავალ დაქსელილ გზებზე მიმომავალი მანქანების ხმაური არღვევდა.

ტარიელს ვრცელი დარბაზი ხალხით გაქედილი დახვდა, თათბირი ჯერ გახსნილი არ იყო, მშენებლები ჯგუფ-ჯგუფად საუბრობდნენ. ეს ინჟინერ-ტექნიკოსები, სხვადასხვა უბნის ხელმძღვანელები, უმთავრესად შუახნისანი იყვნენ, აქ-იქ ერივნენ ისეთი ხანდაზმული მშენებლებიც, როგორც ნიკოლოზ პავლოვი იყო.

ტარიელი ნიკოლოზის გვერდით დაჯდა.

ნიკოლოზმა თავი მისკენ მისწია და დაბალი ხმით უთხრა:

— ხომ გამართლდა ჩემი მოსაზრება?

— რა?

— აი, დღეს რომ გეუბნებოდი... კორდაქე სამშენებლო ხე-ტყით დატვირთულ მანქანას შინ გზავნიდა; ალბათ, შეშად უნდოდა...

— საიდან გაიგეთ?

— მანქანა დარაჯმა გააჩერა. იურიდიულად დამტკიცება ძნელია, ისე კი ამკარაა.

ამ დროს ენერგოულმა, პირნათელმა, მკვრივად ჩასკენილმა მშენებლობის უფროსმა, ლევან სალაძემ თათბირი გახსნა. სიტყვა მოხსენებისათვის მთავარ ინჟინერს მისცა.

სამხედრო სამოსი ჯერ კიდევ არ ეხადნა მთავარ ინჟინერს. ორწყებად ქონდა მკერდზე ომის დროს მიღებული ორდენების ნიშნები. ენაწყლიანად ლაპარაკობდა იგი, მახვილს იქ ააეღებოდა, იმ უბნის ხელმძღვანელს გამოიყვანდა სააშკარაოზე, რომელსაც ჩამორჩენა ემუქრებოდა, გვემას წარმატებით ვერ ასრულებდა.

ლევან სალაძის გვერდით იჯდა საქალაქო კომიტეტის მდივანი, გრიგოლ ამირანიძე, რომლის სანდომიანი სახის გამომეტყველება ცხადყოფდა, რომ კარგად იცოდა თვითთული იქ დამსწრის დადებითი და უარყოფითი მხარე, იცოდა, ვის უნდა ამოდგომოდა მხარში, ვინ დაეტუქსა, ვინ წაეხალისებინა. თუ იქ მყოფთა უმრავლესობა რომელიმე ერთი საქმის სპეციალისტი იყო, საქალაქო კომიტეტის მდივანს ყველა უნდა სცოდნოდა, ყველგან უნდა მიმწვედარიყო მისი გამჭირაბი თვალი.

აქვე იყო აღმშენკომის თავმჯდომარე, კალისტრატე კილაძე, ჰლარაშერეული, სახელაყდაქა ინჟინერი, ვონებამახვილი, თავისებურად მკვერმეტყველი, თუმცა უნაკლოდ არც რუსული ენა იცოდა და არც ქართული. მეტად ტემპერამენტიანი კაცი იყო ეს მრავალ მშენებლობაზე ნამუშევარი ბოლშევიკი, ხან ფიცხი, ხან კეთილად მომდიმარი.

— ვინ მისცათ ნება ბინაომშენებლობის მუშაეებს, რომ ასე არცხვენენ ჩვე-

ნი კოლექტივის სახელს? — აუწია ხმას მთავარმა ინჟინერმა. — გასულ წელს ჩვენ მძიმე მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი დროსა მივიღეთ. წელს ვალდებული ვართ გაცილებით უკეთ ვიმუშაოთ, ჩვენი მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხა მთლიანად ავითვი-სოთ. ესენი კა...

ყოველი სიტყვა, მთავარი ინჟინერის მიერ წრფელი გრძნობით თქმული, მეტად მსუსხავდა ჟღერდა, თანაც მასში ის დამრავლები ძალა გამოსკვივოდა, რომელიც ამ უდიდესი მშენებლობის უამრავი დარგის მუშაკებს ერთმანეთთან აკავშირებდა.

მოხსენების შემდეგ კამათი როდი გახსნილა, ერთიმეორის მიყოლებით დგებოდნენ სხვადასხვა უბნის წარმომადგენელი და მოკლედ, საქმის ღრმა ცოდნით არკვევდნენ სადღეისო საჭირობორტო საკითხებს, მიუთითებდნენ ნაკლებ და იქვე სახავენდნენ საჭირო ღონისძიებებს.

ეს იყო მშენებელთა რაღაც თავისებური საბჭო, სადაც არავინ მკვერმეტყველებაზე არა ფიქრობდა, არც ვისმეს თავს აწონებდა; აქ მხოლოდ მშენებლობის საერთო ინტერესი ამოძრავებდათ, ცალკეული შეცდომებისა და ხარვეზების გამომკვლევებით მწყობრი წინსვლის შესაძლებლობას ჰქმნიდნენ.

მეტი თავისებურება ემჩნეოდა აღმშენებლის თავმჯდომარის გამოსვლას. მას წამსვე წამოეგზნო ფართო სახე, ზოგი წერილმანი ნაკლი განსაკუთრებით გამოუქმებული საღებავებით დახატა.

— ჩვენ კიდევ ვერ ვისწავლეთ ოპერატიულობა, — ამბობდა კალისტრატე, — ზოგი ჩვენი მუშაკის დაუდევრობით, პირდაპირ ვიტყვი, ბიუროკრატიული მოუქნელობით მშენებლებს ხელფასი უგვიანდებათ... ზოგჯერ მუშებს საჭირო მასალითა და ხელსაწყოებით ვერ უზრუნველყოფთ. აი, ერთ პა-

ტარა, მაგრამ აღმამფოთებელ მაგალითს მოვიყვან: ბინათმშენებლებს უკრთ უბანში, სადაც უმთავრესად მუშაობენ, მუშაობენ, მუშაობენ მოსამზადებელი კურსები მოაწყეს. ახალგაზრდები მალე დახელოვნდნენ, ჩამოაყალიბეს ბრიგადა და მუშაობას შეუდგნენ, მაგრამ რითი, არ იკითხაეთ? ფუნჯების ნაცვლად ხელში მარტო ტარი-ლა აღმოაჩნდათ. განა შეიძლება ასეთი, ბოდი-ში გამოთქმისათვის, პირველყოფილი იარაღით კედლის შებათქაშება?... მიმართეს ვისაც ჯერ არს. საწყობში ფუნჯები არა გვაქვსო, უბასუხეს. გავიდა ხანი, კიდევ მოსთხოვეს. კვლავ უპარით გამოისტუმრეს. ახალგაზრდა მუშები კი წვალობენ, სულითა და გულით უნდათ გეგმის შესრულება, მაგრამ ვერ ახერხებენ. ბოლოს კვლავ მიაკითხეს და უთხრეს: თბილისში უამრავი ფუნჯი იყიდება, გაგზავნეთ კაცი და შეიძინეთო. იქ ფუნჯი ძვირია, იმდენს ჩვენ ვერ გავიღებთო, ასეთი თანხა გათვალისწინებული არ არისო... ჰოდა, რასა ჰგავს ეს? ნუთუ ასეთი მაგალითი უნდა მივცეთ ჩვენს ახალგაზრდა მუშებს?...

სახე წამოუჭარხლდა აღმშენებლის თავმჯდომარეს, მრისხანედ მოავლო ირგულივ თვალი.

— აი, ასეთ უმსგავსოებას, — მოსკრა თავისი სიტყვა, — ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

დასასრულ საქალაქო კომიტეტის მდივანი წამოდგა.

ყველანი სმენად იქცნენ.

მშენებლობის უფროსმა ბლოკნოტში რაღაც ჩაიწერა, მერე სახე მარცხენა ხელისგულზე დააყრდნო და ამირანიძეს შეაკვირა.

— თქვენ, — დინჯად, ხმის აუმაღლებლად, მაგრამ სავსებით შეუვალად დაიწყო გრიგოლმა, — ყველამ კარგად იცით ის კონკრეტული, უცილობლად შესასრულებელი ამოცანები, რომლებიც

ამ დღეებში დაგვისახა საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა. შეცდომები, რომლებიც ჩვენ დავეუშეთ თბოვლექტროცენტრალის პირველი რიგის ამუშავებაში, ამიერიდან აღარ უნდა განმეორდეს. ერთხელ დაენიშნეთ ვადა, გადავდევით, მეორეჯერაც ვერ მოვასწართ და ახალი იერიში გავაჩაღეთ... წელს უთუოდ უნდა გადავცეთ საექსპლოატაციოდ ორი დიდი საამქრო. ეს მეტად რთული საქმეა. იგი მოითხოვს, რომ ჩვენს მოწინავე მუშებს, ჩვენს მოწინავე ინჟინერ-ტექნიკოსებს დაუახლოვდეს, გვერდში ამოუდგეს ყველა მშენებელი. ბრძოლა მთელ ფრონტზე უნდა გაიშალოს. აქ ყოველ დარგს, ყოველ წვრილმანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება...

ამ საერთო შესავლის შემდეგ ამირანიძემ ძირბუღიანად მიმოჩხრიკა ყველა დამსწრის საქმიანობა, მთავარი ყურადღება სწორედ იმ მოვლენებს მიაპყრო, რომელნიც ზოგ შემთხვევაში თვით ამათუიმ დარგის ხელმძღვანელს გამორჩენოდა, ან არადა, საკმაო ყურადღება ვერ მიექცია.

ზოგ ინჟინერს, ზოგ ხანდაზმულ მეტალურგს შესაძლოა სხვა დროს ელემენტარულ ქეშმარიტებად მიეჩინა ამირანიძის ესათუის კონკრეტული მითითება, მაგრამ ახლა ყველა გრძნობდა, რომ ეს იყო ღრმა განზოგადება, ეს იყო ის ყოველისმხილველი თვალი და ყოველისშემგრძნობი გული, რომელსაც კომუნისტური პარტია ანიჭებს თავის ნამდვილ წარმომადგენელს.

თათბირი რომ დამთავრდა, ზოგნი მშენებლობის უფროსთან შეჯგუფდნენ, ზოგი ქალაქომის მდივანს გაესაუბრა. თვითუელ მათგანს სასწრაფო საქმე ქონდა შესათანხმებელი, ან გასარკვევი.

— კარგი იყო, ძალა მოგვემტება. — გადაულაპარაკა პავლოვმა ტურბულენცი ხელი გამოსდო, გარეთ სქრიატის ხმაღვიდნენ.

ღრუბლიანი დამე იყო, ქარი არა ქპროდა; ჰაერი ისე დამთბარიყო, თითქოს გათოვებას აპირებსო.

ბევრი ჯერ კიდევ თბილისში ცხოვრობდა, მანქანით ან ლამის მატარებლით მიდიოდა. ნიკოლოზ პავლოვი კი ცოლშვილიანად ახალ ქალაქში იყო მოწყობილი, ტარიელსაც მახლობელ სახლში ქონდა სამარტოხელო ოთახი.

პავლოვმა ღრმად ამოისუნთქა.

— იცით, ტარიელ ზურაბოვიჩი, ხანდახან უნებლიედ მომენატრება ჩრდილოეთის მშრალი ყინვა. აი, ჩვენი ურალი! თვითონ ბუნება გთხოვს იმოქმედო, იმოძრაო. აქ კი, ამ სანებიერო ჰაერში შეიძლება მოეშვას კაცი... თუმცა ჯერ კიდევ მოიპოვებიან ჩვენშიაც და აქაც ისეთები, რომელთაც იოლი შრომით უნდათ ფონს გავიდნენ.

— თქვენ, მგონია, ისევ კორფაქე გყავთ მხედველობაში?

— თუნდაც კორფაქე! — გაცხარდა ნიკოლოზი. — დღესაც გეუბნებოდით, არ მომწონს ეგ კაცი. პირმოთენა, მლიქვნელი, ამასთანავე პატივმოყვარეობითა და ანგარებით საესე.

გზაჯვარედინზე ტარიელმა ქარხნისაკენ გაუხვია.

— ბინაში არ მოდიხართ? — შეეკითხა პავლოვი.

— არა, თბოვლექტროცენტრალში უნდა შევიარო. ტურბოგენერატორის ამუშავება უნდა ვცადოთ.

— მე კი მეგონა დასასვენებლად წამოხვიდოდით, — თანაგრძნობით ჩაილაპარაკა პავლოვმა, მერე უცებ დასძინა, — თუმცა არა უშავს რა, თქვენ ჯერ ახალგაზრდა ხართ.

VII

ქარხნის გული

გზაზე ტალახი ყინვისაგან ოდანვე შე-
მაგრებულყო, ფეხს სქლად ედებოდა.

ტარიელმა დილიდანვე აკვიატებული
ნაღვლიანი განწყობილების მოსაცილებ-
ლად გონების თვალი მეტალურგიის
განვითარების შორეულ საწყისს გადაავ-
ლო და ნათლად დაინახა იმ დროს ჯერ
კიდევ დიდი საოცრების — ცეცხლის
პირად მჯდომარე პირველყოფილი ადამი-
ანი. აი, მან ჯოხით ნაცარი გამოქექა,
ლითონის რალაც ზოდი იპოვნა, დააკ-
ვირდა... ვინ იცის, რამდენი თაობა იყო
კიდევ საჭირო, რომ რკინის გამოსაღო-
ბად პრიმიტიული ღუმელი მოეწყოთ...
ხოლო შემდეგ — ქართველი ტომების
უდიდესი დამსახურება რკინის მადნის
მოპოვებისა და დამუშავების საქმეში...
ხალიბები მაღალი ხარისხის ფოლადს
ამზადებდნენ... ეს ჩვენი წინაპრები, ფო-
ლადის ოსტატები, უთუოდ ძველ არიშ-
შიაც ცხოვრობდნენ, გათხრების დროს
აღმოჩენილ უძველეს საფლავებში გა-
ნისვენებდნენ... რა რთული გზაა, რამ-
დენი დაქვეითება და ამაღლება!.. რა ნე-
ბისყოფა, რა სიმტკიცე, თანაც კიდევ —
რამდენი ვერაკობა და დაღლია!.. ფოლა-
დი ხომ ისე არ გამოიღობა, თუ წი-
და არ მოხადე. წიდა ნიავდებოდა, ფო-
ლადი რჩებოდა, უქანავი ქართული
ფოლადი...

წელში გაიმართა ტარიელი, შემსუ-
ბუქებულ ნაბიჯს აუჩქარა.

თბოელექტროცენტრალის მაღალი
შენობის ირგვლივ ნათურები კაშკა-
შებდნენ. აქ დღისითაც და ღამითაც
განუწყვეტლივ მუშაობდნენ.

ინჟინერ-ტექნიკოსებს, რომელთაც
სადგური საექსპლოატაციოდ უნდა
მიეღოთ, ლოგინი აქ ჰქონდათ გაშლი-
ლი. ესენი უმთავრესად გამოცდილი,
მცოდნე ქართველი სპეციალისტები

იყვნენ, მაგრამ ახლა, როცა ეს სავსე-
ბით ახალი, ნაწილობრივ თავისებური
ურთულესი მექანიზმები უნდა ამუშა-
ვებულყო, ცოტა არ იყოს, დელავდ-
ნენ, მრავალგზის შესწავლილ ნახაზებს
კვლავ თვალს ავლებდნენ, მანქანების
გაწილებს აკვირდებოდნენ, ერთმა-
ნეთს ეთათბირებოდნენ. ამასთანავე
საჭირო იყო იმ ახალგაზრდა კადრების
გამოცდა, მომზადება და დახელოვნე-
ბა, რომელთაც ტყეარჩელსა თუ
დონბასში უკვე მიეღოთ გამოცდილე-
ბა, მაგრამ დამოუკიდებლად აქ პირვე-
ლად იწყებდნენ მუშაობას. ესენი თა-
ვიანთი საქმის მოყვარული, ნიჭიერი
ქართველი ჭაბუკები იყვნენ; ბევრ
მათგანს საშუალო სასწავლებელი დამ-
თავრებული ჰქონდა.

ტარიელმა მიმოხვეული კიბე სწრა-
ფად აიარა. აქაურობას თუმცა ხშირად
ასუფთავედნენ, მაგრამ ამ გაცხარე-
ბული მუშაობის დროს იმდენჯერ მი-
მოდიოდნენ, რომ საფეხურები და ტა-
ლანები მაინც ატალახებული იყო.

შესასველელ კარებთან შეხვდა ტარი-
ელს საქვაბე საამქროს უფროსი. ეს
იყო შუახნის კაცი, დინჯი, ფრიად
დარბაისელი ინჟინერი. რა სასწრაფო
საქმეც არ უნდა ჰქონოდა, აჩქარებასა
და ფუსფუსს მას ვერასოდეს ვერ შე-
ამჩნევდით; მტკიცედ, გულდაჯერებუ-
ლად მოქმედებდა; ახალგაზრდა ოსტა-
ტებს რომ წრთენიდა და ამცადინებ-
და, მაშინაც ყოველი მისი სიტყვა პრა-
ვალგზის მოფიქრებული და მიზანდა-
სახული იყო. შინაურულად, გულთბი-
ლად ესაუბრებოდა ახალგაზრდებს,
მაგრამ ხელმძღვანელისათვის საჭირო
სიმალღეზე ყოველთვის იდგა. მის ღი-
მისს თითქოს ირონიული ელფერი
დაჰკრავდა, მაგრამ იგი მაინც ალალ-

მართალი გულის ანარეკლი იყო.

— როგორაა, ალექსანდრე, საქმე? — ჰკითხა ტარიელმა.

— გვარიანად. ჩვენის მხრივ დაბრკოლება არ იქნება. — უპასუხა ალექსანდრემ.

თუმცა საამქრო ერთ მხარეს ჯერ შემოკედლებული არ იყო, მაგრამ მინც გამთბარიყო. ქვანახშირის მიმწოდებელი რთული მექანიზმები ჯერ არ მოქმედობდნენ, ქვებს მახუთით ათბობდნენ, ფრქვევანა განუწყვეტლივ ქმუტუნობდა. შრავალნაირად დახლართულ მილებში წყალი და ორთქლი ბობოქრობდა.

საამქროს სამეთვალყურო აპარატებთან გამოცდილი ოსტატის გვერდით დამწყები ცეცხლფარეში იდგა. ამ პირმრგვალ ხიდისთაველ ქაბუქს ძველებური სახელი ერქვა, ფარსადანი. მას უკვე ემუშავნა დონბასში; ტყვარჩელის თბოელექტროსადგურშიც იყო რამდენიმე თვით მივლინებული. ამიტომ თავი ოსტატივით ეპირა, თუმცა ამ ახალ სადგურში ზოგი რამის წინაშე ძალაუნებურად ჩაფიქრდებოდა, ატყობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ესწავლა.

სიმარღე და საზრიანობა არ აკლდა ფარსადანს. მოწყენილობა მის ბუნებას არ ეგუებოდა, უფრო ხშირად დიმილი ერეოდა.

ტარიელი აპარატებთან მივიდა, ისრებს დააკერდა, მერე მილებსა და ქვაბებს გახედა.

აქ უკვე თითქმის ყველგან სიცოცხლე ხშიანობდა, ის რითმულად მიქეფარე სიცოცხლე, რომელსაც ადამიანი ჰქმნის და აწესრიგებს.

ფარსადანს უფროსების წინაშე თავისი ცოდნის გამოჩენა აზრადაც არ მოსვლია, მაგრამ უცებ ორთქლსაზომზე რაღაც მოეჩვენა, სწრაფად მიტრიალდა და მალე მყოფ მორიგეს ასძახა:

— ბიჭო, ილიყო!..

ოსტატმა შეაჩერა, ხელუფრენიანა: არაფერი არ არისო საჭინაო... ფარსადანი ცოტა დარცხვენილი მობრუნდა, ტარიელსა და ალექსანდრეს თვალი აარიდა.

ალექსანდრეს გაეღიმა: როდი დასცინა ახალგაზრდა ოსტატს, ბეჯითობა მოუწონა.

არც ტარიელს გამოეპარა ეს წვრილმანი, საამო ფიქრი აღეძრა: „დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ეს ახალგაზრდები უბრალო სოფლის ბიჭები იყვნენ, ახლა კი რა რთულ ტექნიკას ეუფლებიან!... არა, ესენი არ შეგვარცხვენენ. სწორედ ამითშია გადმოსული უქანგავი ქართული ფოლადის ძალა“...

სამანქანო დარბაზში შესვლისთანავე იგრძნო ტარიელმა, რომ ახალი სიცოცხლე აქაც იმშუშნებოდა, მალე გაახელდა აღისფერ თვალებს.

ფურცლოვანი ფოლადით მოფენილი იატაკი მოერეცხნათ, დანადგარები გაეპრიალდნინათ. მემანქანეთა და მემონტაჟეთა სახეებზე მღელვარე მოლოდინს ამოიკითხავდით: ტურბოგენერატორის ამუშავება პირველად უნდა ეცადნათ.

აქვე იყო ქარხნის მთავარი ინჟინერი, ხანდაზმული, მაგრამ ცხოველი ენერგიით აღსავსე კაცი: მისი ბადრი სახე ადამიანს თითქმის ყოველთვის თავისკენ იზიდავდა, გულგამაშილობით ხიბლავდა. მეტად დიდი გამოცდილება ჰქონდა შეძენილი ამ დეაქსიმოსილ მეტალურგს ურალსა და დონბასში. სიკაბუტიდან მოყოლებული მრავალი წელი გაეტარებინა რუსეთში, მაგრამ დედა-ენა შეურყვენელად შეენარჩუნებინა; მის მდიდარ ქართულ მეტყველებას ოდნავ დაჰკარავდა იმერული დარბაისლური კილო. წბლისფერი ტყავის პალტო ეცვა ტანსრულსა და მოძრავს, თავზე დაბალი ბოხობი ეხურა.

მისვლისთანავე მიეგება ტარიელს, მეგობრულად შეანათა თავისი ფართო თვალები.

— არა უშავს რა, საქმე კარგად მიდის. — უთხრა მისთვის ჩვეული იმედიანი ხმით.

მართლაც, მიმოიხედავდით სამანქანო დარბაზში და, თუმცა ზოგი რამ ჯერ დამთავრებული არ იყო, მაგრამ სიამაყით გაიმსჭვალებოდით, ასე მოკლე დროში რომ ყოველივე ეს მოეწყობა და ახლა საცაა მწყობრად ამეტყველდებოდა ეს უსულო საგნები, ამეტყველდებოდა, და ამომავალ მზესავით იელეებდა სინათლის ჩქერი.

ქვედა სართულში ტუმბოს ამუშავება შეფერხდა. ყველამ ძირს ჩაიხედა. დაიწყებდა ტუმბო შხრიალს და უცებ რაღაც უსიამო სტვენით შეჩერდებოდა. კარგა ხანს ეწვალნენ მემონტაჟენი და შემანქანებები ბოლოს, თითქოს სული მოითქვაო, მძაფრად გაბმულად აღდერდა ტუმბო.

მაღე ტურბოგენერატორიც ჩართეს და...

აძგაძგდა, აზრი აღდა ირგვლივ ყველაფერი, მერე უცებ ერთ ჰანგზე იწყობოდა, ისეთ ჰანგზე, რომელსაც თითქოს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული...

ყველას სახე გაუბრწყინდა. ექვეტორთან იდგა ახალგაზრდა მემანქანე გიორგი იოველიძე. იგი თითქოს შეჰკრთა, მრგვალი სახე შეუფიქრიანდა, თავლისფერი თვალები თითქოს გაუფართოვდა; მერე გულიანად გაიღიმა.

გამოუცდელი ჰაბუკი არ იყო გიორგი. რამდენიმე წლის წინათ გამოაცოცხლა მამამ რკინიგზის სადგურამდის სამხედრო სამსახურში გაწვეული ერთადერთი ვაჟი, რომელსაც სწორედ იმ წელს დაემთავრებინა კოორპერაციული ტექნიკუმი. ძველ ბოლშევიკს რომ შეჰფერის, ისეთი ხმით უთხრა მამამ განშორებისას:

— აბა, შენ იცი, შეილო, არ შეძარცხენო...

ფრონტზე ბრძოლის წაქეზებით ბასის ერთერთ მეტალურგიულ ქარხანაში მოხვდა გიორგი. მამის დავალება პირნათლად შეასრულა. არიშში რომ ჩამოვიდა, ჯერ ზეინკლად მუშაობდა, მერე — ორთქლმწე მანქანაზე, ახლა კი აქ ეუფლება ფრიად რთულ სპეციალობას.

დაუცხრომელი, მაძიებელი გონების პატრონია გიორგი. ტურბინის ნაწილებს რომ აპრიალებდა, მაშინ დაავიწროდა და მიხვდა ზუმფარას ქალაქის ბევრად სჯობია ზეთში ახელილი რკინის ნახერხი... ზამთარში ავად ვახდა. საავადმყოფოდან გამოწერას არ დუცადა, თავის საყვარელ საქმეს მოაშურა.

ამიტომ უსმენს გიორგი იოველიძე ასე აღტაცებით სამანქანო დარბაზში შობილ ხმას; მისთვის, არიშის ახალი მკვიდრისათვის, ეს დაუვიწყარი მოვლენაა.

სხვებთან ერთად ტარიელი და მთავარი ინჟინერიც ვერ მალავდნენ სიხარულს. არაერთი თბოელექტროცენტრალი უნახავთ მათ, მაგრამ არიშის ნაპარტახალ ველზე შობილი ეს ძლიერი ხმა სულ სხვა იყო.

კორპუსებს შორის გვირაბით გაყვანილ ზიდზე გავიდა ტარიელი. მთავარ ფარში შეიხედა.

ზოგან ლალისფრად, ზოგან სოსანისფრად, ზოგან სახე მთვარესავით განათებულყო მიმღებ-გადამცემთა მაჩვენებლები; გრძელ-ისრიანი ფართო აპარატი რამდენიმე ათას კილოვატს უჩვენებდა.

ეს უკვე იმ ახალი ხმის, ახალი სიცოცხლის ნათელი იყო.

პირველად ტარიელს არ შეუშინებია, რომ კუთხეში, პატარა მაგიდასთან, განცალკევებით იჯდა შავბერტიანი ქალი და გრძელ რეულში რაღაცას სწერდა.

ქალმა თავი ასწია, ცისფერი თვალების შუქი გამოკრთა.

— აჰ, მარინა სერგეევნა, თქვენ აქა ხართ! — სთქვა ტარიელმა და მარინას მიუახლოვდა.

მარინა ადგა, ტარიელს თავისი სიზარული გაუზიარა:

— რა კარგია, როცა ახალი სიცოცხლის დაბადებას ესწრები! ასე გგონია, შენშიაც ახლდება რაღაცა.

ტარიელს ღიმილმა დაუმშვენა პირისახე.

— ავი მოგახსენეთ დღეს, — მოუფიქრებლად უთხრა მარინას: — სიცოცხლე მუდამ სჩქედს, წინ ისწრაფვის...

— ეგ მართალია, მაგრამ... რაც კვდება, ის აღარ იბადება.

— არა, არა, ეგ ფორმულა უნდა შეიცვალოს: ძველი საძირკველია, მასზე ახალი შენდება.

— შესაძლოა, მხოლოდ სად და ვის-

თვის! — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა მარინამ. თვალები დახარა. *არქონეშვი*

ტარიელს გულმა მოსთხოვა, მთქმე ამ მარტოხელა ქალისათვის: უკვე გვიანია, წავიდეთ, ბინამდის მივაცილებთო, მაგრამ უცებ, თითქოს სრულიად უშიზეზოდ, დილით შინიდან გამოყოლილი ნაღველი განუახლდა, სახე დაეჩრდილა, მარინას გამოეთხოვა და კიბე სწრაფად ჩაირბინა.

ბნელი ღამე იყო. საღდაც ცის სიღრმეში უსიცოცხლოდ ბეჭუტავდა ორიოდე ვარსკვლავი.

გზაზე ტალახი შეყინულიყო. ტარიელს შოფერი დღეს განთავისუფლებული ჰყავდა და ბინაში მისვლას კარგა ხანი მოუნდა. დაღლილობას მაინცადამინც არა გრძნობდა, მხოლოდ რატომღაც თავისი თავით უკმაყოფილო იყო. დაწოლის წინ ზურგიკოს გაცრეცილი სახე მოეჩვენა, შუბლი შეიკრა და ცივ ლოგინში ჩაწვა.

VIII

ნილის „სალონი“

გაჩირადლებულ დარბაზში მაგიდას უსხედან.

თედო კორფაძე თამადაობს.

სახე და მელოტი თავისქალა განათებია თედოს; განსაკუთრებულად ემჩნევა კეფაზე ყურის ძირებიდან ქობასავით შემოვლებული გახუნებული თმის ზოლი; თვალები უბრწყინავს, ბოხი ხმა დატყობია.

— თქვენი სახით...

ეუბნება ერთ თავის მეგობარს, აქებს, ცამდის აყავს.

თედოს მეგობარი ქალთა წრეში ზის ღენდივით, თავი მოსწონს.

— ნელი ვასილიევნა! — მიმართა თედომ სიტყვის დამთავრების შემდეგ ტარიელ ბარველიძის მეუღლეს, — ერთი თქვენებურად ხმა დაგეაწიეთ.

ნელიმ მხოლოდ მათთვის გასაგები ნიშნით მიხედა გვერდით მჯდომარე

გამო ლარიძეს, სწავლაში ჩამორჩენილ სტუდენტს, დედ-მამის ერთადერთ ვაჟს.

გამომ სქლად მოშვებულ ულვაშებში გაიღიმა, თვალი დახარა და თეთრი თითების გაპრიალებულ ფრჩხილებზე დაიხედა.

ნელი წამოდგა, როიალისაყენ გაემართა.

ოცდათექვსმეტი წლის ქალია ნელი, სიმსუქნე ერევა, ღილაბი თანდათან უფრო ემჩნევა. დიდრონი თვალები აქვს, ჭრელი, საოცრად ცვალებადი: თუ გულმოსულია, რაღაც მტაცებლური სიმკაცრე გამოსქვივის, კეთილ განწყობილების ქამს კი მიშზიდელი სინაზით გეფერება, გილოლიავენს; ამასთანავე თავის ქედმაღლობისაც იწარჩუნებს. მუდამ, ყველაფერში უსახლდროდ გაზეიადებული პატივმოყვარობა

ამოქმედებს. გართობისა და დროსტარების დროს თავს იახლაგაზრდაეებს, თავისი არსების მაღალღირებულებაში რწმუნდება. ისე კი ხშირად წუწუნებს, ამ ცხოვრებაში თითქოს კარგს არაფერს ხედავს. ათი წლის წინათ, პირმოშო რომ მოუყვდათ, მუდმივი უკმაყოფილება მისთვის თითქოს ბუნებრივი იყო, ხოლო შემდეგ უსუღავულო ჩვეულებად გადაეცა.

აგერ, კედელზე ჰკიდია ზურკოს პორტრეტი; მამისეული თვალებით იხედავს იგი, მაგრამ ნელს სულში ამ ბოლო დროს ისე მწვავედ აღარ ენთება იმ საყვარელი თვალების ნათელი, და ახლა, როიალს რომ მიუჯდა, კვლავ იმ სწავლაში ჩამორჩენილ სტუდენტს მიაპყრო მთალერსე მზერა, თავისკენ მიიხზო.

გაბო აუჩქარებლად წამოდგა, ნელისთან ახლოს მივიდა, საამური ხმით წამოიწყო არია ქართული ოპერიდან.

მესამე პატარა ოთახში ზის ტარიელის დედა, თეოლინე. თავისი გაზრდილი, ომში დაღუპული ძმის შეილის-შვილი, თორმეტი წლის ნათია, ორი დღეა ავად ჰყავს, ხშირად დახედავს ხოლმე მძინარეს.

სიმღერა მოესმა თეოლინეს, შეჰკრთა, ავადმყოფს ძლივს ჩაეძინა და არ გაეღვიძოსო.

თოვლივით თეთრი თმა გვირგვინით ადგას თავზე თეოლინეს; მისი მოგრძო სახე ფერნაკული მოჩანს, თუმცა მოტეხილი სრულიად არ არის იგი, არც ნაოქები აუწნოვებს; ცოცხალი შავი თვალები კი მის შინაგან ძლიერებას აჩვენებენ, ჩემს ბიჭს ტარიელს, ჩემი არაფერი არ აცხიპო, იტყვის ხოლმე იგი, ყველაფერში მამას ჰგავსო.

თექვსმეტი წლისა იყო თეოლინე, როცა ათას ცხრაას წელს ბათუმის ქარხნის მუშას ზურაბ ბარველიძეს მისთხოვდა. ზურაბი სტალინის მიერ ჩამოყალიბებული მუშათა წრის წევრი იყო,

ათას ცხრაას ექვს წელს ციმბირში გადაასახლეს, იქიდან მალე უკანმოსვლა, ბაქოში დაიწყო მუშაობა სხვისი მასპორტით და ცოლ-შვილიც იქ ჩაიყვანა. ტარიელი მამის სამი წლისა იყო. ათას ცხრაას თორმეტ წელს კვლავ დააპატიმრეს ზურაბი, ციმბირში დიდხანს აღარ უცოცხლნია.

ხშირად გამოუჩენეს საუბარში თეოლინე: „ჩემოდენი სიმწარე კაცს არ გამოუვლია, ჩემი უბედური ზურაბის სამარის ნახვასაც კი ვერ ვეღირსეო“.

კარი მკიდროდ იყო მიხურული, მაგრამ ოთახში მაინც ისმოდა:

„რა-ა ტკბილია-ა სიყვავ-არუ-ლი-ი“... მისწყდა სიმღერა და ტაშმა იგრილა, განგავი ასტყდა.

თეოლინეს გულმა არ მოუთმინა, ღრმად ჩაძინებულ ნათიას საბანი გაუსწორა, ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა და დარბაზში კუშტად შეიხედა.

თედო კორფაქემ თვალი მოჰკრა, ხელი აღაპყრო:

— ა-ა, ქალბატონ თეოლინეს ვახლავარ!... მეგობრებო! — მიმართა მეინახებებს, წამოდგა, სასმისი ასწია, — ქალბატონ თეოლინეს სახით...

და შეუდგა ხოტბას.

თეოლინეს უნდოდა გაბრუნებულიყო, მაგრამ ბუნებით მეტად თავზიანი იყო და მოერიდა, სადღეგრძელო ბოლომდის მოისმინა.

თედოს სხვებიც აჰყენენ. ერთი ახალგაზრდა ქალი აღტაცებით მოეხვია თეოლინეს, თავის გვერდით დასვა. თეოლინემ აღმაცერად გახედა რძალს. იგი გაბო ლარიძეს ეხმატკბილებოდა. შუბლი შეიკრა, არ მოეწონა რძლის გამომეტყველება.

თორმეტი წელიწადია, ტარიელმა რომ ნელი შეირთო; ამ ხნის განმავლობაში რძალსა და დედამთილს შორის გულითადი განწყობილება თითქმის არასოდეს არ ყოფილა. მართალია, პირველ ხანებში ძალიან ეცადა თეოლინე — დეახლოვებინა ნელი, მაგრამ

ვერ შესძლო. ნელი მხოლოდ თავის თავზე ფიქრით იყო გატაცებული და დედამთილის დედობრივი ზრუნვა სავალდებულოდ მიიჩნია. ეს ბინა, ეს ავეჯი, ეს როიალი მამისაგან ჰქონდა დატოვებული და გულდიდობდა. ბავშვი რომ მოუვლდათ, შემდეგ ზშირად ავადმყოფობდა, თუმცა ფიზიკურად არავითარი დაავადება არ ემჩნეოდა. ყოველწლიურად, მთელი ზაფხულობით აგარაკზე დაჰყავდათ. ტარიელი თუ სამსახურის გამო შორს იყო, თეოლინე ახლდა. შრომა, ოჯახში რაიმეს გაკეთება, შეუძლებლად მიიჩნდა. ექიმმა ამიკრძალაო, იტყოდა ხოლმე. სწუხდა, წუწუნებდა, სიცოცხლე თითქოს მობეზრებული ჰქონდა, მაგრამ მთელი არსებით კი ებღაუჭებოდა მას.

შემდეგ, ომის წლებში, უფრო დაავიწროდა თეოლინე. იმ დროს აგარაკზე სიარული და მეტისმეტი ფუფუნება აღარ ეწყობოდა. ნელი თუმცა ძალიან უკმაყოფილო იყო, მაგრამ ლოგინად არ ჩავარდნილა. პირიქით, ჯანსაღად გამოიყურებოდა. მამინ საბოლოოდ დაასვენა თეოლინემ: „არა, შვილო, შენ თურმე თვალთმაქცობდი, ტარიელს იმიტომ აწუხებდი, რომ მუდამ მხოლოდ შენზე ეფიქრნა“...

კარგა ხანია იცოდა ყოველივე ეს თეოლინემ, მაგრამ შერიგებული იყო, რძალს, რაც შეეძლო, ემსახურებოდა.

ამ ბოლოს კი... უყურე, რანაირი თვალით უცქერის, როგორ ურცხვად უცინის იმ უქნარა სტუდენტს! არა, ამას ვერ აიტანს თეოლინე...

— უკაცრავად, — გადაულაპარაკა გვერდით მჯდომთ, — ავადმყოფი ბაღანაი მყავს მიტოვებული, უნდა მივხედო.

თედო კორფაძე შეზარხოშებული იყო, თეოლინეს დამცინავი მხერა გააყოლა, მერე ნელის ყურადღება მიიპყრო, თვალი ცბიერად ჩაუკრა და ყბის გაქნევით ანიშნა დედამთილზე.

თავისებურ ღიმილში, თეოლინე ნელი დაემოწმა კორფაძეს. კორფაძე უბრალოდ, რომ ისინი არამარტო წარმოშობით, სულიერადაც მონათესავენი იყვნენ.

თედოს ესაიშოვნა ეს, სასმისი ასწია, თავის მეგობარს კიქაზე მიურაწყენა. ახალი სადღეგრძელო წამოიწყა:

— მეგობრებო, დღეს ჩვენს სალონში... დიახ, სალონში, თუმცა ჩვენს დროში ამ სიტყვას აღარ ხმარობენ...

— რას ბრძანებთ, — შეესიტყვა სწავლაში ჩამორჩენილი სტუდენტი, — სალონი უდარბაისლესი სიტყვაა...

— ჰო-და, — განაგრძო თედომ, — ჩვენი სალონის ბრწყინვალე დიასახლისი ნელი ვასილიყენა გახლავთ...

ამ დროს კარებში ტარიელი გამოჩნდა. არ ელოდნენ. ყველა შეკრთა. თედო კორფაძეს სიტყვა გაუწყდა, სახე ისეთი გაუხდა, თითქოს დანაშაულზე წაუსწრესო.

ტარიელი წინათაც შემოსწრებია ხოლმე ასეთ ნადიმს, მაგრამ ახლა, მთელი კვირის შემდეგ შინ დაღლილი მოდიოდა და სრულიად არ მოელოდა. უხერხულობა იგრძნო.

ისევე თედომ დაარღვია სულ მცირე ხნის განმავლობაში მძიმედ ჩამოწოლილი დუმილი:

— რა მოულოდნელი სიხარულია! — რუსულად წამოიძახა მან: — სწორედ თქვენ გვაკლდით, ტარიელ ზურაბოვიჩს!..

ტარიელი ყველას მიესალმა; პალტო გაიხადა.

ნელიმ კუთხეში მდგარ შინამოსამსახურე ქალს ანიშნა, მიეშველეთ, მერე მძიმედ წამოდგა, ტარიელს სკამი დაუდგა; სცადა, ქმარს ჩვეულებრივად მილაქუცებოდა, მაგრამ ტარიელმა სახე აარიდა, ეშინოდა ნელის თვალბში ამ ბოლო დროს მწვავედ ნაგრძობი ცბიერება არ ამოეკითხა.

მაგიდას მიუჯდა, თავი გაიმზიარულა. ღვინო მოსვა, ქალებს გაესაუბრა.

კორფაქს დაწყებული სადღეგრძელო აღარ გახსენებია; პირფერობა რომ არ შეენიშნათ, შორიდან, მოიარებით შეუღლა ტარიელის შემკობას.

ტარიელმა თვალი მიმოატარა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, იქ მყოფთ ეგონათ, კორფაქს სიტყვას ყურს უგდებდნენ, მაგრამ არა, სულ სხვა ფიქრი უტრიალებდა თავში.

უქნარა, უნაყოფო აღამიანი მუდამ ეჯავრებოდა, ამ ბოლოს კი ფიზიკურადაც ვეღარ იტანდა. თვითონ თავდაუზოგავად შრომობდა, სხვებისაგანაც ამას მოითხოვდა. კაცის ღირსებას, მის მალაღდანიშნულებას შრომაში ხედავდა. შრომის ნიჭით დაჯილდოებულს თუ გაპირებებაში ნახავდა, მისთვის თავს დასდებდა, ზარმაცი კი ზიზღსა ჰგვირდოდა. ერთმა ახალგაზრდა მუშამ რამდენჯერმე მიმართა, პროფესიის გამოცვლა სთხოვა. ტარიელი დააკვირდა. ამ ბიქსს, მგონი, რაღაც აკლია. მაინც რა? რაიმე ფსიქიკური ზადი თუ აქვს. გამოკითხა. ა-ა, — სთქვა გუნებაში: — თავისი საქმე არ უყვარს, გულს ვერ უღებს. შესაფერი ხელობა შეურჩია, კარგ ოსტატს ჩააბარა. დაუმეგობრდა... ჰაბუქს ფერი მოუვიდა, თვალეში ახალი სხივი აუქიაფდა, გეგმას უკვე გადაჰპარებოდა ასრულებდა.

აი, ეს გასაგებია: აღამიანმა თავისი კუთხე უნდა იპოვოს... ესენი კი, მაგიდის ირგვლივ რომ სხედან, რომელი კუთხიდან უყურებენ ქვეყანას, საზოგადოებას? რა ბინტერესებთ? რა სული უღვათ?...

ტარიელმა მზერა სწავლაში ჩამორჩენილ სტუდენტზე შეაჩერა, ფიქრი განაგრძო:

აგერ, ეს მთარისტოკრატო ვაქებატონი. ნელი ამბობს, უნიჭიერესი ახალგაზრდააო. რაში გამოიხატა მაგისი ნიჭი, შრომის უნარი? ინსტიტუტმა რა უნდა მომცესო, საერთო დარჯაკში ვ. „მნათობი“ № 6.

ვერ მოვთავსდებო; ამიტომ გამოცდა არათუ არ ჩააბარა, არამედ ჩააბარა და ვერ ჩააბარა... ასეთ ურამსადს ულოლიაებენ, იბრალებენ, თითქოს ვინმე ხელს უშლიდეს თავისი ნიჭი გამოიჩინოს, საბჭოთა აღამიანის სულიერი სიმდიდრე გვიჩვენოს...

კორფაქემ გრძლად გაბმული სადღეგრძელო დაამთავრა.

სხვებიც აპყენენ. გამზიარულდნენ... საერთო ნაშურის დროს ტარიელს ანაზღად გული გველნაბენივით შეუწრიალდა, თვალეში მონუსხულივით გაუშტერდა.

რა მოხდა?

დიდი არაფერი, თითქოს სრულიად არაფერი.

ნელიმ სწავლაში ჩამორჩენილ სტუდენტს გაუღიმა, თვალეში მიუაღერსა.

ეს იყო, მეტი არაფერი?

— არა, ტარიელმა ამ მოტრფივალე თვალთა იღუმალ გასაუბრებაში იმდენი მზავრობა ამოიკითხა, რომ ზიზღისაგან სული შეეხუთა. ეს რაღაც კატასტროფა იყო, დიდი სულიერი კატასტროფა. სულ რაღაც ერთი წამის განმავლობაში ჩაინგრა ნიადაგი, გასწყდა ჯაჭვი, რომელიც მათ ამდენი ხნის განმავლობაში აკავშირებდა. ეს კიდევ არაფერი! ტარიელს არსებაში სიძულვილზე უმძაფრესმა გულისწყრომამ დაისადგურა.

ეს არ იყო მარტოოდენ თავმოყვარეობის შეურაცხყოფა, არც მარტოდენ ოჯახის სიწმინდის შელახვა! ტარიელს უცებ თვალი აეხილა და თავისი თავიც კინალამ შესძაგდა. ვისთან ცხოვრობდა, ეს რა ხალხი ტრიალებს მის ჰერქვეშ? რა აქვს საერთო ამ პარაზიტებთან?! სტალინის ეპოქის თავდადებული მშენებელი და ეს სულით დატაკი მეთავისენი! როგორ შეიძლება ცეცხლისა და წყალის ერთიმეორეში გათქვეფა? ან ერთი, ან მეო-

რე... ან არადა, ოდესმე კი უყვარდა ტარიელს ნელი?... თავისი კეთილი გული ხომ არ ატყუებდა? სულ იმის ცდაში იყო, ნელისათვის ესიაშოვნებინა, რამენაირად მისი წუწუნნი არ გაეგონა... იქნებ ეს საკუთარი სიმშვიდისათვის ზრუნვა იყო და არა სიყვარული?.. მაინც ასე უცებ როგორ შემოვინთო ეს მძაფრი სიძულელი?... რა თვალუწვდენელი ზღვარიას ეს იმასა ჰგავს, ლეში რომ ცოცხალს აეკიდოს.. შორს, შორს აქედან! რა უნდა ტარიელ ბარველიძეს ამ დამყაყუბულ ქაობში, მზაკვრობის, ცბიერების, ვერაგობის წუმპეში?!..

წამოიშართა. შემშუსრავად მოავლო ირგვლივ თვალი. ვერავის ხედავდა. წინ თითქოს წყვილიადი ედგა და მის განქვრეტას ლამობდა.

შუბლზე ხელი მოისვა. მიიმედა, აუჩქარებლად გავიდა დარბაზიდან.

შეცბნენ. დუმილი ჩამოვარდა.

ნელის შიშმა გადაურბინა სახეზე, მაგრამ მალე შუბლი გაშალა, ონავრული შუქი გამოკრთა მოქუტუტულ თვალთავან. უმალვე მიმტყვებელი დიმილი მოიშველია და სტუმრებს მიმართა:

— ნუ მოიწყენთ! ტარიელი უთუოდ ძალიან დაღლილია, მოსვენება სჭირდება.

გაშეშებული კორფაძე გონს მოვიდა, საფრთხე იგრძნო; ჯერ იქით გაიხედა, საითაც ტარიელი წავიდა, მერე თავი დასწია და ნელი შეათვალა; მოეწონა მისი თავდაქერილობა.

— სწორია, ნელი მართალს ამბობს, — დაბალი ხმით დაემოწმა თედო. — ჩვენი წასვლის დროს არის...

წამოიშალნენ. თედოს მეგობარი დიასახლისს ხელზე ემთხვია. სწავლაში ჩამორჩენილი სტუდენტი ისეთი გამომეტყველებით გამოეთხოვა ნელის, რომელშიაც შემწყურებელი ალერსიც იყო და მედიდური დარიგებაც.

დერეფანში კორფაძე ნელი კვთხეში გაიხმო და თავისთვის მტკად მსიმუნელოვანი რაღაც წასჩურჩულა.

*
*
*

— რა მოგივიდა, შვილო? კაცის ფერი აღარა გაქვს! — წამოიძახა თეოლინემ და ტარიელს თვალეში შეაკერდა.

ტარიელმა თვალი არ გაუსწორა, არც რაიმე უთხრა. ზურკოს დასაფლავების შემდეგ პირველად გრძნობდა ასეთ გამოუთქმელ სიმძიმის, გულის ასეთ გაქვავებას. ამას კიდევ რაღაც დამამძირებელი, სასტიკად შეურაცხყოფელი განცდა ემატებოდა.

— სიქვი, შვილო, შემოგველე! ავად ხომ არა ხარ? — მიეფერა გულაკენესებული თეოლინე.

ტარიელს ტუჩი შეერხა. ოთახში მიმოიხედა. მძინარე ნათიასთან მივიდა, დახედა. ომში დაღუპული ბიძაშვილი მოაგონდა. გამოერკვა. ბრაზი მოერია. ოთახში გაიარა-გამოიარა.

თეოლინეს არ დაუნახავს, რა მოხდა, გულმა კი უაზრა ყოველივე. იცოდა თავისი შვილის ურყევი ხასიათი. რაკი სინამდვილეს ჩასწვდა, მორჩა, არ მოითმენს, ვერ შეეგუება. ერთის მხრივ უმჯობესად ჩასთვალა თეოლინემ, რომ ბოლო ეღებოდა თვალთმაქცობას, მატყუარობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეთაკილებოდა ოჯახის დარღვევა, საქვეყნოდ თავის მოჭრა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე.

— დედა, კარი ჩაქვეტე! არავინ შემოუშვა! — შეშფოთებით წარმოსთქვა ტარიელმა და დედის ლოგინზე ჩამოჯდა.

— ახლავე, შენი ჭირიმე, შვილო! — მიესიყვარულა თეოლინე და კარის გასაღები ორჯერ გადაატრიალა. მერე ტარიელთან მივიდა, სქელ თმაზე ხელი მოუსვა.

— მიწეჭი, შვილო, მოისვენე... ჩემმა გამჩენმა ნუ მოასვენოს, ვინც შენ ასე გაგამწარა... ვინ იცის, რამდენი დღეა, თბილ ლოგინში არ წოლილხარ... ხანდახან თავსაც უნდა მიხედო, თორემ ძალონე არ გეყოფა. დიდი საქმე გაქვს, შვილო, დაკისრებული, სირცხვილი არ უნდა ჰქონო...

დედის ხმამ ტარიელი თითქოს ყრმად აქცია, წარსულში გადაახედა. ეამა ეს, მოეშვა, გაუხდელად მიწვა დედის ლოგინზე.

თეოლინემ შვილს გულისხირი შეუხსნა, თან ნანასავით ტყბილი ხმით ეალერსებოდა, არიგებდა.

ტარიელმა დედას ხელი დაუჭირა, ყოვლად ძლიერი დედობრივი სიყვარულით განათებულ სახეზე შეაკქერდა, მოუფიქრებლად ჰკითხა:

— ძალიან გიყვარდათ, დედა, შენ და მამას ერთმანეთი?

თეოლინეს სახლგაზრდობა მოაგონდა, თავისდა უნებლიედ იმ დროინდელი კილოთი უპასუხა:

— რაიზა მეკითხები, ნენა, მაგას? ზურაბს რომ მიმათხოვეს, ერთხელ ბყავდა ნახული, მეტი არა... კი მომწონდა, მარა... სიყვარული, შვილო, ნამდვილი სიყვარული მერე იბადება. ზურაბს ვინ არ შეიყვარებდა, შვილო, ოქროს გული ჰქონდა, ქვეყნისათვის თავდადებული იყო...

— მე რაღა დავაშავე, დედა? — ამოიგმინა ტარიელმა.

— რას იზამ, ნენა, ბედია ყველაფერი...

— ბედი?! განა ჩვენ თვითონ არ შეგვიძლია ჩვენი ბედის გამოჭედვა?..

— მოისვენე, შვილო, ნუ შეფოთავ... აგერ გეტყვი: ამხელა კაცი ხარ, ამხელა საქმეს აკეთებ, მარა ხანდახან ბალანის

გული გაქვს... ზოგ რამეს ჯერ კიდევ არ ჩაკვირებებოდა... აგერ ჩვენი ნათიე რომაა, იგი, ნენა, მამაზე უფრო ბაბუას ჰგავს, — ხასიათით, სახის იერით, ხმითა და სიცილითაც კი... მეშვედრებოდა... ში კაიზე მეტად ავი უფრო გამძლეა... ზოგი ისე გაჯიუტდება, რომ უკან-უკან იხევს, სიკეთის ნაცვლად ბოროტს ეტანება... თუ მოახერხა, სხვასაც ჩაითრევს, გადაშენების გზაზე დააყენებს... შენც ასეთ ავსულს გადაეყარე, შვილო... შენგან ერთი ნამცეცი სიკეთე არ შეითვისა...

ტარიელს უცებ ჩაეძინა.

თეოლინემ თბილად დაახურა. მერე ნათიას ფეხებთან მისდო თავი.

ნელიმ კარგა ხანს იცადა. გული მოუვიდა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო. წამოხტა. კარს მიაკაკუნა.

თეოლინე შეკრთა, უმაღლე წამოიღვრა, კარი გააღო და ნელის მრისხანე თვალები შეანათა:

— კაცს სძინავს. დადლილია არ გააღვიძო. ხომ გესმის! — მკაცრად უბრძანა და კარი კვლავ ჩაჰკეტა.

აღრე გამოედვიდა ტარიელს. ერთხანს გაუნძრევლად იწვა. მერე ნელა წამოჯდა, სახეზე ხელი მოისვა.

— ასე მალე დგები, ნენა?

— ჰო, დედა... მივდივარ... ამ დღეებში მანქანას გამოვგზავნი. რაც გაქვს შენი, ყველაფერი წამოიღე. ნათიაც წამოიყვანე, იქ მოვაწყობ სკოლაში.

— შენ იცი, შვილო...

რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩავიდა ფოთლებგაცვენილი ქადრების შტოები ჯერ კიდევ მოერიაშულე ჩიტებით იყო დახუნძული.

შუქმოფენილ ცისიერს გახედა. არიშის გასწვრივ ცისკრის ვარსკვლავი ციმციმებდა.

IX

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოპროს ჯაჭვი

მცირე სადგურზე მუშათა მატარებელი შეჩერდა. ვაგონებიდან ხალხი სწრაფად გადმოვიდა, ჯგუფ-ჯგუფად გამოეფინა გზებსა და ველზე. ზოგი სამართველოსაყენ გაემართა, ზოგი ქარხნისაყენ, ზოგი ქალაქისაყენ, ზოგმა ავტობუსს მიაშურა.

ზამთარში, როცა ქარი არ უბერავს, თბილი დილა სჩვევია ხოლმე არიშს. ჰაერი როდი ვსუსხავს, გესალბუნება, ასე გგონია, რუხი მთებიდან გაზაფხულის სიო მონარნარებსო.

ერთი ახოვანი მგზავრი, ვახტანგ სიამაშვილი, გზის პირად შეჩერდა, სავესურჯინი მძიმე ჩემოდანზე დასდო, წელში გაიმართა, გარემოს თვალი მოაეღო.

სქელი წარბები შეიკუმხნა, მაღალი შებლი დაეღარა, რაღაც სამწუხარო მოაგონდა; მერე თანდათან გაუნათდა მოგრძო სახე, ჩრდილო-დასავლეთით, რკინიგზის გადამა მდებარე ნაცრისფერ გორაკებს მიაქერდა.

პირველად თორმეტი წლის წინათ ჩამოვიდა აქ ვახტანგი. მაშინ ამ ახლო-მახლო ტიალ მინდორზე აეროდრომი იყო. მისმა უფროსმა ვაჟმა — მამუკამ სასწავლო თვითმფრინავში ჩასვა...

მოსწყდნენ მიწას და შემსუბუქებულნი გული შეუქანდა ვახტანგს, ღრმად ჩასუნთქა მძაფრად მონაბერი ჰაერი. წინ მამუკა ეჯდა, თვითმფრინავს მართავდა. მაშისათვის ეს იმდენად სასიხარულო იყო რომ ფრთები თითქოს მართლა გამოესხა, გაძლიერდა.

ქარი თანდათან უფრო სასტიკად უბერავდა, პროპელერის ჩქრილ-ზუზუნის მეტი არა ისმოდა რა.

ვახტანგი თითქოს შეეზარდა ცისიერს, მთელი ქვეყნის მპყრობელი შეიქმნა.

დამხობილი გობებივით დაპატარავდა მთები; ვერცხლის ძეწკვივით კამკამებს მტყვარი; ტყის ქუფრი ზოლი ალაგ-ალაგ ვიწროა, ალაგ-ალაგ ფართოვდება, მზისაგან გადარუჯული ველი კი უდაბნოს მოგაგონებს, ერთი სულიც კი არსად ჭკანებს.

„ჰეი, ბიჭო, მამუკა! — გულის კენესით გაივლო გუნებაში ვახტანგმა, — სადა ხარ ახლა? ველარ ველირსე, ბიჭო, შენს მოსვლას, შენს მოფრენას, ჩემო შევარდენო!“...

ერთის წამით მზერა დაენისლა ვახტანგს, ვერც გზაზე მიმავალს ხედავდა, არც მანქანების ხმაური ესმოდა.

— უკაცრავად, ბიძია, თქვენ ვასოს მამა ხომ არა ხართ?

ახლა შეამჩნია ვახტანგმა, რომ გზაზე ცისფერი მანქანა შეჩერდა და კაბინიდან ქერა ჭაბუკმა თავი გამოჰყო.

— დიას, — მოგვიანებით უპასუხა ვახტანგმა, თანაც გაიფიქრა: ეს ყმაწვილი არსად მინახავს და როგორ მიცნოო.

— კარგია, რომ შეგხვდით, — სიხარულით სთქვა გაიოზ დარჯანიამ და მანქანიდან გადავიდა, ვახტანგს ხელი ჩამოართვა.

— გუშინ მითხრა ვასომ, მამას ევლიო და იმიტომ მოგაქციეთ ყურადღება. იშვიათად მინახავს, მამა-შვილი ასე ერთმანეთს დამსგავსებოდეს.

ეს უთხრა და ზურჯინის ხელი დაავლო, ძლივს ასწია, ავტოში შეიტანა.

მანქანამ ხრეშინი გზიდან მოასთაღტებულზე გადაუხვია. ეს იყო ფართო პროსპექტი, სადგურიდან ქალაქამდე ლარივით გამართული; ნაპირებზე, ორივე მხარეს, ხეების დასარგავად ორმოები ამოეთხარათ, იქვე ეყარა სავანებოდ მოტანილი შავი მიწა.

გაიოზს მანქანა ნელა მიჰყავდა, ლაპარაკში იყო გართული.

— ჩვენ, მე და ვასო, ერთად მოვხვდით სტალინგრადში, — უამბობდა იგი. — ტყუილს ვერ გეტყვით, პირველად ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ შემდეგ გავეყავით... ვასოს რომ ის უბედურება არ შემთხვევოდა, ბედნიერი კაცი იყო. უნდა გენახა, ბიძაჩემო, რა ქალი იყო ნატაშა, რა შესანიშნავი ადამიანი! ძალიან დაიჩაგრა საწყალი ვასო... რას უცქერით? — შესცვალა საუბარი გაიოზმა. — ჰო, აქ ტყე შენდება ორივე მხარეს. მშვენიერი სანახავი იქნება რამდენიმე წლის შემდეგ...

ვახტანგი ახალ ქალაქს ავირდებოდა. ნაირნაირი სახლები ბევრგან დაუმთავრებელი იყო, ზოგი შემოხარაჩობული, კრამიტით ახალდახურული. აქ ყველგან ის არეულ-დარეულობა სუთვედა, რომელიც თანა სდევს ხოლმე ახალი ქალაქის დაბადებას. თხრილები და არხები ზოგან ამოუქსებელი იყო; ცემენტის მიღები, სამშენებლო ქვა და აგური მოჩანდა ირგვლივ. მუშათა საცხოვრებლებთან ჩაიარეს და ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ გაემართნენ. მხარმარჯვნივ ორსართულიან სახლებში არიშის ახალი მკვიდრნი ჩასახლებულიყვნენ, მხარმარცხნივ კი ჩამწყობებულყო სტანდარტული შენობები, რომელთაც რამდენიმე მშენებლობა უკვე მოვლილი ჰქონდათ; გზის პირად აკაციებისა და ალვის ხეების ორმაგი ხეივანი წამოზრდილიყო.

საერთო საცხოვრებლის კარებთან შეაჩერა გაიოზმა მანქანა.

ოთახი ცარიელი დახვდათ. ვასო და მისი ორი ამხანავი სამუშაოდ წასულიყვნენ.

არ მოეწონა ვახტანგს მიულაგებელი ბინა, შუბლი შეიკრა.

გაიოზმა შეამჩნია, ანუგეშა:

— დროებითია, ბიძაჩემო, ეს, დროებითი. მალე საკუთარ ბინებში მოვეწყობით. ჯერ სადაა, ერთი ორი წლის

შემდეგ უნდა ნახოთ, რამხელა ქალაქი იქნება აქ, როგორ გაგვიკვლავდებით. აქ უმთავრესად ჩემი ხნის ახალგაზრდები და ვესახლდებით, დაეცოლშვილდებით...

ვახტანგმა დაკვირვებით მხოლოდ ახლა შეათვალიერა გაიოზ დარჯანია. მკვრივად ჩასკენილი ჭაბუკი იყო, მოკლე სათბური ეცვა, მხედრული შარვალი და გაპრიანებული ჩექმები. ემჩნეოდა, ძალიან ცოცხალი ჭაბუკი იყო; ცისფერ თვალეშში ღიმილის სხივი უკრთოდა.

— აქ, ბიძაჩემო, — განაგრძობდა გაიოზი, — საზოგადოება ახლა ყალიბდება, ერთ სახლში მცხოვრები მეორე სახლის მდგმურს უახლოვდება, უმეზობლდება... ერთი დიდი ნაკლი გვაქვს, ბიძაჩემო: ქართველი ქალები, ქართველი ქალიშვილები ნაკლებად ჩანან. აქ რომ მიიხედ-მოიხედავ, ერთი ხეირიანი სოფელიც არაა. ეს, ხომ იცით, აუფერულებს ცხოვრებას.

ერთ წამს თითქოს ჩაფიქრდო, სიტყვა გაუწყდა და მოკრძალებით შეხედა ვახტანგს.

— აქ, ბიძაჩემო, პირველ რიგში ბინას ცოლშვილიანს აძლევენ. ერთი ვივშაყე და, თუ არ დამძრახავთ, კარგი იქნება. დირექტორის მოადგილეს მივმართე, ცოლს ვირთავ... არა, უკვე შერთული მყავს-მეთქი...

შეჩერდა, გაეცინა, თეთრი კბილები გამოაჩინა.

— ისიც დაუშატე: საცაა ბავშვიც მყვოლება-მეთქი. გასჭრა, მშვენიერი ბინა მომცეს. ერთი თვის წინათ გადავედი აქედან. ახლა სიტყვას ხომ განაღდება უნდა? წავედი შინ. მივიხედ-მოვიხედე. ვინც მომწონდა, მომასწრო, გათხოვდა; ზოგმა, ცოტა არ იყოს, მიუცხოვა. ხომ იცით, ბიძაჩემო, ასეთი საქმე, გულმა თუ არ გითხრა, ძნელია. ჰოდა, ქე დავბრუნდი ცარიელი. ახლა საცაა მკითხავენ: სად გყავს ცოლშვილიო. რა უნდა ვუპასუხო?... ერთი

ქართლელი ამხანაგი შემომჩინდა, — ძალიან კაი ბიჭია, — ისეთი ბიძაშვილი მყავსო, უკეთესი არ იქნებაო. იმდენი მეჩინინა, რომ მართლა ჩამივიარდა გულში. ამასწინათ ვნახე, მომეწონა. ნამდვილად საჩემოა-მეთქი, ვთქვი გუნებაში. ამ საღამოს მივდივართ და, თუ ჩემი ბედი აღმოჩნდა, ამ ორ დღეში ერთი კაი ზური უნდა გაჰამოთ...

ისეთ კილოზე ლაპარაკობდა გაიოზი, რომ ძნელი გასაგები იყო: ზუმრობდა თუ სერიოზულად ამბობდა. ამიტომ ვახტანგმა წამაქეზებლად უთხრა:

— მაგას რალა სჯობს. საქმე როგორც გეტყობა, გაჩარხული გქონია. შემიძლია წინდაწინ მოგილოცო.

— არა, ჯერ ვინ იცის! — ანლა უკვე ნაღვლიანად ჩაილაპარაკა გაიოზმა: — ჩვენ აქ გეგმებს ვაწყობთ, იმ გოგოს კი იქნება შეყვარებული ჰყავს და მის მეტმა კაცმა არ იცის... ცოტა არ იყოს, გული გამიტყდა, ბიძაჩემო, ასე მგონია ბედი არ მწყალობს-მეთქი... ჰო! წამოიძახა უცებ და მაჯის საათზე დაიხედა, — დროა, ტარიელს უნდა მივაკითხო.

— რომელ ტარიელს?

— ჩემს უფროსს, ტარიელ ბარველიძეს.

— მართლა? კარგი, კარგი! ხომაა ყოჩაღად?

— ბევრი ადამიანი მინახავს, ბიძაჩემო, მაგრამ ასეთი დაუღალავეი ჯერ არ შემხვედრია...

— ვიცი, ვიცი! — შეაწყვეტინა სიტყვა ვახტანგმა, — ზურაბის შეილია. ერთი იგი უნდა გენახა, რა ვაქცაცი იყო!... სხვა, ოჯახში როგორაა, თუ იცი?

— მაგაზე ვერაფერს გეტყვი. მგონია, რალაც უსიამოვნება აქვთ. დედა აქ ჩამოიყვანა, თბილისში აღარ დადის.

— ჰოო, მასეა საქმე? — ჩაფიქრდა ვახტანგი.

გავიდა გაიოზი და ვახტანგს ერთხანს კვლავ ნელი ედგა თვალწინ. იმ-

თავითვე არ მოსწონდა ეს ქალი, იცოდა, რომ იგი ტარიელის შესაფერისი არ იყო, მაგრამ თეოლინეს უხარს შინს იზიარებდა: რა გაეწყობა, რაკი ბედმა ასე გასჭრა, უნდა შევეურიგდეთო...

საერთო საცხოვრებელში დიდხანს ვერ გასძლო, ეზოში გამოვიდა. აქაც უსიამოვნოდ მიმოიხედა. ონკანთან ჰანჯრობი იდგა, გზა ატალახებული იყო, ორმოვებთან რალაც ლოდები ეწყო; ღრმებ თხრილების პირად რიყის ქვები ეყარა უთავბოლოდ.

ოცდათორმეტი წელიწადია, რაც ვახტანგი სოფლის მეურნეობას მოეკიდა, შეეზარდა თავის კარმიდამოს, თავისი ხელით გაშენებულ ბაღნარს. აქ კი რამდენი შრომაა ჯერ საჭირო, რომ ადამიანმა თავი დამკვიდრებულად იგრძნოს!..

რა კარგი იყო, ვასო შინ დარჩენილიყო! მართალია, მამუკას ქალ-ვაგი იზრდებდა, მაგრამ... ვინ იცის, რა ბედი ეწვევა აქ ვასოს!

ერთ დროს ვახტანგსაც იტაცებდა ქარხანა. ჯერ ბათუმში მუშაობდა, შემდეგ ბაქოს შეაფერა თავი, იქ მოეწყო მექანიკურ სახელოსნოში. მაშინ მუშა გლეხზე ბევრად მალლა იდგა, მეტადრე შეგნებული, რევოლუციონერი მუშა. დღეს კოლმეურნეც მოწინავეა, ყველა სადიდებელია, ვინც პატიოსნად შრომობს.

... მაინც... ეს ერთადერთი ბიჭი შერჩა და ამდენი ჯაფით განმტკიცებულ ფუძეს ისიც შორდება...

„კი, მარა, — შეედავა თავის თავს ვახტანგი, — რომელ ფუძეს, ბიჭო? წახდი შენ. მართლა გლეხად იქეცი. დაგავიწყდა შენი ოცნება? არ გახსოვს, როგორ შენატროდი ახალ საზოგადოებას? ეს ოცნება განხორციელდა, გაფართოვდა ჩვენი ფუძე, ჩვენი სამკვიდრებელი, მთელი ჩვენი ქვეყანა. ახლა ყველგან იბოვნი ნიადაგს, თუ უნარი გაქვს, თუ კაცად ვარგხარ“...

ამ ფიქრით თავი გაიმხნევა, მოსაას-ფალტებლად ქვის ნამსხვრევებით მო-კარწყულულ გზაზე გავიდა, სახლის კედელზე წარწერა წაიკითხა:

„არიშის-ციხის ქუჩა“.

ძალიან ბუნდოვანად იცოდა ვახტან-გმა არიშის-ციხის ისტორია. ამ სიტყ-ვებსაც — არიშის-ციხეს—რალაც ძვე-ლისძველი სურნელება აქვთ თითქოს; ასე გგონია, წინაპართა სასახლეს ზავსი შემოზრდია და უღრანი ტყით დაფარუ-ლა. კაცმა არ იცის, რამდენი იმედი, რამდენი წუხილი დაიმარხა იქ...

— კაცო, შენ ვახტანგი არა ხარ?

მოესმა უცებ ბოხი ხმა.

მიიხედა. წამსვე სიხარულით წამოი-ძახა:

— ბიჭო, ამბროსი! შენ აქ საიდან?

— საიდან და... აქაც ვრგავ, ძმაო, ვაშენებ... საქმე ისაა, ასეთ გაუდაბნო-ებულ ადგილში რომ ბაღს გააშენებ, თვარა ჩვენში ძალიან ადვილია, ოღონდ ნერგი ჩადევი მიწაში, მეტი არაფერი უნდა.

ეს იყო შშენებლობის აგრონომი, ხანდაზმული, მაგრამ ჰაბუცივით სახე-დაყლაქა ამბროსი უბაძე, ვახტანგივით ახოვანი, ძვალმსხვილი.

— ძალიან გამახარე, ამბროსი, ასე კარგად რომ გხედავ, ქე ხარ ისე რი-ხიანად, როგორც მინახავხარ. ალბათ, აქაც კარგად ხარ მოწყობილი.

— მაგისი რა მოვასხენო, მოწყობას ჯერ ბევრი გვიკლია, მაგრამ არაფე-რია, მოვესწრებით... შენ ვასოს სანა-ხავად ჩამოხვიდოდი. პირველად ხარ არიშში?

— არა, თორმეტი წლის წინათ ვიყ-ვი აქ მამუკასთან აეროდრომზე. ახლა ის ადგილი თვალთ ვეღარ მივაკვლიე. აგერ ამ ქუჩის სახელი ამოვიკითხე და ისეთი ვრძნობა დამეზადა, ვითომ ორი ქვეყნის საზღვარზე ვიდგე: უკან მიი-ხედავ, რალაცა უსახო ბურუსითაა ყვე-ლაფერი დაფარული, წინ კი...

— მესმის, — აღარ დამათავრებინა სიტყვა საუბრის მოყვარულმა ამბროსიმ. — აქ დიდი რამ შენდგება, ადვილად მაგრამ ვიდრე სასახლეს გაეცნობოდე, ჯერ მის საძირკველს უნდა დააკვირ-დე, რახევა იგი აშენებული, რას ემყა-რება. ჩვენი საძირკველი კი... აბა, მომ-ყევი აქეთ...

ღრმა თხრილის პირად შედგა ამ-ბროსი, აქა-იქ გამოშვერილ საფლავის ქვებზე მიუთითა ვახტანგს.

— აი ეს თლილი ქვები, ასეთი ფარ-თო და გრძელი, ჩვენმა წინაპრებმა ჩაფლეს აქ, შიგ თავიანთი მიცვალებუ-ლები ჩაასვენეს. ხედავ, რამდენია? ეს ახალი სახლები ირგვლივ სულ ასეთ საფლავებზეა დაშენებული. გუშინწინ აქ ჩვენი არქეოლოგები იყვნენ. მკვდრების ჩონჩხებთან ნაპოვნი ნიე-თები მეორე საუკუნეს მიაკუთვნეს... აგერ, მომყევი აქეთ...

ორსართულიანი სახლის ბალკონ-თან ორმოს შეუარეს, ფიცრებით ვადა-ხურულ სამარესთან შედგნენ. იქვე იღო საფლავზე ახილი თლილი ქვა, თითქმის ორმეტრიანი. ამბროსიმ ფიც-რები გადასწია და მკვდრის მტკიცედ ნაგები სათანე გამოჩნდა. ქვებსაც ოდ-ნავ დამჩნევდათ მრავალი საუკუნის ნაკვალევი.

ამბროსიმ ძელის პატარა ნატეხი ხე-ლის გულზე დაიდო, ვახტანგს უჩვენა.

— ხედავ, როგორ განაცრისფერე-ბულა, როგორ იფერფლება... ვინ იცის, ვინ იყო ეს წარმოსადგეი ვაქა-ცი. იქნებ უბრალო მწყემსი იყო, ცხვრის ფარას დაჰყვებოდა და სალა-მურს უკრავდა, ან არა-და, იქნებ მხე-დარი იყო, მტერს თავზარს სცემდა, საშობლოს იცავდა... ახლა მოვედით ჩვენ და ახალ ცხოვრებას ვქმნით. აი, შეხედე ამ ორ დიდ სახლს და ირგვ-ლივ ჯერ კიდევ მოუსწორებელ ვადა-ნათხარ მოედანს. ერთში საბავშვო ბა-გა იქნება, მეორეში — საბავშვო ბაღი. აქ გაიზრდებიან ჩვენი შშენებლების.



ჩვენი მეტალურგების ბავშვები, ახალ ბაღსა და ხეივნებში ინაევარდებენ...

ვახტანგი დიდხანს ჩაპყურებდა სა- მარეს, მერე ირგვლივ თვალი მიმოატა- რა და ანაზღად გაიფანტა წარსულზე გადაფარებული უსახო ბურუსი, გაჰქ- რა ზღვარი ძველსა და ახალს შორის, თვალუწვდენელი ოქროს ჯაჭვი აელ- ეარდა. მართალია, თითქმის სწყდებოდა ხოლმე დიდი განსაცდელის ეამს ეს ჯაჭ- ვი, მაგრამ იგი მაინც მთელდებოდა, თავგანწირულ მებრძოლთა უცვლადი ნე- ბისყოფით უკავშირდებოდა რგოლი რგოლს... ამიერიდან კი ვერავითარი ეანგი ვერ მოეკიდება მას...

— თუ რომელიმე ერს შეუძლია ია- მყოს თავისი ისტორიით, მათ შორის ჩვენიც ვართ, ჩემო ვახტანგ. — ლაპა- კობდა ამბროსი. — რას არ გავუძე- ლით, რა ქარცეცხლში არ გამოვიარეთ... თემურ-ლენგის შემოსევის შემდეგო, ამბობს ჩვენი ივანე ჯავახიშვილი, სა- ქართველო ისე იყო განადგურებული, თითქოს მიწისძვრა მოხდა და მერე ზედ ბორბალ-ქარმა გადაიარაო. მრავალი გაოხრებული სოფელი სამუდამოდ უკაცური დარჩა. აი ეს ჩვენი არიშიც ჰყავოდა ოდესღაც. აქ თურმე ძველად სამთავრო ქალაქი და მეფეების საზამ- თრო სადგური იყო. დააკვირდი, აქ ისეთი სანადირო ადგილები ყოფილა, ისეთი ტყეები, ისეთი ჰავა ზამთარში, რომ მეფეები აქ არჩევდნენ ყოფნას. მერე კი... მაგრამ ჯერ გავყვეთ, ძველი ნაქალაქევი დავათვალიეროთ. კარგია, რომ ახლა შეგხვდი, თავისუფალი დრო მაქვს...

მშენებელთა ქუჩაზე გავიდნენ. აქ ცალ მხარეს, ერთი მეორეზე მოშორე- ბით ჩამწყრივებული იყო ორსართუ- ლიანი სტანდარტული სახლები, შიგ უმთავრესად მშენებლები ცხოვრობდ- ნენ.

— მოდი ჯერ აქაურ ბაზარში შე- ვუხვიოთ, — სთქვა ამბროსიმ. — მაშინ უფრო მიხვდები, თუ რამდენი გვიკ-

ლია ჯერ მოწყობას.

დაბალი ფარდლებიანი მშენებელ- დელი მოედნის შუაში ბრძანდნენ სკანდ- ხურული სავაჭრო იყო. შიგ სხვადასხვა სანოვაგის, ხილის, ღვინისა და არყის გამყიდველები იდგნენ. მოედანი ატა- ლახებული იყო.

ამბროსიმ ერთ შუახნის ქალს მიაქ- ცია ყურადღება. ქალს წინ რამდენიმე ბოთლი არაყი ედგა.

— ნახე, ეს ქალი თუ ჩვენებური არ იქნება, — უთხრა ვახტანგს და სავაჭ- როს მიაღდა.

— სადაური არაყი გაქვთ? — ჰკით- ხა ქალს.

— მე, ბატონო, ჩოხატაურიდან გახ- ლავართ. ბიჭი მყავს აქ, იმის სანახავად ჩამოვედი და ეს ცოტა არაყი გამო- ვიძღვანე.

ამბროსიმ ბოთლი ასწია, შეანჯღრია ძეწვეს დახედა.

— კაი უნდა იყოს. დავისხით თი- თო ჰქია.

— კი, ბატონო, თუ კი იკადრებთ. ხმაზე შეგატყვეთ, ჩვენებური უნდა ბრძანდებოდეთ და თუ არ დამძრა- ხავთ, კაი იქნება.

— რისთვის? თქვენს ნაშრომში რომ საფასური აიღოთ, ეს რა დასაძ- რახავია! — უპასუხა ამბროსიმ და სავ- სე ჰქია აიღო, ჯერ მის გემოს გაეცნო, მერე ერთბაშად გადაჰკრა.

სასაუზმეში შევიდნენ. დანაყრდნენ. ვახტანგს ბაზარი არ მოეწონა; არა სჩანდა ასეთი დიდი მშენებლობისათ- ვის საჭირო სიუხვე.

— ხომ ხედავ, ჩემო ვახტანგ, რამ- დენი გვიკლია ჯერ მოწყობას, მაგრამ ჩვენ ხომ სულმოკლე ხალხი არა ვართ. წინ ვიხედებით. გავა ხანი და ცხოვრე- ბა ამ დიდი ქალაქის ირგვლივაც აყ- ვავდება. ახალი სოფლები გაშენდება. მაშინ ნახე სიუხვე, დოვლათი. არასო- დეს საქართველო ასეთ აღორძინებას არ მოსწრებია...

ბაზრიდან ტიალ მინდორზე გავიდნენ.

— აგერ ეს შემალეებული ადგილი, — განაგრძობდა ამბროსი, — ნაქალაქევია; აქეთ კი, სახლებთან სხვადასხვა ღროის საფლავებია. ეს მიწა ჩვენი წინაპრების სისხლითა და ძვლებითაა შეკირული...

ვახტანგს ცხოვრების მეტად რთული გზა ჰქონდა გამოვლილი, სიყრმე და სიკაბუტე მოწინავე მუშების წრეში ვაატარა. ბევრი წაუკითხავს, მოუსმენია, მაგრამ ახლა, თითქოს, პირველად გადაშალა ჩვენი წარსულის ოქროს წიგნი და იმ სიამაყით აღიესო, რომელიც ადამიანს ყოველგვარ სიღუბეში რეს ავიწყებს, სიცოცხლის ეშხს ჰმატებს.

ტაფობს შიადნენ.

არხის გასწვრივ დაბლობში დარგული პატარა ხეები წინა წელს გაზარებულიყო. ფერდობზე ნერგებისათვის ორმოები ამოეთხარათ. ძველი ტყის შადალ ვერხვებს მხარში ახალი ცხოვრება ამოდგომოდა.

ზამთრის დღე თანდათან დათბა. სუფთა, ხავერდოვანი ცის სიღრმეში ღრუბლების ქარავანი უჩინარდებოდა. შორს, ჩრდილოეთით, მთების თხემებზე თოვლი ციმციმებდა.

კაშხალიან რკინის ხილთან შეჩერდა ამბროსი.

— ა, ძმაო, ახლა შეედივართ ძველ ციხე-დარბაზში, — უთხრა ვახტანგს. — ეს დიდი რუკი ძველად, ალბათ, აგერ იმ ჩაღრმავებულში გადიოდა. ეს არის სწორედ იმ რუს სათავე, აქედან იწყება დიდი ველი. აქვე იყო სანადირო ტყეები და თვალუწყდენელი საძოვრები... შეგიძლია დახუკო თვალი და წარმოიდგინო, თუ როგორ ესტუმრა აქაურ მთავარს ჩვენი დიდებული თამარ მეფე თავისი ამალით. რა ბრწყინვალე სანაზავი იქნებოდა რაშზე მჯდომარე მეფე-ქალი, ულამაზესი ქართველი ქალი, უწმინდეს მშვენიერებასთან

ერთად უღრმესი სიბრძნით დაჯილდოებული! როგორ განაგრძობდა ირგვლივ ყველაფერი, როგორ ამალდებოდნენ ადამიანები!.. ისიც შეგიძლია წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გამოვიდოდა აქაურ ველზე, აქაურ უღრან ტყეებში სანადიროდ შოთა რუსთაველი. აუცილებლად ეს არე-მარე, ეს ცა ჰქონდა მხედველობაში, როცა სწერდა: „მშობლური, ტბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი“...

ანდა:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა, ანგარიშ-მიუწვდომელი“...

ხილზე გავიდნენ, ციხის ბურჯთან ბილიკს აპყენენ.

ვახტანგი გააოცა კბოდეშ, რომელზედაც ციხის კედელი იყო დაშენებული; იგი იმდენად მტკიცედ შეკირული ნარიყალი იყო, რომ საუკუნეთა განმავლობაში თითქმის სრულიად არ შელახულიყო.

— აჰა, გახედე ამ დანგრეულ გალავანს, ამ ძველ კედლებს, — სთქვა ამბროსიმ, როცა ბორცვის ფართო თხემზე ავიდნენ. — ამ ციხე-დარბაზსაც ძველად არიში რქმევია...

ნანგრევზე ჩამოსხდნენ.

შთაბეჭდილებებმა დაღალა ვახტანგი.

— არა, ჩემო ვახტანგ, — წამოიწყო ისევ ამბროსიმ, — ცუდად იყო ჩვენი საქმე, წელში ვწყდებოდით, ფიზიკურად ვისპობოდით. ერეკლე მეორემ გადაგვარჩინა, წინსვლის გზაზე დაგვავინა. აი, ხომ ხედავ, სანამდე მოგვიყვანა რუს ხალხთან კავშირმა... აგერ, ეს არე-მარე... რა გვქონდა აქ სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინათ? ძველი საფლავები, დაიწყებული საფლავები და ეს ნანგრევები, მეტი არაფერი. დღეს კი, ხომ ხედავ, როგორ იქედება ჩვენი დედა-ქალაქის კარიბჭე! შორჩა, აწი მას ხელს ვერავინ ახლებს...

ვახტანგი ერთხანს შორს, ქვემო-ქართლის მთებისაკენ იცქირებოდა,

კორტოხზე კოშკით აღმართულ ეკლესიას აკვირდებოდა, მერე მრავალ შტოდ დაყოფილ მტკვარსა და ტყის ზოლს მოაველო თვალი, ადგა, ახალი ქარხნიდან ამომავალ კვამლს გახედა;

სიტყვა არ იყო, გამოეთქვა სიხარული, რასაც მასში უძველესს, უძველესზე აგებული ახალი სამშენობლები იწვევდა.

X

ახალი თაობა

ბინაში აღარ შეუვლია მარტოდ დარჩენილ ვახტანგს, ქარხნისაკენ გაემართა. არ ჩქარობდა, გზადაგზა ყველაფერს აკვირდებოდა.

ქართულრუქტომიანი კოტეჯი უკე-წონა. შედგა. რა მშვენიერი ბინეზია! ეზო რომ გაშენდება, დიდებული საცხოვრებელი იქნება.

კარი გაიღო, ქერა გოგონა გამოვიდა. სქელ ნაწინავზე თეთრი ბაბთი პეპელასავეთ ერხეოდა.

— ვისი გოგონა ხარ, გენაცვალე, შენ?

ფართო თვალები შეაშუქა გოგონამ ვახტანგს, მოალერსე გამომეტყველებამ მიიზიდა და გულდანდობილად უპასუხა, ამდაამის შვილი ვარ, მამა ინჟინერიაო, მე აქა ვსწავლობო...

აღერსით მოუსვა ბავშვს თავზე ხელი ვახტანგმა, გზა განაგრძო. ციხედარბაზის ნანგრევზე ყოფნის დროს წარსულის სიღრმეში იხედებოდა, წინაპრების გმირობით თავი მოსწონდა, თან განწირულთა სევდიანი სახეები ედგა თვალწინ. აქ კი, ამ ცქრიალა გოგონას სახით, ამომავალი ცხოვრება გაუძღვა წინ.

ახალგაშენებული ტყის ზოლი გადასერა. ბილიკი ვატკეპნილი იყო, ტალახი ფესს მხოლოდ აქა-იქ ედებოდა.

დამხმარე საამქროების მახლობლად ექსკავატორი ბულრაობდა, რკინიგზის ლინდავისათვის ნიადაგს სწმენდდა. გზის მშენებლები ექსკავატორს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ, განძელებსა და რელსებს აგებდნენ.

ღია-ყვითლად შეღებილ ორსართულიან შენობაში დროებით ქარხნის სამმართველო იყო მოთავსებული. ფართო მოედნის კუთხეში რადიო ხშიანობდა, მშვარეში რამდენიმე კაცი იდგა და რადიო-გადაცემას უსმენდა.

აქ შეჩერდა ვახტანგი, დამხმარე საამქროების გრძელსა და მალალ კორპუსებს მიაჩერდა. ინდუსტრიის პირქუშმა სირთულემ ის დრო მოაგონა, როცა პირველად ბათუმის ქარხანაში შევიდა. სოფლად გაზრდილი ბიჭი იყო. მალალი მთები, გორაკები, ბაღები და ყანები, წყარო და ჩანჩქერი, მზე და ვარსკვლავები, — ეს იყო მისი ნაცნობი, თანშეზრდილი ქვეყნიერება. აქ კი, ქარხნის ჭვარტლიან ჭერქვეშ, მანქანების, ჩარხებისა და დვედების ხმაურში, საკვირველმა სირთულემ ჩააფიქრა; მართალია, ემძიმა ყოველივე ეს, მაგრამ, რაკი ისინი ადამიანის მიერ იყო შექმნილი, მათდამი მოკრძალებითა და პატივისცემით გაიმსჯვალა... მერე ბაქოს შეაფარა თავი და უფრო დიდ სახელოსნოში მოხვდა. სხვადასხვა ხმაზე დაიწყებდნენ დილით ზუზუნს უამრავი საყვირები, ზეცა კვამლით დაიფარებოდა; სტყდებოდა უროების დამაყრუებელი დაგადუგი, გაბამდა შხივილს ორთქლი...

აქ კი — რა სიწყნარეა! იქნებ საამქროებში ჯერ არაა გაჩაღებული მუშაობა...

სამმართველოსაკენ მიმავალმა ვსომ შორიდან მოჰკრა თვალი მამას; მას თუმცა პირი შებრუნებული ჰქონდა,

მაგრამ მისი ყავისფერი ბალტო და შავი ქუდი იცნო.

უსაზღვროდ უყვარდათ მამა-შვილის ერთმანეთი, მაგრამ ამ სიყვარულს იშვიათად ამკლავებდნენ, მუდამ თავდაპირველი იყვნენ.

ვახტანგს წესად ჰქონდა, ბავშვისათვის მხოლოდ მისაბაძი მაგალითი ეჩვენებინა, ყრმის სულში კეთილისადმი მისწრაფება გაედვიებინა. თუ შენ არ თაკილობ მედიდურობას, მატყუარობას, ცბიერებასა და ვერაგობას, მაშინ რა ფასი აქვს შენს დარიგებას, შენს მოძღვრებას; თუ გულმართალი არა ხარ, არც შენი აღზრდილი იქნება გულმართალი, — ასე მსჯელობდა ვახტანგი.

არ დაუნახავს, გულმა უგრძნო შვილის მიახლოება; მიიხედა და აღჩქარებლად გაუწოდა ხელი ვასოს, თვალბში ჩახედა.

საამაყო შვილის დამკარგავი მამა იყო, მაგრამ გლოვასა და მწუხარებას იშვიათად ამკლავებდა, თავის ბუნებრივ ხალისიანობას მუდამ ინარჩუნებდა. ვასოს თვალბში კი, რაც სტალინგრადიდან დაბრუნდა, ერთხელაც ვერ დაიჭირა ის სიანკარე, რომელიც მას სიყრმიდანვე ამშვენებდა. მის ღიმილშიაც მკმუნვარების ანარეკლი გამოკრთოდა.

აი ახლაც თვალი მოარიდა ვასომ მამას, სიტყვითაც გაუძნელდა გამოეხატა თავისი სიხარული, ეს-ღა ჰკითხა მხოლოდ:

— როგორ იმგზავრე, მამა?

— კარგად, შვილო, კარგად! — აწეული ხმით უპასუხა ვახტანგმა. — აქაც ბევრი რამ ვნახე. ახლა ქარხნის დათვალიერებას ვაპირებ.

სიტყვა ისე მოსჭრა, თითქოს მხოლოდ ამისთვის ყოფილიყოს ჩამოსული, თითქოს თავისი ერთადერთი ვაჟის დაუფუძნებლობა გულში დარღად არა ჰქონდეს. ნამდვილად კი, აქ რომ ჩამოვიდა და მიიხედა-მოიხედა, უფრო

ჩააფიქრა შვილის მდგომარეობამ. შინკიდევ თავისი მეუღლე ^{ქარხნის} ასვენებდა:

— წადი ერთი, ნახე, რაფერაა იმ ბიჭის საქმე. რაიმე უბედურებას არ გადაეყაროს კიდევ. იმ გოგოს დედასაც მოთმინება აღარ ყოფნის, ქალი ხელში ჩამაბერდაო, თუ ამ საქმეს არაფერი ეშველება, მშვენიერა კაცი ეძლევა და იმას მივათხოვებო...

მექვანიკური სამაქროსაკენ გაუძღვა მამას ვასო.

ვახტანგმა კვლავ შეათვალიერა შვილი; მისი ჩაცმულობაც არ მოეწონა. უშნოდ ადგას ტანზე მოკლე სათბური და ლაქებიანი შარვალი. წინათ კოხტაობა უყვარდა. მამას ყანაში სამუშაოდ რომ გაჰყვებოდა, მაშინაც კი ლამაზად იყო გამოწყობილი. არა, რაღაცა მართლა გატყდა ამ ბიჭის არსებაში. ახლუნდა მიშველება, შეძახება... კი, მაგრამ რანაირად? ვახტანგი აქ ხომ ვერ დარჩება.. მერგოლურია, კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაო ეწყება...

შესასვლელთან შედგა ვახტანგი, ბროლის კოშკივით მალალსა და ნათელთალს ახედა. ეს თუ დამხმარე სამაქროა, მაშინ მთლიანად ქარხანა რალა იქნებაო, სთქვა გუნებაში გოცებულმა.

ამ დროს ხიღური ამწე ამოძრავდა და ვეება მანქანის ნაწილი დაზვისაკენ გააქანა.

ვახტანგმა ჯერ სიგრძეზე გახედა სამაქროს, მერე უახლეს დაზგებს დააკვირდა.

რა დიდი ნაბიჯია გადადგმული იმ დროსთან შედარებით, როდესაც ვახტანგი სახელოსნოში მუშაობდა! რა ხალვაობაა აქ! რა ნათელი სიგრცვა, რა სისუფთავე! ეს საათივით აწყობილი დაზგები კი... თვითეული მათგანი დამოუკიდებლად ცოცხლობს, ღვედით არაა გადაბმული საერთო ღერძზე,

როცა გინდა ჩართავ, საითაც გინდა იქით მიმოხრი საჭრისს...

— მაშა, აი ეს ამხანაგი დაგათვალ-ერებინებს აქაურობას. მე საქმეს მივხედავ. მერე მოგაყითხავ.

ვახტანგმა ქერა ქაბუცს ახედ-დახედა, მოეწონა მისი წრფელი სახე, სხივიანი თვალები, გულღია ღიმილი. გაესაუბრა.

ქაბუცს ინდუსტრიული ტექნიკუმი დაემთავრებინა, ახლა აქ იძენდა პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას.

კარგა ხანს მიმოდიოდნენ საამქროში.

ვახტანგს პირველადვე მოხვდა თვალში ის, რომ თითქმის ყველა დაზგაზე ვასოს ტოლი ახალგაზრდა ქართველი ოსტატები მუშაობდნენ. იმ სახელოსნოებთან შედარებით, რომელთაც ვახტანგი იცნობდა, აქ უმთავრესად შინაურ წრეს მოეყარა თავი. ესენი რამდენიმე წლის წინათ სოფლის ბიჭები იყვნენ; საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოვიდნენ აქ და შექმნეს ეს გამაერთიანებელი ეროვნული ელფერი.

სასიხარულო კიდევ ის არის, ფიქრობდა ვახტანგი, რომ ესენი ძალიან მალე დაუფლებიან რთულ მექანიზმებს; თანაც, ეტყობათ, ავტომატურად კი არ მოქმედებენ, გონებრივი მუშაურობით არიან. აქ მარჯვე ხელი და თვალი არა კმარა, აქ მთავარია ცოდნა, რომელიც დღითიდღე გაღრმავებას საჭიროებს.

ერთ დაზგასთან უბრალოდ ჩაცმული შუახნის კაცი პირმრგვალ ახალგაზრდას რაღაცას უხსნიდა. ვახტანგი მახლობლად შეჩერდა, იმ შავგვრემანი კაცის ღიღრონმა თვალებმა მიიზიდა.

— ვინაა?

— ეგ არის ძიმითელი, ინჟინერ-მექანიკოსი, ჩვენი საამქროს უფროსი. — უპასუხა ვახტანგს გამყოლმა. — რუსეთის მრავალ ქარხანაშია ნამუშევარი, დიდი გამოცდილება აქვს. მუდამ ჩვენთანაა, უფროსს ძმასავით გვეხმარება...

ვახტანგს ახლა უფრო ნათლად წარმოუდგა ამ საამქროს თავისებურება. აქ ქართველი მუშების ახალი თაობაა თავმოყრილი, ახალ სარბიელზე გამოსული...

ჩაუფიქრდა ამას ვახტანგი და გული დასწყდა, რომ მათ შორის აღარ იყვნენ ძველი მუშები, რომელთაც დიდი რევოლუციური გზა გაიარეს... ბევრი დაიღუპა ბრძოლაში, მძიმე შრომაში გატყდა... მაგრამ, ხედავ, რა დაუშრეტელი ძალა აქვს ჩვენს ხალხს! აქ ერთის ნაცვლად ათი მოჩანს, ცოდნით უფრო მეტად შეიარაღებული...

„პირველი შეხედვით გეგონება, — გაივლო გულში ვახტანგმა, — რომ ამ ახალგაზრდების სახეებზე აღბეჭდილი ფიქრი სოფლურ ბუნებასთან განშორებით გამოწვეულ ნაღველს გამოხატავს, მაგრამ არა, ეს არის ბუნებრივი სიამაყე, მოქმედი გონების ძიება, პასუხისმგებლობის გრძნობა ახალი ტექნიკის წინაშე. ეს სოციალისტური სახელოსნოა; აქ აღამიანი ავტომატი არ არის, აქ იგი შემოქმედი, მოაზროვნე“...

ამ ფიქრმა წაახალისა ვახტანგი, ახალგაზრდებთან დაახლოების სურვილმა შეიპყრო.

ვინაა ირა დაზგაზე პატარა დროშა იღვია. ვიღრე შეეკითხებოდა, გამყოლმა აუხსნა:

— ეგ გარდამავალი დროშაა. ამ კვარტალში პირველობა მაგას უჭირავს. დაზგას ჯუანშერ კერიშვილი მართავდა; იგი მომადლო, პირხმელი ახალგაზრდა კაცი იყო.

ვახტანგი გაესაუბრა.

ჯუანშერს ერთი წუთითაც არ შეუწინებია დაზგის მუშაობა, თან ვახტანგს დინჯად, თავაზიანად უპასუხებდა.

საშუალო სასწავლებელი ჯუანშერს რაჭაში დაემთავრებია. აქ მოსვლამდე სხვა ქარხნებში უმუშავებია, ორი სპეციალობა შეუსწავლია. იმავეითვე აქ-

ტიური კომკავშირელი ყოფილა, ახლა პარტიის წევრია. ტექნიკური ცოდნის შექენასთან ერთად საერთო განათლებასაც ეტანება.

— ცოლი შეირთეთ? დაბინავდით? — შეეკითხა ვახტანგი.

— არა, ჯერ საერთო საცხოვრებელში ვარ. დაოჯახებას არ ვჩქარობ, უმაღლესი მინდა დავამთავრო დაუსწრებლად.

ვახტანგმა ახლა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა ჯუანშერი. ძალიან ეცნაურა. სადაც უნახავს, ერთგან კი არა, მრავალ ადგილას უნახავს ეს მოგრძო სახე, მაღალი შუბლი, სწორი ცხვირი და დიდრონი თვალების კეთილი გამომეტყველება... ძალიან ახლობელია ამ ნათელი სახის იერი, ყრმობიდანვე თანშეზრდილი, ახალი სხივით დაშვეწებული... ჩოხა-ახალუხშიაც უნახავს ეს ყმაწვილი, ქალაქშიანიც, ძველსამოსიანიც. სადაც არ უნდა ნახო იგი. მასში უთუოდ ჩვენებურს, ჩვენი წრის კაცს იცნობ... „ჰო, — დაასკენა ვახტანგმა, — ეს ის არის, ვისზედაც დღეს ნანგრევებზე ყოფნის დროს ვფიქრობდი. საიდან სად ამოვიდა? მწყემსი, სამკედრო-სასიცოცხლო ჰიდილში ჩაბმული მხედარი, მოუსვენარი შრომელი, ცალ ხელში ხმალი და მეორეში გუთანა, ჰაერდაზული ქარხნის უუფლებო მუშა, თავგანწირული მებრძოლი, ციხე, ციხიბირი, კვლავ იერიში, საკაცობრიო გამარჯვება და დღეს ძველ ნაპარტახალზე ახალი ცხოვრების შემოქმედი ახალი ადამიანი, კომუნისმის მშენებელი“...

გამყოლს მაღლობა გადაუხადა ვახტანგმა. უნდოდა ვასოსთან შეეარნა, დაესვენებინა, მაგრამ მრავალმა სანახაობამ გაიყოლია.

რამდენიმე საამქროში შეიხედა კიდევ. თვითუფლი მათგანი ზოგ ძველებურ ქარხანას მთლიანად დაიტყვდა. ყველაზე მეტად ვახტანგს, ძველ ხე-

ლოსანს, თვალში ხედებოდა შრომის შემსუბუქება, შრომის მექანიზაცია, ამ გზით რას არ მიაღწევს ადამიანი, — ფიქრობდა ვახტანგი, — ოღონდ სრული გამარჯვება მოიპოვოს, ბნელეთის მოციქულებს ხარბი თვალები დაუვსოს...

ქარხნის მთავარი საამქროებისაკენ მიმავალ გზაზე შეისვენა, რკინიგზის ლიანდაგის პირად დაწყობილ მანქანების ნაწილებს დააკვირდა. რა ძალამ მოზიდა ამდენი! რა იქნება, როცა ესენი აეწყობიან, ამოქმედდებიან!...

„არა, ცოტა კი ჩამორჩი, ბიჭო, შენ, — ვეგსაუბრა ვახტანგი თავის თავს, — ჩაი, მანდარინი ლიმონი, ყანა, ვენახი, ესაა შენი ყოველდღიური საზრუნავი და გგონია, რომ მთელი ქვეყნიერება სოფლის გარშემო ტრიალებს... რა საცოდავი ვიქნებოდით, ეს მანქანები, ეს ქარხნები, რკინა და ფოლადი რომ არ გვქონდეს! მაშინვე გავსრესდნენ... ძირითადი ეს არის, ჩვენი ალორძინებაც ამას ემყარება... კარგია, აქ დასახლდეს ვასო, ძალღონე არ უღალატებს... ხელს შევეუწყობ, რომ რამენიარად დარდი დაივიწყოს, დაცოლშვილდეს, გამრავლდეს“...

გზა განაგრძო. ისეთი გრძნობა აღედგრა, თითქოს იმთავითვე აქაური მკვიდრი ყოფილიყოს, უზარმაზარი ქარხნის ამუშავებაში ყოველდღიურ მონაწილეობას იღებდეს.

ბევრი იარა. შთაბეჭდილებებით დაიტვირთა, გული მაინც მთავარი საამქროსაკენ მიუწევდა, რადგანაც ვასოს იქ უნდა ემუშავნა.

ახლდაგებულ რკინიგზის ლიანდაგს გაჰყვა. ირგვლივ უამრავი საშენებლო მასალა ელავა; ნარიყალი ნიადაგმ გადათხრილი იყო. ზოგან აგურის კედლები ამოჰყავდათ, ზოგან ორმოს აღრმავებდნენ, თხრილებში მიღებს აწყობდნენ.

მთავარი საამქროს მაღალ და განიერ კორპუსებთან ჯერ მხოლოდ ერთი კვამლადენი აღმართულიყო.

მხარმარცხნივ, ზეღმავალ მიწა-ყრილზე, რკინიგზის ლიანდაგი აღიოდა. ვახტანგი საამქროს მისასვლელ ეზოში შედგა, უწინარეს ყოვლისა მისი ყურადღება კორპუსის თაღზე კამარასავით შემოვლებულმა წარწერამ მიიპყრო: „მეცეთ სამშობლოს ქართული ფოლადი“.

უქანასკნელი ორი სიტყვა ხაზგასმული იყო.

ეს ორი სიტყვა ვულში ჩარჩა ვახტანგს. არ ეცალა აღევენებოდა აზრს, რომელმაც იმ წამს თავში გაუღღა.

ვეება გამოსასვლელთან შეჩერდა, აქ რკინიგზის ლიანდაგი გამოდიოდა. მშენებლობა აქ ჯერ დამთავრებული არ იყო, მაგრამ საერთოდ ეს თვალშეუღღამი ცადაქნილი, ეს ფოლადის ფურცლებით ნაგები პირველი სართულის კერი, ხოლო მეორესი იატაკი, ეს ბურჯები, ეს ღრმა ბალაერები, ეს რკინაბეტონით ნაგები ნაცრისფერი კედლები რაღაც უსაზღვროის, უზარმაზარის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, ასეთი ჯერ ვახტანგს არაფერი ენახა. აქ მუშაობას გოლიათები თუ შესძლებნო, — გაივლო გუნებაში. მართალია ვასო ტანად ძლიერი ბიჭია, მაგრამ ვაი თუ...

შუბლი შეიკრა, რკინის კიბეს აჰყვა.

ერთ ადგილას ახალგაზრდა მუშებს ცეცხლი გაეჩაღებინათ. ითობდნენ; რამდენიმე კაცი ცეცხლგამძლე აგურს თლიდა.

ვახტანგს მოეჩვენა, თითქოს სრულიად არ შეეფერებოდა აქაურ სიღიადეს ასეთი ჩებიერი მუშაობა. იმდენად ბუმბერაზული იყო აქ ყველაფერი, რომ იმ წამს სავესებით უბრალო რამ ვერ მოიხსნა: ყოველივე დადი ხომ მცირე ნაწილებსაგან შესდგება! ფოლადის გამომდნობი ღუმელი ცალკეული აგურისაგან შენდება!

ერდოზე გავიდა. საამქროს სამმართველოს ორსართულიანი შენობისაკენ გამავალ ხიდან ჩამოჯდა. ჩრდილოდასავლეთს გახედა.

ისევე ის დღე მოაგონდა, როცა დაუეწყარმა მამუქამ თვითმფრინავში ჩასვა და ცისიერში მიმოაქროლა. მაშინ აქ მზისაგან გადარუჯული ველი იყო, ახლა კი რამდენი შენობა აღმართულა, რა ცხოველმყოფელი ძალა ამოქმედებულია!

დიდი სიცოცხლის პირველი მაჩვენებელი აი ეს კვამლია, თბოელექტროცენტრალის მაღალ მილში რომ ამოდის და ნაცრისფერ ქულებად იფანტება სივრცეში; ახალი ქალაქის ირგვლივ დაქსელილ გზებზე დატვირთული მანქანები მიმოქრიან; მტკვრის ნაპირს ტყის ზოლი მისდევს, აქა-იქ ძველი ვერხვები შემალღებულან, ტოტები გაუფარჩხავთ, ზემოდან აქლემისფერი მთები, რუხი სერები და ფლატეები გადმოჰყურებენ. აქ კი, ირგვლივ, ყოველდღიურად ახალ-ახალი ნაგებობანი ჩნდებიან, ჩონჩხედები უდიდესი საამქროების სახეს იღებენ; ახალდაგებულ ლიანდაგზე მატარებელი მოძრაობს; ელექტროშემდუღებლები ნაპერწყლის ჩქერს აფრქვევენ...

ბევრი იარა ვახტანგმა დღეს, მაგრამ ამ სურათმა დაღლილობა დააეწყვა. მხარმარცხნივ, მაღლობზე, კამარასავით შემოვლებულ წარწერას მიაპყრო თვალი, ისევე იმ სიტყვას ჩაუკვირდა.

„ქართული ფოლადი“, — რითი უნდა განვასხვავოთ იგი ჩვეულებრივისაგან? რა თავისებურება ექნება მას?

ვიღრე ამ კითხვის პასუხს იპოვინდა, ციხე-დარბაზის ნანგრევი და ძველისძველი საფლავები წარმოუდგა ვახტანგს, შუბლი გაშალა.

ჰო, ეს ის არის, — გაეხსნა აზრი, — იმ ბასრი ფოლადის გამძლეობაა, რომლის მეოხებითაც ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე თავისი არსე-

ბობა შეინარჩუნა, მოზღვავებულ მტერს გაუმკლავდა...

„ფოლადი“... უცებ ტანში ყრუანტელმა დაუარა ვახტანგს, ფეხზე წამოდგა: ეს ფოლადი ხომ შედღებულა იმ მწიურ ძალთა-ძალში, რომლის ნათელიც მთელ მსოფლიოს მოჰფინა ჩვენმა ღვიძლმა სტალინმა!

ასე შთაგონებულად იდგა ერთხანს სახეგანათებული, მერე თავი შეარხია, მზერა შორეთმა მოსტაცა, მეხსიერებაში ღრმად ჩარჩენილი სურათი განუახლდა:

ოცდახუთი წლის კაბუკი იყო მაშინ ვახტანგი, ბიბიეიბათის სარეწებიდან მოდიოდა. აღმართი რომ ამოათავა, გულში შუქი ჩაეფინა: კბოდესთან სტალინი იდგა. უბრალო პიჯაკქვეშ შავი ხალათი ეცვა, თავზე კეპი ეხურა. ფერმკრთალ სახეზე ღრმა ფიქრი აღბეჭდოდა. ზღვას გაჰყურებდა. ზღვაში მზის ნათელი ელვარებდა.



პირველ მეტალურგთა ქუჩაზე, ახალი სახლის მეორე სართულში ჰქონდა ბინა ტარიელ ბარველიძეს. მთელი ავეჯი, გარდა საწოლებისა, არიშის საღურგლოში იყო გაკეთებული ახალგაზრდა ოსტატების მიერ.

ერთი კვირაა, თეოლინე და ნათია რომ აქ გადმოვიდნენ, და გათბა ბინა, განათდა ოჯახური ელფერიით დამშვენდა.

გული სწყიდებოდა თეოლინეს, როცა თბილისიდან მოდიოდა, მაგრამ აქ რომ მიმოიხედა და ნელის ცბიერობასა და შედიღურობას თავი დააღწია, თავისუფლად ამოისუნთქა, ისეთ გუნებაზე დადგა, თითქოს ცხოვრებას თავიდან იწყებო. ახალგაზრდობის წლები აგონდებოდა, თავისი ზურაბი ედგა თვალწინ. თანაც არავითარი გლოვა,

არავითარი სევდა აღარ ახლდა ამ მოგონებას.

ასეთი განწყობილების უნახველად ერთი კარადის სარკეში ჩაიხედა და თითქოს ეოცა თავისი თოვლივით თეთრი თმა; ნათლად წარმოუდგა, თუ რა შორი და მძიმე გზა ჰქონდა გამოვლილი.

მეექვსეკლასელ ნათიასაც ნაავადმყოფობა აღარ ემჩნევა; მესამე დღეა აქაურ სკოლაში დადის და თავს უკვე არიშის მკვიდრად სთვლის.

გაიოზ დარჯანიასაგან გაიყო თეოლინემ ვახტანგის ჩამოსვლა. ძალიან გაეხარდა, ტარიელს ტელეფონით დაუძახა: ჩვენი ვახტანგი გვესტუმრება და რამენაირად ამ საღამოს ადრე მოდიო!

სამზადისს შეუდგა. ხანდახან თვალის გაუმტერდებოდა, მოგონება გაიტაცებდა. ავერ ბაილოვის ციხეში უქანასკნელად ეთხოვება ციხიბრში მიმავალ ზურაბს... რა თვალადი კაცი იყო, რა მხნე!... აი, თითქოს მისი ხმა ესმის, ვახტანგს ეძახის: „თუ ძმობა გწამს, ამ ქალ-ბაღანას შენ გაბარებ“...

შშრომელი ქალი იყო თეოლინე, ზღმარჯვე, მაგრამ ბაქოდან თბილისში რომ ჩამოვიდა, პირველ ხანებში ძალიან გაუჭირდა. მაშინ მოეშველა ვახტანგი. შემდეგაც, ვიდრე ტარიელი უმაღლეს სასწავლებელს დაამთავრებდა, ყურადღებას არ აკლებდა.

მოსალამურდა. თეოლინემ რამდენჯერმე გაიხედა ქუჩაში. სამაქროვნიდან მუშები ბინებში მოდიოდნენ. ქაჩი მატულობდა, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გადახრილი ნორჩი ხეები საცოდავად ცახცახებდნენ. მუშა-ქალს საბავშვო ბავიდან თბილად შეხვეული ბავშვი მოჰყავდა.

კარგა ხანია არ უნახავს თეოლინეს თავისი ძველი მეგობარი. ამასწინათ გაზეთში წაიკითხა: ვახტანგ საამაშვილი უხვი მოსავლისათვის შრომის წითელი ღრუშის ორდენით დააჯილდოესო. ახლა პირადად უნდა მიულოცოს... რატომ იგვიანებენ?

— ნათია, შვილო, მე აგერ, საერთო საცხოვრებელში მივალ, ვახტანგს მივაკითხავ...

ამ დროს კაცუნი მოესმა. მიაშურა.

დინჯალ შემოიძარა ვახტანგი. მარცხენა ხელში ცალთვალსავსე ზურჯინი ეჭირა. უკან ვასო შემოჰყვა.

— არა გრცხვენია, ამდენი რომ მალოდინე? — უსაყვედურა სტუმარს თეოლინემ და ოთახში შეუძღვა.

ფეხზევე გაესაუბრნენ ერთმანეთს, ამბავი გამოჰკითხეს. მერე ვახტანგმა ზურჯინი გახსნა და ასინეთის მიერ გამოგზავნილი ხაქაპურები, ერთი ბოთლი სანთლის არაყი, საგანგებოდ შერჩეული და ცოცხლად შენახული მანდარინები და ფორთოხლები მაგიდაზე ამოალავა.

— რა საჭირო იყო ახლა აგი, არ გეყო, რაც ჩემ ბაღანას უზიდე? — ჩაილაპარაკა თეოლინემ, უსაზღვროდ გახარებულმა არა მოსაკითხით, არამედ იმ მოსიყვარულე გულით, რომელიც მასში იყო გამოხატული.

— ვიცი, ჩემო თეოლინე, რომ არაფერი გაკლიათ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: ირემმა ირემს ბალახი მიაწოდო...

დღდა არ მოელოდა, ისე ადრე მოვიდა ტარიელი. ჩემს მამობილს სიცოცხლე და გამარჯვებაო, — წამოიძახა და ვახტანგს მოეხვია.

ტარიელს რამდენიმე ამხანავი მოჰყვა. სუფრა რომ გაშალეს, მახლობელ სახლში მცხოვრები კომიკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანი შემოემატათ.

ტარიელი ამ საღამოს კარგ გუნებაზე იყო, სახეს ღიმილი უშკობდა, ვახტანგს ეხმატკვილებოდა, დედასა და ნათიას მადლიერი თვალთ გადახედავდა ხოლმე იმ ოჯახური სითბოსათვის, რომელიც მათ აქ მოიტანეს.

ვახტანგს მხიარულობდნენ.

ბელადის სადღეგრძელო რომ წარმოსთქვეს, თეოლინეს სახე გაუნათდა,

თვალეები მოჰუტა, თავისი სიყრმის დღეებს გახედა.

ვახტანგს არ გამოეპარა შეგობრის სულიერი მღელვარება, უნებლიედ ჩაილაპარაკა:

— აგერ, ჩვენი თეოლინე მოგვიყვება, როგორ ჩაება პირველად რევოლუციურ მოძრაობაში.

— მართლა, დედა! — წამოიძახა ტარიელმა, — რამდენი ხანია შენგან არ მომისმენია, მოგვიყვი შენებურად.

— მაცაღე, შვილო, სულს მოვიტყვი... მიიჩრთვით ჯერ, შემდეგ გაამბობთ.

მანდარინები გაფიქვენეს. ზოგმა თამბაქო გააბოლა.

— აგერ, ვახტანგმა იცის, რა თვალადი კაცი იყო ჩემი ზურაბი, — დაიწყო თეოლინემ. — მე ჩვიდმეტი წლის ვიყავი, ბათუმში რომ ჩამიყვანა... ქარხანაში მუშაობა კი არ ღლიდა იმდენად. ჯანით ძლიერი იყო, მარა მისი ერთი გაღიმება მენატრებოდა, მუდამ მოწყენილი იყო... არ იფიქროთ, გულტკაობით მოსდიოდაო, არა, აღამიანის დიდი მოყვარული იყო... სოფელში გაზრდილი გოგო ვიყავი, გამოუცდელი, მარა ბოლოს მაინც მივხვდი: მუშების საერთო ბედი აწუხებდა, ყოველდღიურ დამცირებას ვერ იტანდა... გადის ასე დღეები და ვხედავ, ჩემს ზურაბს თანდათან შუბლი გაეხსნა, გადახალისდა. ვატყობ, გულში რაღაც დიდი იმედი ჩაესახა, თვალეები უცინის... ხანდახან ღამით იგვიანებდა... ერთხანს არაფერი უთქვამს, მერე გამომიტყდა: კრებაზე ვიყავი, მოძღვარს ვუსმენდით...

თვალი დახარა თეოლინემ, თავის არსებობაში ჩაიხედა:

ზურაბმა რომ მოძღვარი ახსენა, მაშინ თეოლინემ დაუვიწყარი სურათი იხილა:

ხალხით გაქედილ დარბაზში თეთრი თმაწვერით მოსილი მოხუცი გამოჩნდა. მისი სასწაულთმოქმედი სახე და სხივისანი თვალეები უსიტყვოდ მეტყ-



ველებს, რომ მისთვის არა არის რა დაფარაული, იცის, როგორ უნდა მიიყვანოს ხალხი იმ აღთქმულ ქვეყანაში, სადაც მარტოოდენ ბედნიერება, ძმობა და სიყვარული სუფევს...

ხოლო შემდეგ, როცა მართლა ნახა თეოლინემ ეს მოძღვარი...

ოთახში ტანადი კაბუცი შევიდა, ყაბალახი მოიხადა, შებლზე ჩამოშლილი შავი თმა გაისწორა, შუქჩამდგარი თვალი მიაპყრო მასპინძელს...

არავითარი სასწაული, არავითარი ზებუნებრივობა! ეს ნამდვილია, ზორცი ზორციოვანი... თანაც რა დაუშრეტელი ძალა გამოსკვივის მის მკვეთრად მოხაზულ სახეში, რა ნათელი მისწრაფება!..

— ...მაშინ, — განაგრძობდა თეოლინე, — გულმა მითხრა, რომ ამ ახალგაზრდა კაცის ხელში იყო არა მარტო ჩემი და ზურაბის, არამედ მთელი ჩვენი ხალხის მომავალი. ჩვენ მას ციციხლეში გავყვებოდით, რადგან გრძნობები, რომელთაც იგი ჩვენში იწვევდა, წმინდა და უანგარო იყო... ასე მიიწურა ის თვე, დეკემბერი. ახალი წლის წინა დღეს დიდი წვეულებისათვის ვახშამი დავამზადეთ... ვის არ გამოუცდია თავის ახალგაზრდობაში, თუ რა სიხარულს, რა ბედნიერების მოლოდინს იწვევს ახალი წლის გათენება, მარა ის ღამე...

მცირე პაუზის დროს ნათლად წარმოესახა თეოლინეს:

დამტკბარი საღამო, ისეთი წყნარი და ნელთბილი, როგორც ბათუმს სივრცია ზამთარში. ქედებზე აღარ კრთის ზღვიდან ანასტატი სხივები, მუქდება მთის თხემზე დასვენებული იისფერი ნისლი. მსუბუქად, ქუფრი ფრთების ნელი ფარფრით ეშვება დაბლობში ღამე. აღარ ხასხასებენ მარადმწვანე მცენარეები. ვრცელი ტყიდან ბაიბური არ ისმის. ერთადერთი მახლობელი სახ-

4. „ნათობი“ № 6.

ლიც ლანდივით მოჩანს. ვაჟე მთელი-ყურე დგას.

— ... ჩვენებურად გავაწყვეთ დიდ ოთახში გრძელი სუფრა. ჩავამწკრივეთ ლენინიანი, ბოთლები შუაში ჩავდგივთ რგვალი ტორტი, რომელშიც პატარა წითელი დროშა იყო ჩასმული. მოდიან მოწვეული მუშები ქარხნიდან. ოცდაათ კაცამდე მოიყარა თავი. ყველას სახე უღიმის...

ერთ წამს შეჩერდა თეოლინე, რომ იმდროინდელი შთაბეჭდილება მეხსიერებაში აღედგინა:

სულგანაბული სხედან გაშლილ სუფრასთან მუშები, ზოგს თავი იდაყვზე ჩამოუდგია. მოძღვარი ფეხზე დგას, არ ენამკვერობს, არც ხელს ამოძრავებს, არც ჩქარობს. ყოველი მისი სიტყვა განთიადის სხვისა ჰგავს. ჯერ მთის მწვერვალს შემოეფინა წმინდა ნათელი, მერე დაიწია ქვევით, ფერდობებსა და გორაკებს მოედო, ხეებსა და მღვიმეებში შეიჭრა, ველებზე გაინავარდა, ზღვის ტალღებზე აციმციმდა.

და ახალმა ცხოვრებამ შემოიხედა ოთახში თავისი მღიმიარე თვალებით; წელში გაიმართა ადამიანი, ამალდა, შრომის სუფევას შეჰხარის... მაგრამ ამ ახალი ცხოვრების მოსაპოვებლად საჭიროა მონობის ხუნდების დამსხვრევა, გმირული თავდადება, შეუპოვარი ბრძოლა...

— ჰოდა, — განაგრძობ თეოლინემ, — ფანჯრებს რომ რიყრაცის შუქი შემოეფინა, გულში ყველას ერთი აზრი უღვივოდა, ყველა თითქოს ამბობდა:

„თენდება, ძმებო! ეს ჩვენი დილაა, ჩვენი ახალი წელი, ჩვენი გამარჯვების დასაწყისი... თუ რომელიმე ჩვენგანი ვერ მოესწრება ბედნიერ დღეს, მისი შვილები მოესწრებიან“...

ხმა აუთრთოლდა თეოლინეს, თვალებზე ცრემლი მოადგა, თავისი ზურაბი მოაგონდა, შორეულ ციმიბარში ობლად დამარბული. რა აღტაცებით უს-

მენდა იმ ღამეს მოძღვარს, როგორ ინერგავდა გულში მის სიტყვებს, როგორ უბრწყინავდა დიდრონი თვალები!.. „ნეტაი შეგახედა, შე საწყალო, — იღუმალად გავსაუბრა თეოლინე ზურაბს, — როგორ გაიზარდა შენი შვილი, შენი საყვარელი ტარიელი, რამხელა კაცი შეიქნა“...

ტარიელი გრძნობს დედის სევდას, მაგრამ არ ირხევა, სხვა მსმენელებთან ერთად შეპყურებს ახალგაზრდა სტალინს, რომელსაც ამოშავალი საუკუნის ნათელი ადგას სახეზე, ორმოცდა ექვსე წლის მანძილიდან შეპყურებს და როდი უკვირს, მისი მარადი სიკვამლის მზიურობას შეჰხარის...

— ერთხელ, იმ ზამთარში, — განაგრძო თეოლინემ, — კრება სასაფლაოზე მოიწვიეს. ღრუბლიანი ღამე იყო, გაწვიმებას აპირებდა მუშები გარს შემოეხვივნენ თავის წინამძღოლს, უსმენდნენ და გულში ფიცსა სდებდნენ, რომ სამარის კარამდე იბრძოლებდნენ წმინდა საქმისათვის... სიტყვის დამთავრების შემდეგ ხალხში გასავრცელებული პროკლამაციები დაარიგეს. ამათში კიდევაც გაწვიმდა. მეორე დღეს მივედიოთ სასაფლაოზე, უკვე მოესწრო პაპიროსის ნაშეკვების შეგროვება და კრების კვალის წაშლა ილარიონ კეკეყმაძის ცოლს, ალათს... მაშინ ჩვენ, ქალები, იმდენად გათვითცნობიერებული არ ვიყავით, მარა გულით ვგრძნობდით, თუ რა დიად საქმეში იყვნენ ჩამბული ჩვენი ქმრები... დაპატიმრებული მუშების გასანთავისუფლებლად რვა მარტს დემონსტრაცია მოაწყვეს. ჩვენც იქ ვიყავით, მამაკაცებთან ერთად მივდიოდით... შუაღლე იყო. ხალხი თანდათან მატულობდა. ყველანი ალტაცებული ვიყავით, გვახარებდა ეს ვაერთიანება... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი და არ მესმოდა, მხოლოდ გულით ვგრძნობდი, თუ რა დიდი ბრძოლის დასაწყისი იყო ეს პირველი გამოსვლა... მივედიოთ ციხესთან. ფეხზე დადგა პო-

ლიცია, ბრძანა — დაიშალენითო მუშები გაიძახიან: გაანთავისუფლეთ ჩვენი ძმები, ან ჩვენც მათთან ერთად დაგვაპატიმრეთო... გამოიწვიეს ჯარი, ხალხს გარს შემოერტყნენ... მუშები მაინც არ გატყდნენ, თავისას მოითხოვდნენ... მაშინ გამოაცხადეს ტუსალები ყაზარმაში გადაგვყავსო. გამოიყვანეს. კახაკებმა წრე შემოავლეს და ყაზარმისაკენ დაიძრნენ. მათ მიჰყვნენ მუშებიც. ტუსალებთან ერთად ოთხას ორმოცდაათი კაცი ჩაჰკეტეს ყაზარმაში...

ერთ წამს იყუჩა თეოლინემ. მწვავედ მოაგონდა, თუ რა უმწეობა იგრძნო, როცა ზურაბი ყაზარმაში დაჩა. ძალიან ეცადა, არ მოშორებოდა ქმარს, მაგრამ პოლიციელებმა ძალად გამოაგდეს...

იმ ღამეს მაინც ვერ მოისვენა თეოლინემ, ინათა თუ არა, ქუჩაში გავიდა. რამდენიმე კაცს შეხვდა და უმაღვე იგრძნო, თუ რა ბოზოქარი სული ტრიალებდა ყველგან.

აი, დაიძრა პირველი ტალღა, მრავალი ნაკადი შემოიკრიბა; დღეს სამჯერ მტეი არიან, ყაზარმისაკენ მიიშართებიან, მიიმღერიან.

— მივადექით ისევ ყაზარმას, — განაგრძობდა თეოლინე. — ხალხი ბოზოქრობს, მუშების განთავისუფლებას მოითხოვს. ყაზარმიდან ჩვენების ძახილი მოისმის. ჩემი ზურაბიც იქ არის, მისი ხმა მესმის მგონია. ამ დროს გარს შემოგვარტყა ჯარი საზიზღარმა ანთაქემ. აღელდნენ მუშები, ქვები და ტალახი დაუშინეს ჯარისკაცებს, ზოგმა ლობეს დააძრო სარი და წინ წაიწია. მაშინ ანთაქემ ბრძანება გასცა — ესროლეთო... პირველად რომ გაისროლეს, გაისმა აქეთ-იქით ხმები: არ შეშინდეთო, მარა მალე დავინახეთ, როგორ დაეცნენ დაქრილები... მახსოვს, ჩემს მახლობლად ერთ ახალგაზრდა მუშას ტყვია მოხვდა. მან მუშტი აღმართა და ჯარისკაცისაკენ მიიწია, მეორე ტყვიამ დასცა უბედური... ასტყ-

და ატრზაური. საშინელი სანახავი იყო... არ ვიცი, საით მიმქანებს ტალღა, ყველგან დაკრილი მელანდება, სული მეკმევა... უცებ თვალი მოვკარი მას, ჩვენს წინამძღოლს. ნეტა გენახათ, რა დიდებული იყო მაშინ იგი! შევხვდეთ თუ არა მას, იმ წამსვე გონს მოვედი, რაღაც განათლა თითქოს ირგვლივ და მივხვდი, რომ იმ დღეს დაღვრილი სისხლი ამოდ არ ჩაივლიდა... მოედანი რომ დაიკალა, მოკლულებსა და დაკრილბს მივხვდეთ. გაბედულად მოქმედობდნენ ჩვენი ქალები — დესპინე შაფათავა, ნატალია კირთაძე, გაიანე ჩხაიძე...

ჩაფიქრდა თეოლინე, თეთრი თმით განათებული უნაოკო სახე ქანდაკებასავეთ გაერინდა, მერე დაკვირვებით მოაელო ყველას თვალი და განაგრძო:

— რამდენჯერ მიფიქრნია ჩემს სიცოცხლეში: საქმე ის კი არაა, თუ რა ხნის მოკვდება ადამიანი, საქმე ისაა, თუ რა გააკეთა, რა ვალი მოიხადა მან... მესამე დღეს, თორმეტ მარტს დაეასაფლავეთ მოკლული ამხანაგები. მაშინ ღრმად ვიგრძენით ყველამ, რომ ისინი დიდ მომავალს დაედნენ საფუძვლად. ამიტომ იყო სასახელო მათი სიკვდილი... კუნოვებს მიწა მივაყარეთ, გამოვეშვედილობეთ. დაიძრა ზღვა ხალხი, პოლიციელებისა და ჯანდარმების მიერ აღყაშმორტყმული. მოვდიოდით და გულთ დიდი იმედი მოგვქონდა. მაშინ გაერცვლდა იქ პროკლამაცია, რომელიც, მახსოვს, ასე მთავრდებოდა:

„ქება-დიდება თქვენ, სიმართლისათვის დაღუპულნი, ქება-დიდება იმ დედების ძუძუებს, რომელთაც თქვენ გამოგზარდათ... ქება-დიდება თქვენს აირდილებს, დაუბრკოლებლივ თავს რომ ლაგვტრიალებს და ყურში ჩაგვჩურჩულებს: შური იძიეთ“...

ჩემი ზურაბი გურიაში გადაასახლეს, მარა იქ დიდხანს არ დაერჩენილვართ; გაფიცულმა მუშებმა გაიმარჯვეს და ჩვენ ისევ ბათუმში დავბრუნდით. მას

შემდეგ კარგა ხანს მრისხანებით საცეს სიჩუმე ჩამოვარდა. ზურაბი ბუნებით დიციხე იყო. ქარხნის მოწინავე მუშებთან ერთად მასაც ხელში მსხვილი ჯოხი ეჭირა, ხელცარიელი აღარ დადიოდა. მალე იარაღიც შეიძინა... ამასობაში მოაღწია ათას ცხრაას ოთხი წლის ზამთარმა. მაშინ ტარიელზე ფეხმძიმედ ვიყავი... რა დიდი ბედნიერება იყო ჩვენთვის, როცა ისევ ჩამოვიდა ბათუმში ჩვენი ხელმძღვანელი. ჯარისკაცის ტანსამოსი ეცვა. სახელად კობა ერქვა. ათასი ბოქლომით რომ გქონოდა გული დაკეტილი, ყველა გასაღებს მას ჩააბარებდი.

დაღუმდა თეოლინე. მოკრძალებით მოავლო ყველას თვალი, თითქოს ბოლიშს იხდისო, რამდენი რამ მქონდა სათქმელი და ვერ შევძელიო.

ჯერ ტარიელმა ახედა კედელზე გენერალისიმუს სტალინის პორტრეტს. მერე სხვებმაც მიაპყრეს თვალი სიყვარულით...

დუმილი ვახტანგმა დაარღვია:

— მეც იმ ბედნიერთა რიცხვს ეუკუთვნი, ვინც სტალინს სიკაბუჯეში ახლო იცნობდა. ცხრაას ექვსი წლის მიწურულში დევნილმა, თავი ბაქოს შევაფარე. ამხანაგებმა მექანდიურ სახელოსნოში მომაწყვეს. არაუგაალურ მუშაობაში ჩავეები... სტალინს ხშირად ვხვდავდი. ჩვენთან სასადილოშიაც კი მოდიოდა, მაზუთით გასვრილ მუშებთან დაჯდებოდა, გვესაუბრებოდა... ახალგაზრდები ხართ აქ, აგერ ჩემი ბიჭიც აქ არის; არა მგონია, რომ თქვენ მთლიანად წარმოიდგინოთ, თუ რა ძალას გვანიჭებდა მასთან შეხვედრა, ყოველი მისი სიტყვა... ერთხელ მოკლულ ამხანაგს ვსაფლავებდით. ქალაქიდან უზარმაზარი პროცესია დაიძრა. პოლიციემისტერმა ორკესტრი აკრძალა. ჩვენებს უკვე შერჩეული ჰყავდათ ბიჭები. მე და ზურაბიც მათთან ვიყავით. გვანიშნეს თვალთ და აგუგუნდა სამგლოვიარო მარში. ვმღეროდით და ტანში ყრუ-

ანტელი მივლიდა. ასე მეგონა, სადაც შორს, ალექსულ ქვეყანაში შევიდოდი. ბაილოვს რომ მივეალოვდით, წინამძღოლმა ერთი მუშა მიიხმო, დაავალა: ყველა ქარხანაში გაგზავნეთ კაცი, რომ მიცვალებული საყვირების ზუზუნით გააცილონ. მეც მომიწია წასვლა. დავწინაურდი. გავრბივარ... გამოჩნდა კუბო და საყვირებმა მოთქმა დაიწყო. გლოვაც იყო ეს და მოწოდებაც. ნავთის სარეწებს, უამრავ ქაბურღილებს ჩრდილოეთით მაღალი გორები რკალავენ, სამხრეთით ზღვა აკრავს. ამ ტაფობში განუწყვეტლივ ზუზუნებდნენ საყვირები სხვადასხვა ხმაზე. გზაზე კი თვალუწყდენელი პროცესია მიიმართებოდა... სასაფლაო ქარხნების ბოლში იყო, მაღლობზე, მთის ძირას... დაკრძალვას კიდევ მივუსწარი. უთვალავ ხალხში გავეყვარი, სტალინი მოენახე და მის მახლობლად დავდექი... ეჭ, როგორ უნდა გაგაგებინოთ ახლა, თუ რა სიმაღლეზე ვიყავი მაშინ ასული, რა სიამაყეს ვგრძნობდი... ჰოდა, დღეს აქ ბევრი ვიარე, ძველი საფლავებიც ვნახე, ციხე-დარბაზის ნანგრევებიც. მერე ახა-

ლი საამქროები დავათვალიერე. ბოლოს დიდ მშენებლობაზე ვიყავი და ეჭ, რომ წარწერა წავიკითხე, — მიეცეთ საშობლოს ქართული ფოლადიო, — პირველად ვერ გავარკვიე, თუ რა თავისებურება უნდა ჰქონოდა ქართულ ფოლადს, შემდეგ უცებ გამეხსნა აზრი და... იცით, რა არის ქართული ფოლადი? ეს ის ძლიერებაა, რომელიც ქართველმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შექმნა; ეს ფოლადი ხომ შედუღებულია იმ ძალთა-ძალში, რომლის მზიური ნათელიც მთელ მსოფლიოს მოჭფინა ჩვენმა მშობლიურმა სტალინმა... ეს ჩვენი ბედნიერებაა, რომ მისი უკვდავი დროშის ქვეშ ვდგევართ და ვიცით: არ დარჩება მთელს ქვეყნიერებაზე ისეთი კუთხე, სადაც იგი არ აღიმართოს ყველა ერის მშრომელი ხალხის მიერ. ამას, ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები უთუოდ მოესწრებიან.

ეს რომ სთქვა, მიმოიხედა ვახტანგმა, ჯერ კომკავშირის კომიტეტის მდივანს მიაპყრო თვალი, მერე თავის ვაჟს გაუღიმა.

XI

მორწილი

მზე გადაიხარა. მაღალი მთების მწვერვალებზე თოვლი უფრო გაბრწყინდა. ქართლის ველზე სუსხიანი ნიავი ჰქრის.

დაბალ და განიერ სახლში, რომელსაც პირწმინდად მოგლესილი მიწის იატაკი აქვს, სტუმარ-მასპინძლები გრძელ მაგიდას უსხედან.

გაიოზ დარჯანიას თავი კობტად უჭირავს, ცდილობს აქაურებს კარგად ეჩვენოს; იცინის, მკვერამეტყველობს, საცოლეს კი იშვიათად მიხედავს.

დღეს მეორედ ნახა და კიდევ უფრო მოეწონა პირთეთრი დარეჯანი, მისი თვლების მორცხვი გამოხედვა, მაგრამ

ეს საამო შთაბეჭდილება ჯერ მაინც ძალიან ბუნდოვანი იყო და გაიოზს უნდოდა როგორმე გამიჯნულიყო ამ კდემამოსილი ქალიშვილისაგან, არ ეფიქრნა მასზე, რომ მასპინძლების წინაშე სირცხვილი არ ექამა.

აქ მისი მეგობრის — გაბო ელოშვილის გარდა, ყველანი უცხონი იყვნენ. გაბოს მშობლებს, დარეჯანის დედმამას, აქაურ მასწავლებელ ქალსა და მის ამხანაგს — თითქმის ყველას პირველად გაეცნო დღეს გაიოზი. მაგრამ, სუფრას რომ შემოუსხდნენ და ლხინი გაიხალდა, გაიოზისათვის ესენი, თუ ში-

ნაურები არა, ძალიან მახლობელნი შეიქნენ.

ხოლო მის გვერდით მჯდომარე დარეჯანი, ასე ჰგონია, ძალიან დიდი და რთული არსებია, იმაზე დიდი, რაც კი ოდესმე წარმოუდგენია. ამიტომ სჯობს ახლა მას არ ჩაუყვირდეს, თავი არ შეიბოქოს, ღზინით გაერთოს, თავისი სიდარბაისლე გამოიჩინოს.

მართლაც, ყველას თვალში ჩაუვარდა გაიოზი, მისი ქერა სახე, სხივანთებული ცისფერი თვალები, მოხდენილი ტანადობა და მიმზიდველი გულგამოილიობა.

სიყვარულით შეაქცერდება ხოლმე დარეჯანის მამა — ალექსი სასიძოს, უღვაწებში ელიძება, სრულიად არ უყვირს, რომ ეს ბიჭი თავის გაზრდილებში აღარ გამოერჩევა. ოთხი შვილი ჰყავს ალექსის; სამი ქალი და ერთი ვაჟი. დარეჯანი უფროსია, ხოლო ყველაზე უმცროსი გოგო წლინახევრისა იყო, როდესაც ალექსი ომში გაიწვიეს. ოთხ წელიწადს მოშორებული იყო ოჯახს, მაგრამ მისმა მეუღლემ, მელანომ, შესახედავად თითქოს ნაზი აგებულობის პირთეთრმა ქალმა, იმდენი მხნეობა გამოიჩინა, ისე თავდადებულად იმუშავა კოლმეურნეობაში, რომ შვილებს არა გაუქვირვია რა, მოწაფეები სკოლას არ მოაშორა. შემდეგ, როცა ალექსი დაბრუნდა, დარეჯანი მამიდან წაიყვანა თბილისში, პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრებინა.

თამადამ, ვაბოს მამამ — მიხო ელოშვილმა ფანდური მოატანინა, ფანდურს ჩონგური მოაყოლეს, მასწავლებელ ქალს გადასცეს. მასწავლებელი ადგა და ჩონგური დარეჯანს გადააწოდა.

დარეჯანს ღაწვები შეეფაცლა, გრძელი წამწამები დახარა, გადამვილდული წარბები შეიკუმუნა. ყველამ სიხოვა, მაინც უარი სთქვა. ბოლოს მასწავლებელმა ჩამოჰკრა ფანდურს, ჯერ გაბმულად, სწრაფად ააქურა სიშვები, მე-

რე ნელა აამეტყველა, ტკბილი ხმით დაამღერა:

„ვის უნახავს ძველის-ძველი
ჯვარის მონასტერი...“

შესწყდა საუბარი, ყველას თითქოს ძალიან შორეული და თანაც მრავალგზის ნაგრძნობი ჰანგი მოესმა; აკვანშივე ჩასწყდენია თითქოს ყოველ მათგანს ეს მშობლიური ქვეყნა, დედის რძესთან ერთად შეურგია, სიყრმისას კიდევ უფრო ვატკბობია; ეს იმ ჰანგთანაა, რომელშიაც მშობელი ქვეყნის ცა და დედამიწა, მზე და ვარსკვლავები გამოჰკრთიან...

გაიოზი ბურანში გაეხვია, სული თითქოს ნათელი ტალღების ლივლივმა აიყოლია, ნაზტკბილმა ქრეოლამ შეიპყრო. მერე უცებ შეკრთა, იმ დიდი და რთული არსების სიახლოვე იგრძნო, რომელსაც გულუბრყვილოდ ემიჯნებოდა, იგრძნო და კიდევ უფრო გაიზარდა იგი. მან მთელი მისი სიცოცხლე მოიცივა. ერთის მხრით, ჰგონია, რომ ამ პირთეთრი ქალიშვილის მაყვალეობით შავი თვალების ელვარება ჯერ კიდევ სიყრმისას მოსჩვენებია ბევრჯერ, იღუმალად უნატრნია მისი ხმის გაგონება, აპყოლია ოცნებას და რაც ქვეყნიერებაზე მშვენიერებაა, ყველაფერი მასში განუსახიერებია; ხოლო, მეორე მხრით, რაღაც უმძიმს, რადგან ახლა გვერდით უზის იგი, ესოდენ უმანკო და მწყყაზარი, მოსილი ისეთი საიდუმლოებით, რომელიც მოძრავ ნისლსა ჰგავს... აგერ, ნელინელ იფანტება ბურუსი, ამოშავალი მზის შუქი გამოკრთის, გაიოზის გულში იღვრება. ძლიერდება გაიოზი, მდლდება. ისეთი გრძნობა ებადება, თითქოს საუცხოო დილა გათენებოდეს, იმ მდინარის პირად იდგეს, სადაც თავისი ბავშვობა გაუტარებია. ჩქრიანებს ჩანჩქერი, ხეების ფოთლებზე ცვრები კამკამებენ, ჰკალობენ ფრინველები; ალუისხეებს მზის სხივი შემოეფინა და გაბრწყინდა გაიოზის ცხოვრე-

ბის გზა, საბედნიერო, დაუსრულებელი. ერთად ივლიან ამ გზაზე დარეჯანი და გაიოზი. ახლა არავითარი მიჯნა აღარ არსებობს მათ შორის; გაიზარდა გაიოზი, გაუტოლდა დარეჯანს, ერთ არსებად იქცნენ.

და მოსწყურდა ჭაბუკს ჩაეხედნა დარეჯანის თვალებში, უსიტყვოდ ეთქვა, თუ როგორ იზადებოდა მის გულში უკვდავი სიყვარული. პირი მიიბრუნა, უნდოდა თავდაპირილად მიეპყრო მწერა ქალისათვის, მაგრამ თავისდა უნებურად გამოუნათდა თვალთაგან ალერსი და გულიდან ღიმილი.

ოდნავ შეუთრთოლდა ტუჩები დარეჯანს და ნაზად ახედა გაიოზს.

და მყისვე, ურთიერთს რომ იღუპოდნენ უთბრეს, იგი მთელ მათ სიცოცხლეს აიწონინდა.

თავს ძალა დაატანა დარეჯანმა, შებღვილი შეიკრა; გაუყვირდა: ეს რა მომივიდოდა, მუდამ თავდაპირილი იყო, მორცხვი. ორი წელიწადი დაჰყო თბილისში და სულ შინ იჯდა, მეცადინეობდა, მამიდას ოჯახში ეხმარებოდა. იშვიათად გაჰყვებოდა ამხანაგებს კინოში. არასოდეს ქალური ეშხით ვაჟისათვის არ გაუღიმიოდა. ახლა კი... მართალია, გაბოძლიან უქებდა გაიოზს: საქმეში ბევრჯერ გამოეცადეო, გულალაღი ბიჭიო, შრომაში ბეჯითი, ამხანაგის გამტანიო, თვალტანადაც კარგი შესახედავიაო, მაგრამ დარეჯანს ვერ წარმოედგინა, თუ ასე უცებ დაიპყრობდა იგი. არც ის ეგონა, თუ შესაძლებელი იყო ერთი ნახვით ასეთი დაახლოება. ამას ყველგან გაჰყვებდა, მასთან ყველგან ბედნიერი იქნება.

გაიფიქრა ეს დარეჯანმა და ახლა უკვე გაბედულად ახედა გაიოზს, მიუაღერსა.

გაიოზს უმაღლეს გულში ჩასწვდა ეს ნანატრი სხივი, დარეჯანს თვალი გაუსწორა, სული სულს ეამბორა, აღტაცებამ შეიპყრო.

ამ დროს მასწავლებელმა სიმღერა დაამთავრა. მოუწონეს, ტემბი დაუკრეს. გაიოზს ერთი მეგრული სიმღერა განსაკუთრებით უყვარდა. იგი მოსწყურდა ახლა ფრთამესხმულს. ჩონგურს ხელი გაუწოდა. ნაზად, ოდნავ გასაგონად ააწყრილა სიმები. გრძნობამორეუელი ხმით დაამღერა.

საკვირველი ძალა მეტყველებდა იმ სიმღერაში, ეამთა მდინარეებაში წრთობილი ძალა; თანაც უსასრულოდ მაამებელი და სათუთი იყო იგი; ნაღველიც იყო მასში, შორეულის მოლოდინიც, უანგარო მეგობრობაც და თავდადებაც; დედის ალერსი იყო კიდევ მასში, დედის ნანა... და მძლეუთა-მძლეუთა გალობდა დაბადებასა და სიკვდილს შუა ჩამდგარი სიყვარული...

თხუთმეტი წლისა გათხოვდა მელანო. დარეჯანი პირველი შვილი იყო მისი. ამ წამს გაიოზის ხმაში შეიგრძნო, რასაც ნატრობდა თავისი პირშმოსათვის. გული ტბილად აღჩქროლდა, ცრემლი მოერია; ადგა და გაიოზს თავზე მოუსვა კოყრიანი ხელი, შეუბღვი აყოცა.

— დამილოცნიხარ, შვილო, — ჩაილაპარაკა შემდეგ მართოლგარე ხმით, — შენთვის გამიზრდია ჩემი დარეჯანი, ორთავეს შემოგველოთ მშობელი დედაი...

თამადას არ გამოეპარა ეს შესანიშნავი წამი, ის ცხოველმყოფელი მაღლი სიყვარულისა, რომელსაც დედის გული უღვეს საფუძვლად, — ადგა, ახალი სადღეგრძელო წარმოსთქვა. ყველანი აღტაცებამ შეიპყრო. ალექსისა და მელანოს ნაამაგარ ოჯახში სიცოცხლის ახალი სხივი შეიჭრა...

ხოლო ღამით, როცა მატარებლის დრომ მოაღწია, ყველანი გარეთ გამოეფინენ, გაიოზი სადგურზე გააცილეს.

რამდენჯერმე სცადა გაიოზმა, დარეჯანს გვერდით გაჰყოლოდა, თავისი გულისნადები გაეზიარებინა, ხმადაბლა, მხოლოდ მისთვის გასაგონად ეთქვა.

რასაც განიცდიდა, მაგრამ ვერ შესძლო. ისევ თავის მეგობარ გაბოს გადახვია მხარზე მკლავი და, შეზარხოშებულ კაცს რომ სჩვევია, ისე ხმაძალა წამოიწყო სიმღერა.

მილიონენ, მიიმღეროდნენ.

ულრუბლო ღამე იყო. მთვარე თრიალეთის ქედს დაჰყურებდა, ხოლო ვარსკვლავთა შორის სხივთა ნაზი ქსელი ვაბმულიყო. მტკვრიდან ოდნავ მსუსხავი ნიავი უბერავდა, მომღერლებს სახეებს უწითლებდა, ახალისებდა.

რკინიგზის სადგურის ბაქანზე დიდხანს არ ულოდინიათ. გაიოზი ყველას გამოეშვიდობა, ბოლოს მაგრად, ვაჟკაცურად ჩამოართვა დარეჯანს ხელი და დაძრულ მატარებელს მოხდენილად შეახტა.



გულიანად ეძინა. როცა მატარებელი ცხენისწყლის ზიდზე ახშიანდა, მაშინ გამოფხიზლდა კარგა ხანს გაჰყურებდა ფანჯრიდან სივრცეს, თვალს აყოლებდა ალვისხეებს თემშარის პირად, ფართო ეზოებს ოდების ირგვლივ; ბავშვობისას აღთქმული სურათები ესახებოდა, თან რაღაც სევდის მაგვარი გრძნობა ერეოდა, თითქოს უნდა გამოეშვიდობოსო ამით და შორს წაეიდესო.

აი ეს ალვისხეები, ეს ქადრები, ეს წიწვიანები, ეს ბაღები და შორს — ცას მიბრჯენილი თოვლიანი მთები, — ესენი თითქოს უხილავად არიან ფესვგადგმული მის სულში, მუდამ თავისკენ იზიდავენ, ეძახიან. სადაც არ უნდა იყოს გაიოზი, გაედვიძება თუ არა, პირველად ესენი მიესალმებიან, ძალ-ღონეს ჰმატებენ.

ერთხელ, სტალინგრადში ყოფნის დროს, გამოსცადა: ვოლგის პირად იდგა მაღლობზე, შორეულ ველსა და ტყეს გასცქეროდა; კარგა ხანს იყო ასე და თვითონაც არ გაუგია, ისე გამოცვლილიყო ირგვლივ ყოველივე: ვოლგის

ნაცვლად თავისი სოფლის მდინარე კამკამებდა, ხშირ ხეებს შორის ენაცვრები სახლები მოჩანდა, ველს მიღმს სიკვრივეებიანი გორაკები აღმართულიყო...

ახლა მალე მივა იქ და... რატომ ჰგონია გაიოზს, თითქოს უნდა გამოეთხოვოსო?

შუბლი შეიკრა, თავი გაიქნია, მგზავრები შეათვალა, მეგრულ ლაპარაკს ყური მიუვლო.

სადგურში არ შეჩერებულა დუქნებთან თვალმოკრიდებით ჩაიარა. სხვა დროს ასე არ იცოდა; თავმოშწონედ მიმოიხედავდა, ნაცნობს მიესალმებოდა, ქალიშვილებს გაეხუმრებოდა. ამასწინათ იყო აქ და, აგერ, იმ მოსახვევში მეზობლის გოგო შეხვდა, თამარი, გაესაუბრა. ქალს რაღაც ქედმაღლობა შეატყუო. ეწყინა გაიოზს, მაგრამ არ შეიმჩნია, ზრდილობიანად გააცილა. შინ რომ მივიდა, მაშინ გაიგო: თამარის მშობლებმა თქვეს არიშში დასაკარგავი შვილი სადა გვყავსო.

— ჰოდა, ბრძანდებოდეს ახლა! — გაივლო გუნებაში გაიოზმა. — ნახავს აგერ, შევექმნი თუ არა ნამდვილ ოჯახს!...

ძალ-ღონის მოზღვაება იგრძნო, ნაბიჯს აუჩქარა, ფიქრში გაერთო.

კიშკართან შედგა გაოცდა. არასოდეს ეს არ მოსვლია. სოფელში რომ ჩამოვიდოდა, ამ მიდამოების მშვენებით იყო მოხიბლული. ამაზე უტყბესი ქვეყნად არც ერთი კუთხე არ ეგულებოდა. ახლა კი, ვიდრე აქ მოაღწევდა, აღორძინებულ, დამშვენებულ არიშს შეჰხაროდა, დარეჯანის კდემამოსილი სახე ედგა თვალწინ...

ეზოში შესვლისთანავე ყურმა შემოევება, ფეხებზე მიეხუტა, თავი ასწია და წაბლისფერი თვალებით შეაცქერდა ძველ მეგობარს.

გაიოზმა ძალღს თავზე ხელი მოუსვა და თანაგრძნობით უთხრა:

— დაბერდი, შე საწყალო, დაბერდი.

ყურმა თითქო მიუხვდა, კული გაქნია, ამოძრავდა, ამით ანიშნა: „არა, ჯერ მარჯვედა ვარ, შენი მოსვლით ბევოჯერ გავიხარებო“.

სამზარეულოდან დედამ გამოიხედა.

— შემოგველე! ჩემი გაიოზი მოსულა! — წამოიძახა ტერეზიმ და შეილისაკენ გამოეშურა.

დიდი ნაჯაფი ქალდ იყო, ექვსი შვილის მშობელი. ამათგან ორი მოზრდილი მოუკვდა, მაგრამ მის ქერა თმაში ქლარას აქა-იქ თუ შეამჩნევდი. ოჯახს უვლიდა, კოლმეურნეობაშიაც ხელხვატივლად მუშაობდა.

— სულ არ გელოდი, შემოგველე, დღეს. საიდან გაჩნდი ახლა, ჩემო გამხარებელი? — ბუტბუტებდა დედა და შეილს ეხვეოდა. — შემოდი, შეილო, შინ შემოდი. აქ ყველაფერი შენ განატრულობს, შეილო, შენ მოგელის...

ცეცხლის პირად, დაბალ სკამზე დაჯდა გაიოზი, ირგვლივ მიმოიხედა. საკვირველია, ამოდენა კაცი გაიხარდა გაიოზი და აქ კი ყველაფერი ისევ ისეა, როგორც ბავშვობისას იყო! ეს თარო, ეს კოდი, ეს ჩაფები, ეს ჰვარტლიანი ჯაჭვი, ქვაბები და ქოთნები... ავერ, ზღურბლზე მამალი შემოდგა და ნაპერწკლისფერი თვალით იმზირება, ესეც თითქოს ბავშვობისდროინდელია!

დედის გულმა შეილს ცვლილება შეამჩნია, თვალებში ჩახედა.

— შენ რალაც ახალი ამბავი მომიტანე, შემოგველე! ხომ არაფერი გიჭირს, შეილო?

— რა უნდა მიჭირდეს... — სიტყვა შეუფერხდა გაიოზს, მერე უცებ მოსჭრა: — კარგად ვარ, ცოლს ვირთავ.

— შეილო, ჩემო. გამხარებელი... ღმერთო, ბედნიერი ქენი! — წამოიძახა ტერეზიმ. უმაღლე ჩაფიქრდა, გაიოზს სახეზე დააკვირდა. — სადაურია, შეილო?

— ქართლელია, ამხანაგმა გამაცნო. ახლა პირდაპირ იქიდან მოვდივარ. ხვალ არიშში უნდა წავიდეთ, ისინიც ჩამოვ-

ლენ.

ტერეზის გულმა რეჩნა: „წყნარ ჩაფიქრდა. აქ არ მოჰყავს, არიშში წასვლაზე. უფროსი ვაჟი ოჯახს შორდება... წინათაც უფიქრნია ამაზე, მაგრამ ასე მწვავედ არ უგრძენია.“

— კი, შეილო, მაგრამ ჯერ აქ რომ მოგვეყვანა, ის არ სჯობდა? ქორწილს გადავიხდით, ნათესაეები გვეყავს, მოყვრები...

ეს სულ არ მოსვლია აზრად გაიოზს. თავის ფუძედ არიში მიიჩნია, თუმცა რა აქვს ჯერ იქ, თითქმის ცარიელი ბინა, მეტი არაფერი. იქნებ მართლაც უკეთესი ყოფილიყო, პირველად აქ მოეყვანა დარეჯანი, ენახა ძველი ოჯახი... მაგრამ არა, აქედანვე უნდა დაემკვიდრლეთ იქ, მოვეწყეთ...

— აქ მერე გესტუმრებით. არ დაგვიწყებთ...

არც ეს სიტყვა მოეწონა ტერეზის. ვანა დაეაქაცებელი შეილი ოჯახში სტუმრად უნდა მოდიოდეს?...

ამ დროს ნათელამ მოირბინა, გაიოზის დამ. მალე ძმებიც მოვიდნენ, გივი და შოთა. ნათელა მეექვსე კლასში იყო, გივი — მერვეში, ხოლო შოთა — მეათეში.

ოდის ბუხარში ცეცხლი დაანთეს. გაიოზის მოსვლას მეზობლები გაიგებენო, სტუმრები გვეყოლებო.

ოთხთვალი ოდის აივანს თლილი ქვის კიბე ჰქონდა მიდგმული. ოთახებში ყველაფერი დაკრიალებული იყო. ქათქათა ფარდები, სუფთა საწოლები, ლამაზი ავეჯი. სტუმრების შისაღებ დარბაზში გრძელი მაგიდა იდგა, მუშამბაგადაფარებული, სკამებშემოწყობილი. ფართო ლანგარზე, ბროლის სურის ირგვლივ, ღვინის ჭიქები შემოეწყობოთ. კუთხეში, თაროებზე წიგნები ელავა, ხოლო კედლებზე ფრინველებითა და ყვავილებით მოხატული ცისფერი ქაღალდი იყო გაკრული და ბელადების პორტრეტები ეკიდა, წაბლისფერ ჩარჩოებში ჩასმული.

სადილობისას მოვიდა გაიოზის მამა, ფრიდონი. ოდნავ კოჭლობდა. 1942 წელს დაიჭრა ფრონტზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. პოსპიტლიდან შინ გამოისიტურჩეს. კოლმეურნეობას დაუბრუნდა, ბრიგადირად გამოაყვეს.

ჯგუზი, ძვალმსხვილი კაცია ფრიდონი. ფართო სახე აქვს, მაღალი შუბლი და გამკრიახი თვალები. შავ უღვაშებში ჭალარა ოდნავ ემჩნევა. ხმაც ბოხი აქვს, დარბაისლური.

— რაფა ხარ, ბაბა? როგორ მიდის საქმე არიშში? — გაესაუბრა გაიოზს, ახედ-დახედა.

— კარგად, ფრიდონ. გაიოზს ცოლი მოაყავს... აქ კი არა, არიშში მიჰყავს. — ცოტა არ იყოს, ნალვლიანი ხმით აღუყა ტერეზიმ.

— ბიჭოს, გამახარე და ეს არის! ვინ არის, ბაბა, ჩვენებურია?

გაიოზმა თავი მორცხვად დაუქნია.

— კარგი, ბაბა, იბედნიერეთ, გამრავლდით!.. შენ რაო, ქალო, ცხვირპირი რომ ჩამოგტირის? არიშში მიჰყავს, აბა, სად წაიყვანს? კაცი იქ მოშაობს, იქ სახლდება. წავიდა ის დრო, ჩაკონკილი ბაღნები რომ კერიასთან კანკალებდნენ და გასაქანი არ ჰქონდათ. ახლა გზა გახსნილია. ფართოდ უნდა გავშალოთ მხრები ჩვენს ქვეყანაში, ფართოდ, ყველგან ფეხი უნდა მოვიციდოთ... ქორწილს როდის აპირებ, ბაბა? — მიუბრუნდა გაიოზს.

— ხეალ უნდა წავიდეთ, ისინიც ჩამოვლენ.

— ბიჭოს, ასე ჩქარა?! მერე-და, გაქვს, ბაბა, იქ რამე? შეგიძლია მიიღო სტუმრები?

გაიოზს ღიმილი მოერია, თავი ჩაღუნა.

— იქ რა მექნება, აქედან უნდა წავილოთ.

— პო, ბაბა, ისე გკითხე, თორემ განა არ ვიცი!.. აბა, ქალო, ტერე! შენ იცი ახლა, დატრიალდი შენებურად. ღორი დაგვლათ, ინდაურები, ქათმები... ყვე-

ლაფერი, რაც საჭიროა. სირცხვილი არ ექამოთ, რამენაირად... შენც მამაჩნარი, ბაბა, სამზარეულო თუ გაქვს მანძი, კურკლეულობა?

— რამეს მოვახერხებ, მეზობლებს გამოვართმევ.

— კარგი, ბაბა. კარგი! ზოგი აქედან გაეძღვანიოთ... ნუ გეშინია, ხელს მოგიწყობთ, დაგასახლებთ... შენ ოღონდ შრომაში თავი არ შეირცხვინო, მთავარი ეს არის ჩვენს დროში...



სალამოს გულმა განმარტოება მოსთხოვა გაიოზს, მდინარისაკენ გაჰყვა ბილიკს. ყურში აედგენა. შედგებოდა თუ არა ჩაფიქრებული გაიოზი, ყურშიც შეჩერდებოდა, გაიოზს მიაცქერდებოდა, თითქოს სურს გაიგოს, რა საგონებელი აწუხებსო ძველ მეგობარს.

თვითონაც არ იყო გაიოზი გარკვეული თავის ბუნდოვან ფიქრებში. მშობლები თავს ევლებიან, დაი და ძმები თვალში შეჰყურებენ, გაიოზი რითი გავახაროთო. მაშ რა უმიძის? რა არის ეს, ბურუსივით რომ გარს ეხვევა და გულში ნალველს აწვეთებს? არა, ეს ნალველი არ არის, რაღაცის ძიებაა, თითქოს სიტყვა ენაზე აღგას და ვერ გაუხსენებია.

მდინარის ჩქრიალი მოესმა... გაელიმა, კავკასიონის ქედს მიაპყრო თვალი. მწვერვალებზე საუცხოო კომპეხად აღმართულ ღრუბლებში ჩამავალი მზის სხივები სკვივოდა. იმ მაღლობებიდან ბარს თითქოს სითბო ეფინებოდა. ზღვის მხრიდან მონაბერი წელი ნიავი ოდნავ აგრილებდა ამ სითბოს.

და სდუმდა ირგვლივ ყველაფერი. გარინდულიყო ტოტებგამიშვლებული აღვისხეები, არ ირხეოდა.

კვლავ მდინარის ჩქრიალი მოესმა გაიოზს, ისეთი გრძნობა აღედგა, თითქოს თავისი ბავშვობა ეძახისო. სიამით გაჰყვა ამ იღუმალ ხმას, კბოღეზე გადაღვა.

ძველებურად კამკამბდნენ კრიალა მდინარეში რძისფერი ქვები, აქა-იქ მიმოფანტული, ზოგან მოგრძო, ზოგან მრგვალი.

რამდენი უთამაშვია აქ გაიოზს, რამდენი უცურავნია, რამდენჯერ ჩაუყვინთაეს და თეთრი ქვა ზევით ამოუტანია. აგერ იმ რიყეზე დასხდებოდნენ ამხანაგები, კენჭობდნენ, მერე მინდორში გაინავარდებდნენ.

„ის უზრუნველი დრო გაფრინდა, აღარ დაბრუნდება“, — ჩასჩურჩულა თითქოს ვიღაცამ.

„შუბლი შეიკრა გაიოზმა, თვლები მოკუტა, მოაქროვილ ცის დასალიერს გახედა.

— მერე რა? — შეეკამათა გაიოზი. — მე აქა ვარ, ზრდადამთავრებული, ნამდვილ ცხოვრებას ახლა ვიწყებ... მთავარი ეს კი არაა, ეს მთები, ეს ველი, ეს მდინარე, მთავარი ისაა, რასაც ადამიანი ჰქმნის, რაშიაც თავისი შრომის ნაყოფს ასახეობს...

თითქოს რაღაცა მოაგონდაო, ისე ანაზღად დაებადა გაიოზს ეს აზრი და მყისვე გაიფანტა ამ საღამოს აკვიატებულ ბუნდოვანი ფიქრი.

გამოცოცხლდა, სიმღერის გუნებაზე დადგა. ნათლად წარმოუდგა თავისი მომავალი საამქრო... კების წინაფრა ჩამოიწია, ლურჯი სათვალით იშორება ელექტროლემელში. დნობა მთავრდება... ალისფერი ნაკადი ციციხეში იღვრება, ირგვლივ ნაპერწკლების ჩქერს აფრქევებს... კმაყოფილი, შრომის მადლით გულგანათებული მიდის შინ. კარებთან დარეჯანი ეგებება თავისი ბუდეშური თვლების დიმილით... მტკვრის პირად, იქ, სადაც რიყე იყო და ჩქოლნარი, მშვენიერი ბაღია. ლამაზი ხეებითა და ყვავილებით გაჩსმემორგულ მოედანზე ბავშვები თამაშობენ...

მსუბუქად მიაბიჯებდა შინისაკენ გაიოზი. ახლა იმაზე ფიქრობდა, რომ ხვალისათვის ყველაფერი მოემარაგებინა წასაღებად, არაფერი დაეიწინოდა.

გრძნობიერი ყურშიც კარგ გუნებაზე დადგა, გაიოზს წინ გაუსწრო, ხანდახან შეჩერდებოდა, უკან მოიხედავდნენ მხეკარე, შინ გელოდებიანო, — ეუბნებოდა თითქოს გაიოზს.

•
•

თბილისის სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს. ერთად ჩაივინდნენ არიშში. გაიოზის ბინაში რომ შევიდნენ და ბარგი დაალაგეს, შინაურულად მერე გაესაუბრნენ ურთიერთს, მანამდე თავი მორიდებულად ეკირათ.

გაიოზს ამხანაგმა ამ დღისათვის მესამე ოთახი დაუთმო, ვიწროობას არა გრძნობდნენ.

მალე მამაკაცებმა ახალი ქალაქის დასათვალიერებლად გაისეირნეს. ქალები შინ დარჩნენ, მზადებას შეუდგნენ. დამხმარედ გაბო და გაიოზი ჰყავდათ. შემდეგ ამათ ვასო სიამაშვილიც მოემატა.

დედები მალე დაახლოვდნენ. მეორეჯერ რომ დარეჯანის ამბავს ჰყვებოდა, ტერეზი შეაჩერებდა ხოლმე, გაიოზს უხასიათებდა, მის ბავშვობასა და ყრმობას იგონებდა.

დარეჯანს უხერხულობას გაიოზის მიერ მიწვეული თეოლინე და ნათია უმსუბუქებდნენ.

მზიანი შუადღე იყო, ქარიც არა ჰქროდა. ღია ლურჯ ცაზე აქა-იქ ღრუბლის ფთილები მიმოფანტულიყვნენ, მზის სხივებში დნებოდნენ. ქვემო ქართლის მთებს გაზაფხულის მოლოდინი ემჩინებოდათ. თოვლი მხოლოდ ჩრდილოეთით აღმართულ მწვერვალებზე მოჩანდა.

ფრიდონი არიშში პირველად იყო, ხშირად იხედებოდა ირგვლივ, გარემოს აკვირდებოდა. ბოლოს თანამგზავრებს თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა:

— ძან თბილი ქვეყანა კი ყოფილა დალოცვილი. მხოლოდ ეს კი არ მომწონს, მთლად რომ გაშიშვლებულია აქაურობა. ერთი ცოცხალი მცენარეც კი არ

მოჩანს მთებზე და მინდვრებზე. კაცს ეგონება, ცეცხლს გადაურუჯავსო ყველაფერი.

— მასე იყო თითქმის, — სთქვა ვახტანგმა, რომელიც იმ დღეს გურიაში უნდა წასულიყო, მაგრამ გაიოხმა დასტოვა, თავის სიამარსა და მამას გამოაყოლა. — თასჯერ გადაიარა აქ მტერმა ცეცხლითა და მახვილით, გადასწვა, ააოხრა. მერე აქ ჩამოსახლებული მომთაბარე ხალხის ამბავი ზომ იცით: ოღონდ სამოვარი მიგეცა და სხვას არ დაგიღვედა.

შუა ქუჩაში მიდიოდნენ მხარიმხარ. ფრიდონი კოკლობას არ იმჩნევდა, ისე კობტად ჰქონდა წვივებზე შემოგარსული ახური წაღები; მოკლე პალტო ეცვა, თავზე თივთივის ყაბალახი ჰქონდა მეგრულად დახვეული.

ალექსის ჯარიდან მოყოლილი მახარა ჯერ კიდევ შერჩენოდა. ბოხობი ეხურა, ფართო შუბლი არ უჩანდა. ნიკაბი თითქოს დაეწროებოდა.

მიდიოდნენ, ახალ სახლებს აკვირდებოდნენ, ქუჩის პირად დარგულ ხეებს თვალთ უალერსებდნენ. სამნი იყვნენ, სამი კუთხიდან მოსულნი, მაგრამ ეს ახალი ქალაქი მათში ერთნაირ გრძნობას იწვევდა. ძველ ნაქალაქებზე, სავსებით იავარად ქმნილზე, ახალი ცხოვრება იბადებოდა, მართალია, ჯერ მოუწყობელი იყო იგი. ბევრგან მხოლოდ საშენი მასალა და ბალაერები მოჩანდა, გადანათხარი მიწა ოღროზოდროდ შეზვიინულიყო აქა-იქ, მაგრამ ისინი ნათლად ხედავდნენ, თუ რა მტკიცე საძირკველი იყო აქ დასკვნილი. შრომაში იყვნენ აღზრდილი და კარგად იცოდნენ, თუ რა შეუძლია გეგმიან შრომას, მეტადრე დღეს, როცა ამდენი მანქანა ადამიანის განკარგულებაში.

სახავხულო ბაღს ჩაუარეს, ტაფობში გაშენებულს. ძველ ვარხევებსა და მუხებზე შეაჩერეს თვალი. მაღალსვეტებიან კლუბთან შეჩერდნენ.

— ამ მინდორზე, — უხსნიდა ფრიდონსა და ალექსის აქაურობას უკვე გაცნობილი ვახტანგი, — მუდამაღმდეგობა, იქ თეატრი, პიონერთა სახლი... აგერ, კუთხეში რომ ფარდულებია, იმას სულ აიღებენ. ეს ამ უბნის საუკეთესო არე იქნება...

ვახტანგი ახალ მეგობრებს სახეზე დააკვირდა, რატომღაც მოეჩვენა, თითქო ისინი კარგად ვერ ხედავენო აქ მომხდარ აღორძინებას, ამიტომ ძველი დრო მოიგონა:

— ჩვენ, ცოტა არ იყოს, გულშავიწყობა დაგვიმდა, აღარ გვახსოვს, რა დღეში იყვნენ ჩვენი მამა-პაპები. საწყალი მამაჩემი მომიყვებოდა, ხამი პერანგი გვენატრებოდაო... სილატაკეში ბავშვები ბლომად ჩნდებოდნენ, მაგრამ ნახევარზე მეტი იხოცებოდაო... ჩემს ახალგაზრდობაში რომელიმე სოფლელი ოდას თუ წამოიწყებდა, სიბერემდე გაწყობას ვერ მოესწრებოდა... ჰოდა, ახლა ხომ ხედავთ, რა ხდება აგერ, რა ცხოვრება ექნებათ ჩვენს შვილებს!..

ალექსი და ფრიდონი თბოელექტროცენტრალიდან ამოშავალ ბოლს ადევნებდნენ თვალს; ჯერ არ ენახათ ქარხნის საამქროები, მაგრამ ნამბობიდან იცოდნენ, თუ რა უზარმაზარნი იყვნენ ისინი: ორთავე ერთნაირ განცდას შეეპყრო: შენდება, ახალი სამკაულით იმოსება მშობლიური ქვეყანა... და სხვებთან ერთად მათი სისხლი და ხორცი, მათი შვილებიც მკვიდრდებიან აქ...

მხოლოდ ვახტანგი ვერ იყო ამ მხრივ დამშვიდებული. ბევრი ელაპარაკა ვასოს, მაგრამ ვერ დაითანხმა.

— კი, მაგრამ, ბიჭო, — უთხრა ბოლოს, — დედაშენის ხათრი მაინც არა გაქვს? ნამეტანს ჯავრობს საწყალი. ხომ იცი, როგორ გასტეხა მამუკას დაკარგამ. შარტო რომ დარჩება, საცოდავად მოსთქვამს. ახლა ამოჩემებული აქვს, იგი ვოგო უნდა შევართო ჩემს ბიჭსო, ცოდვად, ამდენი ხანია ელოდებო, დედას ქალი ხელში შემოაბერდაო. წი-

ნათ ხომ მოსწონდა, ახლა რა მოუვიდაო. ჩაუფიქრდი ამას, შეილო. ოჯახის შექმნა ადვილი არაა, მეტადრე ახალ ადგილზე დამკვიდრება. მერე და მერე უფრო ვაგიძნელდება, ახლა კი, სანამ მე ძალ-ღონე შემწევს, ყველაფერი მოხერხდება, ხელს შევიწყობ, არაფერს არ მოვაკლებ.

ვასოს სახე თანდათან ეღრუბლებოდა. მამის დიდი ხატრი ჰქონდა, არ უნდოდა უარი ეთქვა მისთვის. მაგრამ ძალა არ შესწევდა; გრძნობდა, რომ ვერ მოეპოვებინა ის შინაგანი თავისუფლება, რომელიც ასეთი საქმისათვის არის საჭირო. ყველგან და ყველაფერში გულწრფელობა, ეს იყო მისი ხასიათის მთავარი თვისება.

— ცოტა კიდევ მადროვე, — უბასუხა ვასომ, — მეტისმეტად შებოჭილი ვარ... კარგი იყო, თქვენც გეგრძნოთ ეს...

გული შეუთრთოლა ვახტანგს შვილის სიტყვების სიწრფელემ, მზარზე მოხვია ხელი, დაყვავებით უთხრა:

— მერე, შეილო, მერე?

— მიკვირს, ასეთი კეთილი ადამიანია დედაჩემი, ასეთი მგრძნობიარე და ჩემს გულში რატომ ვერ ჩამოიხედა!.. მაგრამ დავანებოთ ამას თავი... ახლა მე ვადაეწყვიტე: მოკლე დროში სტალინ-გრაძში უნდა წავიდე, ბავშვი უნდა ჩამოვიყვანო...

ვახტანგი შვილს სახეზე დააცქერდა, თითქოს მასში უნდა ამოიკითხოს იმ ახალი გრძნობის შინაარსი, რომელიც იმ წამს მის არსებაში იბადებოდა; რაღაცა ემატებოდა, მდიდრდებოდა. თანაც იმ ახალგაზრდა ქალის სიახლოვე იგრძნო, რომელიც მისთვის აქამდე რეალურად თითქმის არსებობდა, შორეული ზღაპრის გმირსა ჰგავდა. იგრძნო და შვილის მწუხარებას ჩასწვდა.

— მერე და, რაღას უყურებ, შეილო? წადი ბარემ და ჩამოიყვანე, ახლა გაქვს დრო, თორემ მერე, შენი საამქრო რომ ამუშავდება, ველარ მოიცილი.

ვასოს ეამა მამის ეს თანაზიარობა, გაუღიმა.

— ამ დღეებში წავალ, მამა, შევბულებას ტარიელი მომიხერხებს...

ამაზე შეთანხმდნენ. მაგრამ ახლა, როცა ფრიდონი და ალექსი ცხადად ხედავდნენ თავიანთი შვილების ბედობალს, ვახტანგისათვის ჯერ გარკვეული არ იყო, თუ როგორ დამკვიდრდებოდა აქ ვასო.



მამი სტანდარტული სახლის ქვედა სართულში, მალაზიის გვერდით იყო მოთავსებული დროებით. აქ მოაწერეს ხელი გაიოზმა და დარეჯანმა. შინ რომ დაბრუნდნენ, თეოლინემ მეზობლის ჩვილი ბავშვი, არიში დაბადებული, ნათიას მოაყვანიდა და ძველი ჩვეულებისამებრ კალთაში ჩაუგორა დარეჯანს. მეფე-დედოფალს სახე წამოუწითლდათ, ხოლო სხვებმა გულიანად გაიცინეს.

მელანომ და ტერეზიმ თავიანთ შვილებში, ხელმოწერილი რომ დაბრუნდნენ, რაღაც ახალი აღმოაჩინეს, ისეთ ბრწყინვალეებას მოჰკრეს თვალი, რაც, ალბათ, მათ ოცნებაში ღვივოდა დღემდე და ახლა უცებ აენთო.

„შემოგველოთ დედაი, შვილებო!“ — ამბობდა გუნებაში მელანო და სიძე-ქალიშვილს შეჰხაროდა. ტერეზისაც ქერა სახე და ცისფერი თვალები უღიმოდა, ხშირად იმეორებდა თავისთვის: „იბედნიერეთ, ჩემო გამხარებლებო!“

გვიან დასხდნენ. თამადაობა ტარიელ ბარევილიძეს შესთავაზეს. ყველამ იცოდა, რომ იგი უფროსი იყო, ხელმძღვანელი, მაგრამ ტარიელს რაღაც ისეთი თვისება ჰქონდა, რომლითაც ხელმძღვანელის სიღარბისსლესაც ინარჩუნებდა და ყველა ახლობელზე უფრო ახლობელიც იყო.

ადგა.

აი, თავისი შვილის სწორედ ასეთი გამომეტყველება უყვარდა თეოდინეს: კეთილი, აზრიანი.

— ჩვენთვის, არიშის მკვიდრთათვის, — დაიწყო ტარიელმა, — ამ ქორწილს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დიდ მშენებლობასთან ერთად აქ დიდი ცხოვრება მკვიდრდება, კომუნისტური საზოგადოება იქმნება. ესენი უმთავრესად ახალი კადრები არიან, ლენინურ-სტალინურ კომკავშირში დავაყვებულნი. ამიტომ თამაძობა აგერ, ამ ჩემს მეგობარს (კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანს მიხედა) ეკუთვნის.

ეს ისეთი ტონით იყო თქმული, რომ მყისვე ყველანი დაეთანხმნენ.

მრავალი სადღეგრძელო ითქვა, სიმღერაშიაც ერთმანეთს ხმები შეუწყვეს. განსაკუთრებით ვახტანგი და ვასო აღმოჩნდნენ კარგი მომღერლები. ამიტომ სხვას არ შეუშინებია, მხოლოდ ვახტანგი გრძნობდა, რომ ვასოს ხმასი გული არა მღეროდა.

— კიდევ ერთი სადღეგრძელო, — დაიწყო თამაძამ, — ჩვენ უკვე არიშის მკვიდრნი ვართ, მაგრამ ჯერჯერობით აქაურები ერთმანეთთან საკმაოდ დაახლოებული არა ვართ. საქართველოს ყველა კუთხიდან ვართ აქ თავმოყრილი, ახალი საზოგადოება აქ ახლა ყალიბდება... მოდით, შევსვათ არიშში დაბადებულთა სადღეგრძელო. გაივლის ოციოდე წელი, ჩვენ თმა შეგვეჭირბლება, ისინი კი სიჭაბუკეში შედგამენ ფეხს, თან-შურდილი იქნებიან... დარეჯანისა და გაიოზ დარეჯანისა შვილებს გაუმარჯოს! ყველანი შეზარხოშებულნი იყვნენ, გულანთებულნი. ამ სადღეგრძელოში მარადი სიცოცხლის შეუქი იხილეს, კიდევ უფრო აეგზნენ, სომღერა დასჭექეს.

— აგერ, აგერ! ქორწილია არიშში, ქორწილი! — წამოიძახა თამაძამ.

აგერ წამოდგა დარეჯანის მამა, ალექსი. სასმისი ასწია.

— ძმებო! — დაიწყო მღელვარე ხმით. მაღალსაყელოიან შალის ხალათში ახალგაზრდა მოჩანდა. წამოგხნებულ საბეზე ნაოკი არ აჩნდა. ფართო შუბლზე თმა ჩამოშლოდა. — რაკი ამ ბედნიერ დღეს მოვესწარ, ერთი უნდა მოვიგონო... ჩრდილოეთ-კავკასიაში ვიყავი, ფრონტზე. ორმოცდა ორი წელი იყო. სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩავებით... მაშინ, მახსოვს, გამოვხედავდი ხოლმე კავკასიონსა და... შორს, ძალიან შორს, ლანდივით ვხედავდი ჩემ ცოლ-შვილს. არ ვიცოდი, მივაღწევდი თუ არა მათთან. ბევრი ჩემი ამხანაგი დაეცა, მეც ყოველდღე სიკვდილი მელოდა... მაგრამ ჩვენს ქვეყანას რომ მტერი ვერ მოსპობდა, ეს კი ურყევად მწამდა. ჩემი შვილებიც არ დაიღუპებიან-მეთქი, ვფიქრობდი მაშინ, ჩვენი ხალხი გზას უჩვენებს-მეთქი... ახლა, ხედავთ, სანამდის მოვედი! ამ ახალ ცხოვრებას გადავეზარდე, აქაც ვიდგამ ფეხებს!...

— გენაცვალე, ძმაო! კაცი ყოფილხარ ქვეყანაზე! — წამოიძახა ფრიდონ დარჯანამ, წამოხტა, ალექსისთან მიიჭრა, მოეხვია, აკოცა.

გაბო ელოშვილმა ფანდურს ჩამოჰკრა.

— საცეკვაო! — ბრძანა თამაძამ. ტაში ააწყვეს.

დარეჯანსა და გაიოზს არ უპატივნიათ, ოთახის ვიწრო არეზე გამოვიდნენ. პირთეთრ დარეჯანს დაწვებზე მაისის ვარდი გაფურჩქვნოდა, ბუღმურის თვალები უელვარებდა: დინჯად ცეკვავდა, მაინც თითქო ფეხებით იატაკს არ ეხებოდა, ლაღად მიმოსცურავდა, გეგონებოდათ, პირთამდე საესე ფიალა მოძრაობს, ერთი წვეთი კი არ იღვრებოდა.

მზარგაშლილად მიჰყვებოდა ტანადი გაიოზი და მთელი თავისი არსებით ცხადყოფდა, რომ ეს მარტოოდენ როკვა როდი იყო, არა, მასში მზეგრძელი სიყვარული ზეიმობდა, ახალ ფუძეზე დამკვიდრებული სიყვარული.

სიმონ ჩიქოვანი

ნიმნიდან ქართლის გზაზე

★

ოცდაბარტი დეკემბერი

თითქოს მქონდეს მუხლი შველის,
ერთი ფიქრით მიეჭრი ატენს,
კუთხეს ბრძენის სიყრმე შვენის
და ატმისფრად ფანტავს ნათელს.

როგორც ქვევრში ძველი ღვინო,
გულში ჩაღვა გრძნობა წრფელი.
შენ გიგალობს, გამირთავმითო,
საქართველოს ლერწმის ყელი.

თითქოს თვალწინ ელავს კალო,
თითქოს ებოვე ხორბლის ხეავი.
ჩანს ციხესთან მცირე წყარო,
ცხარე მზე და მთაზე ცხვარი.

მთები, როგორც გუთნეული,
შორით მოდის ნელი ბიჯით.
ატენის გზას შერეული,
მთად მღეროდა უცხო ბიჭი.

ყრმას სიმღერა მთაშიც უთქვამს,
მზე უფენდა ოქროს ქეჩას.
ახლა მხარე შევებით სუნთქავს
და წარსულის ეშხიც შერჩა.

სიტყვა მინდა ვითხრა ბეერი,
ყურს მიეუგდებ ხალხის შრიალს,
წყარო ქუხს თუ გახსნეს ქვევრი,
ყოველ ჰერქვეშ სუფრას შლიან.



მეც ატენში ტოლებს ვუხმე,
სად ძველი ქვით სითბო ჟონავს.
ქართლის ერთი ტურფა კუთხე,
უთვალავ გულს ერთად ჰკონავს

და მიუძღვნის შორით ბელადს.
დეკემბრის თვე ნათელს გვმატებს.
შენ მზის სითბო მიეც ყველას
და შენი მზე ადგას ატენს.

შენც პატარა ქართლის კუთხეც,
მარგე შენი მთების ჩრდილი.
მთელ კავშირში შენ მცირე ხარ,
მაინც ყველგან გიძევს წალი.

შენი შარაც შედის გორში,
მუდამ ჰყვავი, არ ხუნდები.
სიტურფე ხარ სამშობლოში
და დეკემბრით ზაფხულდები.

მიგობრის ნაამბობი



ატენში მყავს მასპინძელი,
ოშში დაჰყო სამი წელი.
შემდეგ შრომას მიჰყო ხელი,
გახდა, გამრჯე და ფიცხელი.

გულადი და ენამკვეერი
მწუხრზე სწმენდავს სუფრის მარანს.
დეკემბრის დღით სტუმარს ელის
თავმოხსნილ ქვეერს ჩალით ფარავს.

სურს, ბაასში სკამოს პური,
სთქვას, ამბავი ბრძოლის ველის.
და თასივით სავსე გულით
ადღევგრძელოს ხალხის მხსნელი.

ამბობს, უყვარს ყველა მხარე,
სითბოც ახსოვს ქართულ კერის.
ბრძენს შეჰხარის შინ და გარეთ
ქვისმთლელიც და პურისმკელიც.



შრომას მისცა შნო და ფერი,
მზეკაცია თუ მზის ცალი.
მოგვიხმო და მოვსპეთ მტერი,
არ შემცდარა სარდლის თვალი.

მეც ღუშმანი ბევრი ვხოცე,
დამკრეს და ძმებს შეელა ვთხოვე.
მისი სიტყვა ფურცლით მომცეს,
შიგ მკურნალი წყარო ვბოვე.

მიცხადებდა მეც მადლობას,
რომ მტრის ტანკზე ვგლეჯდი ჯავშანს.
რომ ბრძოლაში შემრჩა გრძნობა,
რაც შრომაში მქონდა შარშან.

მზრუნველი ხმა გულში ჩამწვდა,
მომიშუშდა მკერდზე კრილი.
ფეხზე დაედევ, ღამის ნაცვლად,
თავს დამადგა ბრძენის ჩრდილი.

მერმე დამაქვს გულის ჯიბით,
ის მადლობა და ცეცხლს მმატებს.
მთად ავყავარ თითქოს კიბით
და სანთელს ჰფენს ტურფა ატენს.

ბელადის ხმას მთაში ვისმენ
ვაზს ეუვლი თუ ვსინჯავ ტაროს.
ჩაგვივლიდეს გზად როდისმე,
დღეს შევნატრი სანეტაროს.

ვარდს დაეყრიდით მწვანე ქედით,
სად მეცხვარის თვალი ლალობს.
მადლიერს გულს ვუჩვენებდი,
ვუჩვენებდი შრომის ნაყოფს.

და ვეტყოდი, ჰყვავის გულში
შენ მადლობა რომ მაკუთვნე,
მზად მიგულე ყოველ წუთში,
მზად იგულე მთელი კუთხე.

მწამს სიამე, ბრძენის თვალში
ფრთას გაშლიდა მზის ფერებით
და ჩამომსხდარს წუთით ზეარში
მადლიერ ხმით ვუმღერებდით.



ბელადის სიყრმის მებობრები
ატენის ხეობაში



შენმა სიბრძნემ, ხალხის გარჯამ,
ატენის შთაც მორთო დართო,
სადაც თურმე წინათ დაგრჩა,
სიყრმის ოთხი მეგობარი.

ოთხი მოძმე ატენის შთით,
ახლაც რთველზე დასცქერს ვაზებს.
შორს ეშვება თხელი ბინდი
და ოთხივე სხდება ქვაზე.

მთი მღერა ხიბლავს ქედანს,
გულს უთრთოლებს ბატკანს თოთოს.
მეგობრები კლდეზე სხედან,
ქვაზე შლიან ვაზის ფოთოლს.

გაჰყურებენ მთელ ხეობას
ქარვისფერს და შრომიით მქუხარს.
ოთხივე ჰგავს ძველ მეომარს
და ღრმა ფესვით დადგმულ მუხას.

ერთი შენს ხმას აღმასს უქებს,
სამი გულით ეტყვის, შაბაშს!
შენს სიბრძნეს და სიჭაბუკეს
და სიყრმის ქამს ლახტის თამაშს.

წარსული დრო, სიყრმის მოწმე,
გულს ვაზივით ეკონება,
კლდეზე მღერის ოთხი მოძმე,
როგორც ოთხი მოგონება.

აგონდებათ ყურძნის კრეფა,
შთის კალთაზე პურის კალოც,
ატენი ჰგავს ზღაპრულ სეფას
და შენს ხმაზე მთები გალობს.

იმ პირველ ხმის პოვნა გვინდა,
შენ რომ ჩაწვდი ხალხურ კილოს.
სიყრმის ქამი გადმოფრინდა,
ოთხი გულიც ფრენას ცდილობს.



ატენის გზით გაგივლია,
პეშვით გისევამს წყაროს წყალი.
ყურს უგდებდი კაკლის შრიალს,
ქართლის ყმავ და დიდო სტალინ.

კოლმეურნე მაღალ ოდით,
შენ გიგალობს წრფელზე-წრფელი.
მთაში დგება შემოდგომით
თაფლის თვე და ყურძნის რთველი.

მზემ გაფინა ოქროს ნოხი,
ფოთოლზე დევს დოლის პური.
მოგონება მღერის ოთხი
და მთით ყვავის ოთხი გული.

გ ზ ა ზ ე



გზა თანდათან იკლავება მთებში,
მთით რამდენი შეკუმშული სოფელია.
თითქოს ჰაერს მოიშხეფებ პეშვით,
ატმის სუნით რომ ხეობას მოჰფენია.

ეშვებოდა მთის ჩრდილი თუ ლანდი,
მზემ ხეობა, როგორც თვალი ამოწმინდა.
გზა შეიმკო დღევანდელი მადლით
და შენობა გზის დასასრულს წამოფრინდა.

მე ვიფიქრე, ვინ ააწყო აგრე,
რთველის ქამი მთის კალთაზე დააცურა.
ეს ხეობა გამოკვეთა ცალკე
და ხეობა ძველი ძეგლით დაასრულა.

ვეხოტბები მე მშრომელთა საქმეს,
გამრჯე მკლავი ამ ხეობას ამშვენებდა.
წრფელი გულით ვადიდებ და ვაქებ,
ვინც ქვეყანას აშენებს და აშენებდა.

კაკლის რტოზე მთის ფრინველი წივის,
შორს ელვარე თრიალეთის ქედებია,
მას შეღებავს ჩამავალ მზის სხივი.
და სარკმლებში მოფარფატე მტრედებია.



მყუდროება ეპარება ატენს,
დაიწყება კაკლისხეთა შეტოკება.
ელსადგური მაშინ ანთებს სანთელს,
ჩამავალ მზეს აჩერებს და ეტოკება.

— . —

მგზავრული



ხეობაში მივდიოდი მგზავრი,
ატენიდან გასვლა მსურდა თრიალეთთან.
თრიალეთით ეშვებოდა ცხვარი
და ვიწროში ყაჭის დარად შრიალებდა.

კაკლის ხეებს გაეშალათ ლაღად
თემშარაზე დარხეული ჩეროები,
ხის ფურცლები ფრიალებდნენ მაღლა,
უფრო მაღლა მიფრინავდნენ წეროები.

მივეწიე შეილიშვილს და პაპას,
ოქრო ბავშვი ხეობაში რამდენია,
ცხვარი მთიდან ეშვებოდა სწრაფად, —
სადგომამდე მიელწია გამთენია.

პაპა ფრთხილად გზას უკვლევდა ბაღიშს,
მეც ორივე ორდობემდე მივაცილე.
პაპა ბავშვთან ხალისობდა მთაში,
რომ მეორედ განეცადა სიყმაწვილე.

კაკლის ხეებს გაეშალათ ლაღად,
თემშარაზე დარხეული ჩეროები.
ხის ფურცლები ფრიალებდნენ მაღლა,
უფრო მაღლა მიფრინავდნენ წეროები.



რ თ ვ ე ლ ი



მთის კალთაზე ყურძნის რთველი მიბოვნიან,
სადაც ზვარი ჩამავალ მზით ღვივის.
მეგობარო, სამშობლოსთვის გიშრომნია,
მდინარე ქუხს თუ ქარხანა ღვინის.



მე მამღერებს ამ ხეობის სილამაზე,
შაგნით ვდგევარ თუ ვიგონებ შორით.
ხორბლის ხეავი კოლმეურნის აივანზე
ვენახი და წყლის ნაპირი ორი.

ბუმბულია თუ ღრუბლების ნაფლეთები,
თუ ფოთლების ხმებს მივაპყარ ყური.
მიფიქრია, აწ არასდროს დაებერდები,
რადგან შრომით ვაჭაშნიკე გული.

სიმწიფეში შევედი თუ ხეობაში,
შემოდგომა შეპარვია ვაზებს.
ხეობაში შევედი თუ შენობაში,
სიყმაწვილე ეგებ შემხედეს გზაზე.

თავმჯდომარემ შემომძახა გამარჯვება,
ვენახებში თვალი ძლება რთველით.
კიდევ გველის დუღილი და დამაპურება,
სიქაბუკე კიდევ ბევრჯერ გველის.

ბაგემ ღვინო, თვალმა წყალი თუ დალია,
ნუ დავეძებთ მთაში შესულს ნათელს.
შრომელ ვაკეაც სტუმრის მოსვლა უხარია,
როგორც რთველი უხარია ატენს.

ხეობაში კომუნისმის გზა ვიპოვე,
ვიპოვე ბალი და მრავალი ზეარი.
ვიმღერე და ატენი ვერ მივატოვე,
სილამაზეს ვერ მოვწყვიტე თვალი.

ატენის ხეობაში თქმული სიმღერა ბელადზე

★

შენი გორი გიმზერს შორით,
შენ ატენის კუთხე გიმზერს,
ცის ქვეშ არვინ არ გყავს ტოლი
და მზედ დგეხარ კრემლის ქიმზე.

შენს ხის აკვანს გორი ფუთნის,
აკენის სითბო მკერდში უდევს.
თუმც ყველა ხალხს შენ ეკუთვნი,
მიანც სხვა ხმა შერჩა ბუღეს.

ოქროს ყელით მხარე გიმღერს,
 ხმას გიგზავნის ფუძისმიერს,
 ჩაწედი ხალხის სულის სიღრმეს
 და მამულის მტერი სძლიე.

წყაროს დარი გული დაგაქვს,
 ელვას გიგავს თვალი მჭრელი.
 შენ გიგალობთ და არეინ გვყავს
 ცის ქვეშ შენზე საყვარელი.

შენ ვენახში გმირი იხმე,
 დაიხუნძა მტევნით ზვარი.
 სადაც განვლო შენმა სიყრმემ,
 იქ კიღია ქვეყნის კარი.

როს მშრომელი გაშლის კალობს,
 ან მარანთან სწურაეს ყურძენს.
 იქ ზომ შენი თვალიც ხარობს
 და კომუნისზმს უყრის ფუძეს.

ყველა კუთხის ხალხი გიმღერს,
 ადგას შენი სიბრძნის ჩერო.
 შენს კერას და გორის ციხეს
 თავს დახარის საქართველო.

გულს გიგზავნით თითო-თითოდ,
 შრომით ვუხმობთ მთებს და ველებს.
 სტალინ, ბრძენო ქეშმარიტო,
 დიდხანს, დიდხანს იდღეგრძელებ.

მზე არგუნე მთას და ველებს,
 გზა გაკაფე თვალზე სწორი,
 გულს გიგზავნის, ხალხის მხსნელი,
 ატენი და შენი გორი.

დავით ბაქრაძე

გ მ ი რ თ ა ს ი ს ს ლ ი თ

წიგნი მეორე

★

I

პატარა სოფელი კანტოპი უღრან ტყეშია ჩაკარგული. გერმანელების მოთარეშე რაზმებს მაინც ვერ გადაურჩა იგი: დასწვეს, გადაბუგეს. მოსახლეობა ტყეში გაიხიზნა. როგორც კი გაიგეს კანტოპელებმა, სოფელში პარტიზანები შემოვიდნენ, — დასტოვეს ტყე და თავის გაპარტახებულ კერას მიაშურეს. სოფელში დაბრუნდნენ.

აგერ მოხუცი გლეხი მოუახლოვდა პარტიზანული შენაერთის შტაბს, მოგვესალმა და იმავე წუთს დაიწყო:

— ძალზე სასიხარულო ამბავია შემოაღწია ტყეში: გერმანელები თავქედმოგლეჯილი მირბიანო. შითხართ, ძმებო, შვილებო, გამახარეთ, მოთმინება აღარა მყოფნის...

— ეგ მართალი ამბავია, მაგრამ ამ ტყეში ვინ გაგაგებინათ, საიდან შეიტყუეთ? — შევეკითხე გლეხს.

— კაცი ვაგვზავნეთ ტყიდან ოლეგსკში და იმან მოიტანა ამბავი: რკინიგზის სადგური ეშელონებით არის გაჭედილიო. იქ თურმე ძალი პატრონს ვეღარა სცნობს, გერმანელები ბარგ-ბარხანას ჰკრავენ, გარბიან და ახალგაზრდობასაც თურმე თან მიერეკებიან...

მოხუცი მართალს ამბობდა წითელი არმიის მიერ წელში გატეხილი გერმანელების არმია იმხანად ფრთიმეორეზე

სტოვებდა სოფლებს, ქალაქებს და საჩქაროდ უკან იხევდა.

— იმასაც ამბობენ, — განმარტა გლეხმა, — მტრის ჯარი ერთობ ავიწროებს მოსახლეობას, ართმევს სარჩო-საბადებელს. უკანასკნელ კოჭის ძაფსაც კი არ უტოვებსო.

— ესეც მართალია, მაგრამ, განა ეს იხსნის გერმანელებს? განა ეს უშველის მათს წაგებულ საქმეს? — დაურთო სიტყვა ამ საუბრის დამსწრე პარტიზანმა.

— დამარცხებული, შერცხენილი და უკან გაქცეული მტერი ცოფიან მგელზე უარესია, ის ყოველგვარ სისაძაგლეს ჩაიდნის, — სთქვა მეორემ.

დღის სამი საათი იქნებოდა, შტაბში მეთაურებით გარშემორტყმული კოვბაკი მაგიდაზე გაშლილ რუკას დასცქეროდა და ხმადაბლა ამბობდა:

— კოროსტენ-ოვროჩიცი აგერაა; ეს ხომ დიდი საკვანძო სადგურებია; ამემად მტერი ამ სადგურებს უახლოვდება. გერმანელები უკან გამოქცევაში უმაღლეს რეკორდს ამყარებენ, კი არ მოდიან, მოფრინავენ, სჩანს სულ რამდენსამე დღეში ოლეგსკში გაჩნდებიან! კოვბაკს სიტყვა არ დაემთავრებინა, როცა შტაბში გუშავმა მოიბრინა, მოხუცს ხელი აუღო და მოახსენა: „ეს-ეს

არის ოლევსკის პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელის ფედჩუკის მიერ გამოგზავნილი შიკრიკები მოვიდნენ, თქვენი ნახვა უნდათო“.

— სთხოვეთ! — რუკაზე თვალმოუცილებლად ჩაილაპარაკა მოხუცმა.

მე თავის დროზე აღენიშნე, რომ ოლევსკის რაიონში ადგილობრივი პარტიზანული რაზმი მოქმედებდა, ამ რაზმს ფედჩუკი მეთაურობდა. ფედჩუკს მუდამ მტკიცე კავშირი ჰქონდა ჩვენთან.

ხუთი შეიარაღებული პარტიზანი კოვპაკის წინ გამოიქიმა.

— ამხანაგო უფროსო! ნება მოგვეცი თუ ფედჩუკის დავალებით შემდეგი მოგახსენოთ, — წამოიწყო მაღალმა, გამხდარმა შიკრიკმა, — დაბა ოლევსკში მტრის გარნიზონის თავხედობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება. მტერი უმოწყალოდ და შეუბრალებლად არბევს ოლევსკის ირგვლივ მდებარე სოფლებს. სასოწარკვეთილი, დამფრთხალი მოსახლეობა სტოვებს ყველაფერს და ტყეში გარბის. ოლევსკში ფრონტიდან გამოქცეული მტრის სულ ახალ-ახალი ნაწილები მოდიან. სადგურის ჩიხებსა და სამარქაფო ხაზებში მტრის ეშელონებია ჩამდგარი. ერთ მტკაველ ცარიელ ადგილსაც კი ვერსად იპოვით. და აი, აბლა, ფედჩუკი ვთხოვთ მოეშველოთ ოლევსკს, იხსნათ მოსახლეობა განადგურებისაგან, ალაგმოთ გათავებულნი მტერი!

როგორც კი შიკრიკმა სიტყვა დაასრულა, მოხუცს ფედჩუკის ბარათი გადასცა. კოვპაკი ბარათს დიდხანს დასცქეროდა, სჩანდა რამდენჯერმე გადაიკითხა, ბოლოს ბარათი გვერდზე გადასდო და აუჩქარებლად შეეკითხა შიკრიკს:

— თუ იცით, ბევრი ეშელონი წავიდა დასავლეთისაკენ?

— ერთიმეორეს მისდევდნენ, მხოლოდ ძარცვა-გლეჯის მიზნით თუ შეაჩერებენ ზოლმე მატარებელს სადგურებზე!

— შემოდგომის ბუჩებზე, სიკვდილის წინ მწარედ იკბინებდნენ! — სიტყვა კოვპაკმა. — აქ საკვირველი არაფერი არ არის!

შიკრიკების ნაამბობის შესამოწმებლად კოვპაკმა ოლევსკში მზვერაეები გაგზავნა, რამდენიმე დღის შემდეგ მზვერაეები დაბრუნდნენ და შიკრიკების ნაამბობი მთლიანად დაადასტურეს.

— ოლევსკი უნდა ვიხსნათ, დაუყოვნებლივ უნდა მივეშველოთ! — სიტყვა მოხუცმა:

გაჩაღდა სამზადისი ოლევსკზე იერიშის მისატანად; კოვპაკმა პირველ რიგში ხრუშჩევს რადიოგრაფა გაუგზავნა, ოლევსკის გარნიზონზე თავდასხმა შეუთანხმა; ნიკიტა სერგეის-ძემ დაუდასტურა კოვპაკს ეს ოპერაცია, ნება დართო და თანაც მიუთითა: გაუფრთხილდი ცოცხალ ძალასო. მართლაც, ხუმრობა როდი იყო მტრის რეგულარულ ნაწილებთან შებრძოლება! ამ სერიოზულ მომენტს თვითონ მოხუციც სათანადო ანგარიშს უწყევდა.

— დავით, შენ შენი ასეულით ჯერჯერობით ადგილზე დარჩი და დაელოდე მოსკოვიდან გამოძახებული თვითმფრინავის მოსვლას. ზომ იცი, საომარი მასალისა და სამხედრო საჭურვლის მიღებაა მოსალოდნელი, მიიღებ თუ არა დაკვეთილ მასალას, დასტოვე კანატოპი და სოფელ საბიჩინში გამოეშურე. ოლევსკის ოპერაციების დაბოლოებაში მოგვეშველები! — ასე მომმართა ოლევსკზე გასალაშქრებლად გამზადების წინ კოვპაკმა.

დაძაბული დღეები იყო. დამარცხებული მტრის ნაწილები უკვე ბელორუსიის ტერიტორიისაკენ მოიწვედნენ, გერმანიისაკენ მიეშურებოდნენ.

პარტიზანული შენაერთი მოიხსნა ადგილიდან და ოლევსკის მიმართულეობით წავიდა. მხოლოდ მე დავრჩი ადგილზე. დაცარიელდა კანატოპის ტერიტორია. ძლიერ განვიცდიდი მარტოობას. მოთმინება არ მყოფნიდა, მინდოდა

მალე გამოჩენილიყო თვითმფრინავი, ძლიერ მწაფდა ჩვენებთან ერთად ოლევის ბრძოლებში მიმდლო მონაწილეობა. ხანგრძლივი დასვენების შემდეგ ჩემი მებრძოლები კარგად გრძობდნენ თავს და მტერზე შეტევისათვის მზად იყვნენ. დასტოვა თუ არა შენაერთმა კანატობი, ცისქვეშ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა პარტიზანების მიერ აგებულ კოხტა მიწურებში დასახლდა. გლეხები ისე კმაყოფილი იყვნენ ახალი ბინებით, თითქოს დიდ კეთილ-მოწყობილ სასტუმროებში მოწყობილიყვნენ.

— ზამთარს ახლა უშიშრად შევხვდებით! — ამბობდნენ ახალ სადგომებში დაბინავებული ლტოლვილები.

კანატობში აეროდრომი არ იყო, თვითმფრინავი ძირს ვერ დაეშვებოდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ საომარ მასალას, საბრძოლო საჭურველს ძირს პარაშუტებით ჩამოუშვებდნენ. ყოველი შემთხვევისათვის მაგარი თავდაცვა მოვაწყვე, სოფლის ირგვლივ რჩეული და ნაცადი გუშაგები დავაყენე. იმედიანად ვიყავი, ვიცოდი, რომ ჩვენგან ცოტა დაშორებით ბეგმას პარტიზანული რაზმი იდგა, ამიტომ კანატობში მტრის შემოჭრა არც ისე ადვილ საქმედ მიმაჩნდა.

პირველ დამეს დაძაბული ყურადღებით ველოდით თვითმფრინავის მოსვლას. შუა ტყეში, ერთ მოტიტვლებულ მინდორზე კოცონი გავაჩაღეთ. სულ ცისკენ ვიციქირებოდით, ვუცდიდით თვითმფრინავის მოახლოების პირველ ნიშანს, დროდადრო შავი ღრუბლებით მოკლპრული ცის შორეულ პორიზონტზე გაურკვეველი ზუზუნი გაისმოდა. „თვითმფრინავია!“ — წამოიძახებდნენ ბიჭები, მაგრამ შემდეგ ზუზუნი თანდათან მინელდებოდა და აღარ ისმოდა. ამ მოლოდინში გვატარებთ მთელი დამე. მეორე დღეს რადიოგრამით კოვბაკს ვაცნობე, რომ თვითმფრინავი არ გამოჩნდა და მოველი მის შემდგომ განკარგულებას.

— დაელოდე, მომავალ დამეს უსათუოდ გამოჩნდება, სანამდე თვითმფრინავს არ მიიღებ, ადგილიდან არ დაშორა! — იყო მოხუცის პასუხი.

ბიჭები გავამხნევე, ძვირფას სიგარეტებს დავბირდი, ვინც პირველად თვითმფრინავის მოახლოებას შეამჩნევდა.

მეორე დღეს პარტიზანებს სამხედრო ვარჯიში დავაწყებინე. საკმაოდ ვივარჯიშეთ და გავერთეთ. ნაშუადღევს ჩემი ბიჭები დახვერავიდან დაბრუნდნენ. თან ბელორუსელი პარტიზანები მოიყვანეს. სტუმრები თბილად მივიღეთ, სიგარებითა და საღილით გავუმასპინძლდით.

სტუმრები ოლევისკის რაიონში შექმნილი ვითარების კურსში იყვნენ. მტრის სულიერ და ზნეობრივ დაცემასე და უწყესრიგოდ უკან დახვევაზედაც ბევრი რამ გვიამბეს.

— ალბათ გეცოდინებათ, რომ ჩვენებმა კიევი აიღეს, — გვახარეს მათ. მაგრამ ჩვენ ეს სასიხარულო ამბავი უკვე ვიცოდით.

— მტერი საბოლოოდ გავტეხეთ წელში, — გაბრწყინებულნი თვალებითა და აღფრთოვანებული სმით წარმოსთქვა ხანდაზმულმა ბელორუსმა პარტიზანმა, — და მერე დაუმატა, — ახ, ნეტავ მეც იქ ვყოფილიყავ!

— ჩანს, გული გწყდება, მეგობარო, რომ კიევის ბრძოლებში ვერ მიიღე მონაწილეობა! — ვუთხარი მას.

— მაშ, გული მწყდება და მერე როგორ!

— ნუ იღარდებ, მშობილო, საქმე კიდევ ბევრია გასაკეთებელი: ბერლინის ბრძოლები ზომ წინ გვიძეეს, იქ მიიღებ მონაწილეობას!

— ოხ! ერთი მაგას მოვესწრებოდე! — ისეთი ოცნებითა და გატაცებით წარმოსთქვა პარტიზანმა, რომ ცხადად ვივარჯინე: ეს კაცი უყოყმანოდ შესწირავდა თავს სამშობლოს თავისუფლების წმინდა საქმეს.

ამ საუბრის დროს შევამჩნიე, რომ ერთი ბელორუსელი პარტიზანი დაეინებოთ მიცქერდა და თანაც ჩემი ასეულის პარტიზანს რაღაცას ეჩურჩულებოდა.

— ქართველია, — ოდნავ გასაგონად უპასუხა მეტრძოლმა. ბელორუსი პარტიზანი ზეზე წამოდგა და მორიდებულად შემეკითხა:

— ქართველი ხართ, ამხანაგო უფროსო!

დავუდასტურე, ქართველი ვარმეთქი.

— ჩვენს რაზმშიც გვეყავს ქართველები, სახელოვანი ვაჟაკები, განთქმული მეთორები არიან. რომ იცოდნენ თქვენი აქ ყოფნა, ახლავე აქ გაჩინდებოდნენ!

— ვინ არიან, გვარები თუ იცით მათი?

— როგორ არ ვიცი, ახლავე მოგახსენებთ, ორის გვაჩი კარგად მახსოვს, დანარჩენების შესახებ მოვიგონო. ერთი მათგანი თენგიზ შევგულიძეა და მეორე დიმიტრი იოსელიანი!

გამეღიმა.

— ხომ არ იცნობთ მათ? — შემეკითხა პარტიზანი.

— არა, — უპასუხე — მხოლოდ ნაცნობი გვარებია!

ბელორუსი პარტიზანი განაგრძობდა:

— თენგიზ შევგულიძემ დიდი ამაგი დასდო ჩვენს რაზმს, მან ლიანდაგიდან მატარებლების გადასაყვანი ისარი გამოიგონა. დიდის წარმატებით ვიყენებთ დღეს ამ ისრებს. ამ ისრების დამზადება კოლმეურნეობის ყველა სამკვლელოში შეიძლება: ძალიან მარტივია, უშიშარ ადგილას, დამით, ტყეში, ლიანდაგს ისარს გაუყუებთ, მატარებელი ხაზს ასცდება და იმსხვრევა. ეს ოპერაცია მუდამ მატარებლის კატასტროფით ბოლოვდება. ამ საქმეს პირადად შევგულიძე ხელმძღვანელობს. მახსოვს ისრის გამოყენების პირველი შემთხვევა: ახლადგამოგონებული ისრით შევგულიძე შტაბში გამოცხადდა და შტაბის უფროსს

ისრის დეტალებზე ესაუბრა, თან დასძინა: — ამ ისრით პირველმა მატარებელმა ამაღამ მე თვითონვე შევტარებინება დამრთეთ ორი პარტიზანის თანხლებით განზრახვა სისრულეში მოვიყვანო.

მიიღო ნებართვა და პარტიზანებთან ერთად რკინიგზის მიმართულებით ტყეში წავიდა. შევგულიძემ ამ ისრით დიდი წარმატებით გადაადგო ლიანდაგიდან მატარებელი. გაქანებული მატარებელი ლიანდაგზე დაგებულ ისარს გაპყვა, მთავარ ლიანდაგს ასცდა, ტყეში მზუღლით შეიჭრა და ნამსხვრევებად იქცა!

— ალბათ გაცოფდებოდნენ გერმანელები? — ეკითხები პარტიზანს.

— ჰკუთა კინაღამ დაჰკარგეს, გლეხები სოფლებიდან გამოირეკეს და კვლევამიება დაიწყეს. გლეხებმა მტკიცე უარი დაარტყეს, ამ შემთხვევის არა ვიცით რაო. სხვათა შორის გერმანელები ჩქარა მიხვდნენ, რომ გლეხები აქ არაფერ შუაში იყვნენ. ამ ისრებს გლეხები რომ ვერ გააკეთებდნენ და ვერ ააწყობდნენ, ეს აშკარა იყო. მტერი მაშინვე მიხვდა, რომ დივერსიები პარტიზანების ხელით იყო მოწყობილი.

— სად არის აქამად შევგულიძე? — ეკითხები პარტიზანს.

— ნამდვილად ვერ გეტყვით, სად იქნება, ძალზე მოუსვენარი კაცია, ყველგან ასწრებს, ყველგან არის. შევგულიძემ ახალი კონსტრუქციის ხელყუმბარა გამოიგონა. მას შემოკლებული სახელი უწოდა — შ. ხ. ყ. ეს ნიშნავს — შევგულიძის ხელყუმბარა. მისი ხელყუმბარა სამი ტიპისაა.

— ჩვენთან რაიმე დავალებით ხომ არა ხართ მოსული?

— არა, შემთხვევით შევხვდით თქვენს მზვერავებს გზაში და მათ გამოვეყვით.

— მოსახლეობასთან ხომ კარგ განწყობილებაში ხართ, ხომ არ გემღურიან გლეხები?

— დასამღურებელი აბა რა აქვთ! მართალია, ის საცოდავები გერმანელებს ყოველდღე დაღამე ვაკაყავთ ლიანდაგის საყარაულოდ, ისიც იციან, რომ ამ ბეგარის მიზეზი ჩვენი ვართ, მაგრამ ვარდი უეკლოდ არაგის დაუკრფფია იციან გლეხებმა, რომ გამარჯვება თავისთავად არ მოვა! ის ბრძოლით უნდა მოიპოვო. ამას გარდა, — განაგრძობდა პარტიზანი, — ჩვენ ვცდილობთ, როგორმე გლეხობას მდგომარეობა შევუმსუბუქოთ. მაგალითად, ვერდიებით ბრძოლების გამართვას სოფლების მახლობლად. ფართოდ ვიყენებთ საავიტაციო ფურცლებს. ამ ფურცლებს დიმიტრი იოსელიანი სწერს და თვითონვე აკრავს. აი ერთი ფურცელი, — დაასრულა მან და ოთხადგაკეცილი ქაღალდი მომაწოდა.

წავიკითხე. ფურცელი მტრის ჯარისკაცებს მიმართავდა:

„მოძალადეებო და დამპყრობლებო! დედაბრებზე და უმწეო ბავშვებზე ნუ იჩინთ ვეჟაკობას. გამბედაობა თუ შეგწევთ, ჩვენთან მობრძანდით, ჩვენ გვებრძოლოთ! აკმარეთ დედაბრებს ყოველდღე ათ-ათი კვერცხითა და სამ-სამი ლიტრი რძით დაბეგვრა. იარაღით ნუ უსწორდებით გლეხებს, ჩვენ გვებრძოლეთ. წყალწაღებულს ხავსზე მოჭიდება ვერ უშველის. განწირულია თქვენი საქმე, გირჩევთ შინ წაბრძანდეთ“.

— კითხულობენ კი ამ განცხადებებს გერმანელები? — ვეკითხები პარტიზანს.

— არც ერთ ასეთ ფურცელს ადგილზე არ სტოვებენ, წაკითხვისთანავე აახევენ და თან მიაქვთ!

— რა კაცია ეს იოსელიანი, ვინ არის საიდანაა მოსული?

— ამხანაგი იოსელიანი, როგორც ამას ქართველი პარტიზანები ამბობენ, ფიზკულტურის დარგში განთქმული რეკორდსმენი ყოფილა.

ომის დამთავრების შემდეგ ახალდაბრუნებული ვიყავი საქართველოში, როდესაც დიმიტრი იოსელიანს შევხვდი.

მას თავისი თავგადასავალი დაწერილებით ვაამბობინე. იოსელიანს სუსხიანი და სახიფათო საბჭოლო გზა აქვს გავლილი. ამ მამაცი და სახელოვანი მებრძოლის თავგადასავალი ჩვენი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება. აი რა მიაშრო დიმიტრის:

— დღიდან ომის დაწყებისა მოსკოვის პროლეტარულ დივიზიაში მოხალისედ ჩავეწერე. ჩვენი დივიზია ორი ღლის შემდეგ მინსკის მიმართულებით გაეშურა. ის-ის იყო მივალწიეთ ქალაქ ბორისოვოს, რომ მტრის ნაწილს შევეჩვენეთ, ბრძოლაში ჩავებით.

— მართლაც გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა და სამ დღეს ვაგრძელდა იგი. მერე მტრის ტანკებმა შემოგვიტყეს და მიმედ დავიპერ. ორ დღეს უგრძნობლად ვიყავ. როდესაც გონზე მოვედი და ირგვლივ თვალი მიმოვაველე, შევკრთი; ჩვენიანები აღარაგინ ჩანდა. ქოხში, სადაც ვიწექ, ირგვლივ დახოცილთა გვამები ეწყო. მომვლელმა ქალმა მითხრა: დივიზია ქალაქ ორშასაყენ წავიდაო. ზეზე აღგომა ვცაღე, მაგრამ ადგილიდან ოდნავ წამოწევეც კი ვერ შევძელ. ბარაკში ვიღაც უცნობი შემოვიდა, ეტყობოდა აქაური გლეხი იყო. მაღლიანი სახე ჰქონდა. შევივედრე: კაცი ხარ, ადამიანი, ხომ ხედავ? სიკვდილის პირზე ვარ მისული, მტრის გასაქეღავად და წასაბილწავად ნუ დამტოვებ აქ, გამიტანე აქედან, სადმე საბჭოლში მომათავსე-მეთქი. გლეხს შევებრალე. კუთხეში მიგდებული გასისხლიანებული ფარაჯა გავაღა, ზედ დამაწვინა და დიდის ვაგლახით თავის ბინაზე მიმიყვანა. კრილობები გამეხსნა და სისხლმა დენა იწყო. ტყვიელები საგან ტუჩებს ვიკენეტდი, წამდაუწყებელი მიწუხდებოდა, მიკვირდა, როგორ-ღა ვიყავი ცოცხალი. ფრიად გულისხმიერი, მგრძნობიარე და კეთილი აღმოჩნდა დიასახლისი, გლეხის ცოლი. მან დიდის მზრუნველობით შემიხვია კრილობა და თან საკმეღი მომაწოდა.

შემდეგში ცოტა უკეთესობა დამეტყო. პატარა სოფელში, სადაც მე ვიწეკი, დარჩენა საშინო იყო. ამ სოფელში ჩემი ყოფნა გერმანელებს შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. მოსალოდნელი განსაცდელისაგან ისევ ჩემმა მეგობარმა გლეხმა მიხსნა. მან ღამით ფრთხილად გამიყვანა ბინიდან და სოფელ ახალ ბორისოვოში მიმიყვანა. იქ ერთ მოზრდილ შენობაში მომათავსა. აღრე ამ შენობაში სამშობიარო სახლი ყოფილიყო. იმ ხანებში კი იქ მხოლოდ ერთი ქალი იყო. მან სანიტარული დახმარება აღმომიჩინა. შემდეგში ჩვიდმეტი დაჭრილი წითელარმიელი მოიყვანეს და ყოფილ სამშობიარო სახლში მოათავსეს. შეიძლება დავყავი იქ. მეშვიდე დღეს დაჭრილთა პალატაში ვიდაც უცნობი ქალი შემოვიდა, დაჭრილები საეკვოდ აგვათავალ-ჩაგვათავალიერა, მომიახლოვდა, რაღაც ნაძალადევედ გამიდიმა და ჩურჩულთ შემეკითხა:

— უკაცრავად, თქვენ ებრაელი ხომ არა ხართ? — უცნაურად მომეჩვენა ქალის შეკითხვა, და თვითონ მისი სახეც არ მომიწონა, პასუხი არ გამიცია.

ყოფილ სამშობიარო სახლში ბელორუსი კომკავშირელი მიშა ბადუღია გავიცანი. ბადუღიამ ჩემდამი დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. მან პირადობის მოწმობაც კი მიშოვნა, ალექსი პოპულიოვკას სახელზე გაფორმებული. სამშობიარო სახლში მყოფმა დაჭრილებმა მოვილაპარაკეთ, მოეგობინდებოდით თუ არა, ტყეში გავჭრილიყავით, იარაღი შეგვეძინა და გერმანელებისათვის პარტიზანული ბრძოლები გავგეგმართა. მე პირადად არ დამცალდა იმხანად ამ გეგმის სისრულეში მოყვანა. დანამდვილებით გავიგეთ, რომ უცხო ქალი, რომელმაც ეროვნება მკითხა, გერმანელების ჯამუში ყოფილიყო. ერთ მშვენიერ დღეს გერმანელმა ეანდარმებმა ხელები შემიკრეს და საცულებისამარა გესტაპოში წამიყვანეს.

ნესტიან სარდაფში მომათავსეს გესტაპოელებმა, და ამ დღიდან დამწყობი ჩემი წამებაც პირველად ვითომ დამიყვავეს, მთხოვეს შეკითხვებზე სიმართლე მეთქვა, ჩვენიანებისათვის მეღალატნა, გამეცა ისინი. მაგრამ სამშობლოს ღალატს მე სიკვდილი მერჩინა. არც ერთ შეკითხვაზე დამამყაფილებელი პასუხი არ გამიცია. ამაზე ისინი საშინლად გაცოფდნენ, მცემეს, ორი ნეკნი და კბილები ჩამიმტვირეს. კრილობისაგან დასუსტებულს გული მიმდიოდა, ცივი წყლით მოვყავდით გრძობაზე და შემდეგ ისევ განაგრძობდნენ წამებას. ალექსი პოპულიოვკას ცოლი დააპატიმრეს, მე ხომ ალექსის საბუთებით ვიყავი. მოიყვანეს ქალი, ჩემს წინ დააყენეს, ვინ არისო, ჩემზე შეეკითხნენ: „ჩემი ქმარიაო“, — თამამად უპასუხა ქალმა. გესტაპოელები შედგნენ, ასეთ გაბედულ პასუხს ქალისაგან არ მოელოდნენ. ქალს დაემუქრნენ, რეზინის ჯოხით სცემეს. მტკიცე ნებისყოფის ქალი გამოდგა, თავისი სიტყვა აღარ გატეხა, ჩემი ქმარიაო, კვლავ იმეორებდა.

ცემისაგან ძალზე ცუდად გავხდი, კრილობები გამეხსნა. ეს კაცი მაინც მალე მოკვდებაო, — სთქვეს გერმანელებმა და ნება დართეს „ჩემს ცოლს“ კვლავ საავადმყოფოში გადაეყვანენ. ამრიგად, ისევ სამშობიარო სახლს დავებრუნდი. ამხანაგების დახმარებითა და ხელშეწყობით საავადმყოფოს საჭიროებისათვის თივის დამამზადებელ ბრიგადაში ჩამრიცხეს და ბორისოვოდან სამუშაოზე გამიყვანეს. გარეუბანში ერთი დანგრეული სახლი ვიპოვე და იქ დავიმალე. როგორც ოდნავ გამოვკეთდი, ისევ ბორისოვოში დავბრუნდი, ახლა უკვე არალეგალურად ვცხოვრობდი, პარტიზანებს დავეძებდი! ყოფილ სამშობიარო სახლში მყოფ გამოჯანსაღებულ დაჭრილებს დაეუკავშირდი და ფარული კრება მოვიწყვიეთ.

ამ პირველ კრებაზე შევიმუშავეთ გაპარვის გეგმა, გადავწყვიტეთ რკინიგზის ხაზზე დივერსიები მოგვეწყო. დასახული გეგმის განსახორციელებლად საჭირო იყო რკინიგზის ტრანსპორტის მუშაებთან კავშირის დამყარება. ამ მიზნის მისაღწევად მე პატარა თანამდებობაზე, საკუჭნაოს გამგელ მოვეწყვე ადგილობრივ დეპოში. სურსათ-სანოვანის განაწილება და გაცემა უნდა მეწარმოებინა. ასეთი თანამდებობა იმ დროს ჩვენი საქმისათვის ზედამოჭრილი იყო, ტყეში გახიზნული ამხანაგებისათვის ცოტაოდენი სურსათის მიწოდებას შეეძლებოდა.

დეპოში ძალზე მკაცრი რეპრესიები იყო შემოღებული, ჯაშუშებით სავსე იყო იქაურობა.

დიდის ვაი-ვაგლახით შევქელი დეპოს მუშებთან დაკავშირება. მალე მტერმა თითქოს რაღაც შეიტყო, არალეგალური ორგანიზაციის ორიოდ წევრი დაიჭირეს.

მე პირადად საცხოვრებელ ბინას ზედიზედ ვიცვლიდი, დაპატიმრების მეშინოდა. ჩემი პარტიული შერქმეული სახელი იმხანად ალექსი იყო. სულშემხუთავმა რეჟიმმა მაინცდამაინც ბევრი ვერაფერი დაგვაყო. მუშაობას ფრთხილად განვაგრძობდით. ზამთრის დამდეგისათვის რკინიგზელების საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი ტყეში გასასვლელად მზად იყო. ამ დროს ფრიალსა და სასიხარულო ამბავი გავიგეთ, სახელდობრ ის, რომ ჩვენს ქალაქში, ბორისოვოში, არალეგალური ჯგუფი ჩამოყალიბებულიყო, ისინი ჩვენსავე ეძებდნენ თურმე მარჯვე მომენტს ტყეში გასასვლელად. ამხანაგ ბადულიას ხელშეწყობით, მისსავე ბინაზე ქალაქში ჩამოყალიბებული არალეგალური ჯგუფის ხელმძღვანელებს — იგუმნოვსა და იახონტოვს შევხვდით.

ამ შეხვედრის დროს რკინიგზისა და ქალაქის არალეგალური ჯგუფების

ტყეში გაყვანის გეგმა შევიმუშავეთ. ვიტებსკის ოლქში არის დიდი ტყე, რომელსაც პალიკის ტყეს ეძახიან. ამ ტყეში გვინდოდა გასვლა, მაგრამ წინასწარ იქ გაგზავნილმა მშვერავებმა ამბავი მოიტანეს, რომ პალიკის ტყეში გასვლა საშიშიაო. მაშინ ამხანაგ იახონტოვის რჩევით გადავწყვიტეთ მოგილიოვის ოლქის კლიხოვის რაიონის ტყეში წავსულიყავით. ამასთან ერთად ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ კლიხოვის ტყეში მინსკიდან წამოსული პატარა პარტიზანული რაზმი ბინადრობდა. და აი ჩვენც უვნებლად შევქელით კლიხოვის ტყეში წასვლა. პირველ ხანებში ორმოცამდე პარტიზანი ვიყავით.

სე დაგვინადიო ტყეში. ამ დროს ბორისოვოდან ფრიალსამწუხარო ამბავი მივიღეთ: ბადულიას დედა, უადრესად ჰკვიანი და გრძნობიერი აღამიანი გერმანელებს დაეტყვევებინათ და საჯაროდ ჩამოეხრჩოთ. პარტიზანთა ხელშეწყობა დაებრალებინათ მისთვის. ამ საზარელმა ამბავმა ყველა დაგვალონა და აგვაღელვა.

დიდის დაკარგვის შემდეგ ბადულიას ოჯახი უმწეოდ დარჩა. ბადულიას ძმა, თოთხმეტი წლის ბიჭი მიშა, ჩვენ წამოვიყვანეთ და რაზმში ჩავეწერეთ; უმცროსი, მცირეწლოვანი ძმა — სანდროსაიმიდო ოჯახს ჩავაბარეთ.

დადგა ზამთარი. პარტიზანები საკმაოდ კარგად ვიყავით ჩაცმულ-დახურული. ზამთრის სუსხი არ გვაშინებდა.

პირველი თვედასხმა ჩვენმა რაზმმა ბურგომისტრზე მოაწყო. ტყეში, გზის მახლობლად ვისხედით პარტიზანები, როდესაც მოტოციკლეტის გუგუნე შემოგვესმა, ჩავსაფრდით. ჰარხალივით სახეწითელი, რუხბეწვიან მოკლე ქურკში გახვეული ბურგომისტრი ვიწრო გზაზე მოტოციკლეტს მოაქანებდა. ერთ პარტიზანს დავავალეთ მოტოციკლეტიდან მისი გადმოგდება: ორი გასროლა და ბურგომისტრი გოგრაასავით დაგორდა მიწაზე.

ერთხელ, სამი პარტიზანის თანხლებით, სოფელს ვუახლოვდებოდა. წინ ხუთი შეიარაღებული კაცი შემოგვეფეთა. ჩვენს დანახვაზე უცნობები ტყეში შეცვივდნენ და სროლა აფიცებეს. ჩვენც უმალ ხეებს ამოვეფარეთ, იარაღი საკმაო რაოდენობით არ გავაჩნდა. ეს დამხვდურნი ჩვენ პოლიციელები გვეგონა. სოფელში რომ შევედით, მაშინ გავიგეთ, რომ ისინი თურმე პარტიზანები იყვნენ.

საჩქაროდ გამოვეუდქეთ, მაგრამ ველარ დავეწიეთ, გავასწრეს, მათთან დაკავშირება მხოლოდ მეორე დღეს-ღა შეუძლებელი.

კლიჩოვის ტყე, სადაც ჩვენა რაზმი დაბანაკდა, საკმაოდ ფართო სივრცეზეა გადაჭიმული. ეს ტყე სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია; ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეზე მას მოგილიოვებისოვის რკინიგზა ჩაუდის, მის სამხრეთ-დასავლეთით კი ქალაქი ბობრუსისკია. ტყეზე კარგად მოვლილი ორი შარავნა გადის. ერთი ბრიანსკსა, მოგილიოვსა და ბობრუსისკს უკავშირებს ერთმანეთს, მეორე კი — ორშასა, ბობრუსისკსა და გომელს. ამ შარავნებით გერმანელები ფრონტს დიდძალ საბრძოლო საკუთრებსა და სურსათ-სანოვანებს აწვდიდნენ.

ჩვენი რაზმი ორი თვის განმავლობაში დამოუკიდებლად მოქმედებდა. კლიჩოვის ტყეში სამოცდ კაცისაგან შემდგარი მეორე პარტიზანულ რაზმს წაეაწყდით და შეეუერთდით. ამ დღიდან ტყვიამფრქვევი ავიღე ხელთ. არ ყოფილა ბრძოლა, რომელშიაც მონაწილეობა არ მიმეღოს. ჩვენს რაზმში საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ხალხის წარმომადგენლები იყვნენ. აქ შეხვდებოდით რუსებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, უზბეკებს, ქართველებსა და სომხებს. ერთი შეგნება და რწმენა აერთიანებდა ყველას. ყველას ერთი ნატვრა ჰქონდა: რაც შეიძლება მალე

მოგვეგრიხა კისერი მტრისათვის მალე მიგვეღწია გამარჯვებისათვის.

კლიჩოვის ტყის მახლობლად მდებარეობს სოფელი უსუაინო. ამ სოფელში შევეტაკეთ პირველად გერმანელებს. მტერს სასტიკი დამარცხება ვაგვემოთ. ოთხმსოცდობრი დაქირლ-დახოცილი ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვეს გერმანელებმა ბრძოლის ველზე, მაგრამ ვერც ჩვენ გადავჩიეთ უმსხვერპლოდ. ჩვენს რიგებს თორმეტი პარტიზანი გამოაყლდა. გამწარდნენ გერმანელები. უსაინოსთან მწარე გაცვეთილის მიღების შემდეგ მათ ჩვენი განადგურება გადასწყვიტეს. 1942 წლის მაისში მტერმა უზნებად დაპყო კლიჩოვის ტყის ის ადგილები, სადაც ჩვენ ვბინადრობდით, და ცალცალკე წაუტარა ცეცხლი უზნებს. თითქმის ერთდროულად გაჩირადნდა ცეცხლით გარსშემოვლებული უზნები. კვამლი ზეცამდე აისვებდა. მოვიგუდეთ, სუნთქვა გვიძნელდებოდა. აღარ ვიცოდით საით წავსულიყავით, როგორ დაგვეღწია თავი განსაცდლისაგან. ირგვლივ ყველგან ცეცხლის ენები ლაპლაპებდა. ძლიერი ხანძრის გასაჩენად გერმანელებს რაღაც ქიმიური ნივთიერება გამოეყენებინად. ამ ხანძარს ახალი ჰირიც დაერთო: თვითმფრინავებმა ტყის დაბომბვა დაიწყეს. ორი კვირის განმავლობაში ვიყავით პარტიზანები ამ გაწამაწიაში: გავეცლებოდით ხანძარიან ადგილს, გადავინაცვლებოდით შედარებით უხიფათო ადგილზე, მაგრამ ისევ დაგვეწოდა ხანძარი, ყველგან დიდხესავით იყო ცეცხლი გარსშემომდგარი. თანაც სურსათი გამოგველია, არც ერთი ცხენი არ შეგვრჩენია, ყველა დაკვალით და შევკამეთ. კვალდაკვალ მოგვედედა ხანძარი, ხანძარს გერმანელები მოჰყვებოდნენ. გავრბოდით, მაგრამ არ ვიცოდით საით უნდა წავსულიყავით. უეცრივ პატარა მდინარის ნაპირთან ამოყავით თავი. მოსალოდნელი იყო აქ ხანძრის შენელება. მოსასხამები წყალში ამოვავ-

ლეთ, თავზე მოვიხვიეთ და მდინარეში გადავყვით. როგორც კი ხანძარი მდინარემდე მოაღწია, ცეცხლმოკიდებული ხეების ტყაცუნი საგრძნობლად შენედა. ამასობაში მტერიც მოგვიახლოვდა და მდინარეში გადმოვშვა. ცეცხლი ახლა მდინარის გამოღმა ნაპირას მდებარე ტყეს მოედო. საკირეს მსგავსად გახურებულმა ჰაერმა თავსახვევები გააშრო და ზოგს ცეცხლი ტანსაცმელზედაც წაეკიდა.

სასოწარკვეთილი, მოთმინებიდან გამოსული პარტიზანები შემობრუნდნენ და მტერს თავგანწირვით ეყვებნენ. გერმანელები ამას არ მოელოდნენ, გაშმაგებულმა იერიშმა ისინი დააფრთხო, სასწრაფოდ გაიფანტნენ, ამასობაში დრო ეიხელთეთ, წერილ-წერილ ჯგუფებად დაენაწილდით, ხანძარს დაეუსხლტით და სოფლებს შეეფარეთ თავი. შემდეგ დაბა ბელიჩინის მახლობლად დაებნაკდით. დაპრილ მებრძოლთა კრილობების შეხვევა იწყეს მედიცინის მუშაებმა. იმ ვაი-ვაგლახში ზოგ მებრძოლს ცალი და ზოგს ორივე ქალამანი დაქარგოდათ. არაქათგამოცლილი ბიჭები შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდნენ.

ჩვენი რაზმის ხელმძღვანელს ამხანაგ ბესპოესოვს ზემორობა ძალიან უყვარდა. მასსოვს, ერთხელ ნადავლის სახით ახალთახალი ტყვიამფრქვევი ჩაგვიფარდა ხელში. ატყდა ათეულებს შორის ცილობა, თუ ვის უნდა რგებოდა ის ვატყობდი, ბესპოესოვს უნდოდა ჩემთვის გადმოეცა, მაგრამ როგორღაც ყოყმანობდა, რადგან ისე ეხვეწებოდნენ დანარჩენი ათეულების მეთაურები, რომ მათ წყენინებასაც ერიდებოდა. მერე ბესპოესოვს, თითქოს რაღაც მოაგონდაო, მთელი სახე ღიმილმა გაუნათა და განაცხადა:

— ტყვიამფრქვევს იმას მივცემ, ვინც ყველაზე მარჯვეა, ვინც ყველაზე მარად ბტბაო!

მე გამეცინა. მაშ, ბესპოესოვს გადაწყვეტილი ჰქონია მე დაშითმოს ეს სახუცარი იარაღი-მეთქი, გავიფიქრე. ბესპოესოვმა იცოდა, რომ სპორტსმენი ვიყავ, მაგრამ რაზმში ეს ამბავი ყველასათვის ცნობილი როდღ იყო. გაოცდნენ ბიჭები, მე კი ცოტა არ იყოს დავიბენი: შიმშილისაგან არიქათ-გამოცლილი და დაღლილ-დაქანცული ვიყავ, ფეხებს ძლივს დავათრევდი, ასე მეგონა, ფეხებზე ფუთიანები მეკიდა. ბესპოესოვმა კი აიღო გრძელი თასმა და თავის სიმალლეზე გააბა, მერე ეშმაკური ღიმილით დაუმატა:

— აბა, მობრძანდით და სცადეთ ბედი!

სხვებს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსვლიათ „ბედი ეცადნათ“ მე კი ამხანაგებს თვალი მიმოვავლე და გადასახტომად გავემზადე. დაღლილ-დაქანცულს მუხლებმა მიღალატეს, სიმალლე ვერ ავიღე. ჩემს მარცხიან გადახტომას პარტიზანების ხარხარი მოჰყვა. გაბრაზებულმა ძაღლონე მოვიყრიბე. გავექანე და თასმას ზედ გადავავლე. ჯერ არც კი მოვბრუნებულაყავ, რომ დავინახე ჩვენი ათეულის მებრძოლი როსტოველი დრუჩინი, რომელიც უკვე ჩვენსკენ მოათრევდა ტყვიამფრქვევს.

პარტიზანულ ლაშქრობათა ვითარებაში ბევრჯერ გამომადლა ჩემი სპორტსმენული გამოცდილება. შემხედრია ისეთი ბრძოლები — ჩემი სპორტსმენობა რომ არა, ტყავს დავტოვებდი, ბევრჯერაც დავიჭერი; სასპორტო ვარჯიშით გაფოლადებული ორგანიზმი ადვილად ეგუებოდა გრძელმარშრუტთან მგზავრობას, დღე-ღამე ცის ქვეშ ყოფნას, წიციხესა და სიციხეს.

ხელჩართულ ბრძოლებშიაც ფასდაუღებელი სამსახური გამიწია სპორტის წესების ცოდნამ.

პარტიზანულ რაზმს ხანგრძლივად შეერჩი. ბოლო ხანებში ჩვენი რაზმი პოლკად იქცა. ამ პერიოდში მე პოლკის

პარტიულ ორგანიზაციას ვხელმძღვანელობდი.

1944 წლის იანვრის პირველ რიცხვებში პარტიზანული პოლკიდან მოსკოვს გავფრინდი.

ასეთია მოკლედი პარტიზან დიმიტრი

იოსელიანის შერ განვლილი საბრძოლო გზა.

დიმიტრი იოსელიანს ვაქცეპური ბრძოლებისათვის, სხვა ჯილდოებთან ერთად, ლენინის ორდენიც აქვს მიღებული.

II

მეზობელი რაზმიდან სტუმრად მოსულმა პარტიზანებმა კარგად დაისვენეს, დანაყრდნენ, მადლობა გადაგიხადეს და გზას გაუდგინენ. დღე მიიწურა, შემოდგომის უხალისო დამე შავად ჩამოწვა. თვითმფრინავის მიღების თადარიგს კვლავ შევეუდექით. წინაღამის ნაციცხლურზე ახალი კოცონი გავაჩაღეთ. ცეცხლის, პირას პარტიზანები ფეხმორთხმით ჩამოსხდნენ. მებრძოლებს თვალუბი ცისკენ ჰქონდათ.

— მოვა კი თვითმფრინავი? — ეკითხება ერთი მებრძოლი მეორეს.

— მოსვლის იმედი დავკარგე, ტყუილია ჩვენი ლოდინი!

უეცრად ჰერში გაურკვეველი ხმა გაისმა და მყისვე მიყურდა.

— თვითმფრინავი! ბოლო ელება მგონი ჩვენს ლოდინს!

— მოგჩვენა! ჩუმად!..

კვლავ გამეორდა მოტორის გუგუნე. მაგრამ ახლა ისეთი სიძლიერით, რომ საუკვეო აღარაფერი იყო. თვითმფრინავი გვიახლოვდებოდა. ისე დაბლა მოფრინდა, რომ მოკეცილი ბორბლები თითქმის ხის კენწეროებს ხედებოდა.

— ვაშა! — შესძახეს ბიჭებმა და სიხარულისაგან ხტუნვა დაიწყეს.

თვითმფრინავმა კოცონების თავზე რამდენიმე წრე გააკეთა, ძირს დაშვება იწყეს პარაშუტებმა. ჯარასავით დატრიალდნენ ბიჭები, თვალის დახამხამებაში, მოზიდეს კოცონთან დედაქალაქიდან, დიდი მიწიდან მოწოდებული საჩუქრები, მოუთმენლად იწყეს საგანგებოდ შეკრული ტვირთის გახსნა და გადარჩევა.

— აგერ ხელყუმბარების პილზები, აგერ მედიკამენტებიც. ეს რაღაა, ქალღმერთი ასე საგულდაგულოდ რომ გაუხვევიათ? ლიტერატურა ყოფილა, ესეც კარგი ძღვენია! აბა ნახე, ეს დიდი წიგნი რა არის?

— საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორიის მოკლე კურსი! — წაიკითხა მებრძოლმა ცეტხლის შუქზე წიგნის სათაური.

— ჩინებულაია, ფრიად მნიშვნელოვანი და საკირო წიგნია, ამას კარგად გამოიყენებთ!

— ბარგი ცალცალკე დააწყვეს მებრძოლებმა და შემდეგ ალაღზე დალაგეს.

კანატობიდან გასვლის სამზადისს შევეუდექით.

— დროებით თუ საბოლოოდ ამირებთ წაბრძანებას? — გვეკითხეს ადგილობრივმა გლეხებმა.

— რად გაინტერესებთ თქვენ? — ეკითხები სოფელელებს.

— ისე, სხვათა შორის გვეკითხებით, თუ ვინიკობაა საბოლოოდ გეტოვებთ, ნებართვის მიღება გვინდოდა მიწურების დაკავებაზე, ჩვენ ხომ უბინაონი ვართ!

— დიდის სიამოვნებით დაგითმობთ, ჩაიბარეთ მიწურები! — გლეხებს გავუძეხით და სათითაოდ გადავადარეთ წესრიგში მყოფი ქოხები.

— მიიღეთ ჩვენი უღრმესი მადლობა, კეთილ მგზავრობას გისურვებთ, სულ მალე მოგეტეხვით მტრისათვის კისერი! — მოგვძახოდნენ გახარებული კანატოკელები.

ასეული სრული სამხედრო წესრიგით გავიდა კანატოპიდან და სოფელ საბიჩინისაკენ გავეშურეთ.

მეორე საღამოს, ოცი საათისათვის, საბიჩინს მივალწვიეთ. იგი მოზრდილი სოფელი აღმოჩნდა, სადგური ოლეესკი აქედან დაახლოებით ოცდახუთი კილომეტრით არის დაშორებული. საბიჩინში კოვბაკი დაგვხვდა. მისვლისთანავე მასთან გამოვეცხადდი; დამინახა თუ არა, მომამახა:

— საათობითა და წუთობით ველოდებოდი შენს მოსვლას; ვიცოდი, დღეს გამოჩნდებოდი, ალბათ თვითმფრინავმა შეიფვიანა! უთუოდ ძლიერ ნერვიულობდი? როდის გამოჩნდა თვითმფრინავი, დიდხანს დაგვირდა ლოდინი?

— გუშინ, ღამის ორ საათზე მოფრინდა, ავკრიფეთ ტვირთი და საჩქაროდ გამოვედით კანატოპიდან, — ვეუბნები მოხუცს.

— ჩვენ ჯერჯერობით საბიჩინში ვბანაკობთ, ამალამ გავალთ სალაშქროდ, აქედან ოლეესკი არც ისე შორს არის; გადააბარეთ სამხედრო მასალა შტაბს და გაემზადეთ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად, მალე სათანადო ბრძანებასაც მიიღებ, — მითხრა კოვბაკმა.

საშინელი ამინდი იდგა. თოვლნარევი წვიმა სახეში გვეცემდა და ციყყინულიან ნაკადებად ჩადიოდა კისრიდან უბეში. ასეული გავაფრთხილე: მზად იყავით, ამალამ ბრძოლაში წასვლა მოგვიხდება-მეთქი. მებრძოლები დღე-ღამის მგზავრობით დაქანცულები იყვნენ, მინც ყველა დაუყოვნებლივ შეუდგა მზადებას. ათი-თხუთმეტი წუთიც კი არ გასულა, რომ ახალი განკარგულება მივიღე: ღამის გასათევად საბიჩინში ვრჩებოდით. მეორე განკარგულების შემდეგ გულდასმით მოვძებნეთ ბინები, სტუმართმოყვარე ბელორუსებმა, რამდენადაც ომის პი-

რობებში მოხერხდებოდა, თბილად მივიღეს და გულუხვად გავვიმსახილდნენ. შემდეგ მებრძოლებმა ძილს მისცეს თავი; ბუმბულებში ჩაწოლილთაგ შეშურდებოდათ ისეთი მშვიდი და ტკბილი ძილი, როგორითაც ეძინათ პარტიზანებს ხმელ და ცივ საწოლებზე.

ისევ მოღრუბლული, საავდროდ პირშეკრული დილა გათენდა. შტაბში მიხმეს. გამოვეცხადდი. მთელ შენაერთში გაცხატებული მზადება იყო. ყველამ იცოდა, რომ ოლეესკის ბრძოლა მეტად სერიოზული ოპერაცია იყო. აქ მთელი სიძლიერით უნდა გამოგვექვანებინა პარტიზანული ბრძოლების ტაქტიკა. ერთი მუქა ვიყავით მტრის იმ აღმატებულ ძალებთან შედარებით, რომელსაც უნდა შეგებოდით.

შტაბში შესვლისთანავე კოვბაკს მოვკარ თვალი. მეთათრთა შუა ჩამოვდარიყო და კახურ ჩურჩხელასავით ვრძელ წეკოს სიგარას ეწეოდა. უცხო პირი შევნიშნე მეთათრებს შორის. ეს ადგილობრივი პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ფედჩუკიო, წამოურჩულა ბერეჟნოიმ. ფედჩუკი გამაცნეს. ახოვანი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის ვაკეცო სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. სპეციალობით ის ინჟინერი იყო. ომამდე რკინიგზაზე მუშაობდა. დაიწყო თუ არა ომი, თოფის პირველ გასროლისთანავე ის პარტიზანულ რაზმს სათავეში ჩაუდგა, შემოიკრიბა ირგვლივ სამშობლოს ერთგული პატრიოტები და მტერს ეყვეთა. მას შემდეგ ფედჩუკს ხმალი ქარქაში არ ჩაუგია, მისი რაზმი დღითი-დღე ივსებოდა და იზრდებოდა. ფედჩუკის რაზმში გაერთიანებული იყვნენ რაიონის პარტიული მუშაკები, კომკავშირელები, ადგილობრივი კოლმეურნეები და საკონცენტრაციო ბანაკებიდან გამოქცეული მეომრები.

— მაშ ასე, — წამოიწყო სიტყვა კოვაკმა, — ოლეესკი უნდა გავანთავისუფლოთ, უნდა შევემუსროთ მტრის გარნიზონი. მე, როგორც მუღამ, ახლაც თქვენი დიდი იმედი მაქვს, ამხანაგებო! პარტიზანებმა შიში არ იციან, ისე მოულოდნელად უნდა მოვევლინოთ მტერს, რომ გონზე მოსვლა ვერ მოასწროს. თუ ოდესმე სიფრთხილისა და თადარიგიანობისათვის მიგვიმართავს, დღეს ეს გაათქვამბითაა საჭირო. არ დაგავიწყდეთ, რომ დამარცხებულ და საბოლოოდ გამარჯვებაზე იმედდაკარგულ ჯართან მოგვიხვდება შეტაკება. ახლა მტრის ჯარი დაჭრილი და ნაცემი მგლის სულისკვეთებითაა შებყრობილი. სწორედ ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს, ცოცხალ ძალას განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ. ვახსოვდეთ ამხანაგ ხრუშჩოვის სიტყვები: მებრძოლებს გაუფრთხილდითო. ფრონტის ხაზი ამჟამად ისევ კოროსტენ-ოვრუჩის მახლობლად გადის. ამ სადგურებიდან ოლეესკამდე არც ისე დიდი მანძილია. ოლეესკი ამჟამად მტერს მატერიალურ ბაზად აქვს გადაქცეული. ოლეესკიდან გადაწყვედათ სარნისაკენ დიდძალი ჯარი. ჩვენს ხელთ არის იმის ცნობაც, რომ ოლეესკიზე გამკვლევი მტრის ეშელონები სადგურის მახლობელ სოფლებს არბევენ და ანადგურებენ მშვიდობიან მოსახლეობას ჰგლეჯენ და ძარცვავენ, ახალგაზრდობას გერმანიაში მიერეკებიან. მოსახლეობა ხსნასა და შველას ჩვენგან მოელის. ადგილობრივ პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი ამხანაგი ფედჩუკი, რომელიც ამჟამად ჩვენს თათბირს ესწრება, პირდაპირ შემზარავ ამბებს გადმოგვცემს გერმანელების მხეცობაზე...

კოვაკმა ერთხანს შეისვენა და შემდეგ კვლავ განაგრძო:

— ამხანაგ ფედჩუკს არ ძალუძს თავისი მცირერიცხოვანი რაზმით გაუმკ-

ლავდეს მოზღვავებულ მტერს, ამიტომ ის დღეიდან თავისი რაზმით ჩვენს შენაერთს უერთდება. კომისრად მასთან ჩვენი მამაცი მებრძოლი პლატონ ვორონკო ინიშნება.

კოვაკის ამ სიტყვებზე ფედჩუკმა რატომღაც თვალები ძირს დახარა. მოხუცმა კი განაგრძო:

— როგორც უკვე ვითხარით, ამჟამად ბრძოლები კოროსტენსა და ოვრუჩში მიმდინარეობს, მტრის ყურადღებაც ამ ორ საკვანძო სადგურზეა მიპყრობილი; ამიტომ, სანამ მტერი ოლეესკზე წამოვიდოდეს, პირველ რიგში ამ სადგურის მოძრავი შემადგენლობა უნდა იფაფეთქოთ და გავანადგუროთ. ხიდები, ლიანდაგი, სარკინიგზო და სამხედრო ნაგებობანი უნდა დიამხსვრეს და გაცამტვერდეს. ამავე დროს ოლეესკის აღმოსავლეთი ნაწილი საგანგებოდ უნდა გავამაგროთ, რომ მტერი აქედან არ შემოგვეპაროს. ოლეესკში შეჭრა და აღნიშნული ობეცრაციების ჩატარება მეორე ბატალიონის უფროსს ამხანაგ კულბაკას ეკისრება. კულბაკას დაეხმარება მესამე ბატალიონი და ლენკინის ცხენოსანთა ესკადრონი. ამხანაგ მატუშენკოს ეკისრება ოვრუჩ-კოროსტენიდან მტერი ოლეესკში არ შემოუშვას, ამ მიზნით უნდა ჩასაფრდეს ოლეესკიდან 3-4 კილომეტრის მოშორებით, კოროსტენის მიმართულებით. მეოთხე ასეული დაკვრითი წესით აიღებს სადგურ სნიდოვიჩის და ლიანდაგს აპყრის ამ სადგურსა და სარნას შუა. ფედჩუკის რაზმი, დღეიდან მეხუთე ბატალიონად წოდებული, ამხანაგ ბაქრაძის მეცხრე ასეულთან ერთად, ოლეესკსა და სნიდოვიჩის შუა, ეგრეთწოდებულ ლომინის ჯიხურის რაიონში, აპყრის და გაანადგურებს ლიანდაგს და მოსპობს იქ დაბანაკებულ მტერს.

— ოლეგის მთლიანი ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელად ამხანაგ პაელოვსკის ვნიშნავ.

— დრო არ ითმენს, ამხანაგებო; დაეისრებულე მოვალეობის შესრულებას დროულად შეუდექით, გამარჯვებით იარეთ, ყოველ საათში რადიოთი მაცნობეთ საქმის ვითარება!

— ახლა, ამხანაგებო, ჩემს საათზე შეასწორეთ თქვენი საათები და თავთავიანთ ნაწილებში გაეშურეთ, ასეულების საბრძოლველად გამზადებას დაუყოვნებლივ შეუდექით, გავიდეთ აქედან იმ რწმენით, რომ გამარჯვება უსათუოდ უნდა მოვიპოვოთ! — ამ სიტყვებით მოგვმართა მეთაურებს დაშლის წინ მოხუცმა.

მაშინვე საბრძოლო სამზადისს შეეკუდებოთ.

როგორც უკვე ითქვა, ფედჩუკი თავისი ჯგუფით დროებით მე შემომიერთეს.

დასამალი არ არის, რომ ფედჩუკის პარტიზანები სამხედრო საქმეში ვერ იყვნენ სათანადოდ გაწრთვნილი, სამაგიეროდ, როგორც აქაური ადგილმდებარეობის მცოდნეებს, ბადალი არა ჰყავდათ. ამ შემთხვევით ვისარგებლეთ. ფედჩუკის პარტიზანებიდან საუკეთესო მზვერაეები შევარჩიე. ამასთან ერთად ფედჩუკის რაზმი ჩემი ასეულის გაწრთვნილი მეომრებით შევაკესე. ამხანაგ ჩემს ასეულში ირიცხებოდა დიდი მიწიდან შენაერთში ახლადმოვლენებული მენალმე ვალოდია დუბილერი. უკრაინის ცენტრალურმა პარტიზანულმა შტაბმა დუბილერი საუკეთესო დახასიათებით გამოგზავნა.

მართლაც საქმის კაცი იყო ამხანაგი ვალოდია: ჭკვიანი თვალები, დარბაისლური ტონი, მიმოხვარაში ზომიერება, — ყველაფერი ეს ამ კაცის სერიოზულობას ამჟღავნებდა. მას თავისი

ასეთი იყო კოვპაკის ბრძანება, მისი გეგმა ფრიად რთული და ნაჭურვლადობო იყო.

ყველა მზად ვიყავით დაუყოვნებლივ მოგვეყვანა სისრულეში ხელმძღვანელის მიერ დაეისრებული ვალდებულება.

III

საქმე უდავოდ კარგად ესმოდა. საათობით რომ გესაუბრნათ მასთან, არ მოგწყინდებოდათ. მისგან ბევრ ახალს და საინტერესოს გაიგონებდით. როგორც მცოდნე და დახელოვნებული მენალმე დუბილერი ჩვენი ასეულისათვის მართლაც პირდაპირ მისწრება იყო.

დუბილერმა მომავალი ოპერაციისათვის მზადებას ენერგიულად მოჰკიდა და ხელი: სახელდახელოდ მოამზადა მენალმეთა ჯგუფი, მოამარაგა ისინი დიდძალი ასაფეთქებელი ნივთიერებით.

მეკავშირებმა ბატალიონებისა და ასეულების მეთაურებს კოვპაკის ბრძანება ჩააბარეს: სალაშქრო ოპერაცია იწყებოდა; ათი წუთის შემდეგ სრული სამხედრო წესრიგით გავედით საბინიდან.

გზადაგზა კვლავ ვამოწმებდი ოცულების საბრძოლო მზადყოფნას.

უეცრად თვალი მოვკარ დუბილერს. ის ალაღზე იჯდა.

— ამხანაგო დუბილერ, — შეეხმიანე მას, — ხომ ყოველმხრივ მზადა ხართ ოპერაციისათვის?

— მზად ვარ, ამხანაგო მეთაურო, ასაფეთქებელი მასალა ჩემოდანში ჩავალაგე და აქა მაქვს. — ამ სიტყვებით დუბილერი ალალიდან გადმოიხარა და ნივთების თვალიერება დაიწყო. უეცრად მას სახეზე რაღაც დაბნეულობა გამოეხატა, ძირს ჩამოხტა, თავი ნივთებში ჩარგო და ალაღზე მდებარე

ნიეთები სახელდახელოდ გადაალაგ-
ვადმოალაგა.

— რას ეძებ, ვალოდია, ხომ არაფე-
რი დაგიკარგავს?

— ამხანაგო მეთაურო, ჩემოდანს
ვერ ვხედავ! — დაბნეულად მიპასუხა
დუბილერმა. — ასაფთოქებელი მასალა
არსადა სჩანს...

ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის,
როგორც ქუხილის ხმა მოწმენდილ
ცაზე. გავოცდი, სიბრაზისაგან ავენთე.
ესეც შენი გამოცდილი მენაღმე! გა-
მოვკიმე დუბილერი, ისე შევებურე,
რომ სამუდამოდ დავამახსოვრე თავი.

— სად არის ჩემოდანი? — ვეუბნე-
ბი მას, — განა ამის შემდეგ შენ პარ-
ტიზანის საპატიო სახელს უნდა ატა-
რებდე? ჩემს თვალში უკვე საეჭვო პი-
როვნება ხარ, შენ უკვე დაქარგვე
ნდობა.

ერთი სიტყვით, ვინ მოსთვლის რა
არ ვუთხარი!

სიბრაზისაგან გაცოფებული ვიყავ.
უცებ ფედრუქმა მომიკიდა ხელი და
მითხრა:

— დავით, მოდი ჩემს ბიჭებს გავა-
ტან დუბილერს, მოკლე გზით გავგზავ-
ნი საბიჩინში, სულ დიდი ორი-სამი
საათი დასჭირდეთ, სულ მალე მოიტა-
ნენ ჩემოდანს, ამის პირობას მე ვიძ-
ლევ!

ფედრუქის პარტიზანები, დუბილე-
რის თანხლებით, მოასხდნენ ცხენებს
და ჭენებით წავიდნენ საბიჩინის მი-
მართულებით.

მე კი ეჭვი აღარ მასვენებს. შესანიშ-
ნავი დახასიათებით გამოგზავნეს დუ-
ბილერი დიდი მიწიდან და დახეთ რა
ჩაიღინა? ვერ წარმომიდგენია, რას
უნდა მივაწეროთ ამ კაცის ასეთი და-
უდევრობა? ვითომ საეჭვო პიროვნე-
ბაა? არა, ამაზე ფიქრი უადგილოა!
უთუოდ ის დარწმუნებული იყო, რომ
ჩემოდანი ალაღზე იყო. მოსტყუვდა?
შაგრამ მაინც არ ვაპატიებ ასეთ წინ-
დაუხედაობას.

ამ ფიქრში ვიყავი, როცა დუბილე-
რი, პარტიზანებთან ერთად, ჩემოდანით
უკან დაბრუნდა.

— შევედი, ამხანაგო მეთაურო, აღ-
გილზე პირადად უნდა გამეხიზა ჩე-
მოდანის ალაღზე დადება, არ შეპატიე-
ბა ასეთი დაუდევრობა! — მეორე კლა-
სის მოსწავლესავით დარცხვენით შე-
უბნებოდა თავჩაქინდრული დუბილე-
რი.

— დღეიდან შენ ჩემს თვალში
უღისციპლინო მენაღმე ხარ! — მკაცრად
ვუპასუხე დუბილერს.

უკვე საფრთხილო და სახიფათო ზო-
ნაში შევედი. აქ უკვე ყოველი ნაბი-
ჯი უნდა ასწონ-დასწონო. მე და ფედ-
რუქი, რამდენიმე პარტიზანის თანხლე-
ბით, დაეწინაურდით. დღესავით ნათე-
ლი ღამე იყო, ბადრი კაშკაშა მთვარე
ცხოველყოფელ შუქს უხვად ჰფენდა
არე-მარეს.

— ლიანდაგს ვუახლოვდებით! —
ჩურჩულოთ მეუბნება ფედრუქის პარ-
ტიზანი, — აქედან სულ ახლოსაა ლო-
მინის ჯიხური...

ნელი ნაბიჯით, ფეხაკრეფით განვაგ-
რძეთ გზა. დამთავრდა ტყე. წინ, ლი-
ანდაგის ორთავე მხარეს, დაახლოებით
ასი მეტრის სიგანით, ტყე გაჩეხილია.

— ასეა სულ მთელი კილომეტრე-
ბის მანძილზე! — მეუბნება ადგილობ-
რივი პარტიზანი, — გერმანელებმა მოს-
პეს ტყე, ეშინიათ ლიანდაგი არ აკყა-
რონ პარტიზანებმა!

ტყის ნაპირას ჩავსაფრდით. მთვარის
შუქზე, თვალუწვდენელ მანძილზე,
ვერცხლივით ლაღააებდა ხმარებით
გაფერილი ლიანდაგი. ცნობილია, რომ
რკინა, როცა ხშირ ხმარებაშია, არ
იფანგება. ოლევისკის კვანძის რკინიგზა
იმ ხანად შეუწენლებელ ექსპლოატაციას
განიცდიდა და ამიტომაც მოვერცხ-
ლილი იყო ლიანდაგი.

სულგანაბული ვუცქერდით ტყეს და
მის შუა ბრტყეილა ზოლად გაწოლილ
ლიანდაგს. ჩვენი ჩასაფრებიდან დაახ-

ლოებით ას მეტრზე ორმაგი ეკლის მავთულით შემოზღუდული ქოხი მოსჩანდა.

— აი ეს არის ლომინის ჯიხური, — ჩამჩურჩულა პარტიზანმა. — აქაურობას საგანგებოდ იცავენ გერმანელები. რკინიგზას დიდმანძილზე უღრანი ტყე აკრავს და ასეთ ადგილებში, ხომ იცით, ლიანდაგის აფრა გაცილებით უფრო ადვილია, ამიტომაც ფრთხილობენ ასე.

მთვარის მკრთალ შუქზე უეცრივ შორს აღამიანთა ლანდები გამოჩნდა. ბაწარალებით მოდიოდნენ. სჩანდა, რომ სამხედრო პირები იყვნენ. ჯიხურისაკენ მიემართებოდნენ.

— გზის მცველებია! — განმარტა ისევ ყველაფრის მცოდნე ადგილობრივმა პარტიზანმა.

მცველები ეკლით შემოლობილი ჯიხურის ეზოში შევიდნენ. მათ მცველთა მეორე წყება შეეგება, მოსულები მიწურებში შეძვრნენ, დამხედურნი კი ლიანდაგზე გამოეფინნენ.

საათს დაეხედეთ. ორს ათი წუთი აკლდა. ჯიხურსა და მიწურებზე საიერიშოდ სასწრაფო განკარგულება გაცივცო.

თანახმად ბრძანებისა, სრულ ორ საათზე შენაერთის ნაწილები ყველგან ერთდროულად უნდა გადასულიყვნენ შეტევაზე.

სწორედ ამ დროს ოლევისკის მიმართულლებით ჯოჯოხეთური ქუხილი გაისმა, ცამდე აიზიდნენ ცეცხლის ენები. როგორცა სჩანს კულბაკამ დათქმულ ველაზე ათი წუთით ადრე დაიწყო მოქმედება. სჩანს, მოთმინება აღარ იყო. ქუხილი ორმაგი სიძლიერით განმეორდა, ლოდინი აღარ შეიძლებოდა.

— ვაშა! — დაიძახეს პარტიზანებმა და მტერს ვეკვეთეთ, სახელდახელოდ გავკავეთ ეკლიანი მავთული, ჯიხური და მიწურები ალყაში მოვაქციეთ. სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს გერმანელებმა, მიწურებსა და ჯიხურში ჩასაფრებულმა მტერმა ცეცხლი

სეტყვასავით დაგვაცარა. მავთულხლართის გასწვრივ თხრილებში ჩავსაფრდით. აქედან სულ ერთხანად დავცხრილეთ ტყვიითა და ხელყუმბარებით ჯიხური და მიწურები. ლომინის ჯიხურისა და ლიანდაგის ის მცველები, რომელნიც სიკვდილს გადაარჩინენ, დაგვენებდნენ, ყველანი დავატყვევეთ. ამ ბრძოლის დროს ჩვენმა მენაღმებმაც დიდი საქმე გააკეთეს: სამასორმოცდაათი მეტრის მანძილზე ააფეთქეს და მწყობრიდან გამოიყვანეს ლიანდაგი. ლომივით ტრიალებდა დუბილეტი, პირნათლად გამოისყიდა მან თავისი უნებური შეცდომა.

ოპერაციის ბრწყინვალე მიმდინარეობის შესახებ კოვაკს რადიოგრაფით ვაცნობე.

ჯერჯერობით ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დაგეგმილი და გათვალისწინებული მქონდა: ასეული წინასწარვე სამ ჯგუფად გავყავი, ჯგუფებში შიგა და შიგ ფედრატკის პარტიზანები ჩავურთიე. ერთ ჯგუფს ხელმძღვანელად ჩემი მოადგილე დეპტიოვი მიუქჩინე, მეორეს სათავეში პოლიტხელი მოსკალენკო ჩავუყენე. ეს ორი ჯგუფი ორი სხვადასხვა მიმართულებით გაუშვი, მესამეს მე და ფედრატკი გავყვეით.

ცნობილია, რომ შემტევი და იერიშზე გადასული უფრო მეტ განსაცდელშია, ვიდრე დამხედური. უპირატესობა დამხედურის მხარეზეა, მაგრამ ჩვენ, პარტიზანები, ამ უპირატესობას სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმით მოპირდაპირეს ხელიდან ვაცლიდით. მტერი ასეთ დროს იბნეოდა, განსაკუთრებით ძლიერი იყო ხოლმე პანიკა მტრის რიგებში, ღამით, ძილის დროს. სანამ მოწინააღმდეგე გონს მოვიდოდა, ჩვენ მის ბანაკში შევიჭრებოდით და უმოწყალოდ მუსრს ვავლებდით.

ლომინის ჯიხურის დამორჩილებით როდი მთავრდებოდა ჩვენი ამოცანა. იმხანად მტერი ხომ მასობრივად უკან

იხვედა. მაშასადამე, რკინიგზის ხაზზე ერთი წუთითაც კი მოძრაობის შეწყვეტა მტრისათვის დამლუბველი იყო. კარგად ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე აყრილი ლიანდაგის დაუყოვნებლივ აღდგენას შეეცდებოდა. ეს ასეც მოხდა. მოულოდნელი მარცხით თავზარდაცემულმა მტერმა სპეციალური ბატალიონი გამოიძახა, რომელსაც ხაზი უნდა აღედგინა. ჩვენ არ დავბნეულვართ, მტრის დამხმარე ძალების შესახებ დრად ფართო სამხადისი გავაჩაღეთ: აყრილი ლიანდაგის ორთავე მხარეზე ძლიერი ბარიკადები ავაგეთ. ერთი წყება პარტიზანები ამ ბარიკადების უკან მოეწყვეთ, მეორე წყება ზურგში რეზერვად ჩავსაფრეთ, თან კოვპაკს მეკავშირეთა ხელით წერილობითი მოხსენება ვაახლე ლომინის ჯიხურისა და ლიანდაგის აყრის ოპერაციებზე. საბიჩინში მეკავშირეებს კოვპაკი ვერ ეპოვნათ, საბიჩინიდან ის ოლეგსკის მახლობლად გადაბარგებულიყო. შემდეგში მეკავშირეებს ეპოვნათ კოვპაკის ახალი რეზიდენცია და მისთვის ჩემი პატაკი გადაეცათ. თურმე მოხუცმა აღფრთოვანებით გადაიკითხა პატაკი და მეკავშირეებს განვლილი ბრძოლების შესახებ უამრავი შეკითხვა მისცა. მოხუცმა ოლეგსკის ბრძოლებში პარტიზანთა წარმატებები წერილობით მაცნობა. ის სწერდა: „აფეთქებული და განადგურებულია ტყვია-წამლით, ავიაბომბითა და სხვა სამხედრო ტექნიკით დატვირთული სამასი ვაგონი, სადგურის ახლო-მახლო ლიანდაგი ნაწილობრივ აყრილი და განადგურებულია. გააფთრებული ბრძოლებში კვლავ გრძელდება. 1943 წლის 15 ოქტომბერი — ოლეგსკის რაიონში პარტიზანების მტერზე გამარჯვების დღე — პარტიზანული ბრძოლების ისტორიაში საპატიო ადგილს დაიჭერს!“

დღის ოთხ საათამდე ლომინის ჯიხურის რაიონში მდგომარეობა უცვლელი იყო. ამ დროიდან კი გერმანე-

ლებმა ამ უბანში დიდძალი ჯარი და ჯავშნოსანი მატარებელი განაწილეს. კვლავ გააფთრებულ ბრძოლა გაჩაღდა. ბარიკადებს ამოფარებული პარტიზანები დიდის წარმატებით იბრძოდნენ. მტრის სიმრავლემ ვერ გასტეხა ჩვენი მებრძოლები, ბარიკადებზე მოტანილ იერიშებს ზედიზედ იგერიებდნენ. მხოლოდ მეოთხე ასეულის საქმე ვერ იყო კარგად, ეტყობოდა მან ჯავშნოსანი მატარებელი ვერ შეაჩერა, ეს ასეული ჩვენ დასავლეთიდან გვიცავდა. იძულებული გავხდი გამეგზავნა ძლიერი დაზვერვა და გამეგო მეოთხე ასეულის მდგომარეობა.

არ გასულა ორი-სამი საათი, მზერავები დაბრუნდნენ და გადმომცეს, რომ მტერმა სადგურ სნიდოვიჩის ახლო-მახლო სოფლები გადაბუგა. მეოთხე ასეული ამ ბრძოლებში ძალზე დაზარალებულიყო. ასეულის მებრძოლები დროებით სადგურ სნიდოვიჩიდან ახლო სოფლებში გასულიყვნენ.

მტერი არ ცხრებოდა, მან ახალ-ახალი ნაწილებით აავსო ლომინის ჯიხურის მიდამოები. მდგომარეობის ეს ვართულება უმაღლვე კოვპაკს ვაცნობე. მან დაუყოვნებლივ მოგვაშველა მეხუთე ასეული სტეფანე ეფრემოვის მეოთხეობით.

კალიასავით შემოგვესია მტერი. მიუხედავად მტრის ძალების სიჭარბისა, ეფრემოვის მოსვლის პირველ დამეს მაინც შეეძლიათ კიდევ ორმოცი მტრის მინძილზე ლიანდაგის აყრა და მისი აფეთქება. ხაზის აღსადგენად მოსული მტრის ჯარი ნელ-ნელა უკან იხვედა. რკინიგზის ხაზის გაუქმებამ გერმანელების გააფთრება გამოიწვია. იერიში ზედიზედ მოჰქონდათ დაუზოგავად ჩვენს სიმაგრეებზე, ჩქარობდნენ გზის აღდგენას. ეს გასაგებიც იყო.

ოვრუჩ-კოროსტენთან დამარცხებული მტერი ოლეგსკის მიმართულებით გამობრბოდა. სადგურ ოლეგსკში და ლომინის ჯიხურთან შექმნილი ჩიხი

მტრის ეშელონების წინსვლას ბორკავდა.

მეორე დღეს, დილით ადრე, მოწინააღმდეგე გააფთრებულ შეტევებზე გადავიდა. ჩვენ შევძელით ამ შემოტევის შეჩერებაც და, მასთან ერთად გზის შემკეთებელი მატარებლის აფეთქებაც. ამ შემთხვევაშიაც დუბილერმა ისახელა თავი: ასაფეთქებელი ნივთიერება ოსტატურად მოექცა ლიანდაგქვეშ, მატარებელი ზედ შედგომისთანავე მყისვე აფეთქდა.

ესოდენ განუწყვეტელი ბრძოლებით ძალზე დავიდაღენით, საჭირო იყო დასვენება. ეს გარემოება სიღორ არტემის-ძეს მხედველობიდან არ გამოჩენია, ჩვენს შესაცვლელად მან მატუშენკოს ბატალიონი გამოგზავნა. კოვპაისავე განკარგულებით ჩემი და ეფრემოვის ასეულები, ფედჩუკის რაზმთან ერთად, სოფელ ბუდკი საბიჩინში დასასვენებლად უნდა წასულიყვნენ. ეს სოფელი საბიჩინიდან დაახლოებით თხუთმეტი კილომეტრის დაშორებით მდებარეობდა, ოლეესკიდან კი ათითერთმეტი კილომეტრით იყო დაცილებული. ამიერიდან ჩვენი მოვალეობა იყო ოლეესკისათვის თვალი გვედევნებინა და სადივერსიო მუშაობა გავკეგრძელებინა.

როგორც ამაზე ზევით იყო ნათქვამი, ოლეესკი მტრის ძლიერმა გარნიზონმა დაიკავა. ქალაქი მტრის ახალ-ახალი ნაწილებით ივსებოდა ყოველ დღიურად და ყოველ საათობით. კულბაკამ მილუწ-მოლეწა სადგური, მოძრავი შემადგენლობა ააფეთქა, ლიანდაგი აპყარა, იმ არემარეს გასცილდა და ოლეესკიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის მოშორებით დაბანაკდა. კულბაკას შემდეგი დავალება ისეთივე იყო, რაც ჩვენი: ბუდკი საბიჩინში დაბანაკებულ პარტიზანებთან ერთად დივერსიების წარმოება და ოლეესკზე მეთვალყურეობა.

ამრიგად, ჩვენმა შენაერთმა ბირნათლად შეასრულა დაკისრებული ამოცანა. მტრის მასაზრდოებელი არტერიის ლიანდაგი—რამდენიმე ადგილას შუაზე გადავკვეთეთ, მატარებლების მოძრაობა ჩავშალეთ, გერმანელების უკუქცეული ჯარის წესიერი უკან დახევა შევაფერხეთ, მისი ცოცხალი ძალა ნაწილობრივად შევმუსრეთ და გავანადგურეთ.

სოფელ ბუდკი საბიჩინში პარტიზანული გარნიზონის ხელმძღვანელობა კოვპაკმა მე მომანდო. მტკიცედ და საიმედოდ დავნადმეთ სოფლის საზღვრები, დღედაღამე გაძლიერებული მეთვალყურეობა დავაწესე. ისეთი მდგომარეობა შევქმენით სოფელში, რომ, როგორც ჩვენში იტყვიან, ჩიტი კუნელს ვერ შემოიტანდა და სოფლიდან ვერ გაიტანდა. ბუდკი საბიჩინის უძლეველ ციხე-სიმაგრედ გადაქცევის შემდეგ ოლეესკის დაცვა და მასზე მეთვალყურეობა გავგვიადვილდა.

და აი, ერთ დღეს ოლეესკში მზვერავები გავგზავნეთ, შემფოთებული დაბრუნდნენ ისინი და დასტობით მოიტანეს დახვეული ქალაღები, ეს გერმანელთა პროკლამაციები იყო.

— გადათეთრებულაი, ამხანაგო მეთაურო, ამ ფურცლებით საბიჩინის ტყე და მინდორი; ჩვენ ავკრიფეთ ეს ფურცლები და თან წამოვიღეთ!

ფურცლები გადავიკითხეთ. ეს იყო გერმანელების მორიგი ოინბაზობა. მტერი ამკარა პროვაკაცის უწყობდა ადგილობრივ მოსახლეობას: ფურცლებში აღნიშნული იყო, ვითომ საბჭოთა არმიამ ოლეესკის რაიონში დესანტი გადმოსხა. ამრიგად, ეს რაღაც არარსებული დესანტის ამბავი მტერმა იმიტომ შეთხზა, რომ დაეროდნენ მოსახლეობას, გაეწყვიტნათ, დაერბიათ იგი და ყველაფერი ეს საბჭოთა დესანტისათვის დაებრალებინათ.

სულ პატარა საბაბი იყო საკმარისი გლეხების გასაელტად. ამ შემთხვევა-

ში საკმაო იყო ერთ-ორ გლეხს ჯიბის დანით გაველო ქუჩაში, გერმანელები განგაშს შეჰქმნიდნენ; ხედავთ რას ბედავენ ეს უგუნურები, იარაღით გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ, პარტიზანების მოგზავნილებია ესენიო. შემდეგ ამ ამბებს მოჰყვებოდა უმწეო მოსახლეობის დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტვა. ასეთი საპროვოკაციო ანკესი სხვადასხვა ადგილას, ბევრჯერ გადაისროლეს იმხანად გერმანელებმა, მაგრამ გლეხები დამპყრობლებს ყოველთვის მიუხვდნენ, გაუგეს, რომ ასეთი მოწოდებები გერმანელების მიერ საპროვოკაციო მიზნით იწერებოდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოჩმახულ ფურცლებსაც სისწორით აუღეს ალღო გლეხებმა.

ჩვენს მხვერავებს გარდა, ეს ფურცლები ჩვენთან, ბუდეი საბიჩინში, ოლევესკიდან გადმოხვეწილმა გლეხებმაც მოიტანეს.

შევეითებე ლტოლვილებს: მართლა გადმოსხეს ჩვენებმა დესანტი-თქო? გლეხებმა გვიპასუხეს: ვიცით, რა მიზნითაც არის ჩამოყრილი ეს ფურცლები. მტერი ჩვენს დასარბევად ემზადება, საბაბს ეძებს, ფართო მასშტაბით უნდათ მოაწყონ ხოცვა-ჟლეტა! რას გამოგვაპარებენ, თმოდან ფეხის ფრჩხილამდე გვყავს ეგ არამზადები შესწავლილიო!

— მაშ, როგორცა ჩანს, თქვენ კარგარ ერკვევით ამ ფურცლების მიზნებში, გკოდნიათ ვის მიერ არის ის შეთითხნილი?

— განა პირველად მიმართავენ ასეთ საზიზრობას გერმანელები? მაგრამ ამ ოინბაზობით მიზნისათვის ვერც სხვა დროს მიუღწევიათ და ამჟამადაც ვერაფერს გახდებიან!

მალე ახალი შინაარსის ფურცლები გაჩნდნენ. ეს უკვე გერმანელების სახელით იყო გამოშვებული. იგი ასე იწყებოდა: „ოლევესკის რაიონის მოსახლეობას! შემთხვევით ხელთ ჩაგვივარ-

და ადგილობრივ მოსახლეობაში საბჭოთა ჯარის მიერ გავრცელებული მოწოდება. ჩამოხრჩობილი გვეუძრებო ან, თუ ჩვენს წინააღმდეგ არ იბრძოლებთ! ზოგ სოფელში ეს მოწოდება უკვე საკმედ უქცევიათ! ამის შემდეგ სრულ უფლებას ვიტოვებთ თქვენს წინააღმდეგ რადიკალური ზომების მიღებისათვის“.

მართლაც, როგორც ეს შემდეგში ყველასათვის ცნობილი გახდა, გერმანელებს დამით ათეულებით და ასეულობით გლეხი ხეებზე ჩამოეხრჩოთ სხვადასხვა სოფლებში.

იმხანად კოვპაკი სოფელ საბიჩინიდან ჩვენთან მოვიდა გარნიზონის დასათვალისებრად.

ურიცხვი გლეხობა მოაწყდა გარნიზონის შტაბს, ლტოლვილებმა კოვპაკთან საუბრის სურვილი განაცხადეს. მოხუცი მიეგება გლეხებს.

— ამხანაგო უფროსო! — მიმართეს კოვპაკს გლეხებმა, — მტრის მიერ განაწამები ადგილობრივი მოსახლეობა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია, თხოვნით მოგმართავენ, ჩაგვიციხოთ პარტიზანებად თქვენი შენაერთის რიგებში. სიტყვას გაძლევეთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ პარტიზანებთან ერთად.

კოვპაკს გლეხების გულწრფელ განცხადებაში ეჭვი არ შეპარვია, მაგრამ მათი მიღება პარტიზანების რიგებში მან მიზანშეუწონლად სცნო. გლეხების პატიოტული განცხადების საპასუხოდ მოხუცმა ასე მიმართა ლტოლვილებს:

— ამხანაგო გლეხებო, საბჭოთა ქვეყნის რჩეულნო შეილნო, მე თქვენს გულწრფელ განცხადებას სიხარულით ვეგებები, თქვენ იცით ალბათ გერმანელების გასაჭირი, იცით, როგორ აიწყნა ამ ბოლო დროს მათი საქმე. მე მზად ვარ გაგწრთენათ, სამხედრო საქმე შეგასწავლოთ და შემდეგ გაგზავნოთ იქ, სადაც დღეს თქვენ მეტი

სარგებლობის მოტანა შევიძლიათ, ე. ი. ფრონტზე, მოკმედი არმიის განკარგულებაში. ხომ იცით, ამჟამად ფრონტი ჩვენთან სულ ახლოა!

— მზად ვართ, კიდევ უკეთესი! — ერთხმად შესძახეს გლეხებმა.

კოვბაკის განკარგულებით საალრიცხო აღწერა მოეწყო, ფრონტზე წასვლის მსურველთა რაოდენობა ათას კაცს აღემატებოდა. ამ ხალხს კოვბაკმა საუკეთესო გამწვრთნელები მიუჩინა. მეცადინეობა მათთან დღედაღამე განუწყვეტლივ სწარმოებდა. სულ მოკლე დროში აითვისა სამხედრო საქმე ლაშქრული სელისკვეთებით განწყობილმა მოსახლეობამ.

ეს სახელდახელოდ გაწრთენილი ათასეული კოვბაკმა ანისიმოვის ხელმძღვანელობით ოვრუჩში გაგზავნა, მოკმედი წითელი არმიის განკარგულებაში. ღამით ტყე-ტყე ატარა ანისი-

მოვმა ეს ხალხი და დანიშნულების ადგილს უწვებლად მიადწინა. იგზავნებოდა რა მოკმედს, ანისიმოვის სხვა დავალებაც უნდა შეესრულებინა. მკითხველმა მირველი წიგნიდან უკვე იცის, რომ კარპატების რეიდის წინა ხანებში არტილერია ჩვენივე ხელით ავაფეთქეთ. კარპატის მთებში მისი თრევა შეუძლებელი იყო. და ახლა ერთი ქვემეხი არ გაგვანდა. შენაერთის ბარში ჩამოსვლის შემდეგ ეს მძიმე ირაღი ჩვენთვის აუცილებელი იყო.

კოვბაკმა ამხანაგ ხრუშჩევს არტილერია სთხოვა და დადებითი პასუხი მიიღო.

აღსრულდა ანისიმოვის ნატვრა: საბკოთა არმიისათვის მებრძოლების გადაბარებასთან ერთად მას არტილერიის ბატარია უნდა მიეღო და შენაერთში წამოეღო.

IV

ღროებით დაპყრობილ მიწა-წყალზე გერმანელებმა მხარდამჭერი ვერავენ იპოვეს. ხალხს ჰირივით სძაგდა ისინი. ცდას მაინც არ აკლებდნენ, ათასგვარ ღონისძიებას მიმართავდნენ, რომ ვინმე გადაებირებინათ. ამ ღონისძიებათა შორის მტერი მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა პროპაგანდას. არავეს სჯეროდა მათი პროპაგანდისა, მაგრამ ისინი მაინც არ ცხრებოდნენ.

დღე-ღამე ამუშავებდნენ კინო-თეატრებს, ავრცელებდნენ საზოგადოებაში ბინძური შინაარსის ფურცლებს და სხვ.

ყოველივე ამას მოსახლეობა აღმაცრალ უცქეროდა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, სააგიტაციო მიზნით შემოღებულ გასართობებზე დასწრება ყველასათვის საველდებულო იყო.

ოლეგსიდან გამოქვეულ ლტოლვილებთან ერთად ჩვენთან მოვიდა ერთი ქალი, ათი წლის ვაჟით, რომელსაც

ალიოშას ეძახდა. ამ ქალის ქმარი საბკოთა არმიის იყო; როგორც ოფიცერი, ის ომის პირველი დღეებიდან ფრონტზე იბრძოდა.

ამ ქალმა მეტად საინტერესო ამბავი გადმოგვცა.

— ამას წინათ, — სთქვა ქალმა, — გერმანელებმა ოლეგსკში კინო-სურათების ჩვენება დაიწყეს. სალამოყამს მამასახლისმა მოსახლეობას ჩამოუარა და სურათზე დასწრება მტკიცედ მოგვითხოვა. წავედი, ჩემი პატარა ალიოშაც თან წაყვანე. კინო-დარბაზი გაქვდილი იყო ძალად მოყვანილი ხალხით. გერმანელები სააგიტაციო სურათს უჩვენებდნენ მოსახლეობას, დარბაზში გერმანელების დამკაშებიც ბლომად იყვნენ. კინოში სრული სიჩუმე იყო, ხალხი სურათს სულგანაბული უცქეროდა. უცებ ეკრანზე პიტლერი გამოჩნდა, მან ხელი ზევით აიშვირა და შესლილივით წამოიძახა:

მოსკოვში მივდივართ, მოსკოვში მივდივართ.

სწორედ ამ დროს მოულოდნელი ამბავი დატრიალდა; ჩემი პატამა ბიჭი სკამზე შებრუნდა და წამოიძახა: „მიდიხარ, მაგრამ წითელი არმია არ შეგიშვებს მოსკოვში.“ გავიგონე ეს სიტყვები და შიშით სკამიდან კინალამ გადმოვარდი. შეტორტმანდა ხალხი, და პატარამ უკან ცქერა იწყო. ვინც კი ჩვენს ახლო-მახლო იჯდა, ყველამ გარკვევით გაიგონა ბავშვის სიტყვები, მაგრამ იმდენი კეთილშობილება გამოიჩინეს, რომ ბავშვი არ გასცეს. ბავშვს პირზე ხელი დავფარე, რომ კიდევ არაფერი წამოეძახა. გერმანელებმა იწყეს დამსწრეთა გამოკითხვა: რა წამოიძახა ბავშვმაო.

— ვერ გავარჩიეთ, თუ რა სიტყვა ბავშვმა, — უპასუხეს დამსწრეებმა.

სიანსი დამთავრდა, შუქმა დარბაზი გაანათა. ეხედავ დიდისა და პატარას თვალები ჩვენსკენაა მოპყრობილი. ჟანდარმი თავზე დამადგა და მკითხა: რა წამოიძახებდა შენმა ბავშვმა, რა სიტყვა, საჩქაროდ მითხაროო. ოფელში გავიწურე, სუნთქვა შემიწყდა, მაგრამ მაინც გარკვეულად ვუპასუხე:

— ფიურერი რომ ეკრანზე გამოჩნდა, ბავშვი შემეკითხა: ვინ არის დედა ეს კაციო. ეს სიტყვები ისე რინიანად გაბედულად ვთქვი, რომ ჩემი პასუხის სისწორეში ჟანდარმს ეჭვი თითქმის არ შეპარვია, ის ერთხანს დამაცქერდა და გამცილდა. ხალხმა ჩემს სიტყვებზე, ნიშნად დასტურისა, თავი ჩაიქნია. რომ გამომეღავენბულიყო, თუ რა სიტყვა ბავშვმა, ორთავე დედა-შვილს საშინელი დღე მოგველოდა.

— შენ გამოიჩინე ასეთი გამბედაობა, ალიოშა, ააფორიაქე გერმანელები? — შევეკითხე ბავშვს.

სხვათა შორის, ვიდრე დედა ამ ამბავს ჰყვებოდა, ბავშვი თავჩაქინდრული იდგა და მის ფერმკრთალ გამხდარ სახეს და ღრმა, ჰკვიან თვალებს, უბ-

რალო ცვლილებაც კი არ განუცდიდა, ტუჩებზე ერთ ღიმილსაც ვერ უგატრებენია.

— ბავშვი რა ყოფაში იყო, ჟანდარმი თავზე რომ გადგათ? — შევეკითხე ქალს.

— სრულიად მშვიდად იყო, ოდნავაც არ შემკრთალა, თითქოს ის ამბავი მას არც კი ეხებოდა.

— ყოჩალი ბიჭი ყოფილა ალიოშა! — ვუვბნები დედას.

— ვინ გააგებინა არ ვიცი, მაგრამ ჟანდარმებმა შემდეგში თურმე შეიტყეს, თუ რა წამოიძახა კინო-დარბაზში ბავშვმა. იძულებული გავხდით დედა-შვილი ოლეკსკს სასწრაფოდ გავეცლოდით და შორეულ სოფელში გადაესახლებულიყავით! — გვითხრა ქალმა.

— ახლა აქ საიდან გაჩნდით— შევეკითხე მას.

— იმ სოფელში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, ხმა გავრცელდა: ოლეკსკს ჩვენი პარტიზანები თავს დაესხნენ და მტერს დიდი ზარალი მიაყენესო. სიხარულით იწყო გულმა ძგერა, მოთმინება არ მყოფნიდა, ბავშვს ხელი დავეღე და საჩქაროდ თქვენსკენ გამოვექანდი!

როგორც ზევით ვთქვი, ოლეკსკს ჩვენებმა მავრად დაარტყეს, მეტი ზარალის მიყენება მტრისათვის ერთი თავდასხმით შეუძლებელი იყო. ახლა საჭირო იყო მოწინააღმდეგისათვის დასაყრდენი ბაზაც ხელიდან გამოგვეგლიჯა, სინათლე და წყალსადენიც მოგვეშალა. როცა პარტიზანებმა ოლეკსკის სადგური გაანადგურეს, ღიანდაგი აპყარეს და მოძრავი შემადგენლობა ააფეთქეს, მაშინ ელექტროსადგურისა და წყალსადენის გაანადგურება ვეღარ მოასწრეს. ბევრს ვფიქრობდით, როგორ და რა საშუალებით მოგვეწყო ამ ორი ობიექტის — ელსადგურისა და წყალსადენის მწყობრიდან გამოყვანა.

ფედჩუკმა განაცხადა: შესაძლო რომ იყოს ოლეესკში კაცის შეგზავნა, მე იქ ახლო მეგობარი, სანდო პირი მყავს, გაბედული კაცია, შეიძლებოდა მისთვის მიგვენდო წყალსადენის აფეთქება.

პარტიზანების თავდასხმის შემდეგ ოლეესკი მტერმა შეუვალი გახადა, ქალაქში შესვლასა და იქიდან გარეთ გამოსვლაზე მხოლოდ ოცნებობა თუ შეიძლებოდა. ალიოშას დედასთან საუბრის დროს თავში ერთმა აზრმა გამიბინა: იქნებ შესაძლებელი იყოს ოლეესკში პატარა ალიოშა შევგზავნოთ-მეთქი. ბავშვი ხომ ოლეესკიდან იყო, გზაც იცოდა და ქალაქის ქუჩებიც. რაც მთავარია, მიერეწლოვან ბავშვს განსაკუთრებულ ყურადღებას არაფერს მიაქცევდა.

— ჩემო ალიოშა! — ვეუბნები ბავშვს, — თუ გაბედავ, ერთ საქმეს დავალებთ. შენ ოლეესკში გიცხოვრნია მისი ქუჩები იცი, იქნებ სცადო ამ ქალაქში შესვლა? ერთ იქაურ მცხოვრებთან ბარათს ვაგატანთ. შესძლებ თუ ვერა ამ დავალების შესრულებას რას იტყვი?

— რატომაც არა. წავალ, გადავცემ! — თავაულებლივ მიბასუხა ბავშვმა.

— ხომ არ შიშობ?

— რა არის საშიშო, წავალ!

ჩვენს საუბარში ალიოშას დედა ჩერდა:

— ალიოშა ადვილად შესძლებს თქვენი დავალების შესრულებას. ბავშვი, მართალია, წყნარია, პირველ დანახვაზე კაცს გაუბედავად და ჩლუნგად მოეჩვენება, მაგრამ, საქმე რომ საქმეზე მიდგება, ჩემი ბიჭი ნემსის უღწში გაძვრება!

ფედჩუკმა წერილი გაამზადა, განუმარტა ბავშვს ვისთვის უნდა გადაეცა იგი. წინდაში ჩაუღღეთ ბავშვს ბარათი და გზაზე დაეაყენეთ. ქალაქამდე მშვერავები გაეაყოლეთ. დამშვიდობებისას ეუთხარით: თამამად იარე, თვალების

აქეთ-იქით ცეცება არ დაიწყოთ, თუ ვინცობაა ვაგაჩერონ და გითხონ სად მიდიხარო, გაბედულად უბასუხე: შინ მივდივარ, ოლეესკიდან ვარ თქო!

ჩვენს დარიგებაზე ბავშვს გაედიმა, სწრაფად შეტრიალდა და გზას გაუდგა.

განვლო საათებმა, ნერვიულობა ვიწყეთ, ვფიქრობთ, ნეტავი როდის შესძლებს დაბრუნებას ჩვენი ალიოშა?! დედა გვეუბნებოდა: „თუ ადრესატი ბავშვს ადგილზე დახვდა, ის დღესვე დაბრუნდება, თუ არა და ხვალ მაინც!“.

დღეღალამე იყრებოდა! „აგერ, ხედავთ?“ — წამოიძახა ფედჩუკმა. სოფლის გზაზე ჩიტივით მოფრინავდა სახეგანათებული ბავშვი. მოახლოებისთანავე მან მკვირცხლად მოგვიძახა: „ენახე, წერილი გადავეცი, პასუხიც გამომატანა!“ ბავშვი თოვლზე დაჯდა, წინდის ყელში ორი თითი ჩაჰყო და წერილი ამოაგდო: „აჰა, ესეც პასუხი!“ — სთქვა და წერილი ფედჩუკს ხელში შეაჩეჩა.

წერილში აღნიშნული იყო: „მზად ვარ თქვენი დავალება შევასრულო, მაგრამ როგორ, სადაა ასაფეთქებელი მასალა, შესაძლოა მოახერხოთ და მომაწოდოთ, დანარჩენი ჩემზე იყოს!“

მშვერავებმა გვიამბეს: „როდესაც ორი-სამი კილომეტრით დავეუბლოვდით ოლეესკს, ვიწყეთ ქალაქის დურბინდით დათვალიერება. ქალაქში გერმანელები ქინძველასავით ირევიან. ალიოშამ ქალაქის კარგად დათვალიერებაც არ გვაცალა, უცებ წამოიძახა „მივდივარო!“ ბავშვმა ვაეკაცივით ხელები ჯიბეში ჩაიწყო და განიერი ნაბიჯით გასწია. დიდი ლოდინი არ დაგეჰქირვებია, ალიოშა მალე უკან სიცილით დაბრუნდა და გვიამბო: „როდესაც გერმანელები გზაში მხვდებოდნენ, მე თავს ვუქრავდი და ცეკვით გზას განვავარძობდი. სტვენა ვიწყე და ისე მივალწიე ძია გრიშას სახლამდე. უკან

გამობრუნებისას გრიშა ძიამ საკმელიც გამომატანა“.

წაფიკითხეთ წერილი და ბჭობა გამართა: როგორ შევძლოთ ასაფეთქებელი ნივთიერების შეგზავნა.

მდგომარეობა ისევ ალიოშამ იხსნა: პატარ-პატარა დოზებად შევკარით და რამდენიმე მგზაურობაზე ალიოშას ხელით შევძელით ქალაქში ასაფეთქებელი ნივთიერების შეგზავნა.

იმხანად პარტიზანებს ნადავლი შოკოლადი ბლომად გვქონდა; პატარა ალიოშას შოკოლადით მუდამ გამობერილი ჰქონდა ლოყები.

ჩვენი ორი დავალება ალიოშამ პირნათლად შეასრულა.

წყნარი და ცივი ღამე იყო. ის-ის იყო მთვარე ჰორიზონტის გადაღმა გადაგორდა, როცა ოლევსკის მიმართულებით ყრუ ქუხილი გაისმა.

მეორე დღით, სოფელში, სადაც პარტიზანები ვიყავით დაბანაკებული, გლენებს შორის დიდი მითქმა-მოთქმა იყო: — წუხელის ოლევსკში დიდი ამბავი დატრიალებულა — წყალსადენი აუფეთქებიათო!

პატარა ალიოშამ მეორე ღირსშესანიშნავი დავალების შესრულებაც შესძლო: ასაფეთქებელ მასალასთან ერთად სისტემატურად შექმონდა ოლევსკში ჩვენი საინფორმაციო ბიუროს ბიულეტენები და პარტიზანების მიერ გამოშვებული ფურცლები, ბავშვი შემუშმნეულად ახერხებდა ფურცლების დაყრას ქალაქის მოფარებულ ადგილებში.

ამრიგად, პატრიოტმა ბავშვმა ჩვენს შენაერთს დიდი ამაგი დასდო.

(გაგრძელება იქნება)

ივანე თარგა

ლ ე ქ ს ე ბ ი

★

მშობლიური სახლი

ეს მზე სტალინმა აანთო ჩვენთვის,
ცაზე რომ ხელად ბრწყინვალე
მნათობს,
ამ მზის ნათელი ჩვენს გულებს
ერთვის,
ამ მზის სხივები მთა და ბარს ათბობს.
აუხაზთ მხარეო, მშობელო დედავ,
მიტაცებს შენი ტურფა ბუნება,
აქ, ბელადს ყოველ ნაბიჯზე ვხედავ,
მშობელ ხალხს როგორ ესაუბრება.

და თუ ხალისით ცად ატანილი
ჩვენი შრომა და ცხოვრება მოჩანს,
ბედნიერი ვართ, რადგან სტალინის
ღიმილი შევენის ჩვენს სახლს და
ოჯახს.

მიპყრობილი გვაქვს ჩვენ მისკენ
თვალი,
მადლობის გრძნობის გამომსახველი,
შენც აფხიარცავ, უმღერე სტალინს,
დააგუგუნე მისი სახელი.

წინ მისდევს დიდი მსოფლიოს რუკა,
რუკაზე ქრება ფერები მუქი
და ფართოვდება უნათლეს შუქად
ხუთქიმიანი ვარსკვლავის შუქი.

რუკაზე შეიდი ასო სჩანს საესე —
მოსკოვი ბრწყინავს და სხივოსნდება.
მიჰქრის, შორს მიჰქრის და კრემლის
თავზე
წამით ჩერდება ჩემი ოცნება.

აქედან ვხედავ, ვრცელ დედამიწას
თვალს როგორ ავლებს ბელადი
ბრძენი,
ბედნიერების გზით როგორ მიჰყავს
განახლებული ქვეყანა ჩვენი.

ის ჩასწვდა ხალხს და კაცობრიობის
გულისთქმა იცის და ხვაშიადი
ხალხშიაც მოჰქუხს მისდამი ნდობის
და სიყვარულის წყარო დიადი.

ს ა მ ა რ თ ე ლ ო

★

შენ აყვავდი, საქართველოვ,
ხალხთა ძმობის სასახელოდ!
ამას ვმღერი ყოველ დღით —
გადაიქცე მთლად ბაღნარად,
ჩვენი გულის გასახარად
იყო ვარდით მოფენილი.

ვინ არ არის ამის მოწმე,
მუდამ იყავ ხალხთა მოძმე,
დიდ ბრძოლებში შეგხვდა ჯაფა,
მტერი მუსრე ბევრზე ბევრი,
წამოსული შენზე მტერი
აფხაზების ხმალიაც ჰკაფა.

რუსთაველის საქართველოვ,
ჩემო დედავ საყვარელო,
შენ წარსული გქონდა დიდი,
საამაყო, მაგრამ ახლა
სტალინის მზემ აგამალლა,
მოაშორა შენს ცას ბინდი.

საქართველოვ, საქართველოვ,
შობლიურო მთა და ველო,
შენ გადიდებთ აფხაზები,
გულით ნათქვამ ლამაზ შაირს,
თუ სიმღერას ნაირ-ნაირს
შენთვის ვმღერით გატაცებით.

ჩვენთვის ჰყვავის მთა და ბარი,
გასწეწია ზღვას ფაფარი
და ზვირთს ზვირთზე მოაგორებს.
ვინც შენ გნახა, ის შენს ქებას
იტყვის, სულით ამალღდება,
შეიყვარებს შენს მთაგორებს.

თეთრად მოჩანს შორს მყინვარი,
ქართვლის ველზე შუქმფენიერული
ბალის ნახვას რა სჯობამაა
და გორის სახლს ბაღი აკრავს,
პისტვის, ამ სახლს, ვინც კი ნახავს,
საქართველო ნაცნობია.

საქართველოვ, ჩემო დედავ,
შენს კუთხეებს ერთად ვხედავ.
როგორ დგანან მხარდამხარა.
ერთი ფიქრით გამსჭვალული,
ერთგვარად სცემს მათი გული
ერთმანეთის გასახარად.

მეც სამშობლოვ, სანატრელო,
შენთვის ვმღერი საქართველოვ,
ხალხთა მშობით გიძღვნი სალამს,
არ ვაჰქრება შენი ერი,
ძლიერი და ბედნიერი,
მას წინ უძღვნის დიდი ძალა!

ბ ი წ მ ი ნ დ ი



შენს ლამაზ სახეს გულით ვატარებ,
ბიწმინდო, ქართლის კუთხეე პატარა,
შენს ვრცელ ვენახებს, შენს კარგ
ბაღნარებს,
ვიგონებ ყველგან, სად ვარ, სად არა.
დაუვიწყარო და აბლობელო,
კვლავ გინახულე მყუდრო სოფელო.
მე შენსკენ მუდამ გული მეძახის,
და როგორც ფიქრებს ავედევნები,
გამახსენდება შენი ვენახის
გაბრწყინებული ქარვის მტევნები.
მე მიყვარს შენი მწვანე ბაღნარი,
ჩემი სოფელიც არის ამგვარი.
და მე მსგავსება მათი მახარებს.
სადაც არ უნდა მივიჩქაროდე,
ოცნებით არის ის ჩემთან ახლაც,
არ მტოვებს მასზე ფიქრი აროდეს,
ახლაც ჩემს თვალწინ რომ დგას ის
არაი —
სოფელი ჩემი დაუვიწყარი.

მე ვაკვირდები მათ ფერს და იერს,
მათ გაშლილ მინდვრებს და მათ
ბაღნარებს,
ჩემი სოფელი ბიწმინდს გავს ძლიერ
და მე მსგავსება მათი მახარებს.
ტყბილსახსოვარი, როგორც მშობელი,
ამიტომ მიყვარს ჩემი სოფელი.
აი, შეედივარ, შორიდან ვხედავ,
ფართოდ იღება ეზოს ჭიშკარი,
წინ მეგებება ქართველი დედა,
ვით ჩემი დედა სახე მდიმარი,
და მეფერება, როგორც საკუთარ
ძუძუთი გაზრდილს, ღვიძლშვილს
სანუქვარს.
მე დედის გულის სითბოთი ეთბები,
მის გულზე თბილი გული სად არი!
განა ეს ეზო არ არის ჩემი,
და ეს სახლკარი ჩემი სახლკარი?
ამიტომ არი თამამად, ასე,
აქ რომ მოვიდვიარ ხალისით სავსე.

დღეა ერთ წუთსაც სკამზე არ ჯდება,
მას მასპინძლობით ვერ სჯობს

ვერაინ,
გაშლილ სუფრაზე თანდათან ჩნდება
დედის ნაშრომი და ნახელავი
სახლი სტუმრისთვის სავსეა მუდამ,
მას ყველაფერი სტუმრისთვის უნდა.
კიქებში ღვინო ლალისფრად მოჩანს,
დგას ხელაღები ცივი და სუფთა,
დღეა სუფრასთან მოიხმობს ოჯახს,

და მოუჯდება თვითონაც სუფრას.
ზის ბედნიერი, ბაგემღუმარი
და გულს უხარებს დედას სტუმარი.
მე ასე მხედება მთელი სოფელი,
მყუდრო ბიწმინდის მცხოვრები

ყველა,
ავღგეთ, ვადილოთ მამა მშობელი,
ვისი სახელიც მზესავით ელავს,
ვისი სახელიც გულში ბრწყინდება,
სტალინს სიცოცხლე, სტალინს
დიდება!

ა ფ ხ ა ზ უ რ ი ქ ა მ ა

★

აღესილი მტრების ძელებით
აფხაზური ყამაც,
ბრძოლის ველზე გამარჯვებით
წინ უძღოდა მამაცს.

ზედ ბრწყინავდა სისხლის წვეთი,
გმირს ხელთ ეპყრა მტყიცედ,
მტრის ბანაყი გასაწყვეტი,
როცა ხანძრებს მისცეს.

იგი ვაჟკაცს არა მარტო
სამკაულად ახლდა,

ცხარე ბრძოლის ცეცხლში აწრთო,
მისი მცველი გახდა.

ხმლის ძმა და ხმალთან ერთად
ბევრჯერ ცეცხლში ნახეს,
სისხლს იწმენდა, მტერს რომ
ჰკვეთდა.

შორს ითქვამდა სახელს.

სატევარზე სისხლი გახმა,
მტერი მუსრა მთამაც
და სიმღერა უძღვნა ხალხმა
თავის ერთგულ ყამას

თარგმანი ბრიგოლ აბაშიძისა

მ მ ბ ა ლ ე

★

ლავეარდ ზღვასავით მღელვარე, ლალი,
სოფლის გარშემო გაშენებული,
შეკგებებია გაზაფხულს ბალი
საგაზაფხულოდ აყვავებული.
დილით, ციური სარკის წინაშე
რომ გაბრწყინდება ბალი ცვრიანი,
შიგ, როგორც თავის მუღმივ ბინაში.
დადის მოხუცი ხალისიანი.
იგი აქ, სადაც ნიავე დაჰქრის,
სადაც ჰაერი ჰმატებს ძალღონეს,

ნორჩ ხეს წაავაგეს ღონივრად აყრილს,
და არაფერი მას არ აღონებს.
შორს იცქირება მოხუცის თვალი,
მალალ ოცნებით ბალსა სცილდება,
მისთვის შრომაა საამო ვალი,
გული მგზნებარე არ უგრილდება.
ის ნერვავს ისევ, რომ აღიმართოს
ხეთა მწკრივები მწვანე ფერებდალ,
რომ უნაზესმა ხილმა იმატოს,
იმატოს ხალხის ბედნიერებამ.

თარგმანი კონსტანტინე მიხინიძისა

პ რ ზ ი ს ზ ი

★

1

ხუთი თვეა, რაც ოდესაში ვარ და მე-
ოთხედ გამოვიცვალე ოთახი. დიდ ქა-
ლაქში მცხოვრებ მარტოხელა კაცისა-
თვის განსაკუთრებული სიამოვნებაა
ხშირხშირად ბინის გამოცვლა. ერთი
უბნიდან მეორეში გადასვლის შემთხვე-
ვაში, ასე გგონია თითქოს ერთი ქვეყ-
ნიდან მეორეში გადახვედი. ახალი მე-
ზობლები, ახალ-ახალი ჩვევებითა და
ყოფაცხოვრებით.

ჩემი საცხოვრებელი ბინა ქალაქის
ერთერთ ხმაურიან ქუჩაზე მდებარე
ხუთსართულიანი სახლის მესამე სარ-
თულზე იყო.

სახლის პატრონი—კარგად ჩასუქებუ-
ლი და ჩამრგვალებული დიასახლისი —
იტალიელი იყო. მისი ქმარი კი იტალიუ-
რი ოპერის მოკარნახე, რომელიც იტა-
ლიიდან რუსეთში გადმოიხიზნულიყო.
სიკვდილის წინ მას ცოლისა და ერთად-
ერთი ქალიშვილისათვის ერთი დასტა
ძველი ნოტები ეანდერძნა. მოკარნახე
ზედმიწეებით კარგად იცნობდა ყველა
არტისტს, კარგად იცნობდნენ მათ აგრე-
თვე დედაცა და შვილიც. ქვრივი მოკ-
ლებული იყო არსებობის ყოველგვარ
სახსარს, ამიტომაც იტულებული იყო
ოთახები გაექირავებინა და თავი ამით
ერჩინა.

პირველსავე დღეს გავიცანი ჩემი მე-
ზობლები. ეს ჩემთვის ახალი და ძალ-

ზე საინტერესო წრე იყო ამ წრეში მეტ-
წილად იტალიელები შედიოდნენ. მათ
შორის იყვნენ ერთი რუსი სტუდენტი
და ერთი საკმაოდ ლამაზი ებრაელი ქა-
ლი კბილის ექიმი.

ამ წრეს თავისი სილამაზით ამშვენებ-
და ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა ქალი-
შვილი ლუიზა, რომელსაც ხუჭუჭა ქე-
რა თმა, სადაფივით სუფთა, თეთრი და
პრიალა კბილები და ძუფუნა თვალები
ქონდა. ლუიზა მძლავრი და ტკბილი
ხმით იყო დაჯილდოებული და სცენაზე
გამოსვლას ოცნებობდა, როიალზე უკ-
რავდა, მოსწავლეებს ასწავლიდა და
ფულს აგროვებდა, რათა იტალიაში წა-
სულიყო და ხმა დაემუშავებინა.

პირველ დღეს უცხო წრეში თავი
უხერხულად ვიგრძენ, მეორე დღეს თან-
დათან შევეჩვიე, ხოლო ერთი კვირის
შემდეგ ყველას დავემეგობრდი.

ყველანი ერთ ოთახში ვსადილობდით
ერთ მაგიდაზე. სადილი ორი საათიდან
ხუთ საათამდე გრძელდებოდა და აქ
თავმოყრილ სხვადასხვა ტომის ადამიან-
თა შორის მხიარული სიცილ-კისკისი,
ტუმრობა ისმოდა, და ცეკვა-თამაში
იპართებოდა.

ერთხელ, ნასადილევს, ლუიზა რო-
იალს მიუჯდა და რაღაც ვალსი ააქლე-
რა. ბასკონტრალტო ჩელინიმ კონტ-
რალტო ლუკრეცია კაფარელის მოხვია



ხელი და ცეკვა დაიწყო. ასტყდა მხიარული სიცილი აბა ვის არ გაეციენბოდა: მოცეკვავეთა შორის ერთი ძალზე მალაღლი და გამხმარი, ხოლო მეორე — დაბალი და მეტად ჩასუქებული იყო. ლუიზა უკრავდა. ლამაზი თავი მოელერებინა და განუწყვეტლივ კისკისებდა, თავისი ტბილი ხმის ბგერებით უხედა ავსებდა ოთახს.

საერთო მხიარულების დროს, უცებ შუა კარებში ჩემთვის უცნობი ადამიანის სახე გამოჩნდა. კარებთან ახლოს ვიჯექი და ყველაზე უმალ მე შევეამჩნიე იგი. უცნობმა პირველი შეხვედრისთანავე მიიპყრო ჩემი ყურადღება. დავაკვირდი. დაახლოებით 16 — 17 წლის ყმაწვილი იყო, გამხდარი, პირმკრთალი, მკერდჩავარდნილი. ტანთ ეცვა მოკლე მუქ-ლურჯი პიჯაკი და იმავე ფერის ეწირო შარვალი. ხელთ ეპყრა მწვანე ფერის რბილი, პუმბულჩარკობილი ქუდი, ისეთი ქუდი, როგორსაც მოხეტიალე ქვისმთელე ბერძნები და იტალიელი მუსიკოსები ატარებდნენ. პირისახის გამომეტყველება ნაზი და სათუთი ჰქონდა. თვალები ნაღვლითა და სევდით აღსავსე. იგი ისეთ ბედნიერ ადამიანთაგანი იყო, რომელიც პირველი შეხვედრისთანავე თანაგრძნობას იწვევდა ყველას გულში.

— ბონ-ჟურ, — სთქვა მან და მიესალმა ყველას.

— ოპო, არტისტი, — წამოიძახა ბარიტონმა კავალარომ, რომელიც დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის გულამთილი კაცი იყო.

— არტისტი, არტისტი, — გაიმეორეს დანარჩენებმა.

იმ წამსვე შესწყდა ცეკვა, მუსიკა, სიცილი, და ყველამ ყმაწვილს მიაპყრო ყურადღება.

— სად იყავი? ამდენი ხანია არსად სჩანდი, — შეეკითხა კავალარო.

— მოითმინეთ, ის მოწყენილია, — წამოიძახა ლუიზამ და მიუახლოვდა ყმაწვილს. — კიდევ რამე მოხდა? რატომ

შინ არ შემოდიხართ?

— სად არის სინიორა სტეფანია? — ჰკითხა ყმაწვილმა. მასსავე უღელვებულზე ხმა ჰქონდა, კანკალებდა ამ ხმაში, მოკრძალებასთან ერთად, სევდაც მკლავდებოდა.

— აა, მივხვდი, — წამოიძახა ლუიზამ, — ალბათ დედაშენი ისევ ავად არის. საბრალო ყმაწვილო, შენ ცისკენ მიისწრაფვი, ის კი მიწას ეკვრის...

— სინიორა ლუიზა, მე თქვენ შებრალებას არა ვთხოვთ, — შენიშნა შეურაცხყოფილმა ყმაწვილმა, — სინიორა სტეფანია აქ არ არის?

— დედა სამზარეულოშია.

ყმაწვილი წესიერად გამოესალმა და გამორდა.

— ის ძალზე მოწყენილი იყო, — სთქვა კავალარომ. — დედა ამჟამად უპქველად მიძიმე ავადმყოფი ჰყავს.

— არა მგონია, — შენიშნა ლუიზამ. — ეგ ქალი მუდამ ავადმყოფობს შვილის საწამებლად. საცოდავი ყმაწვილი...

— საცოდავი! — გაიმეორა რუსმა სტუდენტმა მწარე ირონიით, — მაგრამ მას არა სურს, რომ იგი შეიცოდოს, სინიორა ლუიზა. ნახეთ როგორ ეწყინა?

— ის ამაყია, როგორც ესპანელი გრანდი, — სთქვა კავალარომ და თავისი კეთილი თვალები წარბებქვეშოდან მე მომაპყრო. — სიამაყე უხდება მის მოკრძალებას. სინიორ, მისი სახე მუდამ ჩემს ძმას მაგონებს. ნიჭიერი დამკვრელი იყო ვიოლინოზე. საწყალი 20 წლისა იყო, როცა ჩემს მკლავზე გარდაიცვალა.

— თქვენ იცნობთ ლევონს? — მომმართა რაისამ, ებრაელმა კბილის ექიმმა. — არა? წარმოიდგინეთ, მეზობლებო, ბატონი ჩვენს არტისტს არ იცნობს!

— ო, ეგ არ გეპატიებათ, — წამოიძახეს ლუიზამ და ლუკრეცია კაფარელიმ.

— ჩემის აზრით, — თქვა კავალარომ, — ვისაც ხელოვნება უყვარს, მას უფლება არა აქვს ლევონს არ იცნობდეს. ის ნამდვილი არტისტი, დიახ, არ-

ტისტია გულითა და სულით, სისხლითა და მთელი არსებით.

მე უკვე ძლიერ დავინტერესდი, თუ ვინ არის, ბოლოსდაბოლოს, ეგ ბავშვი, რომელსაც ასე მიუპყრია თავისკენ ჩემი მეზობლები სიმპათია.

— თუ გსურთ, ახლავე გაიცნობთ, — სთქვა ლუიზამ. — ღირს მას ვეწვიოთ თავის სასახლეში. იცით რა, — მიმართა მან ყველას. — ცუდი არ იქნება, რომ ყველანი ერთად წავიდეთ ჩვენი არტისტის ავადმყოფი დედის სანახავად. დიახ, ცუდი არ იქნება... მე მივდივარ, ვისაც სურს, დე გამოჰყვეს.

ეს თქვა და მაშინვე გაეშურა კარებისაკენ. გარდა სტუდენტისა და მეორეხარისხოვან ბარიტონ ბორელისა, ყველანი მას გაეყვივით, მსუქანი ლუკრეცია კაფარელიც კი გამოგვყვა.

არტისტი ცხოვრობდა იმავე სახლის ზემო სართულში. ლუიზა მთავარი კიბისაკენ გაგვიძღვა. ავედით მეოთხე სართულზე. იქიდან ვიწრო ქუჩუიანი ხის კიბით მივადწვიეთ მეხუთე სართულს. შევედით ერთ ბნელ შესასვლელში. მაშინვე ცხვირში გვეცა ქონში შემწვარი ხორცის არასასიამოვნო სუნი.

ლუიზა პატარა დაბალი კარების წინ შეჩერდა.

— სინიორ ჩელინი, — სთქვა მან, — თქვენთვის ჭერი ერთი ფუტით უნდა აემაღლებინათ.

— ხოლო სინიორინა კაფარელისათვის კარები ერთი ფუტით უნდა გაეფაფართოებინათ, — დასცინა ჩელინიმ კონტრალტოს და თავისი გრძელი ხელები მოხვია მას.

ჩვენ შევედით ერთ ოთახში, რომელიც საქათმეზე ოდნავ დიდი იყო. იქ ბნელ კუთხეში, კედლის ძირას, რაღაც მოსჩანდა, რომელიც ლოგინს საწოლსა თუ ტახტს წაავადდა. ვინაიდან სინიორა სტეფანიას უზარმაზარ ხსეული ფარავდა მას, ერთი ნაბიჯით წინ წავედ და ძველი საბნის ქვეშ მწოლია-

რე ქალის სახე დაეინახე. მას შუბლი შავი ხილაბანდით შეეკრა და თვალაშტერებით შეკუურებდა ჭერს. ის კვნესოდა და მწარედ ჰგმინავდა. მის ფეხებთან „არტისტი“ იდგა, იგი, როგორც ეტყობოდა, ან დედის ავადმყოფობით, ან სხვა ფიქრით იყო გართული, რადგან ჩვენი შესვლა მისთვის შეუმჩნეველი დარჩა.

— კარგი, უკელი კვნესას, — ეუბნებოდა სინიორა სტეფანია ავადმყოფს, — ხომ არა კვდები! ჩვეულებრივი ავადმყოფობაა, ზეალ გაივლის. აბა გადმოიხედე, რა პატივსაცემი სტუმრები მოსულან შენთან! ბიჭო, — მიუბრუნდა ის ლევისს, — შეაწუხე ეს ადამიანები.

ყმაწვილმა შემოგვხედა, ძალზე შემფოთებული გაექანა, ორ დამტკრეულ სკამს შოაველო ხელი და შეიდ სტუმართაგან არ იცოდა, რომლისათვის შეეთავაზებინა.

— ბატონი ექიმი? — იკითხა ავადმყოფმა, როდესაც დამინახა.

— ექიმი არ არის, — უპასუხა სინიორა სტეფანიამ, — მაგრამ შენს ავადმყოფობას, ალბათ, ექიმზე უკეთესად გაიგებს. შენი სამშობლოდანაა.

— სომეხია! — გაკვირვებითა თუ სიხარულით წამოიძახა ავადმყოფმა. ნელ-ნელა თავი წამოსწია და ლოგინში წამოჯდა.

— სომეხია?! — გავიმეორე გაკვირვებით, რადგან არ მოველოდი ასეთი ტომის ადამიანს ამ მიდამოებში.

— დიახ, — სთქვა რაისამ. — არტისტი თქვენებურია, მიკვირს, რომ ვერ მიხედით ნახვისთანავე.

— საიდანა ხართ? — იკითხა ავადმყოფმა, — ბესარაბიდან ხომ არა ხართ? არა. ო, ეგ ძალიან კარგია, ძალიან კარგი. ბესარაბიელ სომეხებს არ სურთ ჩემი ავადმყოფობის გაგება. ღმერთო ჩემო, ვერავენი ვერ გაიგო ჩემი ავადმყოფობა, ვერავენი...

— კიდევ დაიწყე ძველი სიმღერა? —
წამოიძახა სინიორა სტეფანია. — გე-
ყოფა.

— არა, სტეფანია, გაჩუმება არ შე-
მიძლია, გული მეწვის; შენც დედა ხარ,
მაგრამ შენი შვილი ვაჟი არ არის. პო,
ნეტავი ჩემიც ქალი ყოფილიყო! არ ვიცი
რისთვის, თავის მამასავით მტანჯავს.
ბატონო, — მომიბრუნდა მე, — ეგ გა-
ფუჭებული ვაჟი ჩემი ერთადერთი შვი-
ლია, გესმით ერთადერთი. სხვა შვილი
არა მყავს. თუ ღმერთი გწამთ, ჭკუაზე
მოიყვანეთ. ის თავის მამის გზით მი-
დის...

— ჩვეულებრივი წუწუნია, — ყურში
ჩამჩურჩულა ლუიზამ, — ყურადღებას
ჩუ მიაქცევთ.

მე ლეონს გადავხედე, სირცხვილისა-
გან პირი კედლისაკენ მიებრუნებინა
და ჩვენ არ გვიყურებდა.

ლუიზა მიუახლოვდა მას, მოჰკიდა ხე-
ლი, სახე თავისკენ მოაბრუნებინა და
პირდაპირ თვალებში შეხედა მეგობრუ-
ლად, უფრო მეტიც — მოსიყვარულე
დის ნაზი მზერით. მე ვიგრძენი, რომ ამ
შეხვედვამ ლეონის სულის სიღრმემდე
მიღწია, და ვის არ ჩასწვდებოდა სუ-
ლის სიღრმეში? ლეონი წახალისდა
და მადლობის გრძნობით აღსავსე შავი
თვალებით მიამტერდა იტალიელ ქალი-
შვილს.

— წესიერი შვილი რომ იყოს, — გა-
ნაგრძო ავადმყოფმა, — განა თქვენის-
თანა საპატიო სტუმრებს ამ საღორეში
მიიღებდა? ხომ შედავთ, სკამებიც კი არა
გვაქვს. უსირცხვილო, რას გაშეშებულ-
ხარ ხესავით, სტუმრებს ვერა შედავ?

ლეონმა ხელმოკრედ შემოგვთავაზა
ერთი წყვილი სკამი. დაჯდომა შეუძლე-
ბელი იყო. ამ პატარა ოთახში შვიდ-
რვა სულს ფეხზე დგომა შეეძლო მხო-
ლოდ. ლუკრეცია კაფარელი დიდ ხანს
ვერ შეეგუა პაერის სიმცირეს და გარეთ
გავიდა. ჩელინიც გაჰყვა მას — და თა-
ნაც დააყოლა: „არტიტის“ დედა ჯერ

სიკედლის გუნებაზე არ არის და, რა
საკირო იყო ახლა შეწუხება?

მათი გასვლის შემდეგ ოთახში საგრო-
ნობლად განთავისუფლდა, და მე უკვე
შემემლო მისი დათვალიერება. აქ ნა-
ხულმა სასიამოვნოდ გაამაჯივრვა. ერთ
კუთხეში მსოფლიოს განთქმული კომ-
პოზიტორების, მუსიკოსებისა და მომ-
ღერლების მარაოს მსგავსად ერთმანეთ-
ზე გადაჭდობილი სურათები ეკიდა, მე-
ორე კუთხეში იაფფასიანი ხელოვნური
ნივთებით დატვირთული პატარა საწერი
მაგიდა იდგა. იქვე ვნახე ბეთხოვენის,
მოცარტის, შექსპირისა და ვაგნერის
აგურისფერი თიხის ბიუსტები, ერთი
სალამური და სხვა ასეთივე სახის ნივ-
თები. მაგიდის წინ კედელზე ეკიდა გი-
ტარა, ერთი მანდოლინა და ერთი თეატ-
რალური ტანსაცმელი, რიგოლეტოს
ტანსაცმლის მზგავსი. ყველაზე საინტე-
რესო ერთი სურათი იყო, რომელიც გა-
მოხატავდა ორი ყმაწვილის ბრძოლას
ერთი მოხეტიალე მომღერალი ქალის
გამო, ქალი გაწეწილი თმით შუაში ჩა-
ვარდნილიყო და მოქიშპეთა გაშველებას
ლაშობდა.

— ხედავთ, — წამჩურჩულა ყურში
კავალარომ, — მუსიკა, მხატვრობა პოე-
ზია... არაფერი არ არის დაიწყებული.
ამ დროს ავადმყოფი ჩივილს განაგრ-
ძობდა.

— აგერ სამი დღეა დილაობით მის
სახეს ვერ ვხედავ. მას არ სძინავს, სტე-
ფანია, არ სძინავს. ხომ შეიძლება ავად
გახდეს, მერე რაღა მეშველება, ვინ შე-
მინახავს? დღე და ღამ თეატრებშია. მა-
მის სენი შვილსაც გადაედო. ჩაინგრეს
მისი საფლავი, დღე გამიშავა.

— კიდევ წუწუნი, — წაბუტბუტა
ლუიზამ. — მთავარი ის არის, რომ არც
იღლება, ნამდვილი ეგოისტია...

მართლაც ავადმყოფის თვალებში ნათ-
ლად მოსჩანდა ეგოისტური სულისკვე-
თება, მაგრამ ორმოცდაათიოდე წლის
ქალის დამკვნარ სახეზე მაინც ელვა-
რებდა მისი ნაზი თვალები.

გამოთხოვებისას შევნიშნე ერთი რამ. კავალარო ლევონს ჩემად ერთ ოქროს ახეჩებდა ხელში, ყმაწვილი-უარზე იყო. მაშინ ბარიტონმა ნაბიჯი შეანელა, ოთახში დარჩა და საშუალება მისცა ლევონს ჩვენ გამოვეცილებინეთ.

სინიორა სტეფანიამ ლევონის შესახებ შემდეგი მიაბო:

— მამამისი ყოფილა თეატრის დალაქი და ხელოვნების დიდი მოყვარული, თავაზიანი, წყნარი და უბრალო კაცი, რომელიც თავს ხელობით ირჩენდა. მაგრამ იგი უცხად ლოთობის მსხვერპლი გამხდარა. პირველად თურმე ისიც შეყვარებული ყოფილა ერთ უღამაზეს მომღერალ ქალზე, რის გამოც კულისებში მალე გაქირდვისა და დაცინვის საგნად გადაქცეულა. მსახიობები და თეატრის მუშები თურმე დასცინოდნენ მის კადნიერ და უტიფარ გრძნობებს. ამ ქალის მოტრფიალეთა შორის ყოფილან: ადგილობრივი ქალაქის თავი, გამოჩენილი მილიონერები და ქველმოქმედი ბერძენი — გარაგლინი.

დევნა და შინაგანი სულიერი განცდები იმდენად დიდ გავლენას ახდენდნენ დალაქზე, რომ აფორიაქებული გულის დლევის არყის სმითაც ვერ იქარვებდა. ერთ დღეს რეჟისორმა არ მოიწონა მისი გაკეთებული პარტი და მას „არამზადა“ უწოდა. ამის გამო მან რეჟისორს გაართვა, რაც მისი მოხსნის მიზეზად გადაიტყა. იმ დღიდან იგი ქუჩის კაცი გახდა და გალოთდა. ერთ საღამოს იგი პოლიციელებმა ხის ქვეშ თოვლში ჩაფლული იპოვეს და შინ წაიყვანეს. ის ტიფით დაავადებული აღმოჩნდა და სამ დღეში განუტევა სული. იმედდაკარგულმა და დატანჯულმა დედამ თავისი 7 წლის ლევონი ერთ ხეროთმოძღვარს მიაბარა, თვითონ კი სხვებისათვის ტანსაცმლის კერვა დაიწყო. ამის შემდეგ ორ თვესაც კი არ გაუვლია, რომ სწავლის წყურვილი გატაცებული ყმაწვილი სახელოსნოდან გაიპარა. კეთილმა ადამიანებმა იგი სკოლაში მიაბარეს. იქ ის წერა-

კითხვას სწავლობდა: მამობრივი მზრუნველობით შეპყრობილმა უკანონო ლევონი ერთ მდიდარ საქმეკრუმს მისწავეს, მაგრამ იგი არც აქ გაჩერებულა. ერთმა შემთხვევამ იგი თეატრში მიიყვანა, სადაც აფიშების განმანაწილებლად მოეწყო დღეში 30 კაპიკის გასამრჯელოთი და თეატრის ქანდარაზე შესვლის უფლებებით. ის აქ ხშირად დადიოდა კულისებშიაც და ნელ-ნელა ეცნობოდა მსახიობთა სამყაროს; ყველა მსახიობმა გაიცნო იგი, ყველას გულმოდგინედ ემსახურებოდა და თავისი შრომისმოყვარეობით მან სიყვარული დაიმსახურა ყველას გულში. ის არ აცდენდა არც ერთ სპექტაკლს, განსაკუთრებით კი იტალიური დასების გამოსვლებს. დამამოხიბთაც კი თეატრში იყო, ან მის ირგვლივ ტრიალებდა.

— სინიორ! განცვიფრდებით, თუ ვიტყვი, რომ იმ დროს ის ჰქმნიდა ჩვენს ქალაქში ახლადჩამოსული არტისტებისათვის დიდებას.

— ქმნიდა, — ჩაერთა საუბარში ლუიზა. — დიახ! დიახ, ეგ ნამდვილია, სენიორ ჩელინი. მას დიდი დამაჯერებლობითი უნარი აქვს ამხანაგებს შორის, რომელნიც უსაზღვროდ გატაცებული არიან მისი გემოვნებით და რომელთაც იგი უყვართ კიდევ. ისინი არ არიან ბრმად ხოტბის შემსხმელნი, ან უბრალო თეატრისმოყვარულნი, ლევონის მოსყიდვა არასოდეს არ შეიძლება. მართალს ვამბობ თუ არა, სენიორ კავალარო?

— ლევონი უმანკოა, როგორც ახლადშობილი, და მგრძნობიარე, როგორც საკრავის სიმი, — წარმოსთქვა ბარიტონმა. — იგი ჩემს განსვენებულ ძმას წააგავს.

— მაგრამ უცხო არტისტს რითი უქმნის დიდებას? — დაეინტერესდი მე.

— პირველი ტაშით, — მიპასუხა კავალარომ.

— არ მესმის!

— სინიორ! ალბად არ იცით, რას უქადის არტისტს პირველი ტაში უცხო

ქალაქში. თითქმის ყველაფერს. თქვენ თეატრის მოყვარული ხართ და ალბათ შეგიძინებთ ერთი უცნაური მოვლენა: თეატრის დარბაზში მყოფრებელს როგორღაც უხერხულად მიაჩნია პირველი ტაშით შეხედეს უცნობ არტისტს. ბევრჯერ იგი სდუმს, თუმცა მოჯადოებულაა სიმღერით, და ფიქრობს, არ ჩასთვლიონ გემოვნებას მოკლებულ ადამიანად, ამიტომ რცხენია გამოამჟღავნოს თავისი აღტაცება. მაგრამ მყოფრებელს ეხმარება ლევონი, იგი თავისუფალია, უბრალო და არ მერყეობს პირველი ტაშის დაკერაში. ამხანაგები მისვან მავალითს იღებენ და აი, მათ დანარჩენი მყოფრებლებიც აყვებიან. მეორე დღეს გაზეთები სწერენ ამ ტაშის შესახებ და, აი, უკვე უზრუნველყოფილია გამარჯვება შემდგომს გამოსვლებში.

— თუ, რასაკვირველია, არტისტს უნარი აქვს, დაიმსახუროს პატივისცემა, — ჩაურთო ჩელინიმ.

— დიას! თუ დაიმსახურა!

— მაგრამ ჩვენს ლევონს ხომ შეუძლია ზოგჯერ არადირეულებს დაუკრას პირველი ტაში, — დასძინა ბორელიმ.

— უკაცრავად! — ირონიული ღიმილით უპასუხა კავალარომ. — ჩვენი დასის მიმართ მას ჯერ ასეთი შეცდომა არ დაუშვია. მე შეევამჩნიე, რომ ზოლენს ჯერ არ დაუშვასტერებია ლევონის ტაში.

კამათი ალბათ კიდევ გაგრძელდებოდა, რომ ოთახში ლევონი არ შემოსულიყო. ამ წუთს მისი სახე საკმაოდ მშვიდი იყო. მან კუთხეში მიიყვანა კავალარო, რაღაც ჩასწორებულა ყურში და ერთი ოქროს ფული ჩაუშვა მის ჯიბეში, შემდეგ გავიგე, რომ მას დედის ბალიშის ქვეშ უპოვნია ეს ფული და მიმხედარა, კავალარომ შეინახაო. ეს იუკადრისა და პატრონს უკანვე ჩააბარა.

— ჯიუტი ხარ, ლევონ, ჯიუტი, — წამოიძახა კავალარომ და მამობრივი სიყვარულით ზეღი გადაუსვა ყმაწვილს თავზე. — კარგი, ნუ გეწყინება,

დაჯექი, ცოტა ვილაპარაკოთ, შენ გუშინ, რასაკვირველია, სწავტრეშე შეყავ.

— ვიყავი...

— მოგეწონა?

— რასაკვირველია.

— მაშ, სახეს რატომ მარიდებ?..

— სინიორ კავალარო! გუშინ თქვენ ღელავდით.

— სრულიადაც არა, როგორც ყოველთვის. შენ სცდები.

— ნამდვილად, სინიორ! როცა მშვიდად ხართ, არასოდეს არ გადაუხვევთ ჩვენ ყველაფერი გავიგეთ, თქვენ გაგაბრაზეს.

— შენ ასე მოგჩვენებია, მე არავის არ გაუბრაზებია. აჰა! ხედავ ლევონ? შენ ჯერ კარგად არ მიცნობ.

ლევონი კავალაროს ისე პირდაპირ ჩააჩერდა თვალეში, რომ მასთან ტყუილის თქმა შეუძლებელი გახდა. კავალარომ ყმაწვილს ხელი მხარზე დაადო და უთხრა:

— არა სცდები, მეგობარო! გუშინ წარმოდგენის წინ დიდი უთანხმოება მომივიდა რეჟისორთან.

— არა, სენიორ კავალარო! სთქვით დირიჟორთან-თქო; — გაბედულად გაუსწორა ლევონმა.

— შენ საიდან გაიგე?

— „ო, კაოლთს“ — სიმღერის დროს სინიორ მარტინმა ნახევარი ტონით მაღლა აიღო, რომ თქვენ გადაგვხვით. სინიორ მარტინი, თავისთავს გარდა, ყველას მიმართ პირუთვნელია. რეჟისორის მიზეზით იგი თქვენზე შურს არ იძიებს. ის ბოროტია მხოლოდ თავის პირადი მოწინააღმდეგეების მიმართ.

— გესმით, სინიორ? — აღფრთოვანებით მომმართა კავალარომ. — ამ ყმაწვილის პირით თვით მუსიკალური ინსტინქტი და დაკვირვების ნიჭი დალადებს.

ლევონი წამოდგა, თავი დაგვიკრა, მაღლობა გადაგვიხადა, ავადმყოფის ნახვისათვის და კარებისაკენ გაეშურა.

იმდენად მომხიბლა მან, რომ სურვილი აღმეძრა უსათუოდ მესაუბრნა მასთან.

— სომხური იცით? — შევეკითხე მე.

— ვიცი.

ის დედის მსგავსად ლაპარაკობდა რუსულ ენაზე — ოსმალური აქცენტით. იტალიელთაგან მხოლოდ სახლის პატრონმა, მისმა ქალიშვილმა და კავალარომ იცოდნენ რუსული ენა. დანარჩენებთან ლევონი იტალიურ ენაზე საუბრობდა. რამდენიმე შეკითხვა მივეცი წმინდა სომხურ ენაზე. მან გაკვირვებით შემომხედა და გაიღიმა.

— ვერ მიხვდი? — მიემართე რუსულ ენაზე.

— ეგ საეკლესიო ენაა, — მიბასუხა მან თურქულად. — მე ვიცი მხოლოდ ასეთი სომხური.

ჩემთვის ახალი არ იყო ბესარაბიის სომხების მიერ შემობლიური ენის უცოდინარობა, მაგრამ მე პირველად შევეხვდი ერთადერთ ადამიანს, ოსმალურს სომხურ ენად რომ სთვლიდა.

ვთხოვე ლევონს, ხშირად მწვეოდა. ჩემის მხრივაც იგივე აღვუთქვი. დიდი ხნის ლოდინი როდი დამპირდა. მეორე დღესვე მოვიდა ჩემს ოთახში და მხიარულად გადმომცა თავისი დედის გამოჯანმრთელების ამბავი. სწორედ რომ ვთქვათ, არ მაინტერესებდა დედამისის მდგომარეობა. მაფიქრებდა შვილის ბედი.

როცა საუბარი ჩამოვადე თეატრისა და მუსიკის შესახებ, ყმაწვილი უცერად გამოიცვალა, როგორც აღვზნებული შეყვარებული, როცა მის გულის რჩეულზე ლაპარაკობენ. მან აღფრთოვანებით გადაშალა ჩემს წინ ყველა გამოჩენილი მომღერლისა და დამკვრელის ნიჭი. უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში მას მოუსმენია თითქმის ყველა მომღერლისა და მუსიკოსისათვის, რომელთაც ოდესაზე გავლით რუსეთში უმოგზაურნიათ.

— ალბათ, შენც მღერი ან უარა? — შევეკითხე მე. *არქონული*

— არა, სინიორ! *ბიზლირთეხა*

— არ მესმის!

— სასიმღერო ხმა არა მაქვს!

— საკრავი ინსტრუმენტები კი ბევრი მაქვს ოთახში, გუშინ ენახე.

— მე ვუკრავ მანდოლინისა და გიტარაზე.

— ნოტები იცი?

— სინიორა ლუიზამ მასწავლა. თქვენ მოგისმენიათ მისი სიმღერა? მწვენიერი ხმა აქვს, არა? დიახ მწვენიერი! ხომ მოგეწონათ? აბა ვის არ მოსწონებია! ო, ლუიზას დიდი მომავალი აქვს.

ის გაჩუმდა, ამოიხრა და შორს გაიხედა. მისი სახის გამომეტყველებაზე ყრუ სულიერი ტანჯვა აღიბეჭდა. ვაღიარებ, რომ მის ამოხზვრას მაშინ ყურადღება არ მივაქციე. ნუთუ შემძლო წარმომედგინა, რომ ჩვიდმეტი წლის ჰაბუკის სული ესოდენი სერიოზული სევდის ამტანი იქნებოდა!

— ეს ყველაფერი კარგი, — მივუგე მე, — მაგრამ რითი არჩენ დედაშენს? მამაშენს ხომ არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვებია?

— საქმე ბევრია, სინიორ! პროგრამებს ვყიდი, სტატისტიკის როლს ვასრულებ სცენაზე, რიგში ვდგები ეპ, სენიორ, საშუალება რომ მქონოდა, ჩელოზე დაკვრას ვისწავლიდი და მუსიკალურ ჯგუფში შევიდოდი.

— მამაშენი გახსოვს, ლევონ?

— რასაკვირველია, კარგად მახსოვს.

— ამბობენ, კეთილი კაცი იყო.

— დიახ, სინიორ, ძალიან კეთილი იყო. მხოლოდ...

— ლოთობდა, — დაუმატე ყმაწვილის ნათქვამს.

— იგი არასოდეს არ მცემდა, არც მიჯავრდებოდა, მაგრამ... არა, მახსოვს, ერთხელ გამიჯავრდა...

— ალბათ იცელქე?

— დიახ, სინიორ, იმისი ღუქანი იმ დროს აი იმ ლურჯი სახლის ქვედა სართულში იყო. ყოველდღე მივდიოდი პარიკების დასავარცხნად. ერთ ღღეს ძალიან დაღვრემილი იყო. ამ დროს ერთი გენერალი შემოვიდა წვერის გასაბარსად. მასთან ყოველთვის დიდი ხალხი დაიარებოდა. მე ავიღე სავარცხელი, თხელი ქალაღი შემოვახვიე, ტუჩებზე მივიღე და დაკვრა დავიწყე. გენერალი გაბრაზდა, მაშაჩემს უბრძანა — გარეთ გავეგდე. მაშაჩემი მომვარდა კისერში წამარტყა და გარეთ გამომაგდო. მაგრამ შემდეგ, როცა გენერალი წავიდა, დამიძახა, თვალეზი მომწმინდა, მაკოცა და მითხრა: თუ მუსი-

კის ნიქი გეკნება, ჩემს თავს დავეკვრა-ვებ და უსწავლეს არც დაგვრეზო. დიახ, სინიორ, თუმცა ლოთიანდა, მაგრამ ძალიან კარგი კაცი იყო. სინიორ! მაპატიეთ, რომელი საათია?

— თერთმეტი.

— უჰ, დამაგვიანდა. უკაცრავად, კიდევ განხავთ. თქვენი ოთახი კარგია. თქვენ წიგნებს მომცემთ წასაკითხად არა?

— ...გმადლობთ, ნახვამდის! — ღღეს კალაფატის ბენფესია, თეატრი სავეიქნება, წავიღე, რიგი დავიკაო.

მქურდა შევკითხებოდი — რას ნიშნავდა „რიგის დაკავება“, მაგრამ ლეონი უკვე გასულიყო.

2

კალაფატი გამოჩენილი მომღერალი ქალია.

თეატრში წავედი ბილეთის შესაძენად. სალაროსთან მყიდველთა ისეთი გრძელი რიგი იყო, რომ თითქმის ქუჩის ნახევარი ეჭირა. იღვა ნესტიანი და არასასიამოვნო ცივი ამინდი. სულ ბოლოში მოვექციე, სალაროსთან მისვლამდე ერთი საათი მაინც მომიზღებოდა დგომა. მინდოდა შინ დაებრუნებულიყავი, მაგრამ ამ დროს ჩემი გვარი მომესმა. ევ ლევონის ხმა იყო. იგი სალაროსაგან რამდენსამე ნაბიჯზე იდგა, ორ ებრაელს შორის ჩაჭვდილი.

— ბილეთის შექენა გსურთ? — შემივითხა თურქულად.

— დიახ!..

— მოდიტ, ჩემი ადგილი დაიკავეთ, თორემ მალე ვერ მიაღწევთ სალაროს.

მე მისი ადგილი დავიკავე. თვითონ წავიდა და კვლავ ბოლოს მოექცა რიგს. მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავდა „რიგის დაკავება“. ლევონ რიგში დგებოდა და, როცა სალაროსთან მიაღწევდა, მიჰყიდდა მსურველს ხუთ-ათ კაპიკად. მერე კვლავ მიდიოდა და იკავებდა ადგილს რიგის ბოლოს. ლევონი

ყოველ ღონეს ხმარობდა თეატრს არ მოშორებოდა, ჭამა-სმა, ჰაერი, სიცოცხლე, ერთი სიტყვით, ყველაფერი თეატრი იყო მისთვის.

იმდენად დამაინტერესა ამ ახალგაზრდამ, რომ ვეცილობდი ყოველღღეს შეგხვედროდი მას.

ერთ დღით მასთან დამხვდა ორი უცნობი, რომლებსაც თავის ოთახის კარებთან ესაუბრებოდა.

ერთი მათგანი ლევონის ტოლი იყო. მას მოქველებული ტანსაცმელი ეცვა, ხოლო თავზე ახალი ქუდი ეხურა. სახის გემომეტყველებით ნამდვილი ებრაელსა ჰგავდა. მოყვითალო თვალეზი და თითქმის მოწითალო თმა ჰქონდა. სახეზე რაღაც წინწყლები აჩნდა, რაც მიზიდველ გამომეტყველებას აღლევდა.

მეორე კი ხშირად მყავდა მახული ქალაქის სასიერო ადგილებში და თეატრების წინ. იგი დაახლოებით ოცდახუთი წლის ახალგაზრდა იქნებოდა, ისეთი გამხდარი, წერწყტა და ფერმკრთალი, თითქოს ეტრატისაგანაა გაკეთებულიო. მას მოგრძო და ვიწრო პირისახე, წვრილი და მრგვალი თვა-

ლები ჰქონდა სწორ და თხელ თმას წარბებამდე ჩამოფხატული რბილი ქუდი უფარავდა, შვე სერთუკზე გრძელი და განიერსახელოებიანი უსარჩულო შავი პალტო ეცვა. ერთ ხელში ეჭირა მაჯისსახო მოყვითალო ჩორკლიანი ჯოხი, მეორეში კი — უყდო წიგნები და ადგილობრივი გაზეთების ნომრები.

— ჩემი ამხანაგებია, — მითხრა ლევონმა და მაშინვე გამაცნო ისინი: — პოეტი ჩაუშენკო, იცო მარგულისი.

სამოვლებით ჩამოვართვი ხელი ორივეს.

— ჩაუშენკოს უყვარს გაეცნოს ხალხს თავის ნაწარმოებთა საშუალებით, — სთქვა განიერპალტოიანმა ახალგაზრდამ, რომელიც თვითონ იყო პოეტი. და, სწრაფად მომაჩეჩა რა ერთი წიგნაკი, მკითხა:

— არ მოისურვებდით ერთი ეკზემპლარის აღებას?

— სიამოვნებით.

წიგნის სათაური იყო „წამებისა და სევდის საათები. ლექსები პოეტ ლეონიდ ნიკოლოზის-ძე ჩაუშენკოსი“.

— თქვენ, ალბათ, გაგიკვირდებათ, ბატონო, — სთქვა მან და წიგნის საფასური ჯიბეში ჩაიდვა, — რომ მე გაკვადნიერდი და თავს მოგაზვიეთ ჩემი ნაწარმოები, მაგრამ ნუ განრისხდებით, ხალხი თავის სინდისს ჰყიდის, ჩაუშენკო კი-თავის წიგნებს. ყოფილი ასოთამაწყობი ვარ, თვითონ ვწერ, თვითონ ვაწყობ, თვითონ ვბეჭდავ, თვითონვე ვყიდი და თვითონვე გეახლებით ჩემს გულში ნაწერი სისხლის მონაგარს...

— ხოლო მე, — სიტყვა შეაწყვეტინა პოეტს ახალგაზრდა იცო მარგულისმა, — ხან გაზეთებსა ვყიდი, ხან უეატრებში ვმსახურობ. თუ გამიპირდა, ქუჩაში ფეხსაცმელსაც ვწმენდ.

— თავისი თავი მომავალ რუბინ-შტეინად წარმოუდგენია, — დადინებით დაუმატა ჩაუშენკომ.

— ახ, ბატონო ჩემო, თქვენ-მუსიკის მასწავლებელი ბრწყინებულად არა? აფსუსს, მე მინდოდა ბრწყინებულად დაეკრა მესწავლა დამცინე, ჩაუშენკო, მაგრამ ისევ მე უნდა გადავიტანო მუსიკაზე შენი „წამებისა და სევდის საათები“. კარგი, კმარა, ჯოხს ნუ მიღერებ. მე მხდალი არ გახლავართ, ებრაელი ვარ, სინიორ... წავიდეთ, პოეტო, ჩიშბა, ჩიშბა-ჩალალა...

და ქარივით გავარდა გარეთ. ჩაუშენკოც გაჰყვა მას და ხის კიბეებზე დაეშვა ხმაურითა და მსხვილი ჯოხის კაკუნით.

მადლობა ღმერთს, ამგერად ლევონის დედა შინ არ იყო, ბაზარში წასულიყო — სანოვაცის საყიდლად. ლევონმა მითხრა, რომ ჩაუშენკო და იცო მარგულისი იმისათვის მოვიდნენ, რომ მოითათბირონ იტალიური დასის პირველი მომღერალი ქალის ბარბინის ბენეფისის შესახებ. არაჩვეულებრივი დემონსტრაციებისათვის ემზადებიან, ჩაუშენკოს გადაწყვეტილი აქვს ბენეფიციანტკას ლექსი მიუძღვნას, რომელიც უნდა გადათარგმნოს იტალიურ ენაზე.

მე ლევონს გამოსაცდელად ვკითხე: — მსურს შევიტყო, რა საქმე გაქვთ მომღერალი ქალების ბენეფისებთან?

— როგორ თუ რა საქმე? — წამოიძახა მან გაკვირვებით — მომღერალი ქალები განა ხელოვნებას არ ემსახურებიან?

— მერე რა, რომ ემსახურებიან?

— ყველა კაცი ვალდებულია თავი სცეს ხელოვნებას.

— ხელოვნება ქარაფშუტობაა, ის მდიდრებისათვისაა. შენ და შენი ამხანაგები კი ღარიბები ხართ...

— მდიდრები არტისტებს საჩუქრებს უძღვნიან ჩვენ კი დემონსტრაციებს ვუწყობთ...

ვსაუბრობდით, როცა ლევონის დედა შემოვიდა, სანოვაცის კალათი დას-

ლო შექსპირის ცხვირ წინ, და მაშინვე შეიღს მივარდა:

— კიდევ აქ ეყარნენ ქუჩის მაწანწალები? ალბათ თათბირი გქონდათ: ერთი კვირაა ტვინი წაიდეთ მაგ მომღერალი ქალის ბენეფისით. ხომ თქვენი თვალით ნახეთ, ბატონო რა ჯურის ლაზღანდარები არიან ამისი ამხანაგები? ერთი მითხარით, რას შეისწავლის მაგათგან ჩემი ქარაფშუტა შვილი?..

ზოგჯერ დედები თავიანთი საკუთარი შვილების მტრები არიან. უდავოა, ლევონის დედას უყვარდა შვილი, მაგრამ ვერ ამჩნევდა თავის თავსა და შვილს შორის არსებულ უფსკრულს, რომლის ამოვსება და გათანაბრებაც ყოვლად შეუძლებელი იყო დაუსრულებელი გაიციხვებით. ერთხელ ამის შესახებ ჩვენს სასაღილო ოთახში ვსაუბრობდით: სინიორა, სტეფანია და ბორელი დედას გამოეხარჩლნენ, დანარჩენები კი — შვილს. რაისამ სთქვა:

— ჩვენ, ებრაელებს, მატერიალისტებად გეთვლიან. მე წინააღმდეგი არა ვარ. ეს მართალია, მაგრამ მერწმუნეთ, რომ არც ერთი ებრაელი, მეტადრე ებრაელი ქალი არ იქნება ქრისტიანი ქალივით გატაცებული შვილის საშუალებით გამდიდრების მანიით. ებრაელი თავის შვილს კეთა-გონებით უწევს ექსპლოატაციას. თუ შვილში მუსიკოსის ან მომღერლის ნიჭი შენიშნა, შეეცდება მაგ ნიჭის გამოყენებას. ის ძალას აღარ ატანს, რომ შვილი ხელოსანი ან ვაჭარი გამოვიდეს.

ორჯერ იტირა ლევონმა ჩემი თანდასწრებით, როცა დედა ჰციხავდა მას, როგორც „უვარგის შვილს“, იგი მოეხვია დედას კისერზე და შესძახა:

— დედა, დედა, ნუ ჯავრობ, მე შენ მიყვარხარ.

— არა, არა, ეგ ახალგაზრდა არ თაღლითობს. მას თავისი დედა უსახლდროდ უყვარდა, რაც მისი უბედურების ერთერთ მიზეზს წარმოადგენდა.

— შეიძლება? — მომესმა ლევონის ხმა ერთ დილას, როცა კარგად ვსულჯინდანი ამდგარი არც კი ვიყავ.

საამოვნებით შემოვიპატივე ოთახში. იგი უძუდო, პირდაუბანელი, თვალებჩაყვითლებული, თმაგაწველი და ფერმიმკრთალი იყო. იღლიაში მანდოლინა ჰქონდა ამოჩრილი, და მას ისე მაგრად უპერდა, თითქოს ეშინოდა, ხელიდან არავინ გამოიმგლიჯოსო. პიჯაკის ღილები გახსნოდა, უყელსახვევოდ იყო, პერანგი გადადებული ჰქონდა და გამხდარი გულ-მკერდი უჩანდა. მუხლებზე შარვლის ტოტები აპყვოდა და ფეხსაცმელის ყური მოსჩანდა.

— მაპატიეთ, სინიორ, — წამოიღულულა მან და დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ. — მე ამდგარი მეგონეთ.

დავაწყნარე იგი, ვუთხარი: ეს-ეს იყო ვდგებოდი-მეთქი. ნახევარი საათით დარჩენა მთხოვა ჩემს ოთახში, ვუბასუხე, ნახევარი საათით კი არა როდესაც და რამდენი ხნითაც გსურდეს, ისარგებლე ჩემი ოთახით-მეთქი. მაგრამ ამჯერად მისმა აღეწილა სახემ ძალზე ამაღელვა.

— რა დაგმართნია? — შევეკითხე მას, — ვილაცეები გდევნიან და შენც მათ ემალები.

რამდენიმე წუთს ხმა არ გამცა, შეკითხვა აღარ გავუმეორე. ჩაცმა დავიწყე, კარებთან მივიდა, გარეთ გაიხედა და უკან გამობრუნდა, ოთახის შუაგულში შეჩერდა და მანდოლინა უფრო მაგრად მიიხუტა გულზე.

— იცით, რა სინიორ? შეიძლება დედანემი აქ მოვიდეს.

— მერე რა? მოვა და მოვიდეს.

— მე იმას გამოვეჭკეცი. მანდოლინის დამტკრეკას და ლუმელში შეგდებას ლამობდა.

— რისთვის?

— გათენებამდის მოსვენება არ მივეცი, სულ ვუტყრავდი.

შემდეგ ლევონმა მიამბო, რომ გულშინაობის მუსიკალური ჯგუფის ბენე-



ფისი ჩატარებულა, წარმოდგენის შემდეგ ყველა მუსიკოსი სივარდით წასულა სასტუმროში. ლობჯინა ისიც მიუწვევია. ვახშაშვილი ერთს სხვათაშორის ესპანური მელოდია „მადრიდელი მაწანწალა“ დაუკრავს ჩელოზე.

— თავიდან არ მცილდებოდა ეს მელოდია. ძალზე გამიტაცა. გადაწვევილი. უეჭველად შემესწავლა ამალამვე, რომ არ დამევიწყებოდა.

- და შეისწავლე?
- დიახ!
- დაუკრავ ჩემთვის?

ლევონი სადა ბუნების აღამიანი იყო. განაზედა არ იცოდა, ყველაფერში უბრალო იყო. მე რამდენჯერ მომესმინა მისი დაკრა, ცუდად უკრავდა თუ კარგად, არ ვიცი. უკრავდა გულიანად, ისე, რომ თვითონაც გრძნობდა, მსმენელსაც აგრძნობინებდა.

ის სკამზე ჩამოჯდა და მანდოლინა მაგრად ჩაიკრა გულში. დილადრიან ნარიჩისფერ შარავანდელის სხივებს მოეცვა ოჯახი. ლევონმა რალაც საიდუმლო მაგნიტური ძალით, თავისდაუნებლიედ მიასტერა თვალები ამ სხივებს. ახ, რა გასხვიოსნებული თვალეები, რა ნაზი პირისახე ჰქონდა! ორი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, კიდევ მრავალი წელი გაივლის და ეგ ნათელი დღე კი დარჩება წარუშლელად.

რას უკრავდა ლევონი ვერ ამეხსნა. მახსოვს მხოლოდ, რომ მან ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ჩემში. ნახევრად შიშველი ვიდრე ოთახის შუაგულში და სულგანაბელი ფესმენდი გრძნობათა უხვი ნაკადის ჩუხჩუხს. ჩემი აზრით სევდა და სიხარული, ქარიშხალი და წყნარი ნაღველი ერთმანეთში იყო არეული „მადრიდის მაწანწალაში“, ან იქნებ ეს ყველაფერი ერთგვარი რაინდული ხალხის მგზნებარე გულის ამონახეთქი იყო? ჩემთვის გაუგებარი იყო უცხო ნიჭის შემოქმედებითი ძალა, მაგრამ ზედმიწევნით მაინტერესებდა, თვითონ დამკვრელი გამქრალიყო,

დარჩენილიყო მხოლოდ მისი აზრდითი, ჩემს იქ ყოფნას იგი ეგვიტყინებოდა, ტბილი მანგებით გატაცებული სხივები ვერა გრძნობდნენ ნივთიერ ქვეყნის არსებობას. მისი სული თითქოს მთლიანად შერწყმოდა ამ მელოდიას, გადაქრალილიყო შორს, შორეულ ქვეყანაში — რჩეული სულების ჯადოსნურ ქვეყანაში.

თავი ველარ შევიკავე და უსაზღვრო აღფრთოვანებით შევძახე:

— მშვენიერია, ლევონ, მშვენიერია!

როდესაც დამთავრა, რამდენსამე წამს სდუმდა, ადგილიდან არ იძროდა, მიშტერებოდა მზის სხივებს, რომელნიც თანდათანობით მკრთალ ფერს ღებულობდნენ, მაგრამ მან ყური არ მათხოვა, უძრავად იყო. ნაზი ბაგენი, რომლებიც მუდამ მოკუმული ჰქონდა, შესამჩნევად თრთოდნენ. უცებ ხელები მოუდუნდა, თავი გულზე ჩამოეკიდა. მანდოლინა შეუშინველად ჩამოუცურდა ძირს და გამხდარ მუხლებზე დაეცა. სხივებისაკენ მიშტერებული თვალეების ქუთუთოებზე ცრემლის წვეთები შევამჩნიე.

— ბავშვო, რატომ სტირი? — შევეკითხე სიბრალულით.

ის ფეხზე წამოდგა, შუბლზე ჩამოშლილ ხშირ თმაზე ხელი გადაისვა და უცნაურის ხმით წარმოსთქვა:

— ჩელოს დამკვრელმა მითხრა, რომ „მადრიდის მაწანწალა“ უბედური ყოფილაო. ცივ ღამეებში მას უშლერია და ცრემლი უფრქვევია გრანდის ქალის სარკმელთან... მის მამასაც სიღარიბის გამო თავი ხეზე ჩამოუხრჩვია. მაშინ მე ვერ მივხვდი იმის სევდით მოცული სიტყვების მნიშვნელობას... მეგონა, ბოდავდა, მაგრამ რისთვის? რად?!

— ახ, ბოდიში, — წამოიძახა მან, უცბად გონსმოხულმა, — მე... უძილობისაგან...

— დიახ, ლევონ, უძილო ხარ. თუ მოისურვებ, ჩემს ოთახში მოისვენე.

— გმადლობთ, სინიორ. ნება მომეცით მარტო მანდოლინა დავტოვო თქვენთან. დედაჩემი ღუმელში შეეძახებს მას. გუშინ ფანჯრიდან ძირს გადამიგდო გიტარა და რამდენიმე სურათი.

— ლევონ, დედაშენი ავი ადამიანია, ძალზე აღელვებული ვარ ამ ქვრივი ქალის მხეცური საქციელით.

ლევონს მეტისმეტად ეწყინა და დედას გამოსარჩლება დაუწყაო.

— არა, არა, დედაჩემი ავი ქალი არ არის, პირიქით, იგი ძალზე გულკეთილია... ვუყვარვარ. ხანდახან ვგრძნობ, თუ როგორ ჩემად მკოცნის იგი ძილის დროს. დიახ ვუყვარვარ. მხოლოდ სიყვარულს არ ამქვადენებს: ეშინია, რომ არ გაეთამამდე და უფრო არ გაეფუჭდე.

— უფრო არ გაეფუჭდე? — როგორ, ნუ თუ შენ გაფუჭებული ადამიანი ხარ?

— რა მოგახსენოთ, სინიორ დედაჩემი ამბობს: „ის, ვინც თავისი მშობლების ნება-სურვილს არ ასრულებს, უღირსი შეიღია“.

— მამ, რატომ არ ასრულებ დედაშენის სურვილს? — განგებ შევეკითხე საცდელად.

მან დაღვრემით გადმოხეცა და არაფერი მითხრა. იმ გადმოხედვაში მისი უმწეობა ამოვიკითხე. ვიგრძენ, რომ მას სურდა დედის მონა-მორჩილი შეიღი გამხდარიყო. უდავოა, რომ იგი ცხოვრებაში გარდა თეატრისა, ყველა სიამოვნებაზე უარს იტყოდა.

ზამთრის სეზონი დამთავრდა. შემომავალი არტისტები დედამაჩემის პირველ დღეს გაემგზავნენ სამშობლოში. ისე შეჩვეული ვიყავით მეშობლების წრეს, რომ ეს დღე ძალზე მოსაწყენი იყო არამარტო ჩემთვის, არამედ ლევონისათვისაც.

იტალიელები სადგურამდე მივაცილეოთ. გამოთხოვებისას კავალარომ სამჯერ გადაკოცნა ლევონი მეგობრულად...

სწორედ ამ დღეს ლუიზამაც მითხრა, ერთ თვეში გავემგზავრები იტალიაშიო. ეს საკითხი უკვე გადაჭრილი იყო. დიდი ხანია, რაც სინიორა სტეფანიაც შერიგებოდა ქალიშვილის იტალიაში გამგზავრების აზრს.

როდესაც ლევონს ლუიზამ გამგზავრების ამბავი გაუშლა, მეგონა, თითქოს ამ ამბავს მასზე არავითარ გავლენა არ მოუხდენია, იმიტომ, რომ იმ დღეებში იგი საერთოდ ნაღვლიან გუნებაზე იყო. დიდ მარხვის პირველ კვირაში თეატრები უკვე დაიკეტა, ლევონი ყოველდღე მიდიოდა ქალაქის თეატრის ირგვლივ მდებარე ლამაზ ბაღში, ჩამოჯდებოდა იქ, და უზარმაზარ შენობას უმზერდა. შემდეგ, ვინ იცის, რა ფიქრებში გართული ბრუნდებოდა შინ თავიჩაქნდრული. დედის მიერ ქუჩაში გადაგდებული გიტარა შეაკეთებინა და უკრავდა კიდევ. ხანდახან ჩემთან მოდიოდა და ჩემი თხოვნით მანდოლინაზე უკრავდა. ერთხელ ძლიერ ვთხოვე დაეკრა „მადრიდის მაწანწალა“, მაგრამ უარი მითხრა.

3

ოპერა დრამამ შესცვალა. დიდმარხვის პირველ კვირაში წარმოდგენები დაიწყო. ლევონიც თავის როლში შევიდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც წინათ. მას დრამა ისე არ უყვარდა, როგორც ოპერა, მეტადრე იმიტომ, რომ ჩამოსულ დრამატიკულ დასში მომხიბლველი ძალები არ იყვნენ, მაგრამ იგი მაინც შეებოქა რაღაც სხვა სიხალისეს.

ეს ამბავი მე არ მასვენებდა. ლევონი ყოველდღე ამოდიოდა ჩემთან, ფანჯარასთან ჯდებოდა, მანდოლინას მოიმარჯვებდა და „მადრიდის მაწანწალას“ უკრავდა. ხან კიდევ უცბად შესწყვეტდა დაკვრას. საჩქაროდ დასდებდა მაგიდაზე მანდოლინას და გარეთ გავარდებოდა. იგი ლუიზასთან მიდიოდა. გვერდზე მიუჯდებოდა და დიდხანს

ესაუბრებოდა მომავალი მოგზაურობის შესახებ. კეთილ ლუიზას მისი შეკითხვები არ ბეზრდებოდა, რადგან თავის მომავალზე ლაპარაკი მას დიდ სიამოვნებას გვრიდა.

— იცი თქვენ? — მიმართა ერთხელ რაისამ, — იგი ნამდვილად შეყვარებულია ლუიზაზე — დიახ, შემოდისა შემოგთყვით, რომ იგი შეყვარებულია.

— ფრთხილად იყავით, ქალიშვილო — მიუღუგე მე, — ლევონი გაჩვენებს და ეწყინება.

მომავლად საცოდავი დალაქი და შემეშინდა, ვაი თუ შევილსაც მამის ბედი ეწიოს მეთქი. მაგრამ, საბედნიეროდ, ლუიზას წრის წევრები უფრო ჭკვიანი და შეგნებულნი იყვნენ, ვიდრე იმ მომღერალი ქალისა, რომელზედაც შეყვარებული იყო ბედშავი დალაქი. რაისამ სიტყვა მომცა, კინტი აღარ დაეძრა ლევონის სანუკვარი გრძნობების შესახებ...

ქალიშვილის გამგზავრების დღე დადგა. ერთი კვირის განმავლობაში ლევონს ვეღარ იცნობდით, მხიარული იყო და ხალისიანი. თითქოს იგი ემზადებოდა გასამგზავრებლად, მიდი-მოდიოდა, ლაპარაკობდა, ხუმრობდა, მხიარულობდა, აღარ იცოდა რით მოეგო ლუიზას გული. გამგზავრების წინა საღამოს ლუიზამ ერთი ვერცხლის კალმისტარი მაჩვენა და მითხრა:

— შეხედეთ, რა სისულელე ჩაუდგენია თქვენს თანამემამულეს. ეს ხომ ერთი კვირის შრომის ხელფასია!

— მან ეგ კალმისტარი იმიტომ გისახსოვრათ, რომ წერილები მოსწეროთ, — ეუბასუხე მე.

— დიახ, უეჭველად მოეწერ. ვთხოვე უკანვე წაეღო საჩუქარი, მაგრამ ეწყინა, კინდამ ატირდა.

მატარებელი დილის ათ საათზე გადადიოდა. ჩვენ სინიორა სტეფანიას ყველა მდგმურმა, სადგურს მივაშურეთ ლუიზას გასაცილებლად: მეგონა, ლევონი ყველაზე ადრე მოვიდოდა. მაგრამ

იგი იქ არ იყო და დიდხანს არ სწინდარს მოულოდნელი იყო. ნეტავ რა შეუშალა ხელი, რომ უკანსაღმდეგოდ ემეზღო ლუიზა!

სინიორა სტეფანიამ გადმოიმცა: კავალაროსაგან ერთი მეტად სასიამოვნო წერილი მივიღეთ. მომღერალი მპირდება, იტალიაში სიამოვნებით ვიზრუნებ ლუიზაზე და მის პირველ ნაბიჯებს ეუხეღმსძღვანელებო.

— ის ძალზე კეთილშობილი ადამიანია, — დასძინა ჩემმა სახლის პატრონმა მხიარულად. — ნამდვილ მშასავით მიაქცევს ყურადღებას ლუიზას. ჩემს ქალს არ გაუფშვებდი, კავალარო რომ არ ყოფილიყო...

არასოდეს ლუიზა ისე მხიარული და ენაქართლა არ მენახა, როგორც იმ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ სადგურში წასვლამდის დედასთან განშორების მიზეზით ორჯერ იჯერა გული ტირილით. ერთ წამსაც არ ჩერდებოდა, თავისი მგზავრობით აღტაცებული შვილი წლის გოგონასავით დახტოდა. კისკისებდა. ყველას გვეხუმრებოდა ცალცალკე. წერილების მოწერას გეპირდებოდა. იგი მომავლის ტკბილი იმედებით იყო გატაცებული, რასაც არ მალავდა ჩვენთან. ერთი-ორი წლის შემდეგ იტალიიდან სამშობლოში დაბრუნდება ხმადამუშავებული და ოპერაში გამოვა! ნახავთ როგორი წარმატება ექნება, რამდენი თაყვანისმცემელი ეყოლება!..

„ის კი?.. — უნებლიედ გამიეღვა თავში, — იმის შესახებ რას ფიქრობ?“

— მაგრამ ლევონი სად არის? — უცხად იკითხა ლუიზამ და მყისვე დაუმატა: — მო ვიცი რისთვისაც იგვიანებს. რიშელიეს ქუჩაზე გავლის დროს თვალი მოვკარ მას, ყვავილებით მოვაჭრესთან. მაგ ახალგაზრდის გული მთელი ოკეანეა, ფართო... აგერ კიდევ მოდის... შეხედეთ, რა მოაქვს, არ გუბნებოდით?.. გაუსწორებელია...

სადგურის ხალხი მისწი-მოსწია და

ლევონიც მოგვიახლოვდა, ყვაელებს მშვენიერი თაიგულით ხელში. ძალზე ერბინა, გაოფლიანებულიყო და საშინლად ქშინავდა, მივიდა ლუიზასთან, ქუდი მოიხადა, მიესალმა და თაიგული გადასცა.

ზედმიწვევით კარგად ვიცნობდი მას და სწორედ ამიტომ შემეშინდა, რომ ლუიზას არ გაეკიცხა იგი. საქმარისი იყო, ქალიშვილს უბრალოდ სიტყვა გადაეკრა და ეთქვა: ასეთი საჩუქარი ვაქის ღარიბი ჯიბისთვის საგრძნობიაო, რომ მას ძალზე სწყყენოდა. მაგრამ ქალიშვილი გულკეთილი აღმოჩნდა, მყისვე მიხვდა ლევონის სულსკვეთებას, გაუღიმა, თაიგული დაუნოსა და ისე შეაქო საჩუქარი, რომ ახალგაზრდას სიამოვნებისაგან სიწითლის აღმურშა გადაჰკრა.

მაგრამ ასეთი გულთმისანი როდი აღმოჩნდა რაისა: იგი შეეკითხა ლუიზას:

— კვალარო დაგხედება მილანში?

— დიას, — უპასუხა სინიორა სტეფანიამ.

— ნუთუ ის იქ არის? — აღელვებული, ათრთოლებული ხმით ჰკითხა ლევონმა.

— კვალარო განსაკუთრებით ლუიზას დასახვედრად არის ჩამოსული მილანში, — მედიდურად უპასუხა სინიორა სტეფანიამ.

ის სულიერი სიამოვნება, რაც ლუიზამ თავისი ერთი ღიმილით მიანიჭა ლევონს, ახლა უცბად გაქრა, და მისი გულის სიღრმეში ადგილი დაუთმო საიდუმლო შურს. ლევონმა მოზრდილი ადამიანით იცოდა თავშეკავება, მან სიტყვა:

— ეს კარგია, სინიორ კვალარო დაეხმარება სინიორა ლუიზას.

დაკრეს მეორე ზარი, ლუიზა უკანასკნელ გამომშვიდობებას შეუდგა. ის, როგორც კეთილი, უბრალო, მიაშიტი და ყოველგვარი ცრუმორწმუნოების

გარეშე მყოფი ქალიშვილი, ისე მოქცა, როგორც საჭირო იქნა. განსაკუთრებულად რა დედის ხვეწნასთან დაკავშირებით უმაღლეს ლევონს ჩამოართვა ხელი და... ამხანაგური გრძნობით გადაჰკოცნა იგი. შემდეგ ყველას, ჩქარა ჩქარა ჩამოგვართვა ხელი და თაიგულით ხელში ავიდა ვაგონში.

მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი ლევონს. იგი გარინდებული იდგა ერთ ადგილას, იქ, სადაც ლუიზას კოცნის ღირსი გახდა, და ფანჯარას მიშტერებოდა, სადაც ქალიშვილი უნდა გამოჩენილიყო: ინსტიქტურად მოკვიდე ხელი და ცოტა მოეაშორე ვაგონს. აი, ლუიზას მხიარული სახეც გამოჩნდა ფანჯარაში. იგი ჰაეროვან კოცნას გვიგზავნიდა: კიდეც რამდენიმე წუთი, და მესამე ზარიც ჩამოჰკრეს, მატარებელი უხმოდ დაიძრა და რბილად გასრიალდა, თითქოს გემი მიცურავდა ზღვაზე. მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა ლევონი, ქუდი მალა ასწია და იტალიურ ენაზე გასძახა:

— კეთილი მგზავრობა... მშვიდობით... მალე...

ორივე ერთად შინ დაებრუნდით. გზაში ლევონი სდუმდა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს. ვლუმდი მეც. ვცდილობდი ხელი არ შემეშალა იმის ფიქრებისათვის, ვგრძნობდი, რომ იტანჯებოდა, მაგრამ ისიც ნათელი იყო ჩემთვის, თუ რა ბედნიერ მოგონებად დარჩა მას ლუიზას კოცნა, ხოლო რაზე ფიქრობდა, ეს კი ვერ მივხვდი. ეტყობოდა, ჩვეულებრივი აზრებით არ იყო გართული... ვთხოვე, ჩემთან წამოსულიყო. რაღაც მიზეზით უარი განაცხადა. ჩქარი ნაბიჯით აირბინა მეტუთე სართულზე და მიიმალა.

იმ დღიდან ერთ კვირაზე მეტმა დრომ განვლო, მაგრამ ის აღარსად მინახავს. თვითონ აღარ მოდიოდა ჩემთან, მე კი როცა ზევთ მივდიოდი, მარტო დედას ვხვდებოდი.

ერთხელ, სადილის შემდეგ, ბულვარში ვიყავი. ამ ბაღიდან ოდესის ერთ-ერთი ულამაზესი ხედი იშლება. დაახლოებით ორასი ფუტის სიმაღლიდან მოსჩანს მთელი ნავსადგური და ზღვის უბე აუარებელი გემებით, მე ბევრჯერ დაემტკბარვარ ამ სილამაზით. ახლა კი ცალკე ვიჯექი ერთ სკამზე ხალხის მოშორებით, მუსიკას ვუსმენდი და უნებლედ ვიგონებდი ლევონის მანდოლინას, რომელიც აგერ, ათი დღე იყო, რაც დაობლებული ეგდო ჩემს მაგიდაზე... „სად არის ახლა?“ — ვეკითხებოდი ჩემ თავს და კითხვა უპასუხოდ მრჩებოდა... ავიხედე და დავინახე, რომ ჩემს წინ ჩაუშენკო იდგა, იცოვ მარგულისსთან ერთად. შეხვედრამ გამახარა. ხელი ჩამოვართვი და მაშინვე ვკითხე ლევონის შესახებ.

ჩაუშენკომ პალტოდან მომსხო ჯოხი გამოაძვრინა ნავსადგურისაკენ გაიშვირა და თეატრალური კილოთი მითხრა: — იქ არის.

იცოვ მარგულისმა ქვამახშირის მტვრით დაფარული ქუჩით წაგვიყვანა და ერთი დიდი სამიკიტნოს წინ შეჩერდა, რომლის აბრაზედაც „სამოთხის იახტა“ ეწერა.

შევედით მოზრდილ სამიკიტნოში და შედარებით მყუდრო კუთხე მოვნახეთ. იქ ერთ გრძელ მაგიდას ათამდე მეზღვაური შემოსხლამოდა. მაგიდა დაფარული იყო გაუთუქვიანებული ჭურჭლით, პურის ნატეხებით, საჭმლისა და პაპიროსის ნარჩენებით, ლუღისა და არყის ბოთლებით და კიჭებით.

— აი, თქვენი არტისტიც, — სთქვა იცოვს და მაგიდის ბოლოზე მიგვითითა. ლევონა იჯდა, იგი გიტარაზე უკრავდა და მოქეიფებებს ამხიარულებდა. მიუხედავად თავისი სისაწყლისა, მე ის არასოდეს ასე ჭკუქიანი არ მენახა. მას პერანგი მაინც ყოველთვის სუფთა ეც-

ვა, ხელპირი დაბანილი, (ფეხსაცმელი გაწმენდილი, გაბრიალებული ჰქონდა. ახლა კი ქარხნის მუშას წაავადდა.

ჩემმა დანახვამ გააკვირვა იგი. დაკვრა არ შეუწყვეტნია, მაგრამ ძალზე დი-იზნა, გაწითლდა. მეზღვაურები მოწიწებით უსმენდნენ, თუმცა ყველანი უკვე მთვრალეები იყვნენ. თავიანთ სიამოვნებას ისინი ყვირილ-ღრიანცელით გამოხატავდნენ. დროგამოშვებით ესა თუ ის წარმოდგებოდა, მოეხვეოდა ლევონს, აკოცებდა, ან მხარზე ხელს დაჰკრავდა და წამოიძახებდა:

— ყოჩაღ, ლიოვა, ყოჩაღ...

ჩაუშენკომ მიგვიპატივა ერთ ცარიელ მაგიდასთან და გვითხრა, ლევონს ხელს ნუ შეუშლით, მეზღვაურებს ეწყინებათ და გაბრაზდებიანო. ერთი ბოთლი ლუდი მოვატანინეთ და ამ მიზეზით მაგიდას შემოვუსხედით. ლევონი სულ ჩვენ გვიყურებდა და იღიმებოდა. ამ ათი დღის განმავლობაში უფრო გამზდარიყო და დამკვინარიყო.

ტუჩის კუთხეებში ამ დღეს პირველად შევამჩნიე ნაოკები. მაგიდიდან ერთი მხარბეჭიანი და გრძელწვერა მეზღვაური წამოდგა და რხევით მიუახლოვდა ლევონს. ხელი დაადო ახალგაზრდას გამზდარ მხარზე და შეჰყვირა:

— ეი, დაუკრავ თუ არა ჩემთვის „ოი, ჩემო სევდას?“ მე მსურს მოვისმინო „ოი, ჩემო სევდა“.

— დაჯექი, დაჯექი შენს ადგილზე, „ციმბირის დრუნჩო“, — მიავვირეს ამხანაგებმა, — ხელს ნუ უშლი ლიოვას.

— არ დაეჯდები, სანამ არ გავიგებ. „ოი, ჩემო სევდას“, „ოი... ჩემო სევდა“... ლიოვა, ლიოვა, „ჩემო სევდა“...

— შტერო, — შენიშნა ერთმა, — ლიოვა სწორედ „ოი ჩემო სევდას“ უკრავს, არ გესმის, ზებრეე?...

— ლიოვა... არა სტყუის?..

ლეონმა თავის დაქნევიტ დაუდასტურა: „ოი, ჩემო სევდას“ ვუკრავო.

— დასწყევლოს ღმერთმა შეჰყვირა „ციმბირის დრუნჩმა“, — რა მშვენიერად უკრავს! კარგი, ეგ მოვისმინეთ: ახლა დაუკარი „დუნაის მზეთუნახავი“. ლიოვა, ლიოვა „დუნაის მზეთუნახავი“.

— აი შენ „დუნაის მზეთუნახავი“. — უთხრა ერთმა ბრგე მეზღვაურმა და უკანიდან ხელი გაუყარა „ციმბირის დრუნჩს“ მიაბრჯინა, ასწია და თავის ადგილზე დასვა.

— ლიოვა, ლიოვა, „ჩემო სევდა“...

— შტერო — შენიშნა ერთმა, — ლიოვა სწორედ „ოი, ჩემო სევდას“ უკრავს. არ გესმის, ხებრევე?..

— ეი, შე კალუგის დათვო, როგორ გამიბედე, — უთხრა ციმბირის დრუნჩმა, — ხელებს დაგამტრევე... — და მუშტი ისე ძლიერად დაარტყა მაგიდაზე, რომ ბოთლები და ჭიქები ერთმანეთს მიეჯახნენ და დაიმსხვრენ. ასტყდა ერთი ალიაქოთი, ყვირილი, ღრიანცელი. ჰაერში შეეკუმშული მუშტები აიწია. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ „ციმბირის დრუნჩსა“ და კალუგას დათვის ერთმანეთი მოეკლათ, რომ აქ არ ყოფილიყო ერთი ჰალარა მეზღვაური, რომელსაც ამხანაგები „ძიას“ ეძახდნენ. ის ჩაერია მათ გასაშველებლად. მიეშველა აგრეთვე ლეონიც, მან დაკვრა შესწყვიტა, წამოღგა და უთხრა:

— ბატონებო, ნება მომეცით „ხერსონელებთან“ წავიდე.

დავა მყისვე შესწყდა: ყველანი გარს შემოერთყვენ მუსიკოსს.

— ლიოვა, ჩვენო მტრედო, ნუ იზამ, ლიოვა, დაუკარ, როგორ შეიძლება! — შეეხვეწნენ ერთხმად.

— დაუკარი!.. როგორ დაუკრა, ბატონებო, როცა არ მისმენთ, ჩხუბობთ უზრდელი მაწანწალებივით? ნუთუ ეს შეშვენის „რუსეთის ამხანაგობის“ მეზღვაურებს!..

— რასაკვირველია, არ შეშვენის! — სთქვა „ძიამ“. — თქვენ რატომ უნდა ულუთაგან აქ იმით მიახლოდეთ, რომ თქვენი ჩხუბით დაეტყველოთ მუსიკას ვერ აფასებთ...

„ხერსონი“, „ტირასპოლი“ გემების სახელები იყო და მეზღვაურებიც ამ გემთა სახელს ატარებდნენ.

— დავაფასებთ, დავაფასებთ, ლიოვა, სულელები ხომ არა ვართ?!

— რა ფული, უნდა მაგ ჭრიკინას?! — დაიდრიალა „ციმბირის დრუნჩმა“, შარვლის ჯიბიდან ვერცხლის ფულით სავსე ქისა ამოიძრო და ლეონს გადაუღგო, — აჰა, აილე, დაიხრჩე...

— ჩვენც, ჩვენც მოგცემთ — შებღავლეს ყველა მხრიდან და ხელები ჯიბისაკენ წაიღეს.

— ერთი შეხედეთ, ლეონი გამდიდრდება! — ხელების სასიამოვნო ფშვინით წამოიძახა იცკომ, როცა ფულის ქისებს მოავლო თვალი.

— აი ნახავთ, თუ არა! — წარმოსთქვა ჩაუშენკომ, რომელიც იდაყვდაყრდნობილი იჯდა მაგიდასთან და გაშტერებით უყურებდა ამ სურათს.

ლეონმა დინჯად მოავლო ხელი ყველა ქისას, დალაგა მაგიდაზე და სთქვა:

— მე ჩემ საფასურზე მეტს ერთ კაბიკს არ ავიღებ, თითო ნომერი 10 კაბიკი ღირს. არც მეტი, არც ნაკლები. ქისები ჯიბეში ჩაიდეთ, დასხედით, უნდა დაუტყრა.

— ვაშა, ვაშა, ლეონ, რომ არ შეგვარცხენე, — ისე აღფრთოვანებით წამოიძახა ჩაუშენკომ, რომ ყველა მეზღვაურმა ყურადღება ჩვენ მოგვაყარო. უკვე დაღამებულიყო. „ძიამ“ განაცხადა, გემზე დაბრუნების დროაო, მოქვიფეებმა საფასური გადაიხადეს, ლეონსაც გაუსწორდნენ, ყვირილ-ღრიანცელით გავიდნენ გარეთ და გზას გაუღგნენ.

როდესაც ამხანაგები გამშორდნენ, მე დაფინტერესდი, გამეგო—რა იყო მიზეზი, რატომ გამოიცვალა ლევონმა თავისი ხელობა? ძნელი იყო დაჯერება—როგორ დასთმო ასე იოლად თეატრი და, როგორ მიჰყო ხელი ამ ხელობას?

—გაპირებამ მაიძულა, სინიორ! — მიპასუხა მან წყნარად.

— მაგრამ წინათაც ხომ გქონდა ასეთი გაპირება?

— მე მინდა დედაჩემის ნება-სურვილი შევასრულო, ოცნება აღვესრულო.

— ესე იგი?

— მინდა უზრუნველყო იგი.

თვალეში ჩავაცქერდი და მივხვდი, რომ სცრუობდა. ჭეჩის ფარნის შექმნა გასცა მისი გაფითრებული სახე.

— ე.პ. ძალზე საქებია დედაშენის უზრუნველყოფაზე რომ ფიქრობ, — ვუპასუხე მე. — მაგრამ მაპატიე, ლევონ, ამ შემთხვევაში მაინცდამაინც არა მჯერა შენი. ჩემის აზრით, შენ სხვა მიზანი გაქვს.

მან არაფერი მიპასუხა, ნაბიჯს მოუმატა მხოლოდ.

— საით მიეშურები? — შევეკითხე.

— თეატრისკენ.

— ისევ თეატრი?

— დიახ, სინიორ... დღეს დრამის კარგი სპექტაკლია...

სასწრაფოდ გამშორდა. ალბათ იმიტომ, რომ თავი დაეღწია ჩემი შეკითხვებისათვის. მე უკვე მივხვდი მას.

— რამდენჯერმე ვინახულე „სამოთხის ვახტა“, ლევონი უყვარდათ იქ. მეზღვაურები ერთიმეორეს ეცილებოდნენ. ის კარგად ასრულებდა უკრაინულ სიმღერებსა და ცეკვებს. ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადიოდა, ყველას ამხიარულებდა, თავის ათ-ათ კაპიკს აგროვებდა. გახურებული ქვიფის დროს ლევონს თითო კიჭა ლუდს, ან არაყს

მიაწვდიდნენ ხოლმე. იგი არ სვამდა, დალევაც არ შეეძლო.

ერთხელ ჩემი თანდასწრებით, როცა არაყის კიჭა ზიზლით გადადგა, მისთვის რაღაც ტყბილი სასმელი მოითხოვეს, მან შესვა ერთი კიჭა, მერე მეორეც მიიყოლა და გამხიარულდა...

ერთ დღეს მითხრა:

— სინიორ, ჯერ ორი თვე არ არის და უკვე ოცდაათი მანეთი შემოვიჩახე. მხოლოდ დედაჩემს არაფერი უთხრათ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ეგ ფულები მე მჭირდება...

— იტალიაში წასასვლელად, — დავუმატე მე, რათა საკითხი ერთბაშად გამორკვეულიყო. — ნუ გიკვირს, ლევონ, ეგ მე დიდი ხანია ვიცოდი.

— მართალია, სინიორ, მართალი, იტალიის ნახვა მინდა.

— და ლუიზასიც...

სირცხელით პირი მომაჩრია. მე ვუთხარი მას, რომ სინიორა სტეპანიამ კავალაროსაგან ახალი წერილი მიიღო. ბარიტონი იწერება, რომ სიმღერის მასწავლებლებს ქალიშვილის ხმა გაუსინჯავთ და მისი ხმის „ტემბრით“ პირდაპირ მოხიბლულან. ერთი გამოჩენილი პროფესორი პირობას იძლევა, სამი წლის განმავლობაში ლუიზა ისე მოამზადოს, რომ ოპერებში პირველი დრამატული სოპრანოს პარტიები იმღეროს. ჩემ მიერ გადაცემული ამბავი მისთვის ახალი არ იყო. მან მითხრა, რომ სწორედ იმ დღეს ლუიზასაგან მასაც მიიღო წერილი. კეთილ ქალიშვილს თავისი დაპირება შეესრულებინა, მხოლოდ ეგ წერილი პირველი და უკანასკნელი გამოდგა.

მთელი გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში ლევონი ნავსადგურსა და სმიკიტონებში დაიარებოდა. დრო-გამოშვებით ჩვენთან შემოდებოდა და

„ანგარიშებს“ მამარებდა. მეზღვაურებს კვლავინდებურად უყვარდათ იგი. სიამოვნებით უსმენდნენ მას და პატივებდნენ. თვეში სამუალოდ ოც მანეთამდე ზოგავდა. მალე, სულ მალე შეისრულებდა გულის წადილს, გაემგზავრებოდა იტალიაში.

სამიკიტნოების ატმოსფეროს მასზე თავისი დალი დაესვა. მიხვრა-მოხვრა საგრძნობლად უხეში გახდომოდა, ხანდახან უშვერ სიტყვებსაც ხმარობდა, რაც წინათ მის ლექსიკონში არასოდეს არ მოიძებნებოდა. წამოისროდა და უმალვე ნანობდა, წითლდებოდა. რამდენჯერმე ვივრძენი, რომ მას პირიდან სასმელის სუნი ამოსდიოდა. მხოლოდ, ერთ საღამოს კი ჩვენი სახლის კიშკართან ვნახე ძალიან მთვრალი. გიტარა ილიაში ამოედო და ბარბაცებდა. კიბეებზე ასვლაში დაეცხმარე.

ალმასტმა დაინახა, ხელები სახეში მიირტყა და წამოიძახა.

— მოჰკლა, გამათავა...!

გაკიცხვის დრო არ იყო. გაბორბტებულ დედას ეთხოვე თავი შეეკავე-ბინა.

ლევონი პირქვე დაეცა ლოგინზე. ერთი ფეხი იატაკზე დარჩა. საზარელი სურათი იყო. ახალგაზრდა ლევონი, რომელიც ანგელოსად მყავდა წარმოდგენილი, თანდათანობით ეცემოდა ჩემს თვალში, რაც ძალზე ძნელი და მწარე იყო ჩემთვის. არაფერს არა გრძნობდა, არც არაფერს მოითხოვდა. თავითფეხებამდე ტალახში ამოსვრილი ეგდო როგორც ჩვარი. დროგამოშვებით ხელს გამოჰყოფდა, მარცხენა ფეხსაცმელს მოიხინჯავდა...

თავი მივანებე ამ მძიმე სურათს და გავშორდი. ვიფიქრე, ნუთუ ეს არის ჩემი მეგობრის დასასრული, ნუთუ ალმასტის ბოროტი წინასწარგრძნობა სრულდება-მეთქი!

ერთ დილას, როცა მათთან ავედი, ალმასტი დამშვიდებულიყო და თვალწარბაჩამოშვებული უძრავად იჯდა

კუთხეში. ლევონი გიტარას დაუძღვდა რომ საქმეზე წასულიყო. მარჯამ უნდა პოულობდა; ალმასტს დაემალა. არ უჩენდა. დამინახა საწყალმა ქალმა და ტირილი მორთო. ამ შემთხვევაში მე სიტყვა ვერ ვიპოვე ლევონის გასამართლებლად.

— არ ვამბობდი, რომ თავისი დაწყვეტილი მამის გზით უნდა იაროს-მეთქი? აგერ ეს შეოთხევერ მობრძანდება შინ ისე გაღეშილი...

უმჯობესად ჩავთვალე, ცალკე მოვლაპარაკებოდი ლევონს და ოთახში მივიწვიე, როცა გუშინდელი მღგობარეობა მოაგონდებოდა, ძალზე რცხვენოდა. სდუმდა ჩემს ლაპარაკს ელოდებოდა. რა უნდა მეთქვა, გაიციხვა ზედმეტი იყო, ლევონი არც ბავშვი იყო და არც ტუტუცი. მალე თვრამეტი წელი უნდა შესრულებოდა. ამხანაგურად აფუხენი ლოთობის დამღუპველი შედეგები. მოთმინებით მომისმინა ბოლომდე და, როცა დაეამთავრე, სთქვა:

— ეგ ყველაფერი ვიცი, მამაჩემი სწორედ ლოთობამ მოჰკლა.

— იცი და მაინც სევამ?

— მაიძულებენ.

— ვინ?

— მეზღვაურები.

— გადადი სხვა სამიკიტნოში.

— ყველგან მაიძულებენ.

— ნუთუ უარს ვერ ეტყვი?

— წინათ უარს ვეუბნებოდი, ახლა თავს აღარ მანებებენ.

— რას ნიშნავს „თავს აღარ განებებენ“? ყველა კაცი თავის ნებაზე უნდა იყოს.

— დიას, სინიორ! მაგრამ როცა ნახე ვარდუთიანი მუშტი ცხვირწინ აგეტუზება, ყველაფერი დაგაფიწყდება.

— ისინი ხომ არა გცემენ?

— მცემენ, თუ გავუჯიუტდები.

— რა სარგებლობა აქვთ შენი დათრობისაგან?

— მთვრალებს ფხიზელი ადამიანები ეჯავრებათ. როცა არა ვსევამ, ამბო-

ბენ — „შენ გუნებაში დაგვცინიო, შენც დალიე, ჩვენ გავგითანასწორდით“.

— მაშინ, ცოტა დალიე.

— ბევრს არა ვსვამ, მაგრამ ცოტაც მათრობს.

— რას ვასმევენ?

— წინათ ტყბილ სასმელებს მასმევდნენ, ახლა იმახიან — „ძვირი გვიჯღმბათ“ და ძალას მატანენ ლუდი და არაყი დავლიო.

მე გაჩუმდი. საჭირო იყო ჩვენი საუბრიდან რაიმე დასკვნა გამოგვეტანა.

— ლევონ, თავი გაანებე მაგ სამიკიტნოებს, ისევ თეატრებით გაერთე...

— რასაკვირველია, გავანებებ სინიორ, მალე სულ მალე იტალიაში გავემგზავრები... უკვე ასორმოცდაათი მანეთი მაქვს.

— შერე, დედაშენი?

— ისიც თან მიმყავს.

— ასორმოცდაათი მანეთით?

— რა? ცოტაა?.. მე ბევრსა ვკითხე, ამბობენ ოცდაათი მანეთით ისე ვიცხოვრებ, როგორც აქა.

— ალბათ შეიძლება, მაგრამ რამდენსამე თვეს, შერე?

— შერე?.. რაიმე საქმეს ვიშოვნი.

— ლევონ, გამომიტყდი, იტალიაში წასვლა რად გინდა? სიმართლე მითხარი. — და პირდაპირ ჩაეხედე მას თვალებში.

— ჩელოზე დაკვრა მინდა შევისწავლო, შემდეგ დაებრუნდე და აქ ორკესტრში შევიდე.

„სტყუი, მეგობარო, გავიფიქრე — მე, — მთავარი მიზეზი ეგ არ არის“.

დაკვირვებით ვუშერდი, გული ნაღვლით ამევსო. ფეხზე ჩამომხმარაყო, როგორც ძვირფესვიანად ამოგლეჯილი ყვავილი. მთხოვა, დამერწმუნებინა მისი დედა, რომ გიტარა დაებრუნებინა. სულ ერთია, თუ არ დამიბრუნებს, ახალი უნდა შევიძინო, ახალი ხარჯების გაწევა რა საჭიროაო.

მ. „მნათობი“, № 6.

იმ დღიდან ძლიერ ერთი კვირა იყო გავლილი, როცა ერთ საღამოს, დაახლოებით ათ საათზე, უცნაურ აღმასტი აღელვებული შემოვიდა ჩემს ოთახში.

— ბატონო, თუ ღმერთი გწამდეთ, ერთ წამს გაისაოჯგეთ და ზემოთ ამობრძანდით.

უცნაურ მდგომარეობაში ვბოვე ლევონი იმ საღამოს.

წყნარი და თავაზიანი ყმაწვილი გამხეცებულოყო, უტილეტოდ, ფეხშიშველა კარებთან გორაობდა, ნადირივით ღრიალებდა და ხელის თითებს იკვნეტდა. გამხდარი ყელის ძარღვები დაბეროდნენ, თითქოს ეს-ეს არის დაკნინული სიმებივით უნდა დასწყდნენო. გიყვივით აბრაზუნებდა ფეხებს იატაკზე.

ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყო, რაც ოდესის მიყრუებულ ქუჩებში ყოველ საღამოს ხდებოდა ხოლმე. ნავსადგურიდან დაბრუნებისას ლევონს თავდასხმოდნენ ვიღაც ბოროტმოქმედი, თავითფეხებამდე გაეტიტვლებინათ, გიტარაც წაერთმიათ და შინ ისე გამოემკვათ.

— შერე, ამაზე იკლავ თავს? — შევუყვირე მე და მკლავში ხელი წაგავლე, — ჰოი, სირცხვილი!..

— მეც სწორედ მაგას ვეუბნები, ხომ არ ვკიცხავ! სახლში ტანსაცმელიცა მაქვს და ფეხსაცმელიც... ვაიმე, ღმერთო ჩემო, თავს კედელზე როგორ ურტყამს, ეს რა მომდის, ზეციურო შეუფეც!..

საქვეო იყო, რომ ლევონი ასე გამწარებულოყო გიტარის, მოძველებული ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის გამო. დანაკარგი უთუოდ უფრო დიდი იყო. აღმასტს ვთხოვე, ერთ წამს მარტო დავეტოვებინეთ. ქალი გარეთ გავიდა. ლევონის ხასიათს კარგად ვიცნობდი და ამისათვის მასთან ცალკე მოლაპარაკება იყო საჭირო. მას უყვარდა, როცა ხალხი დიდ ადამიანად სთვლიდა.

— სირცხვილია, ლევონ! მადლობა ღმერთს, ბავშვი არა ხარ! გონს მოდი... ეგრე ღრიალი როგორ შეიძლება?!

— როგორ შეიძლება? როგორ შეიძლება? სინიორ, თქვენც ამას მეუბნებით? თქვენ არ იცით, რა დაეკარგე? მარცხენა ფეხსაცმელი... დიახ... მარცხენა... იცით... იტალია, ჩელო, სიმღერა, მუსიკა, ყველაფერი დაიკარგა... ბულვარის ქვევით იყო, დიდ კიბესთან. ორნი იყვნენ — ერთი მადალი ტანისა, მეორე ჩასხმული. მადალი უკანიდან მომეპარა და ხელები დამიჭირა, მეორემ ჯიბეები გამიჩხრია, როცა ერთ მანეთზე მეტი ვერ მიპოვეს, გაბრაზდნენ. შეგონა გიტარას წამართმევდნენ, და მომშორდებოდნენ... არა... პოეტიკი გაეხადეს... ჯანდაბას, პერანგიც რომ გაეხადნათ, კრინტსაც არ დაეძრავდი... მაგრამ ფეხსაცმელები, მეტადრე მარცხენა ფეხისა... „გახადეო,“ — უთხრა ხელების დამჭერმა, — ორი ჭიქა არაყი მაინც ეღირებაო“. როცა ჩასხმული ფეხსაცმელების გასახდელად დაიკუნა, გაეცოფდი, კბენა დავუწყე მხრებზე, თავზე, სადაც მომხედა... ერთი მაგარი სილა გამაწნა. თვალთ დამიბნელდა... დავიწყე ხეწნა, მუდარა... არ მომისმინეს უღმერთოებმა... წაიღეს... წაიღეს...

— მაშასადამე, ფეხსაცმელზე დარდობ? — ვკითხე მე, როცა დაახლოებით მივხვდი საქმის ვითარებას.

— ას ორმოცდაათი მანეთი, სინიორ, ას ორმოცდაათი მანეთი იყო მარცხენა ფეხსაცმელში, შეგროვილი ფულს იმაში ვინახავდი...

და ბავშვივით მწარე ჭკითინი მართო...

მაშ, ასე. წაურთმევიათ მისი ექვსი-შვიდი თვის ნაშრომი, იტალიაში წასასვლელად, ლუიზას ნახვის იმედი... იმაზე უფრო კარგი ადგილი ვერ გამოუნახავს თავისი ფულისათვის. შინ ვერ შეენახა, დედისა ეშინოდა, რად-

გან იგი იპოვნიდა და უკან აღარ დაბრუნებდა. ისეთი დედაცმეტი... რომ ყოველდღილით ჯიბეებს უჩხრეკდა, მარცერთ კაპიკს არ უტოვებდა.

— ქალაქებში მქონდა შეხვეული, ქუსლში ვინახავდი. ზედაც ტყავი მქონდა გადაკრული და წვერები დაწებებული... ბევრი ღამე ფეხსაცმლით დამიძინია... წაიღეს არამზადებმა... ვინ იცის, იქნებ ახლაც ერთი ჭიქა არყის ან ერთი გირვანქა პურის ფასად ჰყიდიან...

ღმერთო ჩემო... რა უნდა ვქნა?

სიტყვას ვერა ვპოულობდი, რომ მენუგეშებინა საცოდავი. სისასტიკედ ჩავთვალე მისი გაკიცხვა გაუფრთხილებლობისათვის. საჭირო იყო მხოლოდ დანაკარგის პოვნა, რაიმე იმედის მიცემა. სევდა განუსაზღვრელი იყო.

— აა, — წამოიყვია უცბად და ხელი შუბლზე მიირტყა, — იმედია, პოვნის იმედი მაქვს...

— ოპო! — გამეხარდა ბავშვივით.

— დიახ, სინიორ, თქვენ იცნობთ იცოს მამას, მარდი კაცია, ქუჩის ყველა არამზადას იცნობს. ძველი ტანსაცმლით ეპარობს. ახლავე წავალ იმასთან, ახლავე, დედა, დედა, შემოდი ჩქარა, მომამოდე ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გიტარის მოსაძებნად უნდა წავიდე...

დედამ წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ლევონმა, სასწრაფოდ ჩაიცვა და გარეთ გაეარდა.

მე, რასაკვირველია, აღმასტს არ გავუშვებდი, თუ რა დაეკარგა ლევონმა. წარმოდგენილი მქონდა, გლოვას მორთავდა და როგორ დაწყევლიდა შეიღს.

მდიდრების მიმართ შურითაღვისილი დავბრუნდი ჩემს ოთახში. რატომ მეც მდიდარი არ ვიყავი!...

გათენებისას ლევონის სანახავედ წავედი. სახლიდან უკვე გასულიყო. აღმასტის თქმით, მას მთელი ღამე არ სძინებია, მოუსვენრად დადიოდა ოთახში. თითქმის შუაღამე იყო, როცა ლევონი დაღლილ-დაქანცული, გაოფლიანებული, გამტვრიანებული შემოვიდა ჩემთან. მას ლაპარაკის ძალაც კი აღარ შესწევდა. შუადღემდე იცკოს მამა და ლევონმა მთელი ქალაქი შემოიარეს. შუადღის შემდეგ მათ ჩაუშენკოც შეუერთდა და ყველამ ერთად იწყო ძებნა. შემოიარეს ბაზრის ყველა ადგილი, სადაც კი ტანსაცმელი იყიდებოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ფეხსაცმელს, არავის უმხელდნენ რა განმს დაეძებდნენ, მაგრამ ამაოდ. იცკოს მამა ურჩევდა ლევონს, რომ ფულის შესახებ აღარ ეფიქრნა. ჩაუშენკომ პოლიციასაც შეატყობინა პრისიტავეს გაეცინა და სთქვა: ფულს რომელი სულელი ინახავდა ფეხსაცმელშიო.

ლევონს მთელი დღე ეშინებოდა. ვთხოვე ჩემთან ევაზშენა, უარი მითხრა. წავიდა ღონემიხილი, იმედდაკარგული.

მთელ ერთ კვირას დილიდან გვიან საღამომდე ეძებდა დანაკარგს. ჩაუშენკოს და იცკოს იმედი გადაუწყდათ და აღარ ეხმარებოდნენ მას; ის კი კვლავ განაგრძობდა ძებნას. მას ჰამის მადი, ძილი და მოსვენება აღარა ჰქონდა. — შინ დაგვიანებით ბრუნდებოდა, ტანსაცმლით წვებოდა ლოგინში და სულ ჭვითინებდა. აღმასტი ძალზე დანაღვლიანებული იყო და არ იცოდა რა ექნა. ის, შვილთან ერთად თვითონაც იტანჯებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ, თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ლევონი უკვე აღადგინებდა შეიშლებოდა. ყველაფერი დაეიწყებოდა, არაფერი აღარ აინტერესებდა, თეატრიც კი არ აგონდებოდა.

ლევონის სევდას ვეღარ ვუყურებდი, მისი მწარე ჭვითინი, მოთქმა, ტანჯვა-ვაება გულს მიკლავდა. ახლა იგი უფრო ხშირი სტუმარი იყო ჩემი, ვიდრე წინათ. მოვიდოდა, მომიჯდებოდა გვერდით და სულ დანაკარგზე მელაპარაკებოდა. გულის სიღრმეში მუდამ უბრწყინავდა დანაკარგის პოვნის მცირე იმედი. ვინ იცის, შეუძლებელი არაფერია, იქნებ იმ ფეხსაცმელმა მთელი ქალაქი შემოიაროს და კვლავ თავის პატრონს დაუბრუნდეს... მაგრამ მალე იმედის ეგ მცირე ნაპერწყალიც კი ჩაქრა და ლევონმა თანდათან გამოფხიზლება იწყო. ნაცნობი მეზღვაურები ეხვეწებოდნენ, სამიკიტნოში მისულიყო, ახალი გიტარის ყიდვასაც კი ჰპირდებოდნენ. მე ვურჩიე მიეღო მეზღვაურების წინადადება — და ფულის მოგროვება დაეწყო.

ერთ მშვენიერ დღეს ლევონი ახალი გიტარით „სამოთხის იახტაში“ გაემგზავრა. საღამოს მიაშბო, რა დიდი ამბით, სიმხიარულითა და ხევენა-კოცნით ეგებებოდნენ მეზღვაურები. პირიდან მას ისევ არყის სუნე ამოდიოდა. აღბათ, დარდის გასაქარებლად დალია, მე ვერ გავბედე მისთვის შენიშვნა მიმეცა.

მცირეოდენმა თანხამ, რომელიც პირველ თვეს შემოინახა, ძალზე გაამხნევა იგი და გულში კვლავ იმედი ჩაუნახა. იმ შემთხვევაში მან გულახდილად აღიარა, რომ იტალიაში მხოლოდდამხოლოდ ლუიზასთან შეხვედრის მიზნით მიემგზავრება. დღე არ გაივლიდა, რომ იგი არ შემიკითხებოდა:

— სინიორ, რა ისმის ლუიზას შესახებ?

მას რცხვენოდა პირდაპირ სინიორა სტეფანიასათვის მიემართნა ასეთი შეკითხვით. სტეფანიასაგან რასაც ვაივებდი, უმალვე გადაეცემდი ხოლმე.

ლევონს. ლუიზა მუდამ მოკითხვას უთელიდა, ლევონს და ლევონიც თავს ბედნიერადა სთვლიდა. არ ვიცი მოიპოვებოდა თუ არა ქვეყანაზე ისეთი ვინმე, რომელსაც ისე გაახარებდა ლუიზას ყოველი ახალი წარმატება, როგორც ამ შეყვარებულს? ის იძახდა, რომ ლუიზა ყველაზე ძლიერ მას უყვარს და ყველაზე უმალ თვითონ უნდა დაუკრას პირველი ტაში, მხოლოდ აქ, ოდესამე კი არა, იტალიაში.

ერთხელ სთქვა:

— ამ განაფხულამდე რომ არ გავემგზავრო, კვლავ შევიწლები.

სხვა დროს ასეთი შეკითხვით მომმართა:

— როგორ გგონიათ, სინიორ? ლუიზა რომ განთქმული მომღერალი გახდეს, გაამაყდება?

მაშინვე მიხვდი, რის გაგებაც სურდა გულის სიდრმეში ლუიზას მალა აყენებდა და თავის თავს კი მის ღირსად არ სთვლიდა. მაგრამ სიამაყე ამის აღიარების ნებას არ აძლევდა. მას სურდა ჩემი აზრი გაეგო: იყო თუ არა იგი ლუიზას ღირსი.

მსურდა რა ცოტათი მაინც გამომეფხიზლნა მისი დაბრმავებული სული, — ვუბასუნე:

— დიახ, გაამპარტავნდება, ახლაც კი, როცა ჯერ კიდევ განთქმულ მომღერალის საპატიო წოდებისაგან შორს არის, იგი ამპარტავანია...

— ეინა სთქვა? — აღშფოთებით წამოიძახა ლევონმა.

— მისმა საქციელმა. მას შენ დაავიწყდი უკვე.

— როგორ? რატომ?.. თქვენ არა სთქვით, ყოველთვის მოკითხვას გითვლისო?!

— დიახ, მეგობარო, მაგრამ, მაპატიე, მაგ მოკითხვის მიზანი სულ სხვანაირად მესმის. ლუიზა ჯერ მომღერალი არ გამხდარა, მაგრამ არტისტების მზაკვრობას ითვისებს. მე ბევრ ნიჭიერ მომღერალსა და მსახიობს ვიცნობ, რომ-

ლებიც დიდ ქალაქებში სტუდენტებს ელაქუცებიან, სამაზრო ქალაქებში კი — გიმნაზისტებს, — და შენ იმისთვის, რომ ტაში დაუკრან და ოვაციები გაუმართონ. შენ კი შენი ჯგუფით ამ საქმეების საუკეთესო მომწყობი ხარ. ლუიზამ ეს კარგად იცის და თავისი მომავლის დაზღვევის მიზნით შორიდან მეგობრულ კავშირს ამყარებს შენთან. თუმცა იმავე დროს იგი დარწმუნებულია, რომ შენი მოქრთამვა შეუძლებელია. ეს! ჩემო მეგობარო, ნუ მოიქცევით იმ სტუდენტივით, რომელმაც შარშან ერთი მომღერალი ქალის გული-სათვის თავი მოიკლა, ლუიზას შენ არ უყვარხარ, რომ შეყვარებოდი, წერილს მოგწერდა. ერთხელ მოგიგონა და გაჩუმდა.

იქნებ მე ცილს ეწამებდი ლუიზას, მაგრამ ჩემს ნათქვამში ცოტაოდენი სიმართლე მაინც იყო. ლევონის გადასარჩენად მზად ვიყავი უფრო ცუდი ფერებიცა და მემხსიათებინა ლუიზა.

— მას წერილის მოწერის დრო არა აქვს, ძალზე დატვირთულია, — განაცხადა ლევონმა, იმდენად ლუიზას გასამართლებად კი არა, რამდენადაც თავისი თავმოყვარეობის დასაცავად.

— შეიძლება ეგრეც იყოს... — მივუგე მე გაურკვეველი ტონით, რათა ლევონი უფრო არ ამეღელეებინა.

როგორც მასსოცს, მგონი იმავე დღეს იყო, სინიორა სტეფანია მზიარულ გუნებაზე შემოვიდა ჩემთან, ოთახში, და მითხრა:

— სინიორ, ახლა შეგიძლიათ მომილოცოთ.

— რა მოხდა?

— მოხდა ის, რასაც დიდხანია მოუთმენლად ველოდი. გუშინ ლუიზა და კავალარო დაქორწინებულან... ამ წუთას მივიღე დეგეშა. აი, — უბიდან დეგეშა ამოიღო და გამომიწოდა.

— ასე მოულოდნელად? — შევძახე მე. თუმცა დიდი ხანია გული მეუბნე-

ბოლა, რომ რალაც ინტიმური კავშირი უნდა ყოფილიყო მათ შორის.

— სრულიადაც მოულოდნელი არ იყო, სინიორ. თქვენ არ იცოდით. მაგრამ მე დიდი ხანია ვიცოდით, რომ ისინი კარგა ხნის დანიშნული იყვნენ: ნიშნობას არაფრად ვაგდებდი, მთავარი დაქორწინება იყო. მე ვლუმედი, რათა საქმისათვის არავითარი ზიანი არ მიმეყენებინა. ახ, რა მოხარული ვარ, რა მოხარული. კავალარო სწორედ ჩემი ნანატრი სასიძო იყო: კეთილი, ზრდილობიანი, კარგი მომღერალი, კარგი ფულის ამლებიცი. დიახ, ლუიზა მაგაზე კარგ არჩევანს ვერ მოახდენდა. დაქორწინებულან, დღეს პარიზს მიემგზავრებიან. კავალარო იქ ერთ წელიწადს უნდა იყოს. რასაკვირველია, ლუიზაც მასთან იქნება...

ბედნიერ დედან მიეულოცე ჭკლის გაბედნიერება, თუმცა გული კი მიკარნახებდა, რომ მე მაინცდამაინც გულწრფელობას არ ვიჩენდი. საინტერესო იყო, როგორ მიიღებდა ამ ცნობას ლევონი, რომელიც კავალაროსა და ლუიზაზე უფრო მეტად მიყვარდა.

იმ დღეს განგებ გვიან დავბრუნდი შინ, რომ ლევონს არ შევხვედროდი. მეორე დღეს ადრე შემოვიდა ჩემთან ოთახში. სინიორა სტეფანიამ სადილობისას მაჩვენა დეპეშა, რომლითაც იტყობინებოდნენ, ახალი ჯვარდაწყვილიანი უყვე პარიზს გაემგზავრენო. იმდროინდელი საღამო იყო დაუეწყარი. გაძარცვის შემდეგ ლევონის პირზე პირველი შევამჩნიე მხიარული ღიმილი. მან მაიმბო მხიარულების მიზეზი. ორი დღეა მას იბარებენ გემ „ხერსონზე“, იქ იგი გემის უფროსისა და მოადგილეებისათვის უკრავს. დღეს ერთერთმა მოადგილემ თავისი მანდოლინა გადასცა მას და სთხოვა დაეკრა. ლევონსაც შეესრულებინა მისი სურვილი. გემის უფროსს „მადრიდის მაწანწალა“ ძალან მოისწონებია. იგი ძალზე კეთილი ადამიანი ყოფილა. გაუგია, რომ

ლევონი იტალიაში გამგზავრებას აბირებს, დახმარება აღუთქვამს, ვინავე დღეს შემდეგ „ხერსონი“ კროსტაღუტს მემგზავრება. დაბრუნებისას „ხერსონი“ ხმელთაშუაზღვით შორეულ აღმოსავლეთში წავა. აი, სწორედ იმ დროს წაიყვანს იგი ლევონსა და მის დედას და იტალიის საზღვრებამდე მიაცილებს...

— ო, სინიორ, ისე მიხარია, რომ პირდაპირ მსურს ვიხტუნო, რითიმე მეც გადაუხდი სამაგიეროს გემის უფროსს. დღედაღამ დაუკრავ. მთელ გზას დაკვრით ვავატარებ. იტალია, იტალია... უეჭველად უნდა ვნახო, როგორ გაუკვირდება და თანაც როგორ გაეხარდება ლუიზას...

მეძნელებოდა სინამდვილის დამალვა ლევონისათვის. ამ მომენტში იგი მხიარულებად იყო გადაქცეული მთელი თავისი არსებით.

— ლევონ, ძალიან გენატრება ლუიზას ნახვა? — ვკითხე მე.

— დიახ! რასაკვირველია!

— თუ ვერ ინახულე, ძალიან დალონდები?

— ვინახულე, უეჭველად ვინახულე, სინიორ, მილანში შევხვდებით, — დარწმუნებით წამოიძახა ლევონმა და თანაც რალაც შიშით შებყრობილ სახეზე შემომამჩერდა.

— ლუიზა ახლა მილანში არ არის.

— ეინა სთქვა?

— სინიორა სტეფანიას დეპეშამ.

— მაშ, სად არის?

— პარიზში.

— პარიზში?

— კავალაროსთან...

— კავალაროსთან? — ძლივს წარმოსთქვა ლევონმა.

— დიახ! ლუიზა მისთხოვდა კავალაროს და გუშინ ერთი წლის ვადით პარიზს გამგზავრებულან. — მივუგე მე და ერთბაშად მძიმე ტვირთი ჩამომეხსნა.

ლევონი შეტოკდა, პირისახის კუნთები აუთრთოლდა. ერთ წამს გაწითლ-

და, გალურჯდა კიდეც, შემდეგ გაფითრდა.

— ხომ ხედავ რომ ლუიზას არ უყვარხარ, რომ შენ სიზმარში ხარ?..

მღელვარების დაფარვას შეეცადა ლევონი, ეს თერამეტი წლის კაბუცი, რომელშიაც ნაადრევად მომწიფებულიყო გრძნობები და რომელსაც მასთან ერთად, მტკიცე ნებისყოფაც ჰქონდა, მაგრამ იმდენად ძლიერ იყო დარტყმა, რომ იგი ღონემიხდილი დაეცა სკამზე და წამოიძახა: — ესეც ახალი ამბავი... უნდა მივულოცო...

— დიახ, უნდა მივულოცო, — გავიმეორე მე და ისე მოვაჩვენე თავი, ვითომ ვერ შევემჩინე მისი აღელვება.

დილით გავიღვიძე. რაღაც სიმძიმე მაწვა გულზე. საჩქაროდ დავლიე ერთი ჰიჭა ჩაი და ზევით ავედი. ლევონი შინ არ დამიხვდა. აღმასტმა გადმომცა: წუხელის ლოგინში ჩაწოლამდე ოცდაათი მანეთი გადმომცა და კიდევაც მაკოცაო, მერე საწერ მაგიდას მიუჯდა. მთელ დამეს სწერა, მერე წაშალა და დახია, დილით კიდევ მაკოცა და უგიტაროდ წავიდა სახლიდან, სხვა დროს კი გიტარა მუდამ თან მიჰქონდაო.

— დაღონებული იყო? — შევეკითხე მე.

— არც დაღონებული იყო, არც მზიარული, ისე იყო, როგორც ყოველთვის.

გიტარა სახლში დაეტოვა, მანდოლინა კი — ჩემთან, აშკარაა, რომ იგი არც სამიკინტოში წასულა, არც გემზე. სად შეიძლება ოცდაათი მანეთი ყოფილიყო? ძალზე მოუსვენრად ვიყავ, ნახვის დიდი სურვილი მქონდა. გამოვედი, ყველა თეატრი შემოვიარე, ორჯერ დერიბასის ქუჩაზე ვიყავ, სადაც ლევონი ხშირად სეირნობდა, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვნე. კვირა დღე იყო. გავიფიქრე, იქნებ ეკლესიაში წავიდა-მეთქი. კვირაობით

— კავალარო კარგი კაცია, პატიოსანი, — ათრთოლებული ხშირად ტუჩების კვანტით წარმოხტუვს ლევონმა.

— იმდენად პატიოსანი, რომ ლუიზა მისი ღირსი არ არის.

— სინიორა...

— არ არის ღირსი, არა, — გავიმეორე გაბოროტებულმა და უმანკო იტალიელი ქალის წინააღმდეგ გავილაშქრე.

— ლუიზა უფრო მაღლა დგას... ლუიზა ანგელოზია...

ველარ მოითმინა, თავი დახარა მაგიდაზე და ისე მძლავრად აქვითინდა, თითქოს მთელ მის სხეულს ნაკუწნაკუწად ხდიანო.

7

ხანდახან წირვის მოსასმენლად მიდიოდა.

არც იქ დამიხვდა.

ორი საათის ხეტიალის შემდეგ დანაღვლიანებული დაებრუნდი შინ. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს რაიმე ძვირფას განძს ვკარგავდი.

კიშკართან ჩაუშენკოს შეეხვდი. იგი ლევონის ოფახიდან მოდიოდა. ისიც დაეძებდა ამხანაგს. რაღაც „საქირო“ საქმის გამო ყოფილიყო სამიკინტოში, „ხერსონზედაც“ ასულიყო, მეზღვაურებისათვისაც ეკითხნა, მაგრამ ვერ ეპოვნა.

ვუამბე, რაც მას შეემთხვა.

— ო, ამოება, — ჩვეულებისამებრ აღფრთოვანებით წამოიძახა პოეტმა, — მე ყოველთვის მიტეჯამს, რომ სიყვარული ქალისადმი სულის ავადმყოფობას ნიშნავს-მეთქი. ლევონმა კარგა ხანია აღიარა ჩემთან, რომ იგი შეყვარებულია იმ ქალიშვილზე. ოჰ, რამდენს ლაპარაკობდა მის შესახებ, რა რიგ ოხრავდა... ახლავ უნდა ვიპოვოთ იგი... მგზნებარე სისხლის პატრონია... ვთხოვე, რამდენიმე წუთით გარეთ მოეცადნა ჩემთვის. ავედი სინიორა სტეფანის-

თან. დღეს ლევონი უეჭველად იქნებოდა მასთან, ხომ უნდა მიელოცნა!

მშვენიერ გუნებაზე იყო სინიორა სტეფანია. იგი რაისასთან ერთად მღეროდა, ცეკვავდა, მხიარულობდა. მან მითხრა. დღეს დღეობაზე რამდენიმე ნაცნობ-მეგობარი მოვიწვიეთ და კარგად უნდა გავმხიარულდეთო.

— ახ, სინიორ, ისე მიხარია რომ ლამის ყველას გადაეხვიო და დავკოცნო.

„იქნებ მეც“, უნებლიედ გაეფიქრე და შიშით მივაშტერდი მის ტლანქ მკლავებს.

ლევონის შესახებ მიახმო, რომ იგი ამ დილით ყოფილა მასთან და ხელზე კოცნით მიულოცნია კიდევც.

— ძალზე ზრდილობიანი ყმაწვილია, ნამდვილი არტისტი; თითქოს უბრალო დალაქისა კი არა, ვიღაც ჯენტლმენის შვილი იყოს. მაგრამ, სასაცილო ის არის, რომ არ სჯეროდა ლუიზას გათხოვება. დეპეშა მივაწოდე, თვითონ წაიკითხა, ერთხელ კიდევ მომილოცა. მაგრამ ისე გაშტერებით შემომხედა თვალებში, თითქოს პირველად მხედავდა. მერე ანაზღეულად წამოიძახა: „სინიორა სტეფანია, დედა ჩემი შეიყვარეთ, საწყალი დედაკაციაო“. საერთოდ, დღეს ის რაღაც უცნაური იყო.

ესეც საკმარისი იყო, რომ ჩემში რაღაც ცუდი წინათგრძნობა შთანერგილიყო. ქუჩაში ჩემი შიში ჩაუშენკოს ვლამბე. ქალაქის თეატრისაკენ წასვლა მარჩია, იცოც ახლა იქ დაგვხვდება, მას შეუძლია მისი პოვნაო. იცოც ერთ თავის ტოლ ბერძენთან დაგვხვდა, ცხარე კამათი ჰქონდა გაბმული. გამოირკვა, რომ ლევონის შესახებ კამათობდნენ. ბერძენი ლევონის მეტოქე იყო. რომელ მომღერალსაც ლევონი ტაშს დაუკრავდა, ბერძენი, პირიქით, — დაუსტვენდა. მას იცოც თანდასწრებით გაეღანძნა ლევონი. იცოც გამოსარჩლებოდა ლევონს და ამ ნიადაგზე დავა მოსვლოდათ. როცა ჩაუშენკომ ჩემი

გაგონილი გადასცა იცოცს, ის შეხტა და დაბარბაცდა.

არქონი
გენერალის

— ეზე, ეზე, საწყალი ლევონი...

იმანაც იცოდა, რომ ლევონი ლუიზათი იყო გატაცებული და გვიამბო რამდენიმე დეტალი. ლევონი მუდამ ოცნებობდა ლუიზას შესახებ. სხვათა შორის იცოც სთქვა, რომ, როცა ლევონს სევედა მოიცავდა, მუდამ „ალექსანდრეს პარკში“ მიდიოდა ზღვის პირას ჩამოჯდებოდა, გიტარას მუხლებზე დაიდებდა ნაესადგურიდან მიმავალ გემებს გასცქეროდა. იცოც ამ მდგომარეობაში ლევონი ბევრჯერ უნახავს. „იცოც, — წამოიძახებდა ხოლმე ლევონი, — როცა გასულ გემებს შეეყურებ, მე ჩემი თავი იქა მგონია, სხვებთან ერთად მიმავალი, შორეულ ქვეყნებში“...

— მოდი წავიდეთ „ალექსანდრეს პარკში“, ალბათ იქ იქნება. — ვერჩიე მე.

ათ წუთში იქ გაჩნდით, დავიარეთ პარკის ყველა სასეირნო ადგილი, არც ერთი კუნწული არ დაგვიტოვებია, დავათვალიერეთ ყველა ხეივანი, მაგრამ ლევონი არსად იყო.

დავბრუნდი შინ დალილ-დაქანცული, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად. ჩაუშენკოს და იცოცს დავავალე კვლავ განეგრძოთ დაკარგული ამხანაგის ძებნა.

ცუდმა წინათგრძნობამ ისე გამაბოროტა, რომ, ყოველგვარ მიზეზს გარეშე, სინიორა სტეფანიას მიერ გამართულ ღრეობაში მონაწილეობაზე უარი განვაცხადე. მე ტანსაცმლით ვიწეჭი ლოგინზე და ჩემი საფიქრებელი მხოლოდ ლევონი იყო. უკანასკნელ დროს მელანდებოდნენ მისი უიმედო თვალეზი, რომლებშიც პატარა, მაგრამ მომხიბლავი გმირის სულის უღრმეს განცდებს ვკითხულობდი. წარმოვიდგენდი მას მამამისის უმწეო მდგომარეობაში. მთვრალი ქუჭყიანი ტანსაცმლით ეგდო თეატრის კარების წინ, და გამველ-

გამომვლელთა სასაცილო საგნად გადაქცეულიყო.

ვუყურებდი მის მანდოლინას და გული მიკენესოდა. უსულო საგანს თითქოს ენა ამოდგა და გლოვობდა. წამდაუწყუმ რომ თვალში არ შემჩხვროდა, ავიღე მაგიდიდან და კედელზე ჩამოვკიდე...

რამდენჯერმე შევეხე თითებით მის სიმებს, რომელთა წყრიალმაც მომაგონა, ის შესანიშნავი დილა. როცა ლევონმა პირველად შეასრულა „მადრიდის მაწანწალა“.

— საბრალო მოხეტიალე, სადა ხარ ახლა?!

იქ კი კედლის მეორე მხარეზე, სტუმრები სჭამდნენ, სვამდნენ, ღრეობდნენ, რაისას და სინიორა სტეფანიას მხიარული სიცილ-ხარხარი მესმოდა. ნელნელა ნერვები დამიმშვიდდა — მთელი დამე არ მეძინა და ჩავთვლიმე... ძილბურანში რაღაც ხმაური შემომესმა... წამოვვარდი... დაეინახე, ლევონის მანდოლინა კედლიდან ძირს, იატაკზე ჩამო-

ვარდნილიყო. იმ წამს, როცა საკრავს კედელზე ვკიდებდი, ვარდნილმა სტეფანიამ უჩვეულო ხმები შემომესმა... და წამოვვარდი ღერეფანში, სადაც სტეფანიას სტუმრებს შეეჩეხე. ისინი განცვიფრებული, გაკვირვებული და შეშინებული იყვნენ.

— რა მოხდა? რა მოხდა? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს.

ჩვენი ბინის შესავალთან აღმასტახელბგაშლილი იდგა და ისე ღრიალებდა თითქოს ცეცხლში იწვისო. ორ პოლიციელს და ჩვენს მეგზოვეს კიბეებზე ამოჰქონდათ... ლევონი. ჩაუშენკო და იცკო უკან მოსდევდნენ.

შევეხდე ლევონის დასველებულ ტანსაცმელს, გალურჯებულ პირისახეს და ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის... დანარჩენი ორიოდე სიტყვით მიამბეს ჩაუშენკომ და იცკომ:

მეზღვაურებს ლევონი „ხერსონის“ ქვემოდან ამოედოთ. ამ გემს ორი კვირის შემდეგ იგი იტალიაში უნდა წაეყვანა.

თარგმანი სომხურიდან ანტ. ღაზითიანისა.



შემოღობა ქახეთში



გადაიქროლა ყანებზე
ნიავეს შემოდგომისა,
და შეყვითლებულ ბალახზე
შეაშრო ნამი ბროლისა.

იქ შორით მოჩანს მატანის
ამწვანებული გორები,
მზის ოქროსფერი სხივებით
მორთული, ნაამბორები.

ვხედავ, სულ ახლოს მოიკვლევს
გზას ალაზნის მღვლეარე,
თამაშ-თამაშით მიჰქრიაან
მისი ტალღები მჩქეფარე.

მდინარის პირად გაშლილა
ჩემი სოფელი მზიანი,
ირგვლივ ბაღები არტყია
ხილიან-ვენახიანი.

ლოყაწითელი ვაშლები
მზის სხივზე ინაზებიან

და მსხლის ტოტები მოსხმული
მიწამდე იზნიჭებიან.

გულს ხიბლავს კოლმეურნეთა
ყანები, ტყე და ველია,
სიმინდის ქარვის ტარონი
უკვე მოტეხას ელიან.

წყალგალმა მინდვრებს ფარავენ
თუშური ცხვრების ფარები,
გამოღმა გადაჰიმულა
ვეებერთელა ზეარები.

მინდორ-ყანებზე მოცეკვავს
ნიავე მალალ მთებიდან,
შწიფე ბალახზე დილის ნამს
აშრობს მსუბუქი ფრთებიდან.

დიდება შენდა, მხარეო,
მსუყვე და ბარაქიანო,
კახეთო, ჩემო კახეთო,
საშობლოვ, მუდამ მზიანო!
თარგმანი ოსურიდან **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ილია პლინი

ახალი სოფელი



ახალ ყოფას, ახალ სოფელს
ხალხი გაულაღებია:
რა ბარაქა დატრიალდა!
რა ლამაზი ბაღებია!

თავს დაჰყურებს მაღლით სერი,
ნაკადულიც ალხენს კორდებს,
უხე მოსაელის ოსტატები
იშენებენ ახალ ოდებს.

სწორ და ნათელ გზატყეცილებს
ნარგავების მისდევს ჯარი.

სადამოზე შორს გაისმის
ტკბილ ფანდურის ხმა ნარნარი.

აგერ — კლუბი, სამკითხველო,
აგერ — სკოლა, ელსადგური,
რადიოთი — ამბები და
სიმღერები საამური.

სოფელს ძალა ემატება,
ის ყოველდღე იცვლის იერს.
შრომა გახდა სასახელო
და ახარებს ხალხს ბედნიერს.
თარგმანი ოსურიდან **გრიგოლ ცეცხლაძისა**

ზარბ ჟურნალი

ქართული საბავშვო ლიტერატურა 1949 წელს



გენიალური პროლეტარული მწერალი მაქსიმ გორკი მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე ამბობდა, რომ საბჭოთა ქვეყნის ბავშვები წარმოადგენენ არა მშობელთა ფულის, სახლებისა და ავეჯის მემკვიდრეებს, არამედ დედ-მამის შრომით შექმნილი სოციალისტური სახელმწიფოს მემკვიდრეებს. საბჭოთა ბავშვების აღზრდის საქმეში უაღრესად დიდი და მნიშვნელოვანია საბჭოთა ლიტერატურის როლი. მაშინ, როდესაც მოსყიდული ბურჟუაზიული ლიტერატურა განზრუნისა და გარყვნილების შხამით სწამლავს კაპიტალისტური ქვეყნების მოზარდთაგან, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მწერლობა ჩვენს ახალგაზრდობას უნერგავს მშრომელი ხალხისა და შრომისადმი სიყვარულის, პატრიოტიზმის, მეგობრობის, პატიოსანებისა და სიმამაცის მაღალ იდეალებს. „საბჭოთა ლიტერატურის ამოცანაა დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება“. მთელი ჩვენი საბჭოთა მწერლობა წარმატებით ასრულებს ამ დიდ ამოცანას, რაც მას დაუსახა საკავშირო

კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ისტორიულ დადგენილებაში.

ჩვენი ქვეყნის მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს, დიდი რუსული ლიტერატურის მხარდამხარ, წარმატებით ემსახურება ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობაც. იგი აგრძელებს მე-19 საუკუნის ქართული საბავშვო მწერლობის საუკეთესო ტრადიციებს: უნერგავს ბავშვებს სიმამაცს, გამბედაობას, უშიშრობას; უვითარებს მეგობრობისა და პატიოსანების, ზრდილობისა და პატივისცემის გრძობას; აყვარებს მშობლიურ ბუნებას. ყოველივე ეს შევსებულია ახალი შინაარსით, გამსჭვალულია ჩვენი დიდი სოციალისტური ეპოქის სულისკვეთებით.

ქართული საბჭოთა საბავშვო მწერლობა წარმატებით მუშაობს ახალ, საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელ თემებზე, როგორცაა თემა საბჭოთა პატრიოტიზმის, რევოლუციის ბელადებისა და მათი თანამებრძოლებისადმი უსაზღვრო სიყვარულის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულებისა და სხვ. ასეთ თემებზე საკმაოდ ბევრი კარგი ნაწარმოები შეიქმნა ქართულ საბავშვო ლიტერატურაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე.

ქართველი საბავშვო პოეტების შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ნაჩვენებია ჩვენი ბავშვების

უნაგარო სიყვარული ხალხთა დიდი ბედების—ლენინისა და სტალინისადმი, მათი მამობრივი ზრუნვა ბავშვებზე, ბავშვების წრფელი სურვილი — ასახელონ „საყვარელი ძია სტალინი“, რომლის ახლოს ნახვას ყოველი ბავშვი ნატრობს: „მუდამ შორიდან ვხედავ, ახლოს მაჩვენა ნეტავო“ (ა. მირცხულავა — „ნატერა“). დიდი სტალინი მამად და იმედად მიაჩნიათ არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების და, საერთოდ, მთელი მსოფლიოს მშრომელთა შვილებს. სლოვაკი გოგონა ამბობს:

„— მე ფაშისტებმა მომიკლეს მამა,
და ვიზრდებოდი წვიმასთან, ქართან...
ვინ იყო მამა?
ეჰ, როდი მახსოვს,
მამა არ ვიცი სტალინის გარდა!“

(გ. ლეონიძე — „ბუდეპეშტის პიონერთა ბანაკში“)

ქართველი პოეტები საბავშვო ლექსებში უმღერიათ ქ. გორს და იმ პატარა სახლს, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა კაცობრიობის უდიდესმა გენიოსმა დიდმა სტალინმა, ისინი უმღერიათ აგრეთვე დიდი ბელადის ერთგულ თანამებრძოლებს, სტალინური მზით გამთბარ ჩვენს დიად სამშობლოს.

ამ თემებზე 1949 წელს მრავალი საბავშვო ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალებში („დილა“ და „პიონერი“). მათ შორის აღსანიშნავია ს. შანშიაშვილის „თაიგულები“, ი. გრიშაშვილის „სტალინის თაიგული“, „ჩვენი ვაშა და ჩვენი სიხარული“. ირ. აბაშიძის „დიდება“, გრ. აბაშიძის „ჩვენი სამშობლოს დილა“, „მის აკვანს ვეთაყვანებ“, ი. სიხარულიძის „გორელ ბავშვებს“, გ. კაჭხიძის „სიმღერა საბჭოთა არმიანზე“, მ. ლებანიძის „დიდი ლენინი“, ნ. ჩაჩავას „წერილი ძია ბერიას“ და სხვ.

ბევრი ლექსი დაიწერა გასულ წელს სოციალისტური შრომის ერთმსახურებს ლექსები, რომლებშიც მსაჩინოებულა და ნაჩვენები ბავშვთა შრომისმოყვარეობა, მათი დახმარება კოლმეურნეობისა, ოჯახისა და მშობლებისადმი, ხოლო მეორე მხრივ, დაგმობილია ზარმაცი და უქნარა ბავშვები, აყვარებენ მოზარდ თაობას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. ასეთებია გ. შატბერაშვილის „მოვდივართ, მოგვიხარია“, მ. აყვალა მრევლიშვილის „ბიჭი უნდა ასეთი“, კ. გოგიაშვილის „მე-აბრეშუმე“, მ. ლებანიძის „ზეინკლები“, ნ. ჩაჩავას „ურიგო ზურთკო“, მ. ბარათაშვილის „სოფელა“ და სხვა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი საბავშვო მწერლის ილია სიხარულიძის ლექსები. ი. სიხარულიძემ, რომლის დაბადების 60 წლისთავიც გასულ წელს გულთბილად აღინიშნა, გამოსცა საბავშვო ლექსების წიგნი „ბუტრთის სიმღერა“. ამ წიგნის მთელი განყოფილება დათმობილი აქვს ბავშვებში შრომის სიყვარულის დამნერგავ ლექსებს. მწერალი პატარებს მათთვის გასაგები ენით ესაუბრება სოციალისტური ქვეყნის დიად პრინციპზე:

„ყველას ვვართებს შრომა, გარჯა,
ვინც არ შრომობს, იგი არ ჰქვამს!“

ი. სიხარულიძის ბავშვებსაც უყვართ შრომა და „ყველა საქმე ეხერხებათ, რაც მათ ასაკს შეეხება“. პატარა ხერო ასე ლაპარაკობს:

„კარგად ვიცი ფიცრის გათლა,
რანდვა, ხერხვა, შალაშინი;
ვინც ხელობას ეუფლება,
შრომა არის მისთვის ლხინი.“

ასევე კარგი და მიმზიდველია ი. სიხარულიძის საბავშვო ლექსთა კრებულში მოთავსებული სხვა ლექსებიც. საბავშვო პოეზიის დარგში გასულ წელს ნაყოფიერად მუშაობდნენ აგრეთვე ი. ნონეშვილი, რ. მარგანი, ა.

ონელი, ზ. შერაზადაშვილი, ვ. გორგა-
ნელი და სხვ.

შრომისადმი სიყვარული, ნორჩი
პიონერის შრომისმოყვარეობა კარგა-
დაა გადმოცემული ახალგაზრდა პოე-
ტის თ. ჯანგულაშვილის საბავშვო ნა-
წარმოებთა წიგნში მოთავსებულ პა-
ტარა პოემა „სამგორში“, რომელსაც
საფუძვლად უდევს რეალური ფაქტი:
პიონერ დომენტი ბახტურიძის მამა
ომიდან ცალხელა დაბრუნდა, რის გა-
მომც მას აღარ შეუძლია მონაწილეობა
მიიღოს სამგორის გარდაქმნისა და აყ-
ვავების დიადი სახალხო მშენებლობა-
ში. კოლმეურნეები ემზადებიან სამ-
გორში სამუშაოდ წასასვლელად. თორ-
მეტი წლის დომენტი ითხოვს მამის მა-
გივრად წაიყვანონ იგი სამუშაოდ. მას
თხოვნას უსრულებენ და პატარა დო-
მენტი სიხარულით მონაწილეობს
სტალინური ხეთფლედის დიად საქ-
მეში.

საერთოდ, აღსანიშნავია ის დადები-
თი ფაქტი, რომ ამ უკანასკნელ ხანებ-
ში ქართველი პოეტები წარმატებით
მუშაობენ საბავშვო პოემების შექმნა-
ზე. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირ-
ჩევა გრ. აბაშიძე, რომლის პოემები
„ზამთრის ამბავი“, „ნაბოლარა წიწი-
ლა“, „ფისოს გასეირნება თვითმფრი-
ნავით“ და სხვები უმცროსი ასაკის
ბავშვთა საყვარელი ნაწარმოებებია.
გასულ წელს გრ. აბაშიძემ გამოსცა
კიდევ ერთი პოემა „რუსთავის მერცხ-
ლები“, რომელიც მეოთხე სტალინური
ხეთფლედის პირშემოს — რუსთავის
ქალაქს ეხება. ამ პოემით პოეტი აც-
ნობს ბავშვებს, თუ როგორ სწრაფად
წარმოიშვა და გაიზარდა რუსთავის
ველზე ახალი ქალაქი იმ დროს, როცა
კაპიტალისტების მიერ დამონებულ ქვე-
ყნებში მხოლოდ ნგრევაა და შრომელი
ზალხი უსასტიკეს სიღატაკეში იმყო-

ვება. ეს პოემა პრემირებულია საქარ-
თველოს ალკ ცენტრალური კომიტე-
ტისა და განათლების სამინისტროს
მიერ საუკეთესო საბავშვო მხატვრულ
ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონ-
კურსზე.

იმავე კონკურსზე პრემირებულ იქნა
აგრეთვე გიორგი კაკაბიძის პოემა
„ჩვენი სკოლის ყმაწვილები“. ამ საინ-
ტერესოდ დაწერილ პოემაში ავტორი
ძირითადად გვიხატავს ნორჩი მიჩურე-
ნელების საქმიანობას; მასში ნაჩვენე-
ბია ამასთანავე საბჭოთა სკოლის
ცხოვრება და მოსწავლეთა მონაწი-
ლეობა საკოლმეურნეო საქმიანობაში.

ნორჩ მიჩურენელს ეხება აგრეთვე
კ. კალაძის პოემა „გუფამის ბაღი“. ამ
ნაწარმოების გარდა კ. კალაძის საბავშ-
ვო პოემების წიგნში მოთავსებულია
კიდევ სამი პოემა, რომელთაგანაც ყუ-
რადღებას იპყრობს დიდი სამამულო
ომის თემაზე დაწერილი „საიდუმლო
ბარათი“.

გასულ წელს ორი საბავშვო პოემა
გამოაქვეყნა დ. გაჩეჩილაძემ: „ჩიკი-
ვის ბრაღია“¹ და „ხანძარი“². ამ პოე-
მებით ავტორი ასწავლის ბავშვებს ია-
რალისა და ცეცხლისადმი ფრთხილ და-
მოკიდებულებას. სხარტი ენითა და
მსუბუქი იუმორითაა დაწერილი ეს
ნაწარმოებები.

1949 წელი ნაყოფიერი იყო ქართუ-
ლი საბავშვო პროზის დარგშიაც: გამო-
ქვეყნდა რამდენიმე კარგი საბავშვო
მოთხრობა, რომლებშიაც ავტორები
ეხებიან ჩვენი სახალხო მეურნეობის
მიღწევებს, ჩვენი ქვეყნის ბავშვების
სიყვარულს სოციალისტური სამშობ-
ლოსადმი, მათს სიმამაცესა და სიბე-
ჯითეს, საბჭოთა სკოლისა და ოჯახის
ურთიერთდამოკიდებულებას, ბავშვთა
უუფლებო მდგომარეობას უცხოეთში
და სხვ. მაგრამ ზაზგასმით უნდა აღი-

¹ „დილა“ № 9.

² „პიონერი“ № 9.

ნიშნოს, რომ ეს თემები უფრო წარმატებით მუშავდებოდა უმცროსი ასაკის (და ნაწილობრივ — საშუალო ასაკის) ბავშვებისათვის, ხოლო ძალიან ცოტა გაკეთდა ამ მხრივ უფროსი ასაკის ბავშვებისათვის.

ორი მოზრდილი მოთხრობა გამოაქვეყნა გასულ წელს მურმან ლებანიძემ: „ზაზა მესხი“ და „გენერალი ლესელიძე და მარტხელი ბიჭი“.

მ. ლებანიძის მოთხრობაში ნაჩვენებია კონსტანტინე ლესელიძის საბრძოლო ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როცა მან კავკასიონის მისადგომებთან წარმოებულ სასხედრო ოპერაციების შედეგად გერმანელი ფაშისტები დაამარცხა. ამ დროს გაეცნო გენერალი მარტხელ პატარა ბიჭს, უპატრონოდ დარჩენილ კახა ჯიშკარიანს, რომელსაც სახლკარი ფაშისტებმა აუწიოკეს. მოთხრობაში ნაჩვენებია ლესელიძის მშობლიური მზრუნველობა კახასადმი, აგრეთვე გულთბილი ურთიერთობა საბჭოთა მასწავლებელ გიორგი ერაძესა და კახას შორის.

მეორე მოთხრობა „ზაზა მესხი“ გვიყვება ქართველი ქაბუკებისა და გოგონების მტკიცე მეგობრობის, მათი ლაღი და ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ავტორი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა მეცნიერება კლექის წინააღმდეგ ბრძოლაშიაც გაიმარჯვებს. მაგრამ მ. ლებანიძის მოთხრობები დაზღვეული არ არიან ცალკეულ ნაკლოვანებათაგან: „ზაზა მესხში“, რომელიც მოსწავლეთა ყოფაცხოვრების ფონზეა გაშლილი, შედარებით სუსტადაა ნაჩვენები საბჭოთა სკოლისა და კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობა, მათი როლი მოსწავლეთა მაღალ სულიერ თვისებათა ჩამოყალიბების პროცესში.

საბჭოთა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობას ეხება გ. შატბერაშვილის მოთხრობა „კარგი ბიჭი“. მასში მხატვრულადაა ასახული საბჭოთა სკოლასა და ოჯახს შორის არსებული სრული

ურთიერთგაგებისა და დახმარება-ხელისშეწყობის ამბები. მოთხრობაში გამოყვანილი სახალხო მასწავლებელი მარტო გაკვეთილების გადაცემით როდი კმაყოფილდება. მომავალი თაობის მეცნიერული ცოდნით შეიარაღების გარდა, იგი ღრმადაა დაინტერესებული მოსწავლეთა პირადი ცხოვრებით, მათი ოჯახური მდგომარეობით; ეხმარება ფრონტელის ოჯახს, მშობლიურ მზრუნველობას უწყევს მეომრის ვაჟს — ზაქროს, ხოლო ზაქროს მამის დაბრუნებისას მხურვალედ იზიარებს ოჯახის საერთო სიხარულს, როგორც ამ ოჯახის უახლოესი ადამიანი. ამგვარი მასწავლებლები ათასობით არიან ჩვენს სკოლებში, ხოლო მათი სახე მხატვრულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ გამოკვეთილი. გ. შატბერაშვილის „კარგი ბიჭი“ ამ მხრივ მისასალმებელ ნაბიჯს წარმოადგენს. საბჭოთა სკოლის თემას ეხება ლ. ჭიჭინაძის მოთხრობების მეტი წილიც. გარდა ამისა, გ. შატბერაშვილისა და ლ. ჭიჭინაძის მთელი რიგი მოთხრობები განამტკიცებენ მოზარდ თაობაში მეგობრობისა და პატიოსნების გრძობას, ჰკიცხავენ ბავშვთა ყოფაქცევის ცუდ მხარეებს და სხვ.

გ. შატბერაშვილმა და რ. მარგიანმა გასულ წელს ერთად დასწერეს საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „ხორბალა“, რომელიც გვიხატავს კოლმეურნეთა თვედადებულ ბრძოლას უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მისაღებად. ნაწარმოების სუჟეტი შესაძლებლობას იძლეოდა კიდევ უფრო ფართოდ ყოფილიყო მასში ნაჩვენები მიჩურინული ბიოლოგიის მიღწევები, მაგრამ ეს მოთხრობა ამ სახითაც სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს.

უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის დაწერილ პატარა მოთხრობებში ბ. ჩხეიძე ახერხებს მარტივად და გასაგებად ესაუბროს ბავშვებს ფრიად სერი-

ოზულ თემებზე, მაგალითისათვის ავი-
ლოთ მოთხრობა „ხბო“.

პატარა ბესიკომ სამგორის ველზე
ქექვის ძირში დავარდნილი ხბო დაი-
ნახა:

- „— აფიოთ, დედოთ მანქანაზე, — შეეხე-
ვა ბესიკო შოფერს.
- „— გაუშვი, იყოს, — თქვა შოფერმა.
- „— ღამდება, მგელი შევამს.
- „— მართალია, მაგრამ შენი ზომ არ არის,
რად სწუხარ?
- „— იქნებ ჩემი მეზობლისაა.
- „— თუ არც მეზობლისაა?
- „— მაშინ იქნებ ჩვენი კოლმეურნეობისაა?
- „— თუ არც კოლმეურნეობისაა?
- „— ჩვენი ხალხისა ზომ არის, მგელმა რად
უნდა შევამოს?“

ასე გადაარჩინა პატარა ბესიკომ ხბო
და, პატრონს რომ ვერ მიაგნო, გაზე-
თის საშუალებით შეატყობინა. ამ პა-
ტარა ამბით ავტორი ასწავლის ნორჩ
მკითხველს მზრუნველობით მოეპყრას
საერთო-სახალხო ქონებას.

გასულ წელს გამოვიდა მარიჯანის
საბავშვო მოთხრობების კრებული —
„მზიური ქვეყნის ბავშვები“. ეს მოთხ-
რობები კარგი საჩუქარია სკოლამდე-
ლებისათვის. ისინი ასწავლიან პაწია
მკითხველებს ბელადის სიყვარულს
(„როგორ გავაგებინო“), სიძარტის
თქმას („ექვსი წლისა ვარ“, „ტყუილი
ეთქვი“), ზრდილობიან ქცევასა და
წესრიგს („როცა წვერულეგამიანი იქ-
ნები“, „შავი თვალები“), მშობლების
სიყვარულს („დედას რომ არ შესცივ-
ღეს“, „მე წავალ“, „შენებურად“, „ცუ-
დი ზღაპარი“) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მორალი ამ მოთ-
ხრობებში არსად არაა მოცემული
მშრალად: მათი წაკითხვისა თუ მოსმე-
ნის შემდეგ პატარებს თვითონვე მო-
უხდებათ დასკვნის გამოტანა, მაგრამ
ბევრი ფიქრი არ დასჭირდებათ ამი-
სათვის. ამასთანავე, მარიჯანის მოთხ-
რობებში ზმირადაა ჩართული იუმორი,

რაც ძლიერ უყვართ ბავშვებს და რაც
მოთხრობის შინაარსსაც აღვივლებს ამა-
ხსოვრებინებს მათ.

ნაყოფიერად მუშაობს მსკოვანი სა-
ბავშვო მწერალი ანა ხახუტაშვილი
(კეიტი). მისი მოთხრობების წიგნი
„თომიკოს საჩუქარი“ ნათლად გვიხა-
ტავს სტალინურ მზრუნველობას საბ-
ჭოთა ქვეყნის ბავშვებისადმი, აღწერს
მოგზაურობას მშობლიურ მხარის შე-
სასწავლად, ნერგავს მასწავლებლის
სიყვარულისა და პატივისცემის გრძიო-
ბას. ამავე წიგნში მოთავსებულია ად-
რინდელი მოთხრობებიც, რომლებშიაც
აღწერილია მშრომელი ხალხის უუფ-
ლებობა წარსულში, ბავშვთა გაჭირვე-
ბული მდგომარეობა ცარიზმის დროს,
რევოლუციამდელი სკოლის სასტიკი
რეჟიმი და სხვ. კარგი იქნებოდა ამ-
გვარი თემების დამუშავება ავტორის
ქვლავაც განეგრძო.

ძველი და ახალი ყოფა კარგადაა
დაპირისპირებული მსკოვანი მწერლის
ნინო ნაკაშიძის მოთხრობაში „ანასეუ-
ლი“, რომელიც ჟურნალ „პიონერში“
გამოქვეყნდა.

გასულ წელს რამდენიმე ნაწარმო-
ები დაიწერა უცხოეთში მშრომელთა
მდგომარეობის თემაზე: კ. მესხის მოთ-
ხრობა „ზანგი ჯარისკაცი თომა“¹ აც-
ნობს ბავშვებს, თუ რა უუფლებო
მდგომარეობაში იმყოფებიან საზღვარ-
გარეთ შავკანიანები, რომლებსაც ადა-
მიანებადაც კი არ სთვლიან. თ. ჩხაიძის
„რიქმა“,² ნ. ჩხეიძის „ჯიმი“³, ნ. აღ-
ნიანიშვილის „თევზის თავები“⁴ და სხვ.
უცხოეთში მშრომელთა ბავშვების და-
ტაკურ ცხოვრებას ასახავენ. მ. ამირე-
ჯიბის მოთხრობაში — „ვიოლინო“⁵ ნაჩ-
ვენებია, რომ კაპიტალისტურ ქვეყანა-

¹ „დილა“ № 4.

² „დილა“ № 8.

³ „პიონერი“ № 10.

⁴ „პიონერი“ № 11.

⁵ „პიონერი“ № 7.

ში სილატაკეში იმყოფებიან და ათასგვარ დამცირებას განიცდიან კულტურისა და ხელოვნების მუშაკებიც. მაგრამ ამ ნაწარმოებებში მოთხრობილია მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ამბავი, ესა თუ ის ფაქტი, და არ ხდება მისი გაშლა და განზოგადობა. ეს მოთხრობები უმეტეს შემთხვევაში სუეტურადაც მეტისმეტად შეკუმშულნი არიან.

გასულ წელს საბავშვო მოთხრობათა კრებულები პირველად გამოაქვეყნეს მიხეილ კეკელიძემ და როსტომ ელანიძემ. მის. კეკელიძის მოთხრობათა უმეტესობა ჩვენი ქვეყნის ბავშვთა საამური ცხოვრების თემას ეხება. ამ მოთხრობებით ავტორი ცდილობს გაუღვივოს მკითხველს ჩვენი ბედნიერი აწმყოს სიყვარულისა და დიადი წარსულისადმი პატივისცემის, ზრდილობისა და პატიოსნების გრძნობები. ზოგ მოთხრობაში ავტორი ამ მხრივ საკმაო წარმატებას აღწევს („მეგობრები“, „მურმანი“ და სხვ.), მაგრამ ზოგ მათგანში კი არასწორადაა წარმოდგენილი საბჭოთა ახალგაზრდობის სპეტაკ მისწრაფებათა გამომწვევი მიზეზი, უმართებულოდაა განზოგადებული ბავშვთა ცხოვრების ზოგი უარყოფითი ფაქტი („უქრობი შარავანდედი“ და სხვ.), მ. კეკელიძემ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე გმირთა სახეების გამოკვეთასა და ხასიათის გახსნას, რათა თავიდან აიცილოს მათი ერთფეროვნება.

რ. ელანიძის მოთხრობები უმთავრესად ბუნებას აცნობს და აყვარებს ბავშვებს. ამასთანავე რ. ელანიძის ნაწარმოებებში დამაჯერებლადია მოთხრობილი, თუ როგორ ვარდაქმნის ადამიანი ბუნებას თავის სასარგებლოდ („როგორ დაამარცხა ვაშლმა ყინვა“, „პიონერის წყარო“, „ჩრდილოეთის ვენახი“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რ. ელანიძის მოთხრობებში ბუნების ვარდამქმნელი ადამიანი შედარებით

მკრთალად სჩანს, რაც ავტორმა მომავალში უთუოდ უნდა გამოასწოროს. რ. ელანიძის ზოგ მოთხრობას ზღაპრის ელფერი დაპკრავს. ავტორი ამ შემთხვევაში სწორად იქცევა და იმ გზით მიდის, რომელითაც უნდა განვითარდეს, ჩვენი ფიქრი, საბჭოთა ზღაპარი. მაგრამ ამ მხრივ კიდევ უფრო სანიმუშოა გ. ივანიშვილის ზღაპარი „ხუტას ხუთი შვილი და ნატვრისთვალი“, რომელიც საბჭოთა ზღაპრის შექმნის საინტერესო ცდას წარმოადგენს: ხუტას შვილებს სურთ ნატვრისთვალი მოძებნონ და ბედნიერება მოიპოვონ. მამამათ სხვადასხვა სამუშაოზე აყენებს და შრომით სიმდიდრეს მოაპოვებინებს. ბედნიერება შრომაშიაო, — ესაა ამ ზღაპრის დედაზრი. შრომა ბედნიერების წყაროდ მხოლოდ ჩვენს დიდ სოციალისტურ სამშობლოში იქცა. ასევე ახალი შინაარსით უნდა მდიდრდებოდეს ის ზღაპრები, რომელთა დამუშავებასა და გალექსვასაც მიმართავენ ჩვენი მწერლები. ძველი ზღაპრული სუეტების უბრალო გალექსვა ან ხალხური ზღაპრის მიკეთვნება მასში უმნიშვნელო ცვლილებების შეტანით, რასაც ზოგჯერ ადგილი აქვს ჩვენში, არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

გარკვეული წარმატებები ახასიათებდა გასულ წელს ქართულ საბავშვო ღრამატურგისაც, რომლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად და სერიოზულ წარმატებად უნდა ჩაითვალოს გ. ნახუციანიშვილის პიესა „სიკაბუკე ბელადისა“. ამ პიესის დადგმა დიდი ბელადის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით განახორციელა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრმა. პიესა ეხება დიდი სტალინის სწავლის პერიოდს თბილისის სასულიერო სემინარიაში. „სიკაბუკე ბელადისა“ არის

ახალგაზრდა სტალინის მოღვაწეობის ამ პერიოდის ამსახველი პირველი ფართო ტილო. ავტორმა შესძლო დაეხატა მარქსისტული იდეებით გატაცებული მებრძოლის, ახალგაზრდა სოსო ჯუღაშვილის მგზნებარე სახე. როგორც ცნობილია, დიდი სტალინი სწორედ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის დროს შევიდა მარქსისტულ ორგანიზაციაში, ჩაიბარა პირველი მუშათა წრეები და გატაცებით შეუდგა საპროპაგანდო მუშაობას. პიესაში ნაჩვენებია, თუ როგორ მივიდა ახალგაზრდა სოსო პირველად წრეში საუბრის ჩასატარებლად და როგორ შეხედნენ მას მუშები, რომლებმაც მაშინვე იგრძნეს, რომ ეს ჰაბუკი არ ჰგავდა წინანდელ პროპაგანდისტებს და იგი წაიყვანდა მათ გამარჯვების გზით.

გასული წლის საბავშვო პიესებიდან უნდა აღინიშნოს კიდევ კონკურსზე პრემირებული პიესა კ. გოგიაშვილისა — „ცერცეტა“, რომელიც „პიონერის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა.

დიდია მოთხოვნილება ისეთ დრამატულ ნაწარმოებებზე, რომელთა დადგმაც თვით ბავშვებს შეეძლებათ თავიანთი სკოლისა თუ პიონერბანაკის კლუბის სცენაზე. გასულ წელს გამოქვეყნდა რამდენიმე ასეთი ნაწარმოებიც: გ. შატბერაშვილის „მიწამწვარას წამალი“, კ. გოგიაშვილის „ჩვენი ბაღი“, მყევალა მრეველიშვილის „დედას ჩიტი“ და სხვ.

ამრიგად, 1949 წელს ქართულ საბავშვო ლიტურატურას გარკვეული მიღწევები ახასიათებდა. მაგრამ, ყოველივე ამასთან ერთად, ქართულ საბავშვო მწერლობას გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანიც.

მნიშვნელოვან ნაკლად უნდა იქნას მიჩნეული ის, რომ გასულ წელს არ

გამოქვეყნებულა არც ერთი დიდტანიანი საბავშვო ნაწარმოები, რომელშიც ფართოდ ყოფილიყოს ნაჩვენები ჩვენი ქვეყნის ბავშვთა ცხოვრება, საბჭოთა სკოლა, საბჭოთა მასწავლებელი. არ შექმნილა აგრეთვე არცერთი დრამატული ნაწარმოები საბჭოთა სკოლისა და კომუნისტური აღზრდის თემაზე.

გასულ წელსაც არ შევსებულა ის ხარვეზი, რომელიც დიდი ხანია იგრძნობა ქართულ საბჭოთა საბავშვო ლიტურატურაში: არ დაწერილა წიგნები და მოთხრობები რევოლუციის გამოჩენილ მოღვაწეებსა და ჩვენი ქვეყნის სხვა სახელოვან ადამიანებზე. ამგვარ ნაწარმოებებს კი უღარესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში. დღემდე არა გვაქვს კარგი საბავშვო მოთხრობა დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ამხ. ლ. პ. ბერიას შესახებ. რ. ქორქიას მოთხრობა „ოქროს გული“, რომელიც ყურნალ „პიონერში“ დაიბეჭდა, ოდნავადაც ვერ აესებს ამ ნაკლს.

ისტორიულ-რევოლუციურ თემებზე, ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულზე, ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე კარგი საბავშვო წიგნები ჯერ კიდევ ცოტა მოგვეპოვება. ამ თემებზე საინტერესო საბავშვო ნაწარმოებთა შექმნა ქართველი საბჭოთა მწერლების ერთერთ ამოცანას წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ამ ხარვეზების შევსება და ნაკლოვანებთა გამოსწორება ერთბაშად, ერთი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო, მაგრამ ამ მიმართულებით გასულ წელს გადადგმული ნაბიჯები დამაკმაყოფილებელი არაა.

ქართული საბავშვო ლიტურატურა ღარიბია მეცნიერულ - ფანტასტიკური ჟანრის თხზულებებითაც, ეს აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებაა.



ქართული პროზის მოწინავე და გამოჩენილ ოსტატს ლეო ქიაჩელს აქვს ბევრი კარგი საბავშვო მოთხრობა, როგორც, მაგალითად გასულ წელს გამოქვეყნებული მოთხრობა „ხეთიანის საიდუმლოება“ და „ნატერისთვალში“ მოთხრობული ზოგი მოთხრობაც. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მათ გვერდით მოთავსებულია ისეთი მოთხრობებიც, რომლებიც ასე თუ ისე მნიშვნელოვან იდეას არ ატარებენ. მოთხრობაში „ჰინკა-ბიკი“ აღწერილია ერთი ძალზე მოუსვენარი და ონავარი ბავშვის ცელქობის ამბები, ხოლო ავტორი მთელს მოთხრობაში არსად არ აგმობს ბავშვის შეუფერებელ საქციელს. (ხეტიალს, ცხოველების წვალებას, ტყუილის თქმას). პირიქით, მოთხრობის ფინალი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ავტორი კიდევ უფრონაირად ჰინკა-ბიკს ამგვარ ქცევას. ეხვედებით საბავშვო ნაწარმოების მხატვრული დახვეწისა და სრულყოფისადმი ზერელე დამოკიდებულების ფაქტებსაც. ნაწარმოები უნდა უეითარებდეს მოზარდ თაობას გემოვნებას, ხიბლავდეს და იტაცებდეს მას. მ. გორგი ამბობდა, რომ ბავშვებისათვის საჭიროა წერა ისევე როგორც დიდებისათვის, ოღონდ უკეთესადო. ბავშვებისათვის წერა მოთხოვნის იმედი მხატვრულ ოსტატობას, რომ ყოველი სახე ნორჩი მკითხველისათვის საესებით გასაგები და მისაწვდომი იყოს. ამასთანავე საბავშვო ნაწარმოები პედაგოგიკურად საესებით გამართლებული უნდა იყოს. ზოგი ავტორი ზშირად ივიწყებს ამ ქეშმარიტებას და საბავშვო ნაწარმოებს ზერელედ ეკიდება, არ ფიქრობს სახეებზე, მხატვრულ თქმებსა და შედარებებზე და უხეიროდ შეკოწიწებულ სტრიქონებს სთავაზობს პატარა მკითხველებს. რა აზრი უნდა გამოიტანოს, მაგალითად, ბავშვმა ამგვარი „ლექსიდან“:

9. „მნათობი“, № 6.

„სადა გვენდა წიგნი, ჩანთა, გვასწავლიდა ის არაკებს, ორ ზამთრიდან ისლა დამრჩა, ტრისტე ჯვარზე რად გააკრეს“.

10. სტრეკოლი: „ბაბუა თედო ბავშვებთან“. 1 ან კიდევ:

„რა პატარა ხარ, ჩემო ბელურავ, მაგრამ მივეარხარ ძლიერ იქნებ იმიტომ, იქნებ იმიტომ, ატარებ მიწის იერს.“

11. ბეწუაილი: „ბელურა“²

ძალიან ძნელია იმის მიხედვრა, თუ რისი თქმა სურდა ავტორს ბოლო ორ სტრიქონში.

12. ბობოხიძეს იმის ნაცვლად, რომ შრომის გმირი დაეხატა (ლექსს სათაურად აქვს „შრომის გმირებთან“),¹ გაუარითმავს ერთმანეთთან აზრობრივად სრულიად დაუკავშირებელი სტრიქონები და ლექსში ასეთ „ფერად სურათს“ ხატავს:

„სოფლის გმირულ ნაბიჯებს, ითვლის გმირი ქართველი, გაიღვიძებს ბაღარი, ტყე და ველი გაშლილი; სახნავეს და ნარისავეს წვლბა ზევის ნათელი, გამარჯვებას ულოცავს სოფელს უზარაშვილი“.

არაღერისმთქმელ ამბავზეა აგებული გ. ლეყაეის ლექსი „ფისოს დანაშაული“, რომელიც თითქმის მთლიანად ასეთი გაუმართავი ენითაა დაწერილი:

„ყურიდან კვლავ მოწვეთავს სისხლის წვეთი პატარას...“
 „როგორ მოხდა ჩხუბი და დანაშაულე ვინ არის, ფისოა თუ ყურიდა, კუდნაცარა მტრალი“...

ან კიდევ:

„მოუსმინა მამალმა ბუკიას გაკვირვებით, და დასძინა თამამად ამგვარი დაპირებით“.

¹ იხ. „პიონერი“ № 1.

² იხ. „პიონერი“ № 11.

1 იხ. „პიონერი“ № 9.

საბავშვო ნაწარმოები დიდი მხატვრული ოსტატობით უნდა იწერებოდეს. დაგმობილ უნდა იქნას აგრეთვე ის შემთხვევები, როცა რომელიმე ავტორის მიერ დაწერილი ნაწარმოები სავსებით ჰგავს ადრე გამოქვეყნებულ ნაწარმოებს. მაგალათად, ვ. გორგანელის „თქვი, რა გიყვარს“ ძალიან მოგვაგონებს შ. მღვიმელის ლექსს „შემოდგომას“, ნ. ჩაჩავას „ჩემი ბები“ ჰგავს ვ. ქუჩიშვილის ლექსს, ხოლო თ. ჩხაიძის „ლოთი მამალი“ სემონ ყიფიანის „ინდაურების თავგადასავალს“ მოგვაგონებს. ამავე მოთხრობას ძლიერ ჰგავს მარიჯანის ლექსიც „მამიდა თეოს ბატები“. ამ სამ ნაწარმოებს შორის ყველაზე დიდი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთის მიხედვით ჰკითხა დათვრნენ ინდაურები, მეორის მიხედვით — ბატები, ხოლო მესამისა — მამალი.

გასულ წელს გამოიცა ბევრი ადრე დაწერილი და გამოქვეყნებული საბავშვო ნაწარმოებიც. მათი უმეტესობის ხელახლა გამოცემა გამართლებულია მით, რომ მათ ნორჩ მკითხველთა სიყვარული დაიმსახურეს და აღარ იშოვებოდნენ. მიუხედავად ამისა, ზოგი ნაწარმოები უთუოდ უნდა შესწორებულყო, ან ხელახლა აღარ გამოცემულყო. მაგალითად, ლ. მეგრელიძის მოთხრობა „ჩინურ ფანჯარაში“ ჩინელ ბავშვთა უუფლებობასა და სიღატაკეს გვიხატავს, მაგრამ იქ არაფერია ნათქვამი თანამედროვე ჩინეთზე, თავისუფალ ჩინელ ბავშვებზე. ასე რომ ნორჩმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, თითქოს ჩინელი ბავშვები ისეთსავე პირობებში იმყოფებიან დღესაც, როგორც მოთხრობაშია აღწერილი.

საბავშვო ნაწარმოებზე მუშაობისას ავტორებმა საჭიროა არ დაივიწყონ მკითხველის ასაკი, სწერონ ბავშვისათვის ნათლად და გასაგებად, რომ ნაწარმოების ყოველი სურათი, სახე თუ დეტალი, ყოველი სიტყვა ზუსტად აღწევდეს

მკითხველის ცნობიერებამდე. საქმეაბროდ, ნორჩი მკითხველისათვის უნდა ეკუთვნოდეს წიგნებში ვხვდებით, მაგალითად, ასეთ გამოთქმებს: „ოდერზე მელაპარაკა სტრიქონზე გადახლართული შენი რვეულის ფურცლებზე ამღერებული ქართული“ (თ. ჯანგულაშვილი), „ცა ასპიროზის ღიმილით მოდენის დილას მჩქეფარეს“, „მინდა სიტყვის სილამაზე შენს გრძნობებში ამოქარგო“, „ოქროს ყუნწებით დაიყურსა ჩემი სოფელი“ (ლ. მეგრელიძე) და სხვ. საბავშვო ნაწარმოებში ყოველი სახე და შედარება სადა და ბუნებრივი უნდა იყოს.

დახვეწილი, სადა და გასაგები უნდა იყოს საბავშვო ნაწარმოების ენაც, უნდა ვერიდოთ რთულ და დახლართულ წინადადებებს. ბავშვმა წიგნიდან უნდა ისწავლოს სწორი და გამართული ლიტერატურული მეტყველება. ზოგ საბავშვო მწერალს ამ მხრივ მართლაც სანიშნო ენა აქვს, ზოგჯერ კი გვხვდება არასწორი გამოთქმები, კუთხური სიტყვები, მოძველებული ფორმები და სხვ. მაგალითად: „ავტომ ბიჭი მთიელი სხვა მთაც შემოატარა“ (თ. ჯანგულაშვილი), „კოცონის ირგვლივ ბანაკი თქვენს სმენად გაინაბება“ (მაყ. მრეველიშვილი). სმენად აქ მოძველებული ფუნქციითაა ნახმარი. „ბეკო გაცეცდა“ (ლ. ჭიჭინაძე). გაცეცდა კუთხური სიტყვაა, რომელსაც ჩვენი ბავშვების უმეტესობა ვერ გაიგებს. განა არ სჯობდა მის ნაცვლად გვეხმარა გაცეცდა, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს? თუ მაინცა და მაინც საჭიროა ამა თუ იმ უცნობი სიტყვის ხმარება, მაშინ სასურველია ტექსტს იქვე ერთვოდეს ამ სიტყვის ახსნა. თუ კი ეს წესი მიღებულია სასკოლო სახელმძღვანელოებში, რატომ არ შეიძლება იგი გამოყენებულ იქნას საბავშვო წიგნებში? საბავშვო წიგნების ენას მეტი გულისყურით უნდა მოვეპყრათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზმირად



უყურადღებოდ ეკიდებიან სასვენ ნიშნებს. მოსწავლეს სასვენი ნიშნების არასწორად ხმარებისათვის ნიშანს უკლებენ. რას იტყვის იგი, როცა ამგვარ შეცდომებს ნახავს მრავალგზის გასწორებულ წიგნში? ეს უფრო ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებაა და უთუოდ უნდა გამოსწორდეს. რაკი ტექნიკურ ნაკლზე ჩამოვარდა ლაპარაკი, უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ საბავშვო წიგნები იბეჭდება შეუფერებელი შრიფტით: უმცროსი ასაკისათვის განკუთვნილი წიგნები წვრილი შრიფტითაა აწყობილი, უფროსი ასაკისა კი — ჰირიქით.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას საბავშვო ლიტერატურის კრიტიკის შესახებაც. ჯერ კიდევ ბევრი საბავშვო წიგნი კრიტიკის უყურადღებო გარეშე რჩება. გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებიც ბიბლიოგრაფიის ვიწრო ჩარჩოებს არ სცილდებიან. საჭიროა დამუშავებულ იქნას საბავშვო ლიტერატურის აქტუალური პრობლემები, უნდა იწერებოდეს თეორიული წერილები საბავშვო ლიტერატურის საკითხებზე.

გაქვეყნებულია

აფხაზი პოეტი ივანე თარბა

★

ივანე თარბა ერთ-ერთი საუკეთესო აფხაზურად აფხაზი პოეტია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი შესანიშნავი ლექსი და პოემა, აგრეთვე ქართველი და რუსი პოეტების ნაწარმოებთა მრავალი თარგმანი. ახლანდელი აფხაზეთის სახელგამმა გამოსცა აფხაზურ ენაზე მისი ნაწარმოებთა ახალი კრებული, სახელწოდებით „მთის ნაკადული“, რომელშიაც შესულია ყველა მისი საუკეთესო ლექსი და პოემა.

აფხაზურ ლიტერატურაში ივ. თარბა გამოირჩევა თემატიური მრავალფეროვნებით. აფხაზური თემატიკის გარდა, მის ყურადღებას ყოველთვის იპყრობს ჩვენი თანამედროვეობის მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხები. ბრძოლა მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ცხოველყოფილი საბჭოთა პატრიოტიზმი, ფრონტისა და ზურგის პეროიკა დიდი სამამულო ომის წლებში, გამარჯვების სიხარული, კომუნიზმის მშენებელთა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გმირული საქმენი, აყვავებული კოლმეურნეობები, სტახანოველები სოციალისტურ სარეწაოებზე და ქალაქების კეთილმოწყობა — აი ასეთია ივ. თარბას პოეტური შემოქმედების თემატიკური კომპლექსის არასრული სახე.

ლექსები „მშვიდობიანი შრომისათვის“ მკვეთრი პოლიტიკური სიძლიე-

რით ეღერენ. პოეტი მხურვალედ მიმართავს „მართალ სიტყვას“. ასეთი სიტყვა ძლიერი და უდრეკი იარაღია. იქ, ოკეანეს გადაღმა გაცოფებული იმპერიალისტები სასიკვდილო კრუნჩხვით ებღაუჭებიან ატომურ ბომბს, განწირული კაპიტალიზმის უგუნური მტაცებლები გააფთრებით ღმუიან, მაგრამ უკანასკნელი სიტყვა მაინც მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებს ეკუთვნის. საბჭოთა ადამიანების სიტყვასა და მოქმედებას მშვიდობისათვის ბრძოლის მძლავრ ნაკადში განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკუთვნება. ლექსში „ლაპარაკობს თემურ თარბა“ ავტორმა შესძლო გადმოეცა უბრალო საბჭოთა ადამიანის მაღალი შეგნება. სახელგანთქმული მერგოლური, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა, გესლიანი სარკაზმით ამოთრახებს ამერიკელ ფაშისტს; ჩვენი კოლმეურნე კარგად ზედავს მშვიდობის მტრების, იმპერიალისტ-აგრესორების გარდუვალ განწირულებას. ლექსის ფინალში თვალნათლივ არის დაპირისპირებული იმპერიალისტური ბანაკები.

საბჭოთა უბრალო ადამიანის თემურ თარბას სიტყვებს ეხმაურება ჩვენთვის ახლობელი ადამიანის ზანგი მომღერლის პოლ რობსონის ზმა, რომელიც მშვიდობისათვის იბრძვის. ამ ზმას ვერ

ჩაახშობენ ფაშისტი ქვეწარმავლები. ეს ხმა გაბედულად გაისმის ზღვისა და ოკეანეზე, იგი ღრმად სწვდება ახალი დემოკრატიული ჩინეთისათვის მებრძოლის გულს, მას უსმენენ მომღერლის სტალინგრადელი მეგობრები. პოეტის თქმით, ამ მელოდიებისათვის ფართოდ არის გაღებული იმ სახლების ყველა კარი და ფანჯარა, სადაც კი თავისუფლებისმოყვარული ადამიანები ცხოვრობენ.

ჩვენი ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრება გამოუღეველ მასალას იძლევა პოეტური შემოქმედებისათვის. ივ. თარბა ჰქმნის „შრომის სიმღერას“. ვის შეუძლია, ამბობს პოეტი, ჩვენზე უკეთესად უმღეროს შრომის სიხარულს! ჩვენი სიმღერა ჩაისახა და განმტკიცდა ბრძოლათა ქარცეცხლში. იგი ჩვენი მეგობარია, მუდამ ჩვენთან არის — ქარხნებში, სადაც ლითონი დნება, და მინდვრებში ჯერ კიდევ მზის ამოსვლამდე გაისმის მისი ხმა.

ივ. თარბა დიდი აღფრთოვანებით უმღერის გმირულ სინამდვილეს. ლექსში „მსოფლიოს რუკასთან“ ხუთქიმიანი ბრწყინვალე ვარსკვლავის სახით პოეტი გვიჩვენებს ყველა მშრომლისათვის საყვარელ მოსკოვს, დიდებულ კრემლს, სადაც მუშაობს ხალხთა დიდი ბელადი: „სტალინის მზე, ნათელი მზე მარად გვინათებს მთებსა და მინდვრებს“...

ივ. თარბამ, ერთმა პირველთაგანმა ასწერა პოეტურად სოფელი მერხეული, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ. ლექსების ციკლში — „მერხეული“ პოეტი ხატავს ბუნების შესანიშნავ სურათებს. იმ დიდი შარავზით, რომელიც მერხეულზე გადის, სამაჟლო ომის სუსხიან დღეებში ბატალიონები ბატალიონებს მისდევდნენ, რათა გმირულად დაეცვათ სამშობლო ვერაჯი მტრისაგან. ახლანდელი მერხეული, „ყვავილებით დაჯავშნული“ თავისი ფერადი პეიზა-

ებითა და გმირული შრომის სურათებით, აღფრთოვანებს პოეტს. აგერ, მდინარე მაჟარა, რომლის წყალდიდობაც ყოველთვის დიდ ზიანს აყენებდა სოფლის მცხოვრებლებს, ახლა მერხეულელთა შრომამ დაიმორჩილა და საღამოობით ელსადგური სოფელს სინათლეს აწვდის. აგერ, ხე-ტყის ქარხანა, ფოლადის ხერხი გიგანტური ხის გულში იჭრება და მუშები ფიცრებს აწყობენ საკოლმეურნეო სახლების ასაშენებლად („ხე-ტყის ქარხანა“).

ლექსი „საღამოობით“ გვიჩვენებს მერხეულს საღამოკამს, როდესაც ელექტრონის შუქი ანათებს მთის კალთებს და სოფლის ორღობებში სიმღერით მოედინებიან პლანტაციებიდან დაბრუნებული კოლმეურნეები. ოჯახის უფროსს ხელში უჭირავს ღვინით სავსე ჭიქა და სიბრძნით აღსავსე სიტყვებით თავის მეცხრე შვილს ულოცავს ახალ ბინაზე მოწყობას. ამ დროს სოფელში გაისმის ჩონგურზე დამღვრებული სიმღერა ბელადზე (ლექსი „ახალი ოჯახი“).

ივ. თარბას შემოქმედებაში საბატიო ადგილი უყავია თბილისის თემას. პოეტი აღტაცებულია ძველისძველი სატახტო ქალაქით, შოთა რუსთაველის ძეგლი დგას ახლა ფართო პრისპექტზე, სადაც მის მიერ ამღერებული გმირების შთამომავლები, ბრძოლასა და შრომაში გამომბრძმედილი სტალინური ეპოქის ტარიელები დასერიანობენ. პოეტის ყურადღებას იპყრობს როგორც სოციალისტური ქალაქის გმირული ყოველდღიურობა, ისე მისი სახელოვანი ისტორიის ფურცლები. პოეტი შედის ქარხანაში, სადაც მანქანამ ადამიანს შრომა გაუადვილა. აქ ხედავს იგი მომუშავე ქართველ ქალს, რომელსაც სიამაყის გრძნობით შეუძლია სთქვას, რომ ქარხანა ხალხისაა და, მაშასადამე, მასაც ეკუთვნის. შესანიშნავი ლექსია „ორთაჟალა“, სადაც თქვენ ამოდ მო-

ელით თბილისის დრომოკმული სურათის ნახვას. პოეტი გვიხატავს გაღიქმებული თბილისის დილას. ქარხნების საყვირთა გამამხნეველები ხმები შრომისაკენ მოგვიწოდებს. ამ საყვირებთან ერთად პოეტიც ქუჩაში გამოდის და სალამს უძღვნის მშრომელ თბილისს. ლექსში „მტკვარი“ პოეტი მხოლოდ ამ სახელოვანი მდინარის გარეგნული აღწერით არ კმაყოფილდება. ტალღების ხმაურში მას ესმის იმ დიდი მშენებლობის ხმაური, რომელსაც ქალაქის მშრომელები აწარმოებენ სანაპიროებზე, რათა უფრო გაალამაზონ საყვარელი ქალაქი.

მთაწმინდიდან პოეტის წინ იშლება ფართოდ გაქიმული ქალაქის მომხიბლავი პანორამა. მას აგონდება სიტყვის დიდი ოსტატების ბედი: გრიბოედოვისა, რომელმაც აქ დაიწყო თავისი ტრაგედიის — „ვაი ჰეუსიანთან“ წერა; პუშკინისა, რომელსაც ემძიმებოდა სევდიანი საქართველოს სიძღვრის მოსმენა; ლერმონტოვისა, რომელსაც სურდა დაჰმალოდა „მონებისა და ბატონების ქვეყანას“ კავკასიის ქედის აქეთ. პოეტმა იცის, რომ მეგობრობის ის ძაფები, რომლებიც დიდი ხანია ქართველ და რუს ხალხთა შორის გაება, საბჭოთა ხელისუფლების დროს ხალხთა ურღვევ მტკიცე კავშირად გადაიქცა.

ივ. თარბას პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საკოლმეურნეო სოფლის თემატიკას. მას შექმნილი აქვს ლექსების მთელი ციკლი სათაურით — „ჩემი სოფელი“. ამ ლექსებში იგრძნობა პოეტის ლირიკული აღელვება საბჭოთა სოფლის აყვავების გამო. იგი საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს ეხება და ხშირ შემთხვევაში კიდევაც პოულობს სათანადო მხატვრულ საშუალებებს კოლმეურნეთა აზრებისა და გრძნობების გამოსახატავად.

შესანიშნავად აქვს აღწერილი პოეტს კოლმეურნეთა შრომის სიხარული. დი-

ლადრიან კოლმეურნეები მხიარული სიმღერით ავსებენ მინდორს. ზოგჯერ თვითონ მხეც კი გრძნობს უხერხულობას, როდესაც ხედავს, რომ ვერ ასწრებს ამოსვლას და საგრძნობლად ჩამორჩება სუბტროპიკული პლანტაციების დაუღალავ მუშაკებთან შედარებით; როცა მზის სხივები გამოჩნდება მთებიდან, კოლმეურნეთა მუშაობა უკვე დიდხნის დაწყებულია („დილა სოფელში“). თუ როგორ ეპყრობიან გლეხები შრომას და როგორ ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას სოცშეჯიბრების მეთოდის დანერგვით ამას პოეტი გადმოგვცემს ლექსში — „დროშა მინდორში“, სადაც გამოხატულია გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც სოფლის ხან ერთ, ხან მეორე ადგილას ფრიალებს. მაღალი მოსავლის თემას ეხება ლექსი „წისკელი“. წისკელის მძიმე ქვა შეუსვენებლივ ტრიალებს, ოქროსფერი ფქვილით ივსება ბელლები. აქვე უნდა აღინიშნოს ლექსები „ჩემი ძმა“ და „მიდიოდა ქალი მინდვრად“. პირველ ლექსს პოეტი უძღვნის სოციალისტური შრომის გმირს — თემურ თარბასს, მეორეს — ზინა ბაღათელიას.

საკოლმეურნეო პიდროსადგურის ვახსნის კონკრეტულ მაგალითზე პოეტი გვიხატავს სოფლად სოციალისტური ყოფისა და კულტურის ამოღებას (ლექსი „დღესასწაულია ახლა ჩვენთან“). ახლა სოფელში ელექტრონი ჩვეულებრივი ამბავია. ლექსში „ჩემი სოფელი“ ივ. თარბა აგვიწერს საბჭოთა სოფლის საერთო სურათს. ყველაფერი განახლებულია სოფელში და პოეტი, დაპყრებს რა სერიდან სოფელს, ხედავს ბალებს, მინდვრებსა და დამწიფებული ყურძნის მძიმე მტევნებს.

სამამულო ომის დროს ივ. თარბამ მებრძოლი პატრიოტული გრძნობით აღსავსე მრავალი ლექსი დასწერა. ამ ლექსებში კარგად არის გამოხატული ომისდროინდელი საბჭოთა ადამიანე-

ბის ცხოვრება. მთავარ თემას წარმოადგენს ცხოველმყოფელი საბჭოთა პარტიოტიზმი. ამ ლექსებში აფხაზი პოეტი ადღელებით მოგვითხრობს სამშობლოს წმინდა სიყვარულისა და მტრისადმი შეუნელებელი სიძულვილის შესახებ. პოეტი აკვიწებს სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილების საბრძოლო გამირობას და ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ დარაზმული საბჭოთა ადამიანების შრომითს ენთუზიაზმს.

აგერ, მოხუცი დედა აცილებს ფრონტზე მიმავალ შვილს. იგი გზას ულოცავს და არიგებს მას, რომ მტერთან ბრძოლაში შეუდრეკელი და მამაცი იყოს, დედა-სამშობლოს დაცვის წმინდა მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ეს ლექსი „გაიცილება“, რომელიც მთელი ციკლის თავშია მოთავსებული, თითქოს სიმბოლოა იმისა, თუ როგორ მოუწოდა ჩვენმა სამშობლომ მის მიერ აღზრდილ შვილებს მკერდით დაეცვათ იგი ფაშისტ-დამპყრობთაგან. რისხვით აღსავსე პოეტი ამათრახებს ფაშისტ მტარვალებს და იმაღლებს ხმას იმ გათავსებულ აგრესორთა წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს სოციალიზმის ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შელახვა. ივ. თარბას ამ ციკლის ერთერთ საუკეთესო ლექსს წარმოადგენს „ღონის ნაბირებზე“, რომელიც პოეტმა უძღვნა სამამულო ომში დაღუპულ გმირ ქალს, აფხაზ გოგონას ა. ნაზაძის. ბრძოლაში მან, მტრის ტყვიით გულგანგმირულმა, მოასწრო წარმოეთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა — „მშვიდობით“. მისმა წარბშეკრულმა და მოღუშულმა თანამებრძოლებმა ახალგათხრილი უბრალო საფლავის წინ მოკლე პანაშვიდი გადაიხადეს და ისევ წინ გასწიეს მტრის ბასტიონებზე იერიშის მისატანად. მშობლიურმა მიწამ მიიღო თავის წიადში საბჭოთა ხალხის ბედნიერები-

სათვის თავდადებული ქალიშვილი, რომლის გვერდითაც ფართოდ გაშლილი ღონი ტალღებს მიატანდათ თითქოს იგი ამ საფლავის მყუდროების დამცველი ყოფილიყოს.

თავის შინაარსით ამ ლექსს უახლოვდება ოსტატურად დაწერილი ლირიკული ლექსი — „ეთისა საფლავი“. იგი ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ადამიანის გონებაში. ჰალარა კავკასიონის გატიტვლებულ მთებში, ფრიალო კლდის პატარა ბორცვაკზე, მოჩანს ერთერთი იმ მეგრძოლის საფლავი, რომელმაც გასწირა თავისი სიცოცხლე სამშობლოსათვის. პოეტი დგას ამ საფლავის წინ, სადაც დამარხულია უბრალო საბჭოთა ადამიანი, მეგრძოლი, რომელმაც იარაღს მოჰკიდა ხელი დიადი მონის განსახორციელებლად. ავტორი მიმართავს ირგვლივ თითქოს საპატიო ყარაულად ჩამდგარ მთებს, რათა უამბონ მას უსახელო გმირის შესახებ.

სამხედრო თემატიკაზე დაწერილ სხვა ლექსთა შორის, აღსანიშნავია „კაპიტანი გასტელო“, „დედა და შვილი“, „კომისარი ჩარგეიშვილი“, „მწყემსი“, „აფხაზური ყამა“, „სიმღერა სევასტოპოლზე“, „მთის ბალადა“ და სხვ. შესანიშნავი ლექსია აგრეთვე „არც ერთი ნაბიჯი უკან, ამხანაგო“. ამ პერიოდის ერთერთ ლექსში — „ჩემი ბრწყინვალე სამშობლო“ — პოეტი მიმართავს საყვარელ სამშობლოს სიტყვებით: „დედა ხარ ჩემი, მეკი შენი ჯარისკაცი, მუდამ მზად ვარ დაგიცვა“.

ლირიკულ ნაწარმოებთა გარდა, ივ. თარბა ცდის თავის ძალას აგრეთვე დიდი ფორმის პოეტური ნაწარმოების შექმნის საქმეში. პატარა პოემაში — „გმირობა“ ივ. თარბა პირველი შეეცადა აფხაზურ პოეზიაში მხატვრული ფორმით გამოეხატა კრასნოდონის კომკავშირულ გმირთა უმაგალითო სი-

მამაცე. ავტორი ძლიერი საღებავებით გვიხატავს ფაშისტური ოკუპაციის შავ დღეებს. ფაშისტებმა მოსკეს და გადაბუგეს სიცოცხლით სავსე უხვი და გაფურჩქნელი კრასნოდონი. საშინელ სიმბოლოდ არის გამოყვანილი სასწაულით გადარჩენილი ნახევრად მკვდარი ნახანძრალი ხე, რომელსაც არც შტოები და არც ფურცლები არ გააჩნია. იგი დგას ბომბებით გადათხრილ-გადაბუგულ მიწაზე. გერმანელი ფაშისტების მიერ ჩადენილი ბარბაროსობის ეს კარგად გამოჩანული სახე, სამწუხაროდ, ვერა აქვს ავტორს სათანადოდ განვითარებული. გარდა ამისა, ავტორი მეტრისმეტად ტვირთავს პოემას ფაშისტების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა აღწერით. საერთოდ კი ეს პოემა იმის მამოწმებელია, რომ ავტორს შეუძლია თავი დააღწიოს თხრობის სქემატიზმს და სხარტი შტრიხებით ნათლად წარმოგვიდგინოს დრამატიზმით აღსავსე სურათები. დიდი შთაბეჭდილებას სტოევებს ახალგაზრდა პატრიოტის ოლეგ კოშევიის ფიცი: ოლეგი ირგვლივ იყურება და ხედავს, რომ ქალაქისაგან მხოლოდ ნანგრევები-ღა დარჩა; ამით აღლევებულმა, მან მშობლიური მიწით სავსე მუჭი მიიტანა ათროლოებულ ტუჩებთან და წმინდა ფიცი წარმოსთქვა.

ეს პოემა ნამდვილი მებრძოლი პოლიტიკური ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს. იგი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ უძლეველია ის ქვეყანა, რომელმაც ისეთი ერთგული შვილები აღზარდა, როგორიც კოშევი, ტიულენინი და მილიონობით სხვები არიან. გაცოფებული მხეცები მძვინვარებენ, მაგრამ დროებით. ბოლოს მათი ავანტურისტული გეგმები ჩაიფუშა და მართალი საქმე გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

კარგად აქვს ავტორს გამოყენებული ერთი აფხაზური გამოთქმა, რომ „ვაე-

კაცმა თავისი ცხოვრება ვაჟი-ცურად უნდა გაატაროს და აღმდგომი მხოლოდ ერთხელ მოკვდეს“. მამაცემ: „ახალგაზრდა გმირებმა თავიანთი მოვალეობა დედა-სამშობლოს წინაშე ბრწყინვალედ და პატიოსნად შეასრულეს.

პოემა მხატვრულად სრულყოფილი მაინც არ არის. მას აკლია სიღრმე, დინამიკურობა და სუფეტის ბუნებრივი განვითარება. ალაგ-ალაგ გვხვდება ხელოვნურად შექმნილი სიტყვები, ენა ზოგან მოიკოჭლებს. პოემის დასაწყისში მოცემული შეყვარებულთა სცენა არღვევს პოემის მთლიან სტილს. საჭირო არ იყო აგრეთვე ფინალში დაღუპული გმირის დედის სახის ჩვენება ეს სახე პოეტს ვერა აქვს სრულქმნილად დახატული.

რამდენიმე კარგი ლექსი დასწერა ივ. თარბამ საბჭოთა მებრძოლის ფრონტიდან დაბრუნების თემაზე. ლექსების ამ ციკლს, რომელსაც „გამარჯვების სიმღერა“ ეწოდება, ამშვენებს ლექსი „გამოდი, დამხვდი, გოგონავ!“ ფართო ეზოში შემოდის ცხენზე მჯდომარე მემომარი. ცხენი წინ მიიწევს, მასაც უხარია მშობლიურ სოფელში მოსვლა. რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა პატრიოტი ბრძენი ბელადის მოწოდებაზე სალაშქროდ გავიდა. მან მოიარა მთელი საბჭოთა ქვეყანა, მონაწილეობა მიიღო მრავალ ბრძოლაში, მკერდით დაიცვა მშობლიური კავკასია, სისხლს ღვრიდა უკრაინის ოქროსფერ ველებზე და მკერდით გაარღვია ბერლინის კარიბჭე. ახლა იგი თავის საყვარელ სოფელში დაბრუნდა, მის გარშემო ისევ მშობლების, მეგობრებისა და ნაცნობების სახეებია. „გამოდი, დამხვდი გოგონავ!“ — გაიძახის ომგადახდილი ვაჟკაცი — და ჩემთვის შენს გულში შენახული სიმღერა მომასმინე“.

ამ ციკლის სხვა ლექსებში „ისევ აქა ვარ!“, „გმირი-რანდი“ და სხვა. პოეტი შესანიშნავად გადმოგვცემს თავისი ლირიკული გმირის ამაყ გრძნობებს, უსაზღვრო სიხარულს, მის წინ გაშლილან. ნაცნობი ადგილები: აფხაზეთი, შავი ზღვა, სახლი, მშობლიური კერა, ახლო ნათესაეები... მიდის ომგადახდილი ვაჟკაცი ქარხანაში. მას ზღვებიან სტახანოველი შეგობრები. მიდის ომგადახდილი თავის საამქროში სამუშაოდ და აქ, შრომის ფრონტზე ენთუზიასმით გატაცებულს სურს ისეთივე უნგარო სამსახური გაუწიოს სამშობლოს, როგორც ფრონტზე სჩვეოდა.

ივ. თარბა უაღრესად თანამედროვე პოეტი. მისი ლირიკა, ინტიმურიც კი, გაუღენთილია მკვეთრი პოლიტიკური მიმართულებით, მეტრძოლი სულით. უკანასკნელი დროის მისი ლექსების ციკლი — „აფხაზეთის დღია“ ამ შესანიშნავი ხაზის გაგრძელებაა. ამ ციკლში პოეტი ეხება აფხაზეთის სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებული ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. „სიმღერა სუხუმზე“ გვიხატავს იმ დიდ სამუშაოს, რომელიც აფხაზი მშრომელების მიერ არის ჩატარებული სუხუმის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის დარგში. ლექსი „ახალი წელი“, თუმცა ვერ არის ფორმის მხრივ უნაკლო, დიდი გრძნობით დაწერილ ჩვენი მიღწევების პოეტურ ანგარიშს წარმოადგენს.

ხშირ შემთხვევაში პოეტი ცდილობს შექმნას განზოგადოებული მხატვრული სახე. მაგალითად, ლექსში — „ნაპირ-ნაპირ მიედლიოდა“ პოეტი მოივლის სუხუმს და ერთ ადგილას შეამჩნევს სიცოცხლის წყურვილით აღსავსე, ჯერ კიდევ გაუშლელ ყვავილს. ყვავილის სახით პოეტი გვიხატავს არამართო ბუნების სილამაზეს, არამედ საბჭოთა ადამიანის იმ მზრუნველ და ძლიერ ზელსაც, რომელითაც ყვავილს საშუა-

ლება ეძლევა იზრდებოდეს და იშლებოდეს საბჭოთა ხალხის საყვარელ-ღმერთად.

ივ. თარბა ახალგაზრდა პოეტი. მისი შემოქმედებითი ზრდა კარგად და ბუნებრივად მიმდინარეობს, მხოლოდ მას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება მხატვრულ სიტყვაზე, ფორმის დახვეწაზე. სამწუხაროდ, მის პოეზიაში ჯერ კიდევ მრავლად მოინახება ენობრივი მასალისადმი იოლი მიდგომა, ხშირია თხრობის სქემატურობა, მკვრივი და მაგრად ჩამოსხმული კომპოზიციის უქონლობა. ხშირად კარგი და აქტუალური თემა ვერ პოულობს სათანადო ფორმას და ავტორის შთანაფიქრი ვერ მიდის მკითხველამდე. მრავალსიტყაობა, განმეორებანი, ხელოვნურად შექმნილი სიტყვები და გამოთქმები, იაფი რითმები — ყველაფერი ეს ზოგჯერ პოეტის აზრს ამძიმებს და ძნელად გასაგებს ხდის.

ახალგაზრდა პოეტი შემოქმედებითი ზრდის პროცესში იმყოფება. ამის დამამტკიცებელ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პოემა „როჟდენ ქება“, რომლის პირველი ნაწილიც დაბეჭდილია კრებულში. ჯერ კიდევ ნაადრევია მთლიანი აზრის შექმნა ამ პოემის შესახებ, მაგრამ დაბეჭდილის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ პოეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა თავის შემოქმედებაში. აფხაზეთის ლიტერატურაში ივ. თარბამ პირველმა გამოიყვანა ამ პოემით ინდუსტრიული მუშა. ავტორი ცხოველმყოფელი სიძლიერითა და ოპტიმიზმით აღსავსე სტრიქონებში გვიხატავს მომზიბლავ სურათებს, ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის განწყობილებასა და გრძნობებს. ამ პოემის პირველი ნაწილი უდავოდ მოწმობს, თუ რამდენად გაიზარდა ივ. თარბა იდეურ - მხატვრულად. დასასრულ ახალგაზრდა ავტორს უნდა ვუსურვოთ ამ პოემის გამარჯვებით დამთავრება.

რედაქცია

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ლიტერატურა

★

საკავშირო კ. პ. (ბ) დადგენილებებმა და ამხანაგ ედნოვის მოხსენებამ ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხთა შესახებ კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა მხატვრული ლიტერატურის, როგორც პატრიოტიზმისა და კომუნიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის მძლავრი იარაღის, როლი და მნიშვნელობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე სამხრეთ-ოსეთში აღიზარდა მწერალთა მთელი პლეადა, რომელმაც განაგრძო დიდი ოსი მწერლის კ. ხეთაგურის რეალისტური ტრადიციები. სამხრეთ-ოსეთში კარგად არიან ცნობილი მწერლები: მ. შავლოხოვი, კეკეაზაგი (ი. კანმაზოვი), დ. კუსოვი, ი. პლიევი, გაფეზი (ფ. გაგლოევი), ვ. სანაკოევი, ნიგა (ი. გოლოვანოვა), დ. ჯიოევი და სხვ.

ოსი მწერლების ნაწარმოებებში დღეს მთავარი და ცენტრალური ადგილი უკავია ომის შემდგომ საბჭოთა ცხოვრებას. ჩვენმა მწერლებმა უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნეს მთელი რიგი მაღალ-იდუური და სრულფასოვანი ნაწარმოებები ლიტერატურის ყველა დარგში — პოეზიაში, პროზასა და დრამატურგიაში.

ოსურ მხატვრულ ლიტერატურას შეეძინა ისეთი შედეგები, როგორც არის ოსური ეროვნული ეპოსი „ნართები“, რომელიც გამოიცა ოსურ, ქარ-

თულ და რუსულ ენებზე, დიდი ქართული პოეტის შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ოსურად სთარგმნა პოეტმა მ. შავლოხოვმა, დიდი ოსი მწერლის კონტა ხეთაგურის ნაწარმოებები, ალ. პუშკინის, ილია ჭავჭავაძის, ა. ოსტროვსკის, ნ. ბარათაშვილის, ი. კრილოვის, ალ. ყაზბეგის, აკ. წერეთლის, ტ. შევჩენკოს, ი. ფრანკოს და სხვათა რჩეული ნაწარმოებები.

ოსურ ენაზე აგრეთვე გამოვიდა ვლ. მაიაკოვსკის რჩეული ნაწარმოებები „ქართული საბჭოთა მწერლობის ანთოლოგია“ და გ. ლეონიძის ეპოპეა „სტალინი“, რომელიც სთარგმნა პოეტმა კეკეაზაგმა.

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებიდან გამოვიდა პოეტ-დრამატურგის მ. შავლოხოვის ორტომეული კრებულები: „დიდ სტალინს“ (— ოსურ და ქართულ ენაზე), „მარადი სიხარული“, „მოწოდება ბრძოლისაკენ“, „ომის ნაპერწკლები“, „გამარჯვების გზაზე“, „კ. ხეთაგურის“, „ოქტომბერი“, „მამული“, „გამარჯვება“, „სამშობლო“, „სამხრეთ-ოსეთის მშრომელთა წერილი ამხანაგ სტალინს“ (სამ ენაზე), შემდეგ კეკეაზაგის, გაფეზის, ი. პლიევისა და ნიგას ნაწარმოებთა კრებულები და დ. კუსოვის, კეკეაზაგის, ვ. სანაკოევისა და სხვა დრამატული ნაწარმოებები.

პარტია და ამხანაგი სტალინი მოგვიწოდებენ შევექმნათ მაღალიდღური ნაწარმოებები სოციალისტური რეალიზმის მეთოდის მომარჯვებით, მოგვიწოდებენ გავაუმჯობესოთ და ავამაღლოთ მხატვრული ოსტატობა.

პოეტი-დრამატურგი კავკაზაგი თავისი დიდი პოემით „მართა“ სოციალისტური რეალიზმის მეთოდის დაუფლების მაგალითს გვიჩვენებს. ამ პოემაში იგი გვიხატავს ოსი ხალხის სახელოვანი შვილის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოფელ ზემო-როკის სასოფლო-სამეურნეო არტელის ხელმძღვანელის — მართა პლიევას შრომითს გმირობას. თავის ახალ პიესაში „ზანგების ბედი“ დრამატურგი ამხილებს ამერიკელ ფაშისტებს — ზანგებისა და მთელი მოწინავე კაცობრიობის ამ უბოროტეს მტრებს.

პოეტმა გაფეზმა ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოსცა სამი წიგნი: „სიცოცხლე მშვენიერია“; „ამინათი“, და ლექსებისა და პოემების კრებული (ქართულ ენაზე). პოემაში „ამინათი“ ავტორი მოხერხებულად გვიხატავს კოლმეურნე-ქალის სახეს. გაფეზს დაწერილი აქვს აგრეთვე ლექსების ციკლი ომის შემდგომ თემატიკაზე.

სამხრეთ-ოსეთის ერთერთმა ნიჭიერმა პოეტმა ი. პლიევმა, რომელმაც სახელი გაითქვა თავისი წიგნით „განთიადით“, შექმნა ახალი ლირიკული პოემა „ლზინი მთელს ხეობაში“, რომელიც აგებულია ოსი ხალხის მამაცი შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ჩოჩიევის სამამულო ომიდან სამშობლოში დაბრუნების თემაზე. ლექსთა ახალ ციკლში ავტორი უმღერის კომუნისმისაყენ გზის მაჩვენებელი ლენინ-სტალინის უცვდავი იდეების ყოველისშემძლე ძალას.

ახალგაზრდა მწერალი დ. ჯიოვევი, თავის მოთხრობაში „ბოლშევიკური ძალა“ ნათელი ფერებით აგვიწერს საბ-

ჭოთა საზოგადოებისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ აღზრდილ ყდამყონის ძალასა და ნებისყოფას.

უხუცესი ოსი პოეტი-დრამატურგი დ. კუსოვი თავის მრავალი პოეტური და დრამატიული ნაწარმოებებით ამდიდრებს სამხრეთ-ოსეთის მხატვრულ ლიტერატურას. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი ახალი პიესა „ოქროს გული“, სადაც ავტორს განზრახული ჰქონდა საბჭოთა ადამიანების შეგნებაში ძველ გადანამთებთან ბრძოლა ეჩვენებინა, თავის დანიშნულებას ვერ აღწევს. ავტორი ეხება ისეთ საკითხს, რაც უკვე აღარ არის დამახასიათებელი ოსი ხალხის ცხოვრებისათვის.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების პრაქტიკაში ხშირია მწერლების შემოქმედებითი ანგარიშების მოსმენა და ახალგაოსულ წიგნებზე საჯარო დისკუტების მოწყობა. მწერლებმა შეიგნეს, რომ ჩვენი მკითხველი იდეურად გაიზარდა და ყოველ ნაწარმოებს დინჯი, დაფიქრებული კრიტიკით უდგება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მწერლების უმრავლესობა უფრო მეტად პოეზიითაა გატაცებული, ვიდრე ლიტერატურის სხვა ჟანრებით. ამიტომ მნიშვნელოვნად ჩამორჩება დრამატურგია, საბავშვო ლიტერატურა და კრიტიკა.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილება სერიოზულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა ლიტერატურული თაობის იდეურ და მხატვრულ აღზრდას. შექმნილია ახალგაზრდა მწერლების ორი ლიტერატურული წრე, დამწყებ და ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობა დადებითს შედეგებს იძლევა. სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურას შეემატა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები: ი. ცხოვრებოვი, კ. მარგიევი, ხ. გაბუევი, ვ. ჯიოვევი, მ. გაბულოვი, მ. ნარტიკოევი და სხვ.

ლიტერატურული წრის ნაწარმოებთა კრებულში „ახალგაზრდა ხმა“ თავისი გამოხატულება პპოვა შემოქმედებითი შრომის პათოსმა და საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმმა.

წარმატებით მუშაობენ სამხრეთ-ოსეთის ქართველი მწერლები—დ. ელიოზაშვილი, ს. ყურაშვილი, ა. მამისთვალოვი, ვ. გელაშვილი, გ. პაპიაშვილი და სხვ. მათი ნაწარმოებები დაბეჭდილია კრებულებში „ჩვენი თაობა“ და „ახალგაზრდა პოეტები“, რომლებიც გამოიცა სამხრეთ-ოსეთში.

ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მიერ არაერთხელ იყო მხილებული სამხრეთ-ოსეთის / ლიტერატურის სეროიზული შეცდომები. მაგალითად, ჟურნალ „ფილიუაგის“ 1949 წლის თებერვლის ნომერში დაიბეჭდა რ. ჩოჩიევის მავნე, ანტისაბჭოთა ნაწარმოები „ჩემი შეხვედრები არსენასთან“, სადაც ავტორი ცილს სწამებდა საბჭოთა წესწყობილებასა და ქალაქ სტალინის. ასევე მოუვიდა საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელს ე. ბეკოვს, რომელსაც თავის მოთხოვნებში „მხეცების სასამართლო“ და „ბრძოლა“ სამამულო ომის პერიოდის გმირული საბჭოთა ხალხი გამოყვანილი ჰყავს დამახინჯებულად. რ. ჩოჩიევის რომან „ოცნებასა“ და აგრეთვე ე. ბეკოვის რომან „ფატიმაში“ დამახინჯებულად არის წარმოდგენილი სამხრეთ-ოსეთის კონკრეტულ-ისტორიული მდგომარეობა დიდი ოქტომბრის რევოლუციის დროს. ამ რომანებში არ არის გამოხატული ლენინ-სტალინის პარტიის როლი, როგორც სოციალისტური რევოლუციის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელისა. რომანების ავტორებმა ვერ შესძლეს იმ მძვრი, უანგარო დახმარების ჩვენება, რომელსაც

უწევდნენ სამხრეთ-ოსეთის მშრომლებს რუსი და ქართველი ხალხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროს, უგულვებელყოფილია მეტადრე ს. კიროვისა და ს. ორჯონიკიძის როლები ამ საქმეში.

ცხადია, რომ ლიტერატურული კრიტიკა მეტად სერიოზული საზოგადოებრივი საქმეა, ლიტერატურაში პარტიული ხელმძღვანელობის ერთერთი ფორმაა. ასეთ კრიტიკას ჟურნალ „ფილიუაგის“ ფურცლებზე ადგილი არ ჰქონია, ზოლო თუ რაიმე კრიტიკა მაინც იბეჭდებოდა, იგი, უმთავრესად, განყოფილების აპარატში მომუშავე ავტორების ქება-დიდებათ იყო გატაცებული, რაც ჯგუფობრიობისა და ძმობილობის არაჯანსაღ ატმოსფეროს ჰქმნიდა. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა ამა წლის იანვრამდე, სანამ პარტიის საოლქო კომიტეტმა გადაამტკრელი ზომები არ მიიღო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამხრეთ-ოსეთის განყოფილების ახალმა ხელმძღვანელობამ ძირითადად გარდაქმნა თავისი პრაქტიკული მუშაობა. ჟურნალ „ფილიუაგის“ რედაქციის ირგვლივ ახლა უკვე სამხრეთ-ოსეთის საუკეთესო ლიტერატურული ძალებია შემოკრებილი. ჟურნალი ხელმძღვანელობას უწევს ავტორებს, მიუთითებს მათ სოციალისტური სინამდვილის შესწავლის აუცილებლობაზე და ნერვავს მათ შორის კოლექტიური მუშაობის წესებს.

სამხრეთ-ოსეთის მწერლები, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობით ყოველგვარ ზომებს მიიღებენ, რათა უფრო მეტად გამოაცოცხლონ შემოქმედებითი მუშაობა და აიყვანონ ოსური ლიტერატურა სტალინური ეპოქის შესაფერ სიმაღლეზე.

ქართული სალიბერალური ენის დამახინჯების წინააღმდეგ



ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით და დაუღალავი მზრუნველობით საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში გაიფურჩქნა და აყვავდა საქართველოს სახალხო მეურნეობა და კულტურა, მეცნიერება ლიტერატურა და ხელოვნება. ჩვენი რესპუბლიკის საერთო წინსვლასთან და განვითარებასთან ერთად ვითარდება, წინ მიდის და ახალი სასიცოცხლო ძალებით ივსება მრავალსაუკუნოვანი, მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული სალიტერატურო ენა. ამჟამად ქართული სალიტერატურო ენა ისე მდიდარი და მრავალფეროვანია, როგორც ის არასოდეს არ ყოფილა.

ქართული ენა ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ქართულ ენაზე მუშაობენ სახელმწიფო დაწესებულებანი. ქართულ ენაზე წარმოებს სწავლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ქართულ ენაზე გამოდის მდიდარი მეცნიერული, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. ქართულ ენაზე იქმნება საბჭოთა პოეზიის მრავალი შესანიშნავი პროზაული ნაწარმოები.

უადრესად გაიზარდა ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა. ამიტომ, რომ ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა ენის საკითხებს დიდ ყურადღებას უთმობენ. სახელმწიფო ახორციელებს ღონისძიებებს იმისათვის, რომ ქართული სალიტერატურო ენა მხარდამხარ მიყვებოდეს და ყოველმხრივ ხელს უწყობდეს ჩვენი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას.

ენის განვითარებისათვის სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა. ამ ლექსიკონის პირველი ტომის გამოსვლამ კვლავ გვიჩვენა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უდიდესი სიმდიდრე და სასიცოცხლო ძალა.

მოწინავე მწერლობა ყოველთვის ხელს უწყობდა სალიტერატურო ენის დადგენას, მის გამდიდრებას და განვითარებას. მით უმეტეს ეს უნდა ითქვას საბჭოთა მწერლობაზე, რომელიც უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე დროის მწერლობა, დაკავშირებულია ხალხთან, მშრომელთა ფართო მასებთან, გამოხატავს მათ ინტერესებს და მისწრაფებებს, ამდიდრებს და ავითარებს ენას წარსული მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისებისა და უმთავრესად ცოცხალი ხალხური მეტყველების გამოყენების საფუძველზე.

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენი საბჭოთა მწერლები. ისინი წარმატებით ეუფლებიან და იყენებენ იმ მდიდარ ლექსიკურ მარაგს, რაც ქართულ ენას აქვს. ქართველი საბჭოთა მწერლები უფრო მდიდარს, უფრო მრავალფეროვანს, უფრო ლამაზს, უფრო მიმზიდველს, უფრო სრულყოფილს ხდიან ჩვენს სალიტერატურო ენას და ამით დიდ სამსახურს უწევენ სოციალისტური კულტურის შემდგომი სწრაფი აღმავლობის საქმეს.

მკრამ, სამწუხაროდ, არის გამონაკლისიც, ჩვენ ამჟამად მხედველობაში გვაქვს მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. წლებს შინაძღვე კ. გამსახურდია ქართულ სალიტერატურო ენას უკან ეწევა მისი მოთხოვნები ხელის შეწყობის ნაცვლად აფერხებენ ქართული სალიტერატურო ენის წინსვლას.

სწორი არ იქნებოდა გვედიქრა, თითქოს გამსახურდიას შემოქმედებას, მის „ცდებს“ და „რეფორმებს“ შეეძლოთ მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნან ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას, ამისათვის გამსახურდია უძლეურია. მაინც საჭიროა საზღვარი დაედოს მის უთავგზურ ჯირითს ქართული სალიტერატურო ენის სარბიელზე.

საბჭოთა მწერლისაგან ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის წერდეს გასაგებად, წერდეს ხალხისათვის, მსახურისათვის. სალიტერატურო ენის ხალხურობა სოციალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

სრულიად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას კ. გამსახურდია. მისი აზრით, თუ მწერლის ენა მასებისათვის, ხალხისათვის გასაგებია, ეს ლიტერატურული ოსტატობის დაქვეითებას ნიშნავს. ამიტომ ეს ყოველთვის იმის ცდაშია, როგორმე გაართულოს, ხელოვნურად დაამძიმოს და დახლართოს ენა.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. რომანში „დიდოსტატის მარჯვენა“ გამსახურდია წერს:

„ციხოვანსა და უციხო აზნაურებს წანართა მხარისას ქორსატეველას ბასტიონში გაეხენა დედა-წულნი, საცხოვარი და ზვასტაგი. ციხესთან მისასვლელად „იწროები“ გაემაგრებინათ, კოლონკელიძის ასული და დიაკონი ზნაურა დილეგში ჩაეგდოთ, ხოლო შორენას საწმერთული, ზოხბისყელისფერი, თავადიციხის ზეთავზე დაეკიდა ტოხაისძეს“.

ან კიდევ:

„შიდა ფონზე აქლემები და კარაულები მოსჩანდნენ ნახევრად ბნელში, ორნი ცოლნი, ორნი მხვევალნი და ათერთმეტნი ძენი იაკობისნი, ხოლო ნაღვარევეს გადმოღმა იდგა იაკობ მარტოი მუნ და ერკინებოდა მას უზარმაზარი დეეკაციის ლანდი. წვერი ჰქონდა ირისესავით თემთიმა და დაფანჩული, ბრწყინვალე შარავანდი ემოსა გარშემო თავისა, თევისს ქერეკისდარი ჯაჭვი ეცვა იაკობის ღმერთს, ცეცხლებრ უელავდნენ მგლისებრი თვალები“.

გასაკვირალი არაა, რომ კ. გამსახურდია ყოველ თავის ნაწარმოებს ლექსიკონს ურთავს. მართლაც, და, განა შეიძლება მოყვანილი ადგილები (ეს ადგილები კი ტიპიურია გამსახურდიას რომანებისათვის) გაიგოს მკითხველმა ლექსიკონის დაუხმარებლად? რასაკვირველია, არა. უფრო მეტიც, ხშირად საქმეს არც ლექსიკონი შველის. ჯერ ერთი, ლექსიკონში იმ გაუგებარი და უცნაური სიტყვების ძალიან მცირე ნაწილია ახსნილი, რაც გამსახურდიას ნაწერებში გვხვდება. მეორეც, შეუძლებელია კაცი რომანს კითხულობდეს და ცალი თვალი ლექსიკონისაკენ ეპიროს.

რაკი ლექსიკონი საქმეს არ შველის, და ამას გრძობს თვით გამსახურდიაც, ის მკითხველს აფრთხილებს, რომ მის რომანებს ხელი არ ახლოს, თუ წინასწარ არ შესისწავლის „მერჩულსა და რუსთაველს, შავთელს, ცურტაველს, საბას და ქართულ ქრონიკებს“.

ჯერ ერთი, სავსებით შესაძლებელია ამ მწერლებს კარგად იცნობდენ, ხოლო გამსახურდიას რომანები მაინც ვერ გაიგო, რადგან თუ ყველასი არა, რუსთაველის ენა მაინც უფრო ახლოს დგას თანამედროვე ქართულ სალიტერატურო

მრავალ სხვა გაუგებარ სიტყვასაც გამსახურდია ხმარობს არა იმისათვის, რომ ისინი საჭირო არიან, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ შეითხველოს გაციოს და დააბნიოს. მაგალითად, „სიზმრის“ მაგივრად ის წერს „ძილის-შორის“, „კიბის საფეხურის“ მაგივრად „ხარისხს კიბისას“ (რუსული ступень-ად თუ გაიგო და შემდეგ ქართულად თარგმნა), „სახედრის“ მაგივრად „ქარაულს“, „ღამურას“ მაგივრად „მღამიობს“, „ქარის“ მაგივრად „პალოკონს“ და სხვ.

ხანდახან გამსახურდია სრულიად უადგილოდ, უაზროდ ხმარობს ამა თუ იმ სიტყვას. მაგალითისათვის ავიღოთ სიტყვა „მაჯაგანი“. გამსახურდია მის ასეთ განმარტებას აძლევს: „მაჯაგანი — ორკაპიანი ჯოხი თასმის გამოსახდელი“. როგორც ვხედავთ, თვით ეს განმარტებაც განსამარტავია (მაგალითად, რა არის „თასმის გამოხდა“?), მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ: ყოველ შემთხვევაში გავიგეთ, რომ „მაჯაგანი“ რაღაც ორკაპიანი ჯოხი ყოფილა. ენახოთ ახლა, რა ადგილას ხმარობს ამ სიტყვას გამსახურდია და აქვს თუ არა მის ხმარებას რაიმე აზრი. „თარაში მაჯაგანით არჩევდა დედის ნაწერს“ — ამბობს გამსახურდია. აქ, როგორც ვხედავთ, ორკაპიანი ჯოხი გამაღიღებელი შუშის როლს ასრულებს. მეორე ადგილას გამსახურდია ამბობს: „მაჯაგანით დაამარხვინეს მამა თარაშ ემხვარს“. აქ ორკაპიანი ჯოხი უკვე შესაფლავის იარაღის როლშია. მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ადგილი, სადაც ეს სიტყვაა ნახმარი: „იღვა და მაჯაგანით კითხულობდა არზაყან ამ წარწერას“, „ის იყო არზაყანმა მეორე წადის ყელიც მაჯაგანით გადაიკეცა მუხლის თავზე“, „სათვალე ამოიღო შუაში გაბზარული. მაჯაგანით გაიკეთა“. აი რამდენი ირი და რა საოცარი გამოყენება ჰქონია ამ ორკაპიან ჯოხს!

გამსახურდია სხვას უჭიჭინებს „ენობრივ უმწიფობას“, თვითონ კი ხელგამლით ხმარობს „ვერფებს“, მაშინ როცა ჩვენ გვაქვს ამ სიტყვის შესატყვისი „გემსაშენი“, ხმარობს „ატაკებს“, ქართული „იერიშების“ მაგივრად, ჯიუტად ხმარობს „ტემებს“, „ტუნას“, „ანტიტუნას“, „ტფილის“, „თემების“, „თუნის“, „ანტითუნის“, „თბილის“ მაგივრად, ხმარობს ბერძნულ „ევენგელიეს“ ქართული „სახარების“ ნაცვლად, წერს „სეკრეტების ლოგოთეტიო“ და სხვ.

ყოველივე ამის შემდეგ გამსახურდიას ჰყოფნის გამბედაობა თავისი თავი ქართული სალიტერატურო ენის „დიდ მოაზვედ“ და „რეფორმატორად“ გამოაცხადოს.

ყოველივე ამის შემდეგ გამსახურდიას ჰყოფნის გამბედაობა თავხედურად დაიწუნოს XIX საუკუნის ჩვენი დიდი მწერლების ილიას, აკაკის — ახალი სალიტერატურო ქართულის ამ ფუძემდებლებს ენა, და თვითონ გამოიკიბოს პირველ რიგში, აი რას წერს გამსახურდია:

„რაკი ქართულმა ენამ სახელმწიფური ფუნქციები დაკარგა (XIX საუკუნეში — რედ.), ქართული პროზის ოსტატები: ილია, აკაკი, ვაჟა, ალექსანდრე ყაზბეგი და დ. კლდიაშვილი, ყოველ შემთხვევაში თავიანთ მოღვაწეობის პირველ პერიოდში, შეეცადნენ ქართული დიალექტიდან გამოსვლით ხელახლა შეექმნათ ქართული „ბელეტრ“, ე. ი. სიტყვაკაზმული მწერლობა... ზემოთხსენებულ მწერალთა შორის ყაზბეგი და დავით კლდიაშვილი ბოლომდე სერჩნენ თავთავიანთ კუთხურ ენას, ვაჟას ლექსებშიაც ძველქართული ტონი სჭარბობდა, ხოლო ილია და აკაკი, რომელნიც სიყმაწვილეში გრიგოლ ორბელიანს ებრძოდნენ, სიმწიფის პერიოდში ნაწილობრივ ისევ მიუბრუნდ-



ნენ იმავე ძველ ქართულ ტონს, რომლის გამო გრივად ორბელიანს, ქორდავენი
დნენ ისინი“.

ეს აშკარა ცილისწამებაა. ილია, აკაკი და ვაჟა არა მხოლოდ შეეცადნენ, არამედ, მათ ნამდვილად შექმნეს ახალი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა. ილია, აკაკი და ვაჟა არა მარტო შეეცადნენ შექმნათ ახალი ქართული სალიტერატურო ენა, არამედ კიდევ შექმნეს იგი, შექმნეს ძირითადად სწორედ ქართლური ცოცხალი მეტყველების საფუძველზე. მთელი თავიანთი მრავალფეროვანი მოღვაწეობის მანძილზე ილია, აკაკი, ვაჟა და XIX საუკუნის სხვა შესანიშნავი მწერლები ამდიდრებდნენ და ავითარებდნენ ქართულ სალიტერატურო ენას, მისწრაფოდნენ იქითკენ, რომ ლიტერატურა ხალხის მასებისათვის გასაგები ყოფილიყო. გამსახურდია კი მათ ამ უდიდეს ღვაწლს კალმის ერთი მოსმით „აცამტვერებს“. მას თავის თავი მიაჩნია „ქართული ბელეტრის“ ენის შემქმნელად. ნამდვილად კი დღემდე ის თავის სამწერლო მოღვაწეობას ქართული სალიტერატურო ენის შერყვნასა და დამახინჯებას ანდომებს. მისი ნაწარმოებების ენა გაუგებარი და ჩამორჩენილია.

საკვირველია, რომ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები შესაძლებლობას აძლევენ გამსახურდიას თავისი აზირობული ენით იჯიროითოს მათს ფურცლებზე, ხოლო გამომცემლობანი სქელ-სქელ ტომებად ბეჭდავენ მის მოთხრობებსა და რომანებს, რომლებიც არსებითად მიმართულია ქართული სალიტერატურო ენის წინააღმდეგ.

გამსახურდია უდაოდ ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ის თავის ნიჭსა და შრომის უნარს ფორმალისტურ ვარჯიშსა და ავადმყოფურ ორიგინალობაში კლავს.

დროა საზღვარი დაედოს კონსტანტინე გამსახურდიას ყოველ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას ქართული სალიტერატურო ენისადმი.

„კომუნისტი“ 28 V-50 წ.

ი. ბალიანი

ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები ირანში

★

დიდი ხანია, რაც ირანი კაპიტალისტურ სახელმწიფოების ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს. განსაკუთრებულ აქტივობას ირანში ინგლისისა და გერმანიის იმპერიალისტები ამჟღავნებდნენ. მეორე მსოფლიო ომის წინ ჩრდილოეთ-ირანში დიდ აქტიურობას იჩენდნენ გერმანელი ფაშისტები, ხოლო სამხრეთ-ირანის ნავთის რაიონებში ბატონობას განაგრძობდნენ ინგლისელი იმპერიალისტები. მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდეგ ირანში აქტიურად შეიჭრა ამერიკული იმპერიალიზმიც.

რა მიზეზია, რომ ირანი ასე იზიდავს ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებს?

უწინარეს ყოვლისა ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებს იზიდავს ირანის სტრატეგიულ-გეოგრაფიული მდებარეობა. ირანის ტერიტორია 1.644 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის და საფრანგეთზე სამჯერ მეტი ფართობი უკავია. ჩრდილოეთით ირანი ესაზღვრება დიდი მანძილით საბჭოთა კავშირს, (დაახლოებით 2.600 კილომეტრი), დასავლეთით — თურქეთსა და ერაყს, აღმოსავლეთით — ავღანისტანსა და პაკისტანს, სამხრეთით — არაბეთის ზღვასა და სპარსეთის ყურეს. ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ ირანის ეს უზარმაზარი ტერიტორია თავიანთი განუყოფელი კონტროლის ქვეშ მოაქციონ და საბჭოთა კავშირის, კერძოდ,

ამიერ-კავკასიისა და შუა-აზიის ნავთისა და ბამბის ბაზების, საწინააღმდეგო სამხედრო პლაცდარმად გადააქციონ. ისინი ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სპარსეთის ყურის უყინვადი ნავსადგურები და ტრანსირანის რკინიგზა, რომელიც სურის ირანის მთელს ტერიტორიას ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე (სიგრძე 1.394 კილომეტრი) და კასპიის ზღვაზე მდებარე ირანის ნავსადგურს (ბენდერ-შაპი) აკავშირებს სპარსეთის ყურეზე მდებარე ნავსადგურთან (ბენდერ-შაპური). ტრანსირანის რკინიგზას, რომლის მშენებლობაც მხოლოდ 1938 წელს დამთავრდა, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. იმპერიალისტებს სურთ აგრეთვე ხელში ჩაიგდონ ის შარავნებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვრის მომიჯნავე რაიონებში არსებობენ.

გარდა ამისა, ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებს ირანი იზიდავს როგორც სამრეწველო ნედლეულის წყარო. მათ იზიდავს მეტადრე ირანის ნავთი, რომელიც ირანის ძირითად ბუნებრივ სიმდიდრეს წარმოადგენს. ირანის ნავთის გამოკვლეული მარაგი უდრის 299 მილიონ ტონას. ნავთის მოპოვების მხრივ (1947 წელს 20 მილიონი ტონა) ირანი მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში. ირანში ნავთის მრეწველობა ინგლისის კაპიტალს ეკუთვნის. ინგლისის იმპერიალისტებმა ჯერ კიდევ 1909 წელს და-

არსეს „ინგლის-ირანის სანავთო კომპანია“ (ანგლო-ირანიენ ოილ“), რომელიც თითქმის ცალკე სახელმწიფოდ გადაიქცა ირანის სახელმწიფოში.

ირანის მმართველი წრეების ინგლის-ამერიკელ იმპერიალისტებთან შეთანხმების პოლიტიკის შედეგად ირანი ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიალ იქცა. ირანის ეკონომიკა, ფინანსები, ვაჭრობა-მრეწველობა, არმია და მთავრობა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის ხელშია.

რას წარმოადგენს საერთოდ თანამედროვე ირანი?

ირანი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მისი მოსახლეობა უდრის 17 მილიონ კაცს (1940 წ.); შთაგან 80 % სოფლის მეურნეობას მისდევს. მაგრამ მიწის 62% მემამულე-ფეოდალებს ეკუთვნის და გლეხთა ორმესამედს მიწა არა აქვს. უკანასკნელნი იძულებული არიან იჯარით აიღონ მემამულეთაგან მიწის მცირე ნაკვეთები იმ პირობით, რომ დაიცვან ექსპლოატაციის ფეოდალური ფორმა, ანუ მენახვერობა, ე. ი. მისცენ მემამულეებს მოსავლის 50 — 75%. ასი ათასობით უმიწაწყლო გლეხი იძულებულია იყოს მემამულე-კულაკთან კაბალურ დამოკიდებულებაში, როგორც სოფლის მუშა-მოჯამაგირე.

სოფლის მეურნეობის ტექნიკა მეტად პრიმიტიულია: ირანში მიწათმოქმედების მთავარ იარაღს წარმოადგენს ხის კავი, ფარცხი და სალექი, რომელთაც ხარებისა ან სახედრების საშუალებით ამოძრავებენ.

უხსოვარი დროიდან ირანის ჩრდილოეთი რაიონები: ირანის აზერბაიჯანი, ხორასანი, მაზანდერანი, გილანი — ქვეყნის მთავარ ბეღლებად ითვლებოდნენ. ბუნებრივი საძოვრებით მდიდარ რაიონებში განვითარებულია მეცხოველეობა. პირველი ადგილი ცხვრისა და თხის მოშენებას უკავია; მატყლი საექს-

პორტო საგანს წარმოადგენს. მის აგრეთვე ნოხების გასაქუთებლად იყენებენ. ირანიდან ჩვეულებრივ გააქვთ: ნოხები, ბამბა, ხმელი ხილი, ხაშხაში, მატყლი, ტყავეული, თამბაქო, ბრინჯი, კრაველი, ყაპი და სხვ.

მრეწველობა ირანში სუსტადაა განვითარებული და იგი უმთავრესად ხელოსნურ ხასიათს ატარებს. ირანს არა აქვს მძიმე ინდუსტრიის საწარმოები, კერძოდ, დაზავითშენებლობის, მანქანათშენებლობისა და მოტორთშენებლობის ქარხნები, რის გამოც ქვეყნის მთელი მრეწველობა უცხო კაპიტალსა და საზღვარგარეთიდან მანქანებისა და მოწყობილობის შემოტანაზეა დამოკიდებული. ირანში სულ დაახლოებით 750 ათასი მუშაა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ირანი მდიდარია ნავთით. მაგრამ ეს ნავთი ინგლისელი იმპერიალისტების ხელშია. „ინგლის-ირანის სანავთო კომპანიას“ ეკუთვნის სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთის რაიონების ნავთის საბადოები, მეტადრე ხუზისტანში (მესჯედ-სოლეიმანი, ნავთ-ე-მაილანი და ბეხბეხანი). ნავთის საბადოები მოიპოვება ჩრდილოეთ რაიონებშიაც (სემნანის რაიონი, ირანის აზერბაიჯანი), რომელთა ხელში ჩაგდებასაც აპირებენ ამერიკელი იმპერიალისტები. ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ირანში, უმთავრესად, ნავთის საბადოების ხელში ჩაგდების ნიადაგზე შედგენდება. ამერიკული კომპანიები „სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-ჯერსი“ და „სოკონი ვაქუში“, 1946 წლის დასასრულს დაღებულნი შეთანხმების თანახმად, „ინგლის-ირანის სანავთო კომპანიისაგან“ იღებენ სამხრეთ-ირანის ნავთის 20 %-ს. ახლა იგივე ამერიკული კომპანიები ცდილობენ გაადიდონ თავიანთი წილი 40%-მდე.

1949 წელს ანარეკისა და ყუმის რაიონებში აღმოაჩინეს ურანის საბადოები,

რამაც ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების დიდი დანტერესება გამოიწვია.

ირანში ბლომადაა სხვა მადნეულიც: ოქრო, ვერცხლი, კალა, სპილენძი, რკინა, ტყვია, თუთია, ვერცხლის წყალი, ქვანახშირი, გოგირდი, მარმარილო, ალუბასტრი და სხვ., მაგრამ ეს საბადოები ცუდადაა გამოკვლეული და უმეტეს შემთხვევაში არ სწარმოებს მათი ამოღება, ანდა სწარმოებს მეტად მცირე რაოდენობით.

სახელმწიფო წესყობილებით ირანი კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს სათავეში დგას შაჰი, რომელიც ძველი ტრადიციით შაჰინ-შაჰის სახელწოდებას ატარებს. პარლამენტი-მეჯლისი პირველად 1906 წელს მოეწყო და ამ უკანასკნელ დრომდე ერთი პალატისაგან შესდგებოდა, 1949 წ. შეიქმნა კიდევ ზემო პალატა-სენატი, რამაც უფრო გააძლიერა ირანის მეჯლისის რეაქციული ხასიათი. გაბატონებული კლასებს ირანში მემამულე-ფეოდალები და ბურჟუა-კაპიტალისტები წარმოადგენენ.

ნაციონალური შემადგენლობით ირანი მეტად სხვადასხვაგვარია. ქვეყნის ძირითადი მცხოვრებლები — ფარსები (სპარსელები) შეადგენენ მთელი მოსახლეობის 50%-ს, ხოლო დანარჩენი 50% შესდგება სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან. მათ შორის აზერბაიჯანელები არიან 4 მილიონამდე, ქურთები — 2 მილიონამდე, არაბები — 200 ათასი, ლურები და ბახტიარები — 400 ათასი, ბელუჯები — 250 ათასი, კამელები — 200 ათასი, თურქმენები — 150 ათასი, ტაჯიკები — 100 ათასი და სხვ.

ყველა ამ ეროვნების მიმართ ირანის მმართველი წრეები აწარმოებენ მხეცურ შოინისტურ პოლიტიკას და ფაქტურად მათ მოსპობილი აქვთ კულტურული, ეკონომიური და ნაციონალური

განვითარების ყოველგვარი საშუალება.

ირანის მშრომელი მოსახლეობის ნახევრადმწიერი, ლატაკური ცხოვრება, ცუდი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, კაპიტალისტებისა და მემამულეების მიერ მუშათა და გლეხთა მასების სასტიკი ექსპლოატაცია და მშრომელთა საექიმო მომსახურების უქონლობა ქალაქსა და სოფელში იწვევს სხვადასხვა სოციალურ და ეპიდემიურ დაავადებათა (ქლეჩი, სიფილისი, ტრაქომა, ყვავილი და სხვ.) უფრო მეტად გავრცელებას და მშრომელთა შორის დიდ სიკვდილიანობას. ზშირად ოჯახის რამდენიმე თაობა დაავადებულია ერთი და იმავე სენით. გაზეთი „ეთელატი“ სწერდა, რომ ქალაქ დიზფულში (ირანის სამხრეთი), რომელსაც „ბრმათა ქალაქს“ უწოდებენ, მოწყაფეთა 98%, ჯარისკაცთა 60% და ქალაქის მოზრდილი მოსახლეობის 100% ტრაქომითაა დაავადებული.

ირანში კატასტროფულ მდგომარეობაშია აგრეთვე სახალხო განათლების საქმე. ირანის კულტურული ჩამორჩენილობა განსაკუთრებით მკვეთრად მოჩანს საბჭოთა იმ რესპუბლიკების განუზომელ წარმატებებთან შედარებით, რომლებიც წინათ, ცარიზმის პირობებში, განვითარების მეტად დაბალ დონზე იმყოფებოდნენ. ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ თავის წერილში — „კომუნისმის გამარჯვებათა დიდი შთამოწონებელი და ორგანიზატორი“ — მოიყვანა, ერთის მხრით, აზერბაიჯანისა და უზბეკეთის რესპუბლიკათა მიღწევებისა და, მეორე მხრით, ირანისა და თურქეთის ჩამორჩენილობის მთელი რიგი ციფრები („პრავდა“, 1949 წ. 21 დეკემბერი).

მაგალითად, თუ საბჭოთა აზერბაიჯანში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება ირანს, წერა-კითხვის უცოდინარობა სრულიად ლიკვიდირებულია 1946 წელს, ირანში წ/კ უცოდინარები



დღემდეც კი მოსახლეობის 85%-ს შეადგენენ. საბჭოთა აზერბაიჯანში 19 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 29 ათასი სტუდენტი მეცადინეობს, ესე იგი ერთი უმაღლესი სასწავლებელი მოდის მოსახლეობის 163 ათას კაცზე, ირანში კი სულ 5 უმაღლესი სასწავლებელია, სადაც 4.500 კაცი მეცადინეობს, ესე იგი ერთი უმაღლესი სასწავლებელი მოდის მოსახლეობის 3 მილიონ 400 ათას კაცზე.

საბჭოთა აზერბაიჯანში არის 13 თეატრი, 2.100 კულტურის სახლი და კლუბი და არსებობს საკუთარი კინომრეწველობა ირანში მხოლოდ 2-3 თეატრი მოიპოვება და ისიც კერძო პირთა ხელში და უზადარუჟ მდგომარეობაშია. ნაციონალური კინომრეწველობა ირანში არ არსებობს და კინოთეატრების ეკრანებზე უმთავრესად ამერიკულ უხამს ფილმებს უჩვენებენ. რაც შეეხება საბჭოთა საქართველოს, აქ, როგორც ამხანაგი სტალინი ამბობდა, „ჯერ კიდევ 1923 წელს „წერა-კითხვის მკოდნეთა პროცენტი საკმაოდ მაღალი იყო, 80-მდე აღწევდა“ (სტალინი, ტომი 5, გვ. 361).

ამრიგად, ისეთ ნამორჩენილ აგრარულ ქვეყანაში, როგორცაა ირანი, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ფეოდალური გადანაშთები და რელიგიური ფანატიზმი, სადაც სკოლებისა და საავადმყოფოების რიცხვი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები მოკალათდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რეაქციულ-ანტიდემოკრატიული ბანაკის მეთაურის ამერიკულ იმპერიალიზმის ყოველმხრივი შეჭრა ირანში.

ამ უკანასკნელ წლებში ირანის რეაქციულმა მთავრობამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან დასდო შეთანხმების რამდენიმე ხელშეკრულება, რო-

მელთა მიხედვითაც ამერტყვეულ იმპერიალისტებს ირანის არმიას „დაქანდაკებულია“ სრული კონტროლის უფლება ენიჭებათ. ირანის არმიას ამერიკული იარაღით ამარაგებენ. ამავე დროს ამერიკელი იმპერიალისტები, რომელთაც განზრახული აქვთ ირანი ანტისაბჭოთა სამხედრო პლაცდარმად აქციონ, ისწრაფვიან ააგონ სამხედრო აეროდრომები და გაიყვანონ სტრატეგიული გზები, რომელნიც ირანის გზებს აერთებენ თურქეთისა და ერაყის გზებთან. როგორც ირანის გაზეთები გადმოგვცემენ, ამერიკული გეგმის მიხედვით, მთელს ირანში და სახელდობრ კი ისეთ ქალაქებში, როგორცაა: თეირანი, თავრიზი, მეშხედი, ახვანი, ყუმი, რეშტი, ქერმან-შაჰი და სხვ. უნდა აშენდეს ან გაუმჯობესდეს 24 აეროდრომი.

ამერიკული იმპერიალიზმის მიერ ირანის დამონების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს ირანის შაჰის მექმედ რეჟის გამგზავრება ვაშინგტონში. გაზეთების ცნობით, ტრუმენთან და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო შტაბის უფროსებთან ირანის შაჰის მოლაპარაკების შედეგად მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ირანი გადაიქცეს „შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მარჯვენა ფლანგად“.

გარდა ამისა, პროგრესული ყურნალისტის იოჰანეს სტილის აწ. 20 იანვრის გაზეთ „დეილი კომპასში“ დაბეჭდილი ცნობის მიხედვით, პენტაგონში (ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო) ჩატარდა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ ირანის შაჰსა და ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელებს. ამ თათბირზე გადაწყვიდა ირანი გამოყენებულ იქნას ამერიკის სამხედრო ბაზად. იმავე ავტორის ცნობით, ირანში დაბრუნებამდე შაჰმა განუცხადა თავის სამხედრო ადიუტანტს,

რომ ამერიკაში მისი ვიზიტის საუკეთესო შედეგს წარმოადგენს ის, რომ მას ნება დართეს ირანის არმიისათვის დასავლეთ გერმანიიდან წამოიყვანოს ჟამისტი ოფიცრები.

ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლები ხშირად მიემგზავრებიან ირანის არმიის საკონტროლოდ და საინსპექციოდ. მაგალითად, ამასწინათ ირანს ეწვია ამერიკის არმიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კოლინსი, რომელმაც მანამდე მოიარა საბერძნეთი, საუდის არაბეთი, ეგვიპტე და აწ. 28 მარტს კი ანკარაში ჩაატარა თურქეთის სატანკო ბრიგადების ინსპექტირება. როგორც თეირანის გაზეთი „ჰოკუმათე მილი“ აცხადებს, ამერიკელი სამხედროები ისე გრძნობენ თავს ირანში, როგორც საკუთარ სახლში. ამერიკელ ოფიცერთა მოღვაწეობა უფრო მეტად გაცხოველდა საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე რაიონებში. ირანის აზერბაიჯანში, ხორასანსა და გორგანში გახშირდა ამერიკის სამხედრო პირთა გამგზავრება. ამერიკელი ოფიცრები აქ, მოსაზღვრე ზოლში აწარმოებენ ირანის საზღვარზე არსებული სხვადასხვა ობიექტების ტოპოგრაფიულ გადაღებებს, არკვევენ გზების მდგომარეობას და აეროლოკომების ასაშენებლად გამოსადგე ადგილებს. მთელი მისაზღვრე ქალაქებში ამერიკელი ოფიცრები აწარმოებენ ირანში ჩამოსულ ამერიკელ სამხედრო პირთა განლაგებისათვის შესაფერი ადგილების შერჩევას. კასპიის ზღვაზე ისინი იკვლევენ ნავსადგურებსა და კუნძულებს. ზომავენ აგრეთვე ზღვის სიღრმესაც. ამავე დროს ამერიკელი ოფიცრები ატარებენ საბჭოთა კავშირის საზღვარზე მყოფი ირანის არმიის ინსპექტირებას. თეირანის გაზეთი „ჰოკუმათე მილი“ ამერიკელ ოფიცრებს უწოდებს „დაუბატიყებელ სტუმრებს“, რომელნიც „გამოურყვეველია, თუ რა კა-

ნონისა და დადგენილების ძალით შეიქმნენ ყველა სამინისტროსა და სამხედრო სამინისტროშიც კი“.

ამ უკანასკნელ ხანებში მიღებულია ზომები ირანის არმიის დამატებით დაკომპლექტებისათვის. მაგალითად, ირანის სამხედრო ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ახალი განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველანი, ვისაც კი მიღებული აქვს საშუალო და უმაღლესი განათლება, აწ. 30 აპრილამდე უნდა გამოცხადებულიყვნენ სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში საოფიცრო სკოლებში გასაგზავნად. ამავე დროს თეირანის სამხედრო ოლქის სამხედრო პოლიციამ განკარგულება გასცა, რათა 1930 წელს და კიდევ უფრო ადრე დაბადებულნი და ჯარში გაწვევის ვადაგადადებულნი გამოცხადდნენ სამხედრო სამსახურში. ანალოგიური ღონისძიებანია მიღებული დანარჩენ ოლქებშიაც. ამასთან დაკავშირებით ირანის გაზეთი „თოლუ“ სწერდა, რომ, თუ ყველა ჯარში გაწვეული და სამხედრო ვალდებული გაიგზავნება არმიაში, ირანის არმიის რაოდენობა 500 ათას კაცს მიაღწევს.

ეგვიპტიდან თეირანში ირანის ყოფილი შაჰის რეზა ფეხლევის ნეშტის გადმოტანაც იმისათვის იყო მოწყობილი, რომ გააძლიერონ რეაქცია და აღადგინონ ირანში რეზა შაჰის ფაშისტური ტრადიციები.

ამრიგად, ახალი ომის ამერიკელმა გამჩალებლებმა ირანი აღმოსავლეთში თავის ერთერთ სამხედრო ბაზად გადააქციეს.

ამხ. სუსლოვი კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს 1949 წლის ნოემბრის თათბირზე გაკეთებულ მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ „ახლო აღმოსავლეთში თურქეთსა, ირანსა და ერაყში, ამერიკელი იმპერიალისტები ჰქმნიან სამხედრო ბაზებსა და დასაყრდენ პუნქ-

ტებს; მათ სურთ გადააქციონ ეს ქვეყნები თავიანთ სატელიტებად, ისე რომ თურქებმა, სპარსელებმა და არაბებმა იომონ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტთა „მოგებისათვის“.

სამხედრო-სტრატეგიულ ღონისძიებათა გატარების გარდა, ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობენ ექსპანსიას ეკონომიკის დარგშიაც. მათ სურთ ირანის სიმდიდრე გამოიყენონ საკუთარი გამდიდრებისა და მტაცებლური ომის წარმოებისათვის. ამხანაგი სტალინი, ჯერ კიდევ 1918 წელს სტატიის „ნუ ლაიფიწყებთ აღმოსავლეთს“ სწერდა:

„იმპერიალისტები აღმოსავლეთს ყოველთვის ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთი კეთილდღეობის საფუძველს. აღმოსავლეთის ქვეყნების აურაცხელი ბუნებრივი სიმდიდრე (ბამბა, ნავთი, ოქრო, ქვანახშირი, მადანი), — განა იგი არ გახდა „განხეთქილების ვაშლი“ ყველა ქვეყნის იმპერიალისტებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ, ევროპაში რომ მობობდნენ და დასავლეთზე ლაყბობდნენ, იმპერიალისტები მუდამ ფიქრობდნენ ჩინეთზე, ინდოეთზე, სპარსეთზე, ეგვიპტეზე, მაროკოზე, ვინაიდან არსებითად ყოველთვის აღმოსავლეთს ეხებოდა საქმე“ (სტალინი, ტომი 4, გვ. 186).

თავიანთი დანაშაულებრივი და მტაცებლური მოღვაწეობის დასაფარავად ამერიკის მილიტარისტებმა შეთთხნეს ეგრეთწოდებული „ირანის რეკონსტრუქციის შვიდწლიანი გეგმა“, რომელიც მეჯლისის მიერ იქნა მიღებული 1949 წელს. ბურჟუაზიულ-ნაციონალური გაზეთი „ქიამე ირანი“ ამ გეგმის შესახებ სწერდა: „შვიდწლიანი გეგმა განზრახულია ამერიკული იმპერიალიზმის მიერ შვიდი წლით ირანის სრული დამოუკიდებლობის მიზნით“. ამ გეგმის მიხედვით, ამერიკული ბანკის მიერ გაღებულ კრედიტები განკუთვნილია არა ირანის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის

განსავითარებლად, არამედ სამხედრო გზების, აეროდრომებისა და ნავსადგურების ასაშენებლად, აგრეთვე იმპერიალისტურ წრეებთან მჭიდროდ დაკავშირებული მემამულე-ფეოდალების მეურნეობის განსამტკიცებლად. „შვიდწლიანი გეგმის“ განხორციელების საკონტროლოდ ჯერ კიდევ 1949 წლის იანვარში ირანში ჩამოვიდა რამდენიმე ათეული ამერიკელი „სპეციალისტი“, რომელთაც ირანელი რეაქციონერები უხვად უმასპინძლდებიან დამშუული ირანელი ხალხის ხარჯზე.

განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ ამერიკელი საქმოსნები ირანის ნავთის მიმართ. რადგან ირანის სამხრეთი უკვე დიდხანია ინგლისელების ხელშია, ამიტომ ამერიკული ფირმები უმთავრესად ირანის ჩრდილოეთ პროვინციების ნავთის საბადოებისაკენ იმზირებიან. ირანული პრესის ცნობით, ირანის რეაქციულმა მთავრობამ უკვე მისცა ამერიკულ ფირმებს ჩრდილოეთ რაიონებში ნავთის მოპოვების უფლება. ამერიკელი იმპერიალისტები შეიჭრნენ აგრეთვე ირანის ვაჭრობის საქმეშიაც. ჯერ კიდევ 1948 წელს ირანის საგარეო ვაჭრობაში ამერიკის იმპორტი შეადგენდა 23%-ს, ექსპორტი კი — 21%ს. ირანის მთავრობა კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გეგმავს ამერიკული საქონლის იმპორტის გადიდებას. მაგრამ ირანში დაბალხარისხიანი ამერიკული საქონლის განუსაზღვრელი შეზიდვა იწვევს ადგილობრივი საქონლით ვაჭრობის, ადგილობრივი მრეწველობისა და ხელოსნური წარმოების ჩაშლას. მეორე მხრით, ამერიკული იმპორტის მთავარ საგანს წარმოადგენს არა პირველი მოთხოვნის საქონელი, არამედ ფუფუნების ყოველგვარი საგნები, ხელოვნური ესენციები, საღებავი რეზინი, დაძველებული ავტომანქანები და სხვ., რაც ამერიკული იმპორტის 40%-ს შეადგენს.

ირანელი ხალხის გაძარცვაში ამერიკელ იმპერიალისტებს ეჯიბრებიან ინგლისელი ვაჭრები, მრეწველები და სპეკულანტები. ინგლის-ამერიკის წინააღმდეგობანი ყველაზე მკაფიოდ ირანში იჩენენ თავს. ცნობილია, რომ ირანის სამხრეთი პროვინციები, სადაც „ინგლის-ირანის სანაეთო კომპანია“ მოღვაწეობს, ინგლისელი იმპერიალისტების ხელშია. ეს კომპანია უზრუნველყოფილია თავისი ქანდარმერით, ადმინისტრაციული ორგანოებით, თავისი კანონმდებლობით, პროპაგანდისტული აპარატით და სრულიად არ ემორჩილება ირანის მთავრობას. კომპანია განთავისუფლებულია ყოველგვარი დაბეგრისაგან და ყოველწლიურად უხდის ირანს მეტად უმნიშვნელო თანხას, მაშინ როდესაც, არსებული შეთანხმების მიხედვით, კომპანიამ უნდა გადაურიცხოს ირანის მთავრობას წმინდა მოგების 20% მაინც. ნავთის სარეწაოებში, ნავთსახდელ და ნავთსაწმენდ ქარხნებში 100 ათასამდე მუშის ექსპლოატაცია სწარმოებს. ირანელი მუშის ხელფასი ამ კომპანიის სარეწაოებზე ინგლისელი მუშის ხელფასზე 3-4-ჯერ ნაკლებია, თუმცა ვერც ინგლისელი მუშა იღებს მაინცდამაინც საკმაო ხელფასს. ირანელი მუშები აქ მუშაობენ მცხუნვარე მზეზე კომპარულ პირობებში: ისინი მოკლებული არიან საექიმო მომსახურებას, სოციალურ დაზღვევას, შრომის დაცვას, არ არიან უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინებით და ცხოვრობენ ვიწრო მიწურსა და კარებში. გაფიცვები სასტიკად აკრძალულია, და უკმაყოფილების ყოველგვარი გამოვლინება მკაცრად იღვენება.

ინგლისელებს აქვთ ირანში ეგრეთწოდებული შაჰინშაჰის ბანკი, რომელიც ჯერ კიდევ 1899 წელს დაარსდა. ათეული წლების განმავლობაში იგი კონტროლს უწევდა ირანის ფინანსებს და ამკარად ძარცვავდა ქვეყანას. ამ ბან-

კის საკონცესიო ვადა 1947 წელს ამერიკელმა დამთავრდა. ირანელმა ხალხმა მშობიანად ინგლისის იმპერიალიზმის პოლიტიკური და ეკონომიური გავლენის გამტარებელი ამ ბანკის ლიკვიდაციას. მაგრამ, ირანის მთავრობამ ამ მხრივ არავითარი ზომები არ მიიღო. ბანკი განაგრძობს თავის არსებობას სხვა სახელით და ირანის მთავრობისაგან სხვადასხვა შელაგაობებსაც იღებს.

თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ უკანასკნელ ხანებში ინგლისი მეორე ადგილზე ჩამოიტოვეს, მაგრამ ვაჭრობის დარგში მას მაინც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. 1948 წელს ინგლისის ხელში იყო იმპორტის 18% და ექსპორტის 14%. ამრიგად ინგლისელი იმპერიალისტები ინარჩუნებენ ირანში ეკონომიურ და პოლიტიკურ პოზიციებს და არ სურთ მათი დათმობა ამერიკელი ექსპანსიონისტებისათვის. ირანში მთავრობის კაბინეტის ხშირი შეცვლა (უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 11-ჯერ) არამარტო ეკონომიური სიძველეების ზრდისა და შინაპოლიტიკური მდგომარეობის გაწვევების შედეგია, არამედ ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების ირანში ბატონობისათვის წარმოებული შინაგანი ბრძოლის ანარეკლიცაა. მაგრამ იმპერიალისტ მტაცებელთა შორის არსებული წინააღმდეგობანი იმწამსვე ნელდება და ჰქრება, რა წამსაც ანტისაბჭოთა სამხედრო პლანდარმის ორგანიზაციისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ავანტურისტული ბლოკების შექმნის საკითხი ისმება.

ირანის მთავრობის ანტიხალხურმა პოლიტიკამ და ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების ექსპანსიამ ირანი ეკონომიურ კრიზისამდე მიიყვანა. განუწყვეტლივ იზრდება უმუშევრობა. მარტო თავრიზში, ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის შეწყვეტის გამო, 34 ათასი უმუშევარია. ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში დაიხურა საფეიქრო, ტყავი-

სა და აბრეშუმსაქსოვი საწარმოები, შაქრის ქარხნები და სხვ. ნოხის წარმოება ირანში, რომელსაც უხსოვარი დროიდან ქვეყნის მრეწველობასა და ვაჭრობაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა, დღეს განადგურების წინაშე დგას. მაგალითად, გაზეთები ვადმოგვცემენ, რომ ნოხის წარმოების ერთერთი ცენტრის — ქალაქ არაქის მცხოვრებლებმა აწ 3 იანვარს მთავრობას აცნობეს, რომ ნოხების ძნელად გასაღების შედეგად ქალაქის 50 ათასი მცხოვრები უკიდურეს გაკირვებაში ჩაეარდა. ირანის გაზეთი „სეთარე“ აწ თებერვალში იუწყებოდა, რომ ისპაანში 40 ათასი კაცი არსებობის ყოველგვარ წყაროს მოკლებულია, ქალაქ იეზდსა და მის მიდამოებში კი 30 ათასი უმუშევარი ფეიქარია. გაზეთი „მეჰრი ირანი“ აწ 10 იანვარს სწერდა, რომ ხორასანის, თავრიზის, შირაზის, ახვანისა და ქერმანშაჰის ფაბრიკების მფლობელებმა გამოაცხადეს თავიანთი ფაბრიკების დახურვის შესახებ და დაითხოვეს მუშები. ამრიგად, ირანის მუშების ნახევარზე მეტი ამჟამად უმუშევარია. ვაჭრობის შეფერხებამ ათასობით წვრილი და საშუალო ვაჭრების გაკოტრება გამოიწვია აწ 11 იანვარს გაზეთი „კოდრათე მილე“ სწერდა: „ასეთ ცუდ ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანაში არაავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული, რომ ჩვენი ბაზარი გაიფხოს და გაიტენოს უცხოეთის საქონელით, მეტადრე მამის, როდესაც ამ იმპორტის გვერდით არაავითარი ექსპორტი არ სწარმოებს“.

კრიზისი მოედო სოფლის მეურნეობასაც. სათესი ფართობი და მოსავლიანობა შემცირდა. გლეხები მასობრივად სტოვებენ სოფლებს და გარბიან ქალაქებში რაიმე სამუშაოს საშოვნელად. ამ უკანასკნელ ხანებში ირანში მათხოვართა რაოდენობა დიდად გაიზარდა. შიმშილი მოედო ისეთ ბარაქიან რაიონებსაც კი, რომელნიც ცენტრულ-აღმოსავლეთის ირანის ბელადი, მაჰმადალი-პაშას აზერბაიჯანის რაიონებს. მთავრობის გაზეთი „ეთელატი“ იძულებული იყო ელიარებინა, რომ „იქ, საიდანაც წინათ ყოველწლიურად 100 ათასამდე ტონა ხორბალი გამოჰქონდათ ქვეყნის სხვა რაიონებისათვის, ახლა საშინელი შიმშილი მძვინვარებს. დამშუული გლეხები სტოვებენ აოხრებულ სოფლებს. მარაგესა და არდებილის ოლქებში 50 ათასამდე გლეხმა დასტოვა სოფლები და გაემართა თეირანისა და რეშტისაკენ“. 1949 წლის აგვისტოსა და სექტემბერში თავრიზსა და მარაგეში მშვიერთა ამბოხება მოეწყო. დამშუული ხალხი არბევდა პურის მალაზიებს და გაიძახოდა „ჩვენ გვინდა პური!“ მრავალი შეიქმნა პოლიციასთან შეტაკების მსხვერპლი. მშვიერთა ამბოხება მოეწყო აწ მარტ-შიაც. მაგალითად, გაზეთი „თოლუ“ აღნიშნავდა, რომ ირანის აზერბაიჯანისა და განსაკუთრებით კი თავრიზის მოსახლეობა ახალი წლის წინადლით პურის მალაზიებს არბევდა. პოლიციამ გარეკა ამბოხებული ხალხი. ასეთი ამბოხება სხვა ქალაქებშიაც მოხდა. ზენჯანის რაიონის ათასობით უმუშევრებმა გადასწყვიტეს თეირანში წასვლა. თეირანის მმართველებმა დროზე შეიტყვეს და ეს ლაშქრობა თავშივე ჩააკლეს. მიუხედავად ამისა, თეირანში მაინც მრავალი დამშუული და მათხოვარი ჩადის, მეტადრე ირანის აზერბაიჯანის ქალაქებიდან და სოფლებიდან. გაზეთი „ათეში“ სწერს, რომ ირანის აზერბაიჯანსა და ქურთისტანში 500 ათასამდე უმუშევარია და სულ ცოტა 500 ათასი ნახევრად უმუშევარი. ამას თუ დავუმატებთ „სიღარიბეში ჩაეარდნის გლეხებს“, შეიძლება ითქვას, რომ მარტო ირანის აზერბაიჯანში გაკირვებულ და ლატაკ ადამიანთა რაოდენობა ორ მილიონს აღწევს. ქრონიკულად შიმშილობს აგრეთვე ირანის სატახტო ქალაქის — თე-

ნებსაც კი, რომელნიც ცენტრულ-აღმოსავლეთის ირანის ბელადი, მაჰმადალი-პაშას აზერბაიჯანის რაიონებს. მთავრობის გაზეთი „ეთელატი“ იძულებული იყო ელიარებინა, რომ „იქ, საიდანაც წინათ ყოველწლიურად 100 ათასამდე ტონა ხორბალი გამოჰქონდათ ქვეყნის სხვა რაიონებისათვის, ახლა საშინელი შიმშილი მძვინვარებს. დამშუული გლეხები სტოვებენ აოხრებულ სოფლებს. მარაგესა და არდებილის ოლქებში 50 ათასამდე გლეხმა დასტოვა სოფლები და გაემართა თეირანისა და რეშტისაკენ“. 1949 წლის აგვისტოსა და სექტემბერში თავრიზსა და მარაგეში მშვიერთა ამბოხება მოეწყო. დამშუული ხალხი არბევდა პურის მალაზიებს და გაიძახოდა „ჩვენ გვინდა პური!“ მრავალი შეიქმნა პოლიციასთან შეტაკების მსხვერპლი. მშვიერთა ამბოხება მოეწყო აწ მარტ-შიაც. მაგალითად, გაზეთი „თოლუ“ აღნიშნავდა, რომ ირანის აზერბაიჯანისა და განსაკუთრებით კი თავრიზის მოსახლეობა ახალი წლის წინადლით პურის მალაზიებს არბევდა. პოლიციამ გარეკა ამბოხებული ხალხი. ასეთი ამბოხება სხვა ქალაქებშიაც მოხდა. ზენჯანის რაიონის ათასობით უმუშევრებმა გადასწყვიტეს თეირანში წასვლა. თეირანის მმართველებმა დროზე შეიტყვეს და ეს ლაშქრობა თავშივე ჩააკლეს. მიუხედავად ამისა, თეირანში მაინც მრავალი დამშუული და მათხოვარი ჩადის, მეტადრე ირანის აზერბაიჯანის ქალაქებიდან და სოფლებიდან. გაზეთი „ათეში“ სწერს, რომ ირანის აზერბაიჯანსა და ქურთისტანში 500 ათასამდე უმუშევარია და სულ ცოტა 500 ათასი ნახევრად უმუშევარი. ამას თუ დავუმატებთ „სიღარიბეში ჩაეარდნის გლეხებს“, შეიძლება ითქვას, რომ მარტო ირანის აზერბაიჯანში გაკირვებულ და ლატაკ ადამიანთა რაოდენობა ორ მილიონს აღწევს. ქრონიკულად შიმშილობს აგრეთვე ირანის სატახტო ქალაქის — თე-

ირანის მშრომელთა მასა. ირანის მმართველები ჯერ კიდევ რეზა შაჰის დიქტატურის პერიოდში გაიძახოდნენ — „თეირანი აღმოსავლეთის პარიზიაო“. მაგრამ თეირანში აქამდე არ არსებობს წყალსადენი და კანალიზაცია. ირანის გაზეთი „ეთეხადე მელი“ 1949 წლის 6 სექტემბერს ასე აღწერს თეირანის ცხოვრებას:

„არ იცი სად იმყოფები. დაწყველილი ქვეყანა გეგონება. თეირანში, სასახლეების კედლებთან, მინისტრებისა და დეპუტატების თვალწინ, შიშვლილსაგან კედება მონძებმოსილი ხალხი, მაშინ როდესაც მოსახლეობის მცირე ჯგუფი ხალხსა და ქვეყანას ძარცვავს“.

მეორე გაზეთი „ქეშვარი“ სვამს საკითხს, თუ ვინ ცხოვრობს რიგიანად ირანში და უპასუხებს: „არავინ, გარდა 400-500 ათასი კაცისა, რომელნიც ცუდად არ ცხოვრობს თეირანსა და პროვინციებში, აგრეთვე მცხოვრებთა მცირე ჯგუფისა, რომელიც ახრჩობს ხალხს და მილიარდებისა და მსხვილი მამულების მფლობელია. დანარჩენი 14 — მილიონიანი ხალხი შიშვლობს, არაფერი არ აცვია და მოკლებულია ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმს. მოსახლეობის ნაწილი იკვებება შერისს პურით, მინდვრის ბალახით, ხურმის კურკითა და მუხის ფოთლებით“. ასეთია ირანში ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ერთგული ლაქების — ირანის მემამულეების, მსხვილი ეაჭრებისა და კაბიტალისტების ბატონობის შედეგი. ირანი ვადაიქცა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის კოლონიად და შუა-აღმოსავლეთში აგრესიული პოლიტიკის იარაღად. ირანის მმართველ წრეებმა გაყოფეს თავიანთი ქვეყანა, თავიანთი ხალხი საყუთარი კეთილდღეობისათვის. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „როდესაც საქმე შეეხება კლასობრივ მოგებას, ბურჟუაზია ჰყიდის თავის სამშობლოს და რომელიმე უცხოელთან სავაჭრო ურთი-

ერთობას ამყარებს თავისი ხალხის საზიანოდ“.

მაგრამ, ომის გამჩაღებლები არ კმაყოფილებიან მხოლოდ სამხედრო და ეკონომიურ ღონისძიებათა გატარებით. ისინი ბრძოლას აწარმოებენ იდეოლოგიურ ფრონტზედაც. ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები, ერთის მხრით, მხარს უჭერენ ირანში ნაციონალისტური და პანისლამისტური იდეების გავრცელებას; მეორე მხრით, შეაქვთ ლობადი ბურჟუაზიული მორალი, ნერგავენ „ამერიკული ცხოვრების წესებს“. ყველაფერ ამას თან ახლავს საბჭოთა კავშირზე, მის აყვავებულ რესპუბლიკებსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე ცილისმწამებლური ცნობების გავრცელება. ირანის ტერიტორიაზე სამხედრო მზადების დასაფარავად ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები და ადგილობრივი რეაქცია სთხზავენ ათასგვარ ჭორებს „გარეშე მტრისაგან“ და „კომუნისმი-საგან“ თავდაცვის აუცილებლობაზე, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში თავის 1941 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გარკვევით განაცხადა: „ჩვენ არ ვისახავთ და არც შეიძლება ვისახავდეთ ომის ისეთ მიზნებს, როგორც არის სხვათა ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხების დამონება, სულ ერთია, ევროპის ხალხებსა და ტერიტორიებს ეხება საქმე, თუ აზიის ხალხებსა და ტერიტორიებს, მათ შორის ირანსაც“ (ი. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ. მეხუთე გამოც., გვ. 36).

ამრიგად, ინგლის-ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც ადგილობრივი რეაქციის დახმარებით ირანში ექსპანსიას ანხორციელებენ სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიური და იდეოლოგიური მიმართულებით, ირანი არა მარტო კოლონიად, არამედ ანტისაბჭო-

თა სამხედრო პლაცდარმადაც გადააქციეს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ირანში დემოკრატიული მოძრაობა მაინც არ ჰქრება. ამ მოძრაობის პირველი აქტიუზაცია მოხდა 1941 წელს, როდესაც ფაშისტური მონობისაგან განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის შესვლით აღფრთოვანებულმა ირანის ხალხმა რეზა-შაჰ-ფეხლავის 16-წლიანი სისხლიანი დიქტატურა მოსპო. ამავე წელს განთავისუფლებულ იქნენ პოლიტპატიმარნი, რომელნიც 10 — 15 წელს ისხდნენ საპატიმროში თავიანთი დემოკრატიული და კომუნისტური მრწამსისათვის. ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ მაშინვე დაარსებულ იქნა სახალხო პარტია, რომელმაც ყველა მუშათა ორგანიზაცია გააერთიანა. მალე სახალხო პარტია იმ ცენტრად გადაიქცა, რომელმაც დაიწყო რეაქციის წინააღმდეგ ხალხთა მასების ბრძოლის ხელმძღვანელობა. 1946 წელს სახალხო პარტია 55 ათას კაცს აერთიანებდა თავის რიგებში. სახალხო პარტიის ხელმძღვანელობით გაშალეს თავიანთი მუშაობა პროფკავშირებში, რომლებმაც გააერთიანეს 300 ათასამდე მუშა-მოსამსახურე. გარდა ამისა, იგი ხელმძღვანელობას უწყევდა ქალთა დემოკრატიულ ორგანიზაციას, დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირსა და თავისუფლების ფრონტს. 1943 — 44 წლებში სახალხო პარტიამ მეჯლისში გაატარა თავისი 8 წარმომადგენელი. ეს დებუტატები მეჯლისის ტრიბუნიდან ირანის რეაქციისა და ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტების ოინებს ამხელდნენ. ირანის რეაქციული მმართველები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ სახალხო პარტიისათვის და 1946 წლის აგვისტოში მთავრობის კაბინეტში შეყვანილ იქნა სამი მინისტრი სახალხო პარტიიდან. სახალხო პარტიის ავტორიტეტი ხალხთა მასებში თანდათან იზრდებოდა: 1944 წელს გადადგა რეაქციონერი საე-

დი, 1946 წელს ჩატარდა ისპაანის ფეიქართა და ინგლის-ირანის ნავთობის კონტრაქტის მუშათა გაფიცვები. მიუხედავად ამისა, სახალხო პარტიის ორგანიზაციები და პრესა მაინც სასტიკ დევნას განიცდიდა ირანის რეაქციული მთავრობისაგან. ამ პარტიის მთელი ისტორია უცხოეთისა და ადგილობრივი რეაქციის წინააღმდეგ ირანის დემოკრატიული ძალების განუწყვეტელი ბრძოლების ისტორიას წარმოადგენს.

მეორე მნიშვნელოვანი დემოკრატიული პარტია, რომელიც დაარსდა ირანში 1945 წელს, აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტიაა. ეს პარტია დემოკრატიულ და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდა ირანის აზერბაიჯანში. მიუხედავად თეირანის რეაქციის სასტიკი წინააღმდეგობისა, აზერბაიჯანის დემოკრატიულმა პარტიამ შესძლო ირანის აზერბაიჯანში პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდება და ავტონომიური მთავრობის შექმნა. ირანის აზერბაიჯანის ავტონომიურმა მთავრობამ შესძლო მოკლე ხანში მთელი რიგი პროგრესული რეფორმების ჩატარება: გლეხებს მიეცა მიწა, გაიხსნა სკოლები აზერბაიჯანულ ენაზე, განვითარდა ნაციონალური კულტურა, გაუმჯობესდა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა. თეირანის მთავრობა იძულებული გახდა 1946 წლის ზაფხულში ეცნო ირანის აზერბაიჯანის დემოკრატიული მთავრობა, ასეთივე ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა გაჩაღდა 1945 — 46 წლებში ირანის ქურთისტანში. ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ქურთების ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის სათავეში მოექცა. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელბულა ასეთი მდგომარეობა. 1946 წლის დეკემბერში ამერიკული ქვეყნებით, ტანკებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებულმა ირანის არმიამ გააფთვრებული ლაშქრობა დაიწყო აზერბაიჯან-

ნისა და ქურთისტანის დემოკრატების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის გეგმა შეადგინა და საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობა გაუწია ირანის ჟანდარმერიის ამერიკელმა მრჩეველმა პოლკოვნიკმა შეარცხოვმა, რომელსაც შემდეგში ამერიკის მთავრობამ გენერლის ჩინი უბოძა ირანში დემოკრატიული მოძრაობის ჩაქრობისათვის. ირანის აზერბაიჯანში 14 ათასამდე დემოკრატი დახვრიტეს და ჩამოახრჩეს, ათასობით დემოკრატები გადაასახლეს სამხრეთის უდაბნოებში, ყველა რეფორმა მოსპეს, აზერბაიჯანისა და ქურთების დემოკრატიული ორგანიზაციები არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ.

აზერბაიჯანსა და ქურთისტანში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის შემდეგ, ირანელმა ჯალათებმა სახალხო პარტიის წინააღმდეგ გაილაშქრეს. პოლიციამ გაანადგურა სახალხო პარტიისა და პროფკავშირების კლუბები და კომიტეტები. მიუხედავად ამისა, სახალხო პარტიამ 1948 წელს დიდი კამპანია გაშალა ინგლის-ამერიკის ექსპანსიის, ინგლის-ირანის ნავთის კამპანიისა და „შეიდწლიანი გეგმის“ წინააღმდეგ. გაფიცებისა და დემონსტრაციების ტალღა მაინც არ ცხრებოდა. ირანის რეაქციულმა მთავრობამ ახალი რეპრესიებით უპასუხა დემოკრატიულ მოძრაობას: 1949 წლის 4 თებერვალს სახალხო პარტია და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები კანონს გარეშე გამოაცხადა, რის შედეგადაც სახალხო პარტია, ირანის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო, ირანის დემოკრატიული ახალგაზრდობის ორგანიზაცია, ირანის ქალთა დემოკრატიული ორგანიზაცია და აგრეთვე ირანის გლეხთა დემოკრატიული ორგანიზაცია იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ლეგალური მუშაობა. დემოკრატიული მოძრაობის ათასობით აქტივისტები დაპატიმრებულ

იქნენ და მათი საქმე სამხედრო ტრიბუნალს გადაეცა. როგორც გამოიჩინა ირანის სახალხო პარტიის 21 მოღვაწე გადასახლებულ იქნა სპარსეთის ყურის კუნძულებზე. მათ შორის თეირანის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი კიანური, პროფესორი იაზდი, მწერალი ქასემი და სხვ. მაგრამ ირანის რეაქციულმა მმართველებმა ვერ შესძლეს დემოკრატიული ძალების სრულიად ჩახშობა. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, ირანის პროგრესული ძალები იზრდება. ამასწინათ ჩატარდა ისპაანის მუშათა გაფიცვა, აწ. 24 აპრილს ქალაქ შაჰის (მაზანდერანი) ფეიქრებმა მოითხოვეს ხელფასის გადიდება. ინგლისელმა ქანდარმებმა ვერ შესძლეს გაფიცების ლიკვიდაცია ინგლის-ირანის ნავთის კონპანიის სარეწაოებზე.

„კოლონიური ქვეყნები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იმპერიალიზმის ძირითადი ზურგია. ამ ზურგის გარევილუციურებას არ შეუძლია ძირი არ გამოუთხაროს იმპერიალიზმს არა მარტო იმ აზრით, რომ იმპერიალიზმი უზურგოდ იქნება დატოვებული, არამედ იმ აზრითაც, რომ აღმოსავლეთის გარევილუციურებამ გადამწყვეტი ბიძგი უნდა მისცეს რევოლუციური კრიზისის გამწვავებას დასავლეთში. ორი მხრიდან — ზურგიდან და ფრონტიდან — იერიშ-მიტანილმა იმპერიალიზმმა თავი დალუქვისათვის განწირულად უნდა სცნოს“ (ი. სტალინი. ტომი 7, გვ. 255).

ამრიგად, მიუხედავად ტერორისა და დევნისა, დაშინებისა და სისხლის ღერი-სა, ირანის რეაქციულმა მმართველებმა და ინგლის-ამერიკელმა აგრესორებმა ვერ შესძლეს ირანის დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობა. დემოკრატიული ძალები იზრდება და ისინი განაგრძობენ ბრძოლას როგორც უცხოელი, ისე ადგილობრივი ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა



კონსტანტინე ლორთქიფანიძე „მწვანე ღილი“. სახელგამი 1960 წ.

ომისმემღვამი პერიოდის ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შეემატა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი მოთხრობა „მწვანე ღილი“, რომელიც მიმდინარე წელს ცალკე წიგნად გამოცემა სახელგამმა. მოთხრობა ასახავს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს — საბჭოთა არმიის შემტევი ნაწილების ბრძოლას ტამანისა და ყირიმის ნახევარკუნძულებზე.

ის გრანდიოზული მასშტაბი, რომლითაც ხასიათდება საბჭოთა ხალხის დევგმირული ბრძოლა გერმანელი ფაშისტის დამპყრობლების წინააღმდეგ, სულის ის მხნეობა და ვაჟკაცური აღტყინება, სიმამაცისა და გულადობის ის მარად უცნობი მაგალითები, რომლებიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა ამ ომში, იყო და რჩება დუშრეტულ და წარმატებულ წყაროდ, შინაშენილოვან და წამყვან თემად საბჭოთა ლიტერატურის იდეური განვითარებისათვის, ჩვენი მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობისა და საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდისათვის.

ამიტომ ახალი თვლითა და თავისებური მხატვრულ ასპექტში დანახული ომის ყოველი ეპიზოდი, ამ ეპიზოდების სწორად ამსახველი ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები უდიდეს სულიერ კმაყოფილებას იწვევს საბჭოთა მკითხველში, აერთებს მის ბედნიერ დღევანდლობას გუშინდელ მწვანე ტყეობებთან, ომის ჯერ კიდევ მოუშუშებელ იარაღთან, ამბოხებს მის მშვიდობიან შრომას ჩვენი სამშობლოს ძლიერების განამტკიცებლად და მრისხანე შეურიგებლობის გრძნობით აღანთებს მას ახალი ომის გამაღებელთა ვერაგულ გვეგმების წინააღმდეგ.

ესი თქმის კერძოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ ახალ მოთხრობაზე. ამ აზრის კონკრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს მწერლის მიერ ორთავიანობად მოდებებული სუჟეტი და მისი კომპოზიციური მთლიანობის

თავისებური სიმკვრივე. მაინც რაშია ამ ნაწარმოების წარმატების საიდუმლოება? მხოლოდ თემაში? რასაკვირველია, არა. კარგი თემა და იდეა ხშირად მსხვერპლად ეწირება მწერლის მიერ დაუმუშავებელ, დაუძლეველ, გაუმართავ მხატვრულ სახეებს, რის შედეგად კარგი და აქტუალური თემა ზოგჯერ კარგავს ხოლმე მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებასა და მნიშვნელობას.

„მწვანე ღილი“ კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჩვენი ცხოვრების აქტუალური თემისა და თემაში ჩაქსოვილი დიდი იდეის გამოსახატავად პათეტიკურ მსჯელობებს როდი მიმართავს, როდი ევბებურებს თავს ათასჯერ მოსმენილი, წაკითხული თუ გაგონილი ამბებით ომის შესახებ, არამედ საბჭოთა არმიის ერთი რიგითი მებრძოლის, რიგითი ჯარისკაცის ფრთხილ ცხოვრებას აღწერის ფონზე გაიწვენებს მის ცოცხლად გამოყვეთლ, კონკრეტულ, დამაჯერებელ სახეს, მის ხასიათს, ბუნებას, მოქმედებას, მის განცდებსა და გრძნობებს და, ამის საფუძველზე, ნაწარმოების ამ კონკრეტული გმირის ტიპიზაციის, ფაქტობრივად შეარჩეული მხატვრული, დახვეწილი ვნის, ლაქონურ, სხარტ ფორმებში ვაშლის გზით მკითხველთა შეგნებამდე მიაქვს ნაწარმოებში აღბეჭდილი წინააღმდეგობის და მისი აღმადგენლობა.

ნაწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, გვიბილავს ლაღი ვაშალიძის კონკრეტული და ამავე დროს უარესად საინტერესო ტიპიური სახე, რომელსაც ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით აქანდაკებს. ჩვენ გვიბილავს მისი პორტრეტული, გარეგნული ელფერი და შინაგანი, სულიერი სიღამაზე, მისი მორალური სიწმინდე და ვაჟკაცური შემართება, მისი გულბრტვილი, უცოდველი, კეთილ-შობილური თვალები ფრთხილ მისვლის წინ და მტრის მიერ აობრებული სამშობლო მიწის ტყვილების ღრმად შეგარმების შემდეგ მისი შურისძიებით ანთებული, ვარისებულა, გაყვებულა გული; და მის ყოველ მოქმედებაში, ხასიათის, ქცევის, აზრების ყოველ გზ

მოვლენებში, მის სპექტაკ სიყვარულში უტყუარად კომავშირელი ქალშვილის სვეტლანა ვერშინინასადმი, მის თავგანწირულ, საბედისწერო ბრძოლაში უსახელო მადლობზე და ამ მადლობზე მის გმირულ სიკვდილში ჩვენ ვხედოდათ საბჭოთა ახალგაზრდობის, საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ-პატიოვითულ ბუნებას, საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა სამშობლოს უძღვევლობის ნამდვილ და სრულყოფილ, მკაფიო და დამაჯერებელ განსახიერებას. ეს არის ნაწარმოების მთავარი მხატვრული ღირსება. ამაში მკვლევანდობა ნაწარმოების იდეურად სიმსხვილე და თემატური აქტუალობა.

რა კონკრეტული თვისებებით ხასიათდება ესალოშიძე? რა არის ამ თვისებებიდან ტრიპიური? რით შიალწია მწერალმა ნაწარმოების ძირითადი იდეის გამსწვლელი ამ მთავარი გმირის ასე ცოცხლად დახატვას?

სწორედ ამ მკვლევანდობა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა და შემოქმედებითი ნიჭი, მისი უნარი შეერას ფაბულარული ამბავი მძაფრ და მოქნილ სუბეტერ რეალში, მოაქციოს მხატვრული კომპონენტები ნაწარმოების კომპოზიციის მტკიცე ყალიბში და ამით გაამართლებას, მოტივირება მისცეს ყოველ მოქმედებასა და მოვლენას, დაკავშიროს ისინი ერთმანეთს განეთათარების კანონზომიერების ჯგუფით. ეს ის აუცილებელი მოთხოვნაა, რომლის გარეშე მუდამ იჩენს თავს შეუსაბამობა ნაწარმოების შინაარსსა და ფორმას შორის, ე. ი. მკვლევანდობა თავს ნაწარმოების სიღრმად, სიმწარად, სიტლანქედ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ესალოშიძის ხასიათისა და მისი მოქმედების ბუნებრივობას ნათელსაყოფად შესძლო გამოენახა შესაფერი-სი ფონი, შეექმნა მისი გარემო სრულიად კანონზომიერი და ამის ვითარებისათვის საძებნით დამახასიათებელი სიტუაცია. ასეთია კაპიტან გელოვანის მხევერავთა ქვეყანაყოფის საბრძოლო ეპიზოდები, ერთის მხრივ, რომლის მთავარი მონაწილე თვით ესალოშიძეა და სვეტლანა ვერშინინასთან მისი ურთიერთობის მოკლე, მაგრამ ამაღლებული ისტორია, მეორე მხრივ.

ახოვანი და შათელწარბა ახალგაზრდა ლადო ესალოშიძე პირველ საბრძოლო „ნათლობას“ ყუბანის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში — კურიანკაში ღებულობს. ეს იყო სამამულე ომის ის ეტაპი, როცა გენერალისიმუს სტალინის მთავარსარდლობით საბჭოთა არმიის გრანდიოზული შეტევის გეგმა წარმატებით ზარცილდებოდა, როცა ჩვენი არმიის ნაწილები ლვეინდარული ბრძოლებით

გმირულად ერეკებოდნენ კაპობრიობის უბოროტეს და უსახიზღრეს მტრებს. ყუბანში გამაგრებულ პოზიციებიდან, ხელუხადან ატყულდნენ მათ დაკავებულ ტერიტორიებს და დღითიდღე ათავისუფლებდნენ საბჭოთა მიწაწყალს. ამ ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებასთან ერთად მხარდამხარ მონაწილეობდა ქართველი ხალხი. მისი საუკეთესო შვილების სისხლითაა მორწყული ომის ვრცელი და უზარმაზარი გზა კავკასიის მთავრეხილებიდან ელბის ნაბიარმდე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის საექსპოზიციო ნაწილი (1—5 თავი), რომელშიც მწერალი ნიადავს ამაღლებს მძაფრი სუბეტერი მოქმედების გასაშლელად და მთავარი გმირის ხასიათის რელიეფურად დახატვისათვის, განსაკუთრებული სიმკვეთით არის ხაზგასმული სწორედ ეს მომენტი. იგი, ყუბანის ყურადღებისაყენ გამტრალი ქართველი შემტევი ნაწილების შესავსებად კურიანკაში ახალმოსული მებრძოლები ველზე ისვენებენ. აქ არის ლაღოც თავისი მომღიმიარე, კეთილშობილური თავლებითა და უწყინარი, სანდომიანი გაცაცის საბით, ენაწყლიანობს, ოხუნჯობს, თავის მშობლიურ ენაზეთა და ფრონტზე წესულ მამას ივონებს, ლაღობს, ერთობა და უცებ... თითქოს შეირყა, გადარიალდა დედამიწა, საშინელმა გრჯინამ მოიცვა მისი. ელვისებურად გადატროლეს მტრის თვითმფრინავებმა კურიანკას, დაბომბეს და მიამლენ. „სკოლის აბო-შალო, სადღე მთავარ მეზისტებსა გადაევლო, ჩვენმა მამველმა ჯგუფმა მხოლოდ ერთგან იპოვნა თხრილში დამარბული ჯარისკაცები. ორი მძიმედ იყო დაჭრილი, მესამეს ენა წართმეოდა, ყურისგან სისხლი სდიოდა და წამდაუწყმ ასლოკინებდა“. ასე გვაცნობს ავტორი ომის საზარელ სურათს. ეს იყო ესალოშიძის პირველი პირდაპირი შეხვედრა ომთან; მის მუდამ შექნათელ დიმილში ახლა უკვე ტანჯვის ნაცვალეტი ჩადგა. აეთო, ამორგდა ვაცაცის ამავი სული, უწყინარ ღმ კეთილშობილ გულში მრისხანებისა და მურისიების გრძობამ იფეთქა. ამ პატარა შტრიხით კ. ლორთქიფანიძემ მოახიზებულად გვიჩვენებს საბჭოთა ჯარისკაცისათვის დამახასიათებელ ძვირფას თვისებებს. იგი მომთენია და ჰუმანიური გარკვეულ დრომდე, მაგრამ, როცა კეთილშობილება არ სტრის—გარგალურ რისხვად დაატყდება მტერს. ასე დაიწყო ესალოშიძის ახალი, ფრონტული ცხოვრების სახელოვანი საბრძოლო გზა. იგი ხდება გმირი მხევერავი, რომელიც მუდამ ბევრის ხილზე დადის, მაგრამ ვასაოცრად თან სდევს ზოლზე უცნაური, ძლიერი, შეუვალი, ყოველ

წერილში გამოხედილი რწმენა, რომ სიკვდილი შორს არის მისგან. ვაშალომიძე მორალურად ამარცხებს სიკვდილს. ეს არის ყოველი საბჭოთა ადამიანის ნიშნობილი თვისება. იგი სსრ კავშირის მთავრობის მაღალ ჯილდოებს იმსახურებს მტერთან ბრძოლაში ჩადენილ საგმირო საქმეებისათვის და საკუთარ თავზე კი შაინც არათფერს ლაპარაკობს, სდუმს, ენაქუნობს. მისთვის უცხოა ქვემდობა და ამპარტყენობა. რა საქროა ლაპარაკი საკუთარ თავზე, დე, თეთი საქმეებში გამოჩინონ იგი, — ასე ფიქრობს ვაშალომიძე. ამ უბრალოებასა და თავმდაბლობაში ნათლად გამოსკვივის ის ძირითადი ტიპური ნიშნები, რაც ასე დამახასიათებელია ყოველი მოწინავე საბჭოთა მოქალაქისათვის. მწერალმა ვაშალომიძის კონკრეტულ პიროვნებაში ზვენი მოწინავე საბჭოთა ადამიანების ყველაზე ძვირფასი და დამახასიათებელი თვისებები ჩაქსოვა. ასე ამაღლდა ნაწარმოების რევითი პერსონაჟი ზოგად ტიპურ დონეზე.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სრულყოფილად წარმოადგინათ ვაშალომიძის ტიპობობა. კ. ლორთქიფანიძე ისტორიულ იყენებს ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალს გმირის ხასიათის მკვეთრად გამოსახატავად და მოქმედების დაძაბულობისათვის. ერთ დღეს ზემდეგმა ვაშალომიძის სამხედრო ხალაის მარცხენა გულჯიბეზე უფორმო, შვენივ, შავზოღებიანი დიდი შენიშნა. ეს წესრიგის დარღვევად ჩიუთვალა ზემდეგმა ვაშალომიძეს და მიუხედავად მისი ბეწწმა-მუდარისა ნება დაერთო ეტარებინა იგი, დანთი აპკა და შორს ბალაბებში გადაავლო. ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა არმიის ცხოვრებაშია. მაგრამ რად იმტარესებდა ვაშალომიძეს უფორმო შეუფერებელი დილის დატოვება მარცხენა გულჯიბეზე? რად ლაშობდა მის ამაღლას ორდენის ქვეშ? რისთვის ეტება ასე გამწარებით გადავდებულ დილს ბალაბებში?

აი სწორედ აქ არის მოთბრობის ორიგინალურად მოფიქრებული კვიში. ექვდიან იხსენება დრამატისმის, გმირის ხასიათის შინაგანი ევოლუციის დაფარული ხვეულები, მოქმედება მამფრად მიმართება კულმინაციურ წერტილისაკენ და ახალი მოქმედ პირთა ურთიერთ დაპირისპირებაში, ახალ ვარემორებაში კიდევ უფრო ნათლად და მკვეთრად ყალიბდება ვაშალომიძის მგზნებაურ პატრიოტული ბუნება, მისი დევმირული სულის სიდიადე და აბოვანება.

მწიანე დილი უმწიველი და წრფელი სიყვარულის უხილავი ძაფებით აკავშირებდა ვაშალომიძის უბაშელ რუს გოგონასთან სვეტლანა

ვერშინასთან, რომელმაც სიკოცხლე შეუწარუნა მას, როცა მიიმედ დეპრედუ უპატრონოდ დარჩა მტრის ზურგში. ამ უბრალოებებელია მოთბრობის ეს ნაწილი ღონეშობილი, სიკვდილოდ გაწირული ვაშალომიძე უკანასკნელ ძალებს იკრებს, რათა იხედავ დასიცხლე გასცილდეს ლელანის გულწინამღებ ოხშივარს, მაგრამ ძალა ელევა, მიწაზე ეცემა... ასეთ ვითარებაში წაწყდნენ შემთხვევით სვეტლანა და მისი დედა ვაშალომიძეს. სოფელი გერმანულა ბელში იყო; დაპრილი ჯარისკაცის მოვლაპატრონმა საკეთთარი სიკოცხლის ხელთაში ჩაგდებას ნიშნავდა; მაგრამ დედა და შვილი როდი უშინდებამ ამ საფრთხეს. ისინი დიდ გულისხმირებას იჩენენ დაპრილი საბჭოთა მეომრისადმი, უვლიან, მყურნალობენ, მზრუნველობას უწევენ მას. სვეტლანასა და ვაშალომიძის ურთიერთობაში, სვეტლანას დედის დამოკიდებულებაში ქართული მეომრისადმი შესანიშნავად არის გამოხატული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა კავშირის ზალთა სტალინური მეგობრობის, საბჭოთა ზეშანიზმის იდეები.

მეტად მიმზიდველი და წარმტაცია სვეტლანას სახე. იგი ბავშვური გატაცებით ეკოლავება დაპრილ ვაშალომიძეს, ტბილი ქართული სიმღერებით უქარებებს ამხანაგებისაგან, ნაწრისაგან ჩამოცილებით გამოწვეულ დარდებს. უადვილებს ტყვილებს და სულეირ მხნეობასა და ძალას მატებს მეტბოლს. მიმზიდველია სვეტლანას ოცნება შექმნას ნამდვილი საბჭოთა ოჯახი დამყარებული მტკიცე სიყვარულსა და ურთიერთობატვისცემაზე. მას ხიბლავს ვაშალომიძის სპეტაკი ბუნება და ადამიანური თვისებები. აქ სრულიად ბუნებრივად ინსკეება ოში შემთხვევით შეხვედრილ ქართველ და რუს ახალგაზრდას შორის სიყვარულის იდეალი ძაფი. მათი მიზანი ერთდება: ეს არის პირველ რიგში თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს მიწაწყლიდან გერმანული ავაზაკების განდევნისათვის, შემდეგ კი გამარჯვებული დაბრუნება საქართველოში, იმერეთში, ვაშალომიძის სახლში, მაგრამ რამდენი ასეთი სუფთა და ფაქიზი ოცნებები დამსხვრია ოშია რა სანანებელია სვეტლანას სიკვდილი ხომ არ შეიძლებოდა ცოცხლად დაეტოვებინა იგი აეტორს და სხვა ვითარებაში ეწვეებინა? რამდენად მოტივირებულია სვეტლანას დარჩენა სახლში და მისი დაღუპვა? ეს კითხვები ბუნებრივად დაებადება ყოველ შეგნებულ მკითხველს. მაგრამ აქ საქმე მწერალზე როდია დამოკიდებული. იგი ვერ შეცდის სი-

ნამდვილის კანონზომიერებას, სინამდვილეში კი სვეტლანა სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო ვაშალიძისა და მისი დასახლებების მომენტში, როგორც ამას პ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს. რატომ? იმიტომ, რომ მისთვის როგორც ლენინურ კომკავშირში აღზრდილ საბჭოთა ეპოქის ქალიშვილისათვის, ბუნებრივია, სრულიად შეუთავსებელია თუნდაც წამითაც კი წარმოდგენა იმაზე, რომ იგი თავისი ხალხის, სამშობლოს, თავისი მრწამსის მოვალეა. პირიქით სვეტლანა ვერ შინაა მთელი არსებით გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულითა და ერთგულებით გრძნობით სამშობლოსადმი. ამ სიყვარულმა უკარნახა მას შეეფარებია თავის ბინაში მტრის ზურგში მოქცეული დაპირილი ქართველი მეომარი, გაეწია სიცოცხლის რისკი ამ გაბედულმა პატრონულმა საქმისათვის. მაგრამ მისდა უნებურად მოხდა ისე, რომ მოხუცმა თევდორემ მას შემდეგ, რაც სვეტლანამ იხსნა ის გერმანელს როზგებისაგან, მადლობის ნაცვლად უმეყოფილო, უმადური თვალებით დაუწყო ყურება მას, სოფელშიც ათევისისწუნა. სვეტლანას გულუბრყვილობით წარმოშობილმა გაუგებრობამ გამოწვევა შენაგანი წინააღმდეგობანი მოვალეობის შეგნებასა და ჩადენილ მოქმედებას შორის. ამ წინააღმდეგობათა განვითარების კანონზომიერებას არ შეიძლება არ მიეყვანა სვეტლანა საკუთარი შეტეხვის ღრმად შეგნებადღე. და ეს ისეც მოხდა. კვანძის ისეც ვაშალიძემ ხსნის. მოუესპინოთ სვეტლანასა და ვაშალიძის დიალოგს:

— სვეტლანა, რამდენი ხანია, რაც ტრაქტორზე შეშობ?

— რამდენი იქნება? შარშან ოქტომბერში დაიწყო და თებერვალში ესენიც შეშობიდნენ.

— ისა? მოხუცი? დიდი ხნის ტრაქტორისტია?

— ტრაქტორზე დაბერდა. პირველი მანქანა მაგან შემოიყვანა ჩვენი სოფელში. მაშინ დახადებულ იქნა არ ვიყავი.

— მაშ რე გეწყინება, სვეტლანა, რომ იმ მოხუცმა (ლაპარაკია თევდორეზე, — ა. თ.) საღამო აღარ მოეცა.

— რაღა? — შეკვირა უსაზღვროდ გაოცებულია ქალმა: — შეეცოდე, დავეხმარე და იმით?

— ვის დაეხმარე, სვეტლანა! მოხუცს? არა, ჩემი კარგო, მოხუცს არ უნდოდა იმ ტრაქტორის ამუშავება! გესმის!

— რას ამბობ? — წამოიძახა ქალმა და თავისი ხელი შემოირტყა: — მაშ მე მტრის საქმე გამოვიტყობი! მაშ, ქალუმაც იმითვე ჩამიარეს ასე უბრალო! („მშვიადე ლილი“, გვ. 96).

დაიხ, სვეტლანას ფაქტიურად მართლაც სოფლელების საწინააღმდეგო საქმე გამოუვიდა.

თევდორე განზრახ აქიანერებდა ტრაქტორის ამუშავებას, რათა ამით ჩაეშალა სვეტლანის გერმანელთათვის პურის გაწოდება-გვეცხის სოფლელებს და თვით თევდორეც მზად იყენებდა ატანათ ამისათვის დაშავების კომისიის როზგები და სამინელი ტანჯვა-წამება სვეტლანას კი, როცა ის წააწყდა მოხუც თევდორეს გაროზგების ფაქტს, სულ სხვა აზრმა გაუვლდა. მან იფიქრა: ალბათ, მოხუცმა ტრაქტორისტმა გულშაფიქობით, თუ რაღაც სხვა მიზეზით, ვერ შესძლო ამუშავებინა ტრაქტორი, მტერი კი ანგარიშს არ უწევს თევდორეს მოხუცებულობას და უდასაშუალოდ სცემსო. მისი პირველი გადაწყვეტილება იყო: მიშველებოდა მოხუცს, ეხსნა ის გერმანელის მტანჯველ როზგებისაგან. და, იმ, ხსნის ერთადერთ გზად მან მიიჩნია ტრაქტორის ამუშავება, — მაგრამ ეს უკვე გერმანელთა მიმართ სოფლელების საბოტაჟის შინაგან გაცემის ნიშნავდა, რაც ფიქრადაც არ ჰქონია სვეტლანას.

გულუბრყვილო და მამაიტმა ხასიათმა სვეტლანა უნებლიედ მიეყვანა სერიოზულ შეტეხვაშიც (ტრაქტორის ამუშავება), ხოლო ამ შეტეხვის შედეგს (სოფლელების თვალში მოვალეობად დასახვას) თავისი ბუნებით არ შეიძლება შერიგებოდა იგი. განა ცოტაა ცხოვრებაში ისეთი მაგალითები, როცა სწორედ ის გამოვიდის, რაც ფიქრად არ გვეჩინა გავლებული. სვეტლანა დანაშაულს ჩაიდენდა, რომ არ ეგრძნო თავისი შეცდომა, არ გამოესყიდა ის ვპირული და სახელოვანი საქმით. სწორედ ასე ვეინატებს მას შწერალოც. იგი უარს ამბობს ლაღი ვაშალიძისთან ერთად ფრონტზე წასვლაზე: „ასე შერცხვენილი, თავიშორილი სოფლიდან როგორ წამოვიდეთ?“ ეუბნება ის თავის მეგობარს, რჩება მტკიცე გადაწყვეტილებით თავისსავე სოფელში, ცეცხლს უკიდებს პურის გაღწეულ კალოებს, და, გპირული საქმის ჩადენით აღფრთოვანებული, ცდილობს თავი გააღწიოს მტრის რკალს, მაგრამ... ტყვედ შეპყრობილი სვეტლანა გერმანელთა სოფლის შეეგულში ხეზე ჩამოახრჩვეს. ასე დასრულდა სვეტლანას სპეტაკი და ნათელი სიცოცხლე.

თავის ნაწილს შეერთებული ვაშალიძემ, უტანის ხელმეორედ განთავისუფლებისას, სვეტლანას დედისაგან გებულობს მისთვის ახლობელი ადამიანის გპირული დაღუპვის ამბავს. ამის შემდეგ რისხვით იყვება მისი გული, უფრო ძვირფასი ზღვა სვეტლანას ხელით სამხედრო ხალხის მარცხენა გულჯიბეზე დაკერებული ლილი, უფრო შეუღრეკელი, უშიშარი, თავგანწირული ხასიათი ეძლევა მის ბრძოლას გერმანელ დამსხტ ავაზაკების წინააღმდეგ.



ნაწარმოებში თემისა და იღვის გამოხატვის ყველაზე ძლიერ, ამალელებედ აღვიღს წარმოადგენს მესამე ნაწილი, სადაც დიდი მხატვრული დამატებლობითა და გერმანობიარობით არის აღწერილი უსახელო მადლობზე ვაშლომიძის გმირული ბრძოლის, მისი გმირული სიკვდილის დაუფიქვარი, შთამგონებელი სურათები. სისხლისაგან დაცილი ვაშლომიძეს ფიქრები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ვარშეო ტრიალებს. „დაჭრილის თვალწინ უზარმაზარი რუქა ვაიშლა, — ვეთხურობთ მოთბრობაში, — მისი ნაძირი ცისკიდურს სწევდებოდა. რუქაზე სტალინი დაბრილიყო, ხელში წითელი ფანქარი ეჭირა და გვერალ ლესელიძეს დინჯად ეჭებნებოდა:

— ეს მდინარეც გადავსახეთ. ხელ ამ ქალაქს დავიბრუნებთ, — და ამ ადგილს წითელი ხაზი შემოავლო სტალინმა. მეტე ხელმარცხნე გატედა რუქას და წარბი აზღდა.

ლადომე იმ მხარეს ვახედა. გაოცებისაგან ლაშის თვლები ვადმოცივდა. რუქაზე მისი უსახელო მადლობი გამონდა... ის გულდამწეარი მუჭა და ნახანძრალი ლელაინი.

„საიდან სადამდე ზედვას თურმე ის დილოცოლი. ეს ჩემი პატარა გორაკიც რუქაზე ჰქონია!“ — მელეფარებით გაიფიქრა ლადომე და სტალინს მიანერდა“. („მწევენი ღილი“, გვ. 117).

ვაშლომიძის ამ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის ფიქრი და გრძნობა, ნაწევნება ის ურდვევი კაცობრი და მთლიანობა, რაც არსებობს ამხანაგ სტალინის ვენიადურ წინაწარმობისახელობასა და ხალხის ნებას შორის და რაც ალაფროთვანებს ყოველ საბჭოთა ადამიანს კომუნისმის მშენებლობისათვის თავდღებული ბრძოლის იღვი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოთხრობაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა სტალინური მეგობრობის ცხოველყოფილი იდეა ხორცმესმულია ნაწარმოების კონკრეტული, ტიპური გმირების ტიპურ ხასიათებში, რაც თავის ჩამოყალიბებულ ფორმას მტკიცედ შეკრულ კომპოზიციასა და კარგად განვითარებულ სუფეტში ღებულობს. ეს უმეველად ხელს უწყობს ნაწარმოების წარმატებას და ანიჭებს მას ყოთხვეულ დიდი ემოციური და იღვეური ზემოქმედების ძალას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია ვაკეითთ ზოვიერთი შენიშვნა. მოთხრობის თითოეულ ნაწილს წამდვარებული აქვს ეპიგრაფი, რომელშიც ვარკვეული აზრია ჩაქსოვილი. მაგალითად, მეორე ნაწილის ეპიგრაფი „შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარება“ (ილია ჰევეჯაძე) — შესანიშნავად გვიხსნის წიგნი. „მნათობი“. № 6.

ნის მთელ ამ ნაწილში გამოხატულ იდეას ლადო ვაშლომიძის სულიერ განცდებს სწვევრალი არსების — სვეტლანის დაღუპვის გამოც სიუვირულის შთამავონებულ ძალას გმირის სულიერი ამალეებისათვის. მაგრამ ასე არ ითქმის ყველა ეპიგრაფზე. მოთხრობის მესამე ნაწილში („უსახელო მადლობზე“) ავტორი მართლაც ამალელებედ სურათებს გვიხატავს ლადო ვაშლომიძის მეტად მძიმე ტრაგიკული მღვთობის ებიზოდებიდან. გმირულად კვდება იგი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. ამ გმირულ სიკვდილში, რა თქმა უნდა, იგრძნობა ერთგვარი სიღამაზე, ეს არის მორალური რწმენა, რომ თავს სწორად დიად და უწმინდეს საქმეს — სამშობლოს დაცვის, კომუნისმის საქმის ინტერესებს. მაგრამ არ შეიძლება ცნება „სიღამაზის“ ამ შემთხვევაში ვაქციით, როგორც ზოგადი დამახასიათებელი ვექივალენტი საერთოდ სიკვდილიანობის დადებითობის ნათელსაყოფად. ეპიგრაფში „განსაცდელში ჩავარდნილი ვაკეციის ვინახავ? მამ რა ვინახავ უფრო ღამაზი ქვეყანაზე?“ (ჩაზვასმა ჩვენის — ა. თ.) — სიტყვა „ღამაზი“ ვერ გამოსახავს იმ შინაარსს, რომელსაც ავტორი აღბათ ველისხმობდა მისი დამერის მომენტში. სიტყვა „ღამაზი“ — აქ ჩვენ გვესმის როგორც სიღამაზის ესტეტიკური გამოხატულება და თუ ამ ვაკებით შევხედავთ განსაცდელში ჩავარდნილი ვაკეციის მღვთობას, ვფიქრობთ, არავითარ ესტეტიკურ სიმოვნებას მასში ვერ ვიპოვით. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დაჭრილი ვაკეციის განსაცდელი, რომელიც ბოლოს სიკვდილით მოვარდება, ყველაზე უფრო უღამაზესი იყოს ქვეყანაზე?

მოთხრობა, რამდენადაც ვიცი, ძირითადად აებუღია ჩე შენაერთის საბრძოლო ებიზოდების მდღარ ფიქტიურ მასალაზე, რომელიც ამ შენაერთში დაავროვა 1943 წლის ვაზაფხელიდან ტამანისა და ყირიმის ნახევარკუნძულებზე ვაშლილი შეტევითი ოპერაციების პროცესში. პირველი ნაწილის მეოთხე თავში ერთგან გვხვდება ასეთი ტერიტორიული ადგილის დასახელება „ჩევემის ხეობა“ (სადაც თურმე ერთხელ ვაშლომიძემ წვერი დაიყენა). ჩევემის ხეობა მდებარეობს ბალყარეთის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში (ზემო ჩევემი, ქვემო ჩევემი, შუა ჩევემი), მამ, საიდან ვაინდა ყუბანის ყორღანებში „ჩევემის ხეობა“? აქ ტერიტორიულ აღრევასთან ხომ არა ვაკვს საქმე?

„მწიანე ღილი“ — ღრმა შინაარსიანი და ამოღლებელი წიგნია. იგი დაწერილია კ. ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელი ნათელი, ხატოვანი ენით. წიგნი გამოცემულია ლამაზად და ჭკიზი გემოვნებით.

„მწიანე ღილი“ უმეველად, საყურადღებო მოვლენა თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურაში.

ააკი თოფუჩია.

დავით სულიაშვილი — მოთხრობები. გამომცემლობა „საბჭოთა მწიარლი“



დავით სულიაშვილმა თავისი შემოქმედებითი სახე უმოაჯრესად საბჭოთა ეპოქაში გამოავლინა. მწერალი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით თავიდანვე დაკავშირებული იყო მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან. ეს დაკავშირება კიდევ უფრო მტკიცე და ურყევი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დავით სულიაშვილის შემოქმედება მდიდარია არა მარტო თავისი ეპოქის ცხოვრების სინამდვილის უტყუარი სურათებითა და ამ ეპოქის მოწინავე ადამიანთა სახეებით, არამედ საქართველოს ბუნების და კერძოდ ქართლის პეიზაჟის ცხოველი და ფერადოვანი სურათებითაც.

კრებული სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა დროს დაწერილ 12 მოთხრობას შეიცავს. მოთხრობათა დალაგებაში არ არის დაცული თანმიმდევრული წესი. ადრინდელ პერიოდში დაწერილი მოთხრობა ბოლოშია მოქცეული და ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი ნაწარმოებები სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული.

პირველი ოთხი ნაწარმოები „ღედა“, „მამა“, „მოხუცი“ და „ორი ძმა“ სამამულო ომის პერიოდის ამსახველი ნაწარმოებია. მათში ესკიზურად არის მოცემული დიდი ამბის მხოლოდ ერთი მომენტი. ამიტომ ისინი შეითხველზე დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ. პრიმიტიულია მეტადრე ნაწარმოებთა დაბოლოება.

მაგალითისათვის ავიღოთ პირველი ნაწარმოები „ღედა“. ფრონტზე მყოფი შვილისაგან წერლის მიღებით გახარებული ღედა თავისი კვილით მთელ სოფელს შეჰყარის და ამზავი მზოდღ იმით მთავრდება, რომ „სამხარეულიში მალე დამწვარი მჭადის სუნი დატრიალდა, ორიოდ კიბაში ვაპტეტს, დგობადან ვევი ამოიღეს, ბოსტნიდან პრასი და ხახვი მოიტანეს, კალმკტივიდან ღვინო ისესეს, მისი შვილის სადღეგრძელო დალიეს და მრავალეამიერი შემოსახეს“.

„მამა“ ასეთვე შინაარსის ნაწარმოებია. გახარებული მამა, რომელსაც ომიდან თავისი შვილი — ლდიკო დაუბრუნდა, ყველას შინ ეპატივება — ერთი ჭიკა ღვინო დამოიღეთ, შვილი დამოიღეთ, მობრძანდითო.

მესამე ნაწარმოები „მოხუცი“ მცირედნად განსხვავებულ ფონზეა გაშლილი. მასში გადმოცემულია ერთი მომენტი ამ მოხუცი მშობლის განწყობილებისა, რომელსაც შვილი ფრონტზე ჰყავს. ეს განწყობილება შექმნილია მუშობლის შვილის ომიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მოხუცი ჩამოსულის ნაპობიდან გაიგებს, რომ მას მისი (მოხუცის) შვილი ერთი ბრძოლის შემდეგ აღარ უნახავს. მოხუცი მწარე ფიქრს მიეცემა, არაუც მობეძალა და ჩიბინებს. ეს არის მთელი ნაწარმოების შინაარსი.

„ორი ძმა“ მოთხრობის ნაწევრების შთაბეჭდილებას სტოვებს. ომის დამთავრების შემდეგ თავის სოფელს დაუბრუნდება ორი ძმა. ერთა თვითონ ჩამოვა, მეორეს ავადმყოფს ჩამოყვანენ. უმცროსი ძმა უფროსს არ სცილდება. ყველგან თან დაჰყვება, თუმცა ხმას არ იღებს, არაფერს ლაპარაკობს. უფროსი ძმის პირთ ნაწარმოებში მოთხრობილია ფრონტის მხოლოდ ერთი საბრძოლო ეპიზოდი.

მოთხრობა „მეორე დღეს“ 1928 წელს დაწერილი ნაწარმოებია. იგი ავტორის შემოქმედების განვლილი გზის მაჩვენებელია. ნაწარმოების თემად აღებულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღე და მენშევიკური ბატონობის აღსასრული. ამ დიდი ამბის ფონზე დახატულია ძველი საზოგადო მოღვაწის, ექვილ კოტე დიდძის ოჯახი, მისი ერთადერთი ქალიშვილი — თინათი, რომელსაც ბოლშევიკი დიკო უყვარს. ამ კარგ სუვეტიან მოთხრობას აკლია მხატვრული გაფორმება, უკერძოვანი ხარკმსხმა. მაგალითად, დიკოს ჩხუბი თინასთან მოტივირებული არ არის. მკითხველს არც მისი შერჩევების ამზავი სჯერა. დაუჯერებელი და ბუნდოვანი ადგილი სხვაც მოაპოვება. ასეთია თუნდაც დიკოს

თბილისში წასვლა და არაღვალური მემო-
 აზი ბილშევიცურ პარტიაში. ავტორი კი მო-
 თხრობის დასაწყისში სწერს ერთი ვერაა,
 რაც ქალაქის მთავარ ნაწილში ერთი შენობის
 წარწერა — „ქალაქის თვითმმართველობა“ წა-
 შალეს და ამის მიგვირავდ წითელი ასოებით
 წააწერეს — „რევკომი“. ასეთი ამბის შემდეგ,
 ცხადია, ბილშევიცური პარტია უკვე ლეგალუ-
 რი პარტია იქნებოდა და, მაშასადამე, არაღ-
 ვალურ მემოაზს ადგილი აღარ ექნებოდა.

საერთოდ, ეს მოთხრობა მაშინდელი დიდი
 ამბების სიღრმეში ვერ გაახედებს. შედარება
 ცეცხლის აღისა ავთარავეული წითელი გვე-
 ლებისათვის, შხატერულობას მიკვლევლია.
 საჭირო იყო ამ მოთხრობის ხელშეწყობდ გადა-
 მუშავება და ისე შეტანა კრებულში.

მოთხრობა „აღსრულდა“ ერთი მეტრის პი-
 რით მოთხრობილი ამბავია, რომელიც გაშლა-
 ლია პირველი და მეორე რევოლუციების ფონ-
 ზე. ამ მეტრის ბიოგრაფია თავისთავად საინ-
 ტერესოდა აღწერილი, მაგრამ მომზადრი დიდი
 ამბები მის შეგნებაში ყოველთვის რადი პოუ-
 ლობენ სწორ და ჭეშმარიტ გამოხატულებას.
 მასში ბევრია გულბრყვილობა და მეშინერი
 განწყობილება. ასეთად უნდა ჩაითვალოს თუნ-
 დაც რომანტიული გრძობების აღწერება ბტ-
 ლისა და ცხენების მიმართ და სიძულვილის
 გრძობის გამოჩენა ავტობიოლისადმი. მეტრ-
 ლის ოჯახის თვალთახედით 1905 წლის, თე-
 ბერვლისა და შემდეგ ოქტომბრის რევოლუ-
 ციების ჩვენება თავის დანიშნულებას ვერ აღ-
 წევს. მოთხრობის ბოლოს ავტორს შეეძებულ-
 ე აქვს ერთ გვერდზე სქემატურად სამჭოთა
 ბელისეფლების 20 წლის მემოაზი, რაც შეუ-
 თავსებელია შხატერულ ნაწარმოებთან.

მოთხრობა „მეგობრის სისხლი“ სამამულო
 ომის თემაზე დაწერილი მოხდენილ სუეტეტიანი
 ნაწარმოებია. მასში კარგად არის ნაჩვენები
 საბჭოთა ადამიანების დიდი შორალურ-პოლი-
 ტიკური სიმტკიცე და მხურვალე საბჭოთა პა-
 ტრიოტიზმი. ქორერვა ვიორჯი ქებულამე,
 მისი ცოლი ტასო და მჭრინავი ტარდოვსკი
 ომის გამოცხადების პირველ დღეებშივე მა-
 ლალ პატრიოტულ აღტენებას იჩენენ და
 ფრანსის მიაშურებენ. დაჭრილი ტარდოვსკი,
 რომელსაც წყარტებში დასვენების დროს
 მტკრთოდენი რომანტიკული ფლირტი ჰქონდა
 ტასოსთან, იმ პოსპიტალში მოხვდა, სადაც ტა-
 სო და მისი ქმარი მემოაზენ. ტარდოვსკი
 უგრძნობელ მდგომარეობაშია და საჭირო ხდე-
 ვა სისხლის გადასხმა. ტასო გაიღვხა თავის
 სისხლს მეგობრის გადასარჩენად. გამოჯანმრ-
 თერებული ტარდოვსკი იფიქვებს თავის ძველ
 რომანტიკულ ამბავს და ტასოს ოჯახის მეგო-
 ბარი ხდება.

ეს ამბები ნაწარმოებში მოხდენილად, დამა-
 გრებლად და შხატერული ტსტრუბმეუ უკვე
 ნაჩვენები.

ბიბლიოგრაფია

„თვედორე“ და „ზურაბის ციხე“ დანიელ
 კონჭაძის („სურამის ციხე“) და იაკობ გოგება-
 შვილის („თვედორე მღვდელი“) მოთხრობების
 თემებზე დაწერილი ისტორიული შინაარსის
 მოთხრობებია. „სურამის ციხე“ დიად გაერ-
 ცილებული და ქართველი ხალხის საეკარელი
 მოთხრობაა. დანიელ კონჭაძემ ეს ვლახური
 ლეგენდა თავის დროზე მოხდენილად გადააკე-
 თა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის
 იდეებით ააღესო. დაეთ სულიაშვილს აუღია
 წმინდა ვლახური ვარიანტი, რომელიც მკით-
 ხველთა უფრადღებას პატრიოტულ მოტივებზე
 აიხვილებს. მაგრამ სურამის ციხის სუეტრის
 ბელახლა დამუშავება საჭირო არ იყო, რო-
 ვორც ეს ავტორს თავის დროზე მიუთითა ჩვენ-
 შა კრიტიკამ. ასევე შეიძლება ითქვას იაკობ
 გოგებაშვილის მოთხრობის „მღვდელ თვედო-
 რეს“ მოთხრობა „თვედორედ“ გადაკეთების
 შესახებაც.

მოთხრობა „ჩიკორში“ ნაჩვენებია რევოლუ-
 ციურ მომუშავეთა დიდი ამბის ერთ-ერთი პა-
 ტარა წევრის — ჩიკორის არაღვალური რე-
 ვოლუციური საქმიანობა. ვარემოციის სურათე-
 ბი და თვით ჩიკორის სახე ნაწარმოებში ცხოვ-
 ლად არის წარმოსახული. კონსპირაციული მე-
 შობის დეტალებით გახსნილია დიდი კლასიზ-
 რივი ბრძოლების შინაარსი. მხოლოდ ავლბ-
 რის არაღვალური სტაშის ამბების ასახვა
 დიდი ბელადის სახელთან დაუკავშირებლად
 გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს. მართალია,
 ავტორი ამ ნაწარმოებში რიგითი პარტიული
 მუშაყის სახეს გეხატავს, მაგრამ შეუძლებე-
 ლია მას დამოყიდებულება არ ჰქონოდა იმ
 დიდ ხელმძღვანელბასთან, რომელსაც მამინ
 ამხანაგი სტალინი ანბორციელებდა.

დავით სულიაშვილის შხატერულ შემოქმედ-
 ბაში „ნაღვერდალი“ საუკეთესო ნაწარმოებთა
 რიგს მიეკუთვნება. ამ ნაწარმოებში საყმაო
 შხატერული სისრულით არის ასახული ჩვენი
 ქვეყნის მდიდარი რევოლუციური წარსულის
 ბევრი დონეშეხანაშენი ეპიზოდი. ასეთებია
 სასულიერო სემინარიის მოწაფეთა ცხოვრება
 და მათი რევოლუციური იდეებით გატაცება,
 „სალდათის ბაზარში“ პირველმისიობის ამბები,
 თბილისსა, ქუთათასა და ქართლის სოფლებ-
 ში რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის
 ცალკეული ეპიზოდები. ავტორი მუშაოთა რე-
 ვოლუციური მოძრაობაში კარგად ერკვევა. ბევ-
 რი სურათი ძლიერი შხატერულობით
 შესრულებული. ავილოთ თუნდაც 1905 წლის
 29 აგვისტოს ქალაქის საბჭოში მუშაოა კრე-
 ბის დარბევისა და სისხლისღერის ამბავი რა-

წარმოებში მოქმედ პირთა ენა — ბუნებრივია, დიალოგები — მახვილი, თხრობა — დინჯი და ეპიური.

სარეცენზიო წიგნში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაბეჭდილია სხვადასხვა დროს დაწერილი მოთხრობები. ზოგიერთი მათგანი მხოლოდ განვლილი პერიოდის ამსახველია. მაგრამ

შეურალს ყველა ძველი ნაწარმოებიც ვაჭყლებულ-შეგებლად არ უნდა შეიტანოთ ხელნაწერებში. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორს არც ერთი ნაწარმოები არა აქვს დაწერილი სამჭოთა აღმშენებლობის თემაზე.

ბ. მალალიზილი.

ბ. ხახუბაშვილი — „თოშიკოს სანუბარი“, სბზლიტბაში, 1940 წ.

★

ბ. ხახუბაშვილის (ექვტი) წიგნში, რომელიც საბლიტვამში გამოცემა, ორმოცზე მეტი მოთხრობაა მოთავსებული. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი მოთხრობები: „სულინაური“, „ჯიღლი“, „ნორჩი მოგზაურის დღიურიდან“, „ექსკურსანტები“, „ჯემალი“, „თომიკოს სანუბარი“ და სხვ.

მოთხრობაში „სულინაური“ ავტორი საბჭოთა ბავშვის სულიერი ცხოვრების ღრმა ცოდნის აქვდაცხვენს. მოთხრობის მთავარი გმირის ეპიური წლის ვიორგის მოქმედებაში კარგად ჩანს საბჭოთა ახალგაზრდობის დამახასიათებელი მალალი თვისებები. თუ რამდენად თავზარანი და მგრძობიარე ბავშვია ვიორგი, ამას ჩვენ ვხედავთ იმ მწუხარებიდან, რომელიც მან სავიარაღო მასწავლებლის ავადმყოფობის დროს განიცადა. ავად არის ილია მასწავლებელი. ვიორგი ვაკეუთილების შემდეგ მის სანახად გაეშურა. როდესაც იგი მასწავლებლის ეზოს მიუახლოვდა, შეჩერდა, რადღაც გაუხედაობა იგრძნო. ვერ გადაეწყვიტა შესულიყო თუ არა მასწავლებლის სახლში. „რა კი აივანზე ვერა-ვენ შენიშნა, ექვი დაებადა: იქნებ მართლა მისი ნახვა ახლა არ შეიძლება, იქნებ შევაშუბო და უხერხული იყოსო, — გაიფიქრა ვიორგიმ, და ის იყო უკანვე უნდა გამობრუნებულიყო, რომ აღმართის ბილიციდან ფეხის ზმა მოესმა. ვიორგიმ გაახედა და სახე აელანმა: თავისი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი ვიდაც მალა კაცს მღუმაჩედ მოჰყუებოდა. ორივეს დაფიქრებული სახე ჰქონდა. ვიორგის გული შეეკუმშა (გვ. 3). მასწავლებლისა და იმ უცნობი კაცის, რომელიც შეუდევს ექვიმ აღმოჩნდა, დაფიქრებულმა სახემ, ვიორგი დაალო-ნა. მისმა გულმა ილია მასწავლებლის სიყვდი-ლის მოახლოება იგრძნო. მასწავლებლის შე-კითხვაზე: „აქ რას აკეთებ?“ ვიორგიმ მოკლულ უნასუხა — ჩვენი მასწავლებლის ნახვა მინდოდა. ამის შემდეგ ვიორგის მწოლიარე მასწავლებლის საწოლთან ვხედავთ, ხილი მი-

სი სულის ტყვილეუს შემდეგი სტრიქონები-დან გვებულობთ: ავიამე, დედა! ნუთუ ეს ჩვე-ნი მასწავლებელია! როგორ გამხდარა, თელე-პი ჩასცვივინა, სახეზე მყედრის ფერი აღდეს“ — შიშით გულს გაივლო ბიჭმა“ (გვ. 4). ექვიმის აზრით, მომავლად ილიას მხოლოდ სულფიდი-ნი იხსნის, ისიც თუ ახლავ, დღესვე მიიღებს მას. აქ ავტორი, რათა მთლიანად გამოამკლავ-ნოს მოთხრობის მთავარი გმირის კარგი თე-ვისებები, დამრკოლების შემცველ სიტუაციას ჰქმნის. სოფლის აფთიაქში სულფიდიანი არ აღმოჩნდება. ვორში, სადაც მისი შოგნა შეიძ-ლება, მანქანა უკვე წასულია. ვიორგი ვორში მიდის, მაგრამ მას ვორში ჩასვლამდე სულფი-დინის სახელო ავიწყდება. აფთიაქში სულფი-დინის ნაცვლად სულინაური მოითხოვა (აქედ-დან შეერქვა მას ზედმეტ სახელად „სულინაუ-რიც“). მოთხრობა თავდება ილია მასწავლებლის გაჯანმრთელების ამბით. მოთხრობაში ნათლად სჩანს, თუ როგორი თბილი და ფაქიზი დამო-კიდებულება არსებობს საბჭოთა სკოლის მას-წავლებელსა და მასწავლებს შორის. მართალია, მოთხრობაში არ არის ნაწვენები ვიორგის ზა-სიითის ჩამოვალბებებს პროცესი, მაგრამ მკით-ხველი გრძნობს, რომ ვიორგის მალალი თვისე-ბები, ის სიყვარული, რომელიც ამოძრავებს და აკეთილშობილებს მას, შედეგია იმ აღმზრ-ველობითი მუშაობისა, რომელსაც აწარმოებს მასწავლეთა შორის საბჭოთა სკოლა და სო-ციალისტური საზოგადოება.

ავტორი ჩვენი სკოლის მასწავლებლისა და მასწავლის დამოკიდებულებას ზელოვნურად კა არ აღამაზებს, არამედ გადმოგვეცემა ისე, როგორც არის იგი სინამდვილეში. ვიორგის მოქმედება ვაზვიადებული არ არის, მასში ყველაფერი ბუნებრივია. მაგრამ ეს როდი ნიშ-ნავს იმას, თითქმის ამ მოთხრობის სახით ჩვენ საქმე გვქონდეს მშრალ დიდამტკიცასთან ან ფორტისრათთან. პირიქით, მოთხრობა მშატ-ერულად კარგად არის დაწმუვებული, მასში-

საბჭოთა ბავშვის გაწეობილებანი კარგად არის გამოძღვანებული, საბჭოთა ახალგაზრდობას ახასიათებს ხალი აზროვნება და სწრაფი მოქმედების უნარი. გიორგიც ამ თვისების მქონე ახალგაზრდაა.

აღმზრდელითი ხასიათისაა აგრეთვე მოთხრობა „ჯიღლო“. ამ მოთხრობის მთავარი გმირი, შოთა, ფრიადსანი მოსწავლეა. იგი სოფლის თვალთა. გაზაფხულზე ხეხილების გასხევა, მათი წამლობა ვინ ასწავლა უბნის გოგო-ბიჭებს? შოთამ. აბრეშუმის დამზადება ვინ იყისრა? შოთამ. ლიტერატურული წრე ვინ ჩამოაყალიბა? შოთამ. ამრიგად შოთა მხნე, გაბედული და შრომის მოყვარე ყმაწვილია. მისი ხელმძღვანელობით უბნის მამულებმა თავი მისახელებს, კოლმეურნეობის დავალებმა პირნათლად შეასრულეს. „მომკილ მინდორში განთიადზე წასულმა გოგო-ბიჭებმა ბინდისას თავთით გატენილი ტომრები ხელის ურმებით კოლმეურნეობის საღეწე მანქანას წითელი ღორშის ფრიალით მოეყენეს“ (გვ. 76). კოლმეურნეობა შოთას და მისი მეგობრების სამეზანობით აღფრთოვანებულია. კოლმეურნეობამ შოთა პარტიისანი და თავდადებული შრომისათვის რადიოპარტიით დაჯიღდოვა; ჯიღლომ შოთას გულის სიღრმეში სიხარული აგრძნობინა; ახალგაზრდა ვაჟაკი თედო უფრო გაამხნევა. მოთხრობის მთავარი თემა — შრომა, შოთა, ეთერი და ასმათი საუკეთესო მოსწავლენი არიან. ამავე დროს შესანიშნავი მშრომლებიც. ისინი ენერჯიას არ ზოგავენ, საკოლმეურნეო მინდორზე ერთ მარცვლსაც არ სტყებენ. მათში შეერთებულია შრომისა და სწავლის სიყვარული. ამიტომ არიან ისინი კეთილშობილი ბავშვები. შრომამ და სწავლამ მათში შეგობრობის, სამშობლოს სიყვარულისა და ურთიერთ პარტიისციემის გრძნობა გამოიქმნა.

მოთხრობის პერსონაჟები დადებითი ტიპები და ახალი სოციალისტური ქვეყნის შეილები არიან. ავტორი კარგად ავითქვს თავისი გმირების ხასიათებს. ლამაზ სურათებსაც გვიხატავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ სურათს, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ემიზონდს: შოთას გაქურდვის ცდის ამბავს, რომელიც მოთხრობაში სრულიად ზედმეტად მიგვანია. სწორედ იმ დღეს, როდესაც მეგობრებმა შოთას რადიო დაუდგეს, ვიდაცამ მისი ძროხის მოპარვა განიზარა, მაგრამ რადიომ და რადისტმა შოთა გაქურდვას გადაარჩინა. მეორე დღეს მთელი სოფელი იმხვე ლაპარაკობდა, შოთა გაქურდვას როგორ გადაარჩინა რადიომ. ეთერი და ასმათი სიხარულით ცას ეწეოდნენ, რომ მათმა მოწყობილმა ჯიღლომ შოთას ასეთი სიკეთე მოუტანა“ (გვ. 83). ამრიგად

პირველი სიკეთე, რომელიც შოთას რადიომ მოუტანა ეს არის მისი გადაარჩენა, გაქურდვაცაგან. ვფიქრობთ, რომ ამ აღვნიშნოს სრულიად ამოღება მოთხრობიდან ნაწარმოების შინაგან მაღიანობას არ დაარღვევს.

მოთხრობა „თომიკოს საჩუქარი“ დაწერილია 1936 წელს; იგი ქიალქისა და სოფლის სკოლების ურთიერთობას ასახავს. აქვალის საბავშვო ბაღის დარბაზი საზეიმოდ არის მორთული. დარბაზში გოგო-ბიჭებმა თავმოყრილი. ბედნიერი თაობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ცხრამეტი წლისთვის ზეიმობს. ზეიმის თხილისის საშეფო სკოლის წარმომადგენლებიც ესწრებიან; მათ სოფლის გოგო-ბიჭებს საჩუქრები მოუტანეს.

სოციალისტური სანამდვილისა და საბჭოთა ბავშვის შინაგანი საყვარელი ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ავტორს საშუალებას აძლევს ნათელი მოქმედონს იმ მზურავლე სიყვარულს, რომელიც ბედნიერი ცხოვრების შექმნელთა და ბედნიერ თაობას შორის არსობის.

შეწერილი, თვალისწინებს რა თავისი მკითხველის ასაკს, მის გონებრივ შესაძლებლობას და ათვისების უნარს, ყოველთვის ცდილობს მოვლენები და საგნები მკაფიოდ განსაზღვროს. მგალითად, „თომიკოს საჩუქარი“ ჩვენ დიდ განცდებთან და გრძნობებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ეს განცდები და გრძნობები ისე მოხერხებულადაა გამოვლენებული, რომ მისი წარმომშობი წყაროს დანახვა ბავშვს არავითარ შემთხვევაში არ გაუძნელდება.

„ნორჩი მოგზაურის დღიურიდან“ სამშობლოს ღრმა სიყვარულის გამოხატველი ნაწარმოებია. 1946 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში პიონერთა ერთი რაზმი, ოცდაათი გოგონას შემადგენლობით, ჯავახეთ-მესხეთში გაემგზავრა, რათა მათ ისტორიული მნიშვნელობის ციხე-კოშკები ენახათ და აღვლობრივ გასცნობოდნენ საქართველოს ერთ-ერთ შესანიშნავ კლთხეს. ახალგაზრდა მოგზაურებზე ძველი ქალქის ნანგრევები, ციხე-კოშკები და ვარძის ნქალაქარი დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ. საბჭოთა პარტიოტებში, რომელთაც უსაზღვროდ უყვართ თავისი სოციალისტური სამშობლო და მისი ისტორიული წარსული, ნანგრევებმა ნქართველოს ისტორიის შესწავლის სურვალს კდე უფრო გააღრმავა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მაღალი შეგნება, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად გამოიხატება მის პარტიოტულ გრძნობებში, და რომელიც ჩანგრვა და განავითარა მასში ლენინ-სტალინის პარტიამ, ნაჩვენებია მოთხრობა „ექსკურსანტებში“. ავტორმა როგორც მოთხრობაში „ნორჩი მოგზაურის დღიურიდან“, ისე „ექსკურსანტებში“ მხატვრული სახეებით

აგვიხსნა, თუ რატომ და რისთვის უყვარს თავისუფალი, სოციალისტური ქვეყნის პარტიუტებს თავისი ქვეყნის წარსული, მისი ძვირფასი კულტურა. „ექსკურსანტების“ გმირები, რომლებმაც მაღალი მთის წვერზე, დანგრეულ ციხეში ძვირფასი ნივთი იპოვეს, კომკავშირელები არიან. შვიდი კომკავშირელი იმაზე ფიქრობს, თუ საქართველოს რომელ ეპოქას გააცოცლებენ მეცნიერები მათ მიერ ნაპოვნი ნივთით. შვიდი კომკავშირელის ურთიერთ დამოკიდებულებაში, ხასიათსა და განწყობილებაში ჩვენ ვხედავთ სტალინურ ეპოქაში აღზრდილ ადამიანებს, იმ ადამიანებს, რომლებიც ენერგიულად, შეგნებულად ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის პარტიოიალური და სულიერი კულტურის შესწავლის საქმეში.

მოთხრობების გმირები არ არიან მოწვევითი ცხოვრებას, სოციალურ გარემოს; ამისთან, მათი ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხის ყოფაცხოვრებასთან. ამიტომაც, რომ ისინი ხალხის, საშობლოს ინტერესებს პირველ რიგში აყენებენ („სულიანური“, „ჯილო“, „ექსკურსანტები“ და სხვა). მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს მოთხრობა „ექსკურსანტების“ ერთი ნაკლი. ექსკურსიის ერთერთი მონაწილე შოთა თავის შეგობრებს მოუთხრობს რომელიღაც ქორნალში წაკითხულ ერთ ამბავს, სადაც სიზმარი გამოყენებულია მეცნიერული კვლევა-ძიების საშუალებად, რაც მეტად ხელოვნური და მეცნიერების თვალსაზრისით მიუღებელია. ამიტომ საჭიროა გავაოავისუფლოთ მოთხრობა ამ ამბისაგან, რაც მას სრულიადაც არ ავნებს.

მოთხრობაში „გორის საკონსერვო ქარხანის“ მწერალი აგვიწერს ქარხნის „ტექნოლოგიურ პროცესს, მაგრამ ამ მოთხრობაში „ციცხალი ადამიანები ნაკლებად მოქმედებენ.

საუკრადღებო მოთხრობა „ილიას პირველი ნახვა“ (დაწერილია 1947 წ.) ა. ხახუტაშვილის პირველი შეხვედრა ილია ჭავჭავაძისთან წირულულ შთაბეჭდილებას სტოვებს. ავტორი ი. ჭავჭავაძეს პირველად მოწოდების დროს შეხვდა. მწერალმა ეს ფაქტი მხატვრულად კარგად გაამუქა; ილიას კეთილშობილური ბუნება მან საუცხოოდ დახატა.

წიგნში, საბჭოთა თემაზე დაწერილ მოთხრობებს გარდა, მოთავსებულია მწერლის ძველი მოთხრობებიც. მათ შორის ყურადღებას იმუარობს შემდეგი მოთხრობები: „ციცხალი სურათი“, „ახალი წელი მოწმე იყოს“, „ახალ წლის შეხვედრა ძველად სოფელში“, „თედოს ბატები“ და სხვ. ამ მოთხრობებით საბჭოთა ბავშვი, რომელსაც არ უნახავს ექსპლოატაციაზე აგებული წყობილების მთელი საშინელება, იგრძნობს, თუ რაოდენ მძიმე და აუტანელ პირობებში უხდებოდა მაშინ ცხოვრება მშრომელ ადამიანს. მოთხრობების კრებული— „თომიკოს საჩუქარი“ მწერლის განვლილ შემოქმედების გზას კარგად აშუქებს. ამასთან ერთად, თანამედროვე თემებზე დაწერილი მოთხრობები იმას მოწმობენ, თუ როგორ დასძლია მწერალმა შემოქმედებითი ნაკლოვანებანი და როგორ ვადაიქცა იგი ერთ-ერთ მოწინავე ქართველ საბჭოთა საბავშვო მწერლად.

3ლ. არტიმიძე.

ს. ისინანი. ლამაზები. სახელმწიფო გამომცემლობა 1949 წ.



საბჭოთა პოეტების მებრძოლ რიგებს ეყუთვოდა ახალგაზრდა ნიქიერი პოეტი სევერიან ისინანი.

ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე 23 წლის ჭაბუკმა მიუძღვნა ხალხთა დიდ ბელადს ცნობილი ლექსი „სევანური სიმღერა სტალინზე“. ამ ლექსით მან მიიპყრო საზოგადოების ყურადღება.

პოეტი მთელის ხმით ზეადმატრენი სტრიაუნებით უმღერის ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს:

„მუდამ წყვილიდი გვებურა,—
ვაგვიხსენ ზეცის კარები,
წამოგვაცენე მთებურად
გვარები უჩინარები,
ჩვენს გულში ჩახორცებულან
კონსტრუქციის პეკარები“.

ამავე ლექსში პოეტს მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული აქვს გადმოცემული ბელადის სახელოვანი თანამებრძოლის ამხანაგ ლაერენტი ჰაელეს-ძე ბერიაისდმი:

„გადარჩენ ქაშთა ქარტახის
და გომურებშიც მზე არი,
ბერია მტრების გამტეხი,
გვალაღებს თავაზიანი,
შენი ფოლადის ნატეხი,
შენი შვის თანაზიარი“.

ბელადისადმი მიძღვნილია აგრეთვე ისიანის სხვა საუკეთესო ლექსები: „ბელადის სახლი“, „ამ მიწაზე, ამ ლიაზეთან“, „ბელადი თეთნულზე“ და სხვა.

ს. ისიანის ლექსებში ცოცხალ, ნამდვილ შრომულ ადამიანებად არიან წარმოსახული მფრინავი გოგონა ფადიმე გოგიტიძე, სვანეთის გზის გამყვანი მუშები, ვარზენის გმირი, სტახანოველი სონია ხობუა, სვანი მფრინავი გოგონა ცარლა, თეთნულდის დამპყრობი თორმეტი ალბინისტი ჭაბუკი და სხვა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ს. ისიანის სატრფიალო ლირიკა. გადაკეთებთ: „თაფული და ეს გული“, „სიყვარულის შემოპარვა“, „ემქვი მალონა“, „სავედურთი ჩემს საათს“, „დასაღამოვდა, დავცა ბინდი“ და დარწმუნდებით, თუ რაოდენ უზადო, წმინდა სიყვარულით არის შთაგონებული პოეტი.

ლექსების ამ წიგნში განსაკუთრებით გამოირჩევა მეომარი პოეტის ფრონტზე დაწერილი პატრიოტული, საბრძოლო სულსკვეთებით გაღვთილი, ლექსები. ეს ლექსები უმთავრესად სამამულო ომის მრისხანე 1942/1943 წლებში იწერებოდა — ერთის წუთით ბრძოლის ქარციხლის მიყუჩების შემდეგ, ბნელ, ნესტიან მიწურებში, თუ ყუმბარებით ამოთხრილ ღორღებში წყოს ვასაბვევ ქალაღზე. მწემების ღუღასა, თუ თოფის კანდაზზე.

მტრისადმი ზიზღითა და შურისძიებით აღსავსეა პოეტის ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„გაზედე, როგორ იწვიის ტყე-ველი,
ლავეარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მწგრველი, —
განადღურე!“
„თუ არ შემუსრე, მტერი-მტარვალი,
ქვეყნად წვედიადი დასადღურებს.
განადღურე ქვეყარმაველი,
განადღურე!“.

მოლაშქრე პოეტს განუშორებლად ეყვრა შაშხანა და კალამი. როცა დროს იშოვიდა კალამს ბასრი ხმალივით აელვარებდა:

„ცაში ცეცხლია ლავეარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
არა, კალმის და წიგნების კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემძლია.“

ვფიცავ, შავ სიყვილის თვალში ჩაქუქდავ,
საზიზარა მტერზე ხიმტემქრფუნდავ!!
მე ასე შრდიდა საშხანაღვრდავ
მე ასე შრდიდა მიწა ქართული“.

დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახე მე-
დამ თან ახლდა ბრძოლის ველზე, ვეღლებე
უფრო მძიმე წუთებშიც სამამულო ომის გმი-
რებს. ჩვენი დედა-სამშობლოს ყოველი მხრი-
დან ჰოფოღებდნენ მებრძოლ ვაკაცებს მტრის
შესამუსრად. დიდი ბელადისა და სამშობლოს
ამ მოწოდებას საბრძოლო პათოსით ვადმოგ-
ვცქს პოეტი:

„დაკარ! — გვეძახის დიდი ბელადი,
ცა — საყვარული, ვერცხლის მძივება,
ზღვა ჩაიძინებს დაუშრობელი,
მებრძოლს არასდროს ჩაეძინება.
დაკარ, აკაფე! წინ მიგვიძლოდეს
შურისძიება, შურისძიება!“

მტრისადმი შურისძიების მძაფრი გრძობით
შთაგონებული საბჭოთა დიდი ქვეყნის მომწე-
ერები ერთ ზეერთად გვევთა საბჭოველ მტარ-
ვალს იმ შეგნებით, რომ:

„დაკარ! — მოწურად ქედმობრილობას
სამშო საფლავში საკობია წოლა.
გვეძახის მშობის გრძობა ნათელი,
განუყოფელი მამული ჩვენი.
უკრაინისთვის იბრძვის ქართველი,
საქართველოსთვის — უკრაინელი“.

პოეტის საბრძოლო სულსკვეთების გამოსა-
ხატავად შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე
„ჩემს ღურჯას“. ამ ლექსში ისიანი თავის
ცეცხლგამოვლილ ღურჯას ესაუბრება:

„შენი მხედარი, ისევე მხენდ არი,
შენთან იყო და შენთან დარჩება.
ბრძოლები გველის უფრო მედგარო
მშობელი ქვეყნის გადასარჩენად“.

სამამულო ომის ფრონტზე, ბრძანების გან-
თავისუფლებისათვის გმირულად დაცემული
მეომარი-პოეტის სვეტირთან ისიანის საფლავის
ეპიტაფიად შეიძლება გამოვღვს მისივე სტრი-
ქონები:

„უვარდა მტერთა შემმუსვრელი ცეცხლის
დანთება,
არვის უნაბავს სისხლშეშრალი იმისი
ხმალი,
წვედიადს ბზარავდა მოვლვარე თვალების
აღლით,
მხენდ ამართული, ეთი ჭადრი ამართება“.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ვ. ჯიბლაძის მეტად გულსხმიერად და სიყვარულით დაწერილი კრიტიკული წერილი. ამ წერილში სრულყოფილად არის დასტურებული სამამულო ომში გამორღად დაღუპული მეომარის პოეტის შემოქმედებითი და საბრძოლო ცხოვრების მოკლე გზა.

ქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნს აკლია ტექნიკური რედაქტორის ხელი.

წიგნში გვხვდება უხეში კორექტურული შეცდომებიც. მაგალითად: 22 გვ. „შეშდაკარგუ-

ლი“ ნაცვლად, უნდა იყოს „და შეშდაკარგული“. 34 გვ. არის — „ქარის შფობივანი“ ნამწევის“ წიგნის. „წიგნის“ ნაცვლად უნდა იყოს „წიგნის“. 50 გვ. ლექსის სათაური უნდა იყოს „ეკავს სტრეიონებთან“ და არა „ეკავს სტრეიონები“. 72 გვ. არის „თვალუბში მიდგას ძვირფასი ლანდი“. უნდა იყოს „ძვირფასის“ და არა „ძვირფასი ლანდი“. ასევე: არეულია, ან ზოგიერთ ლექსს სულ არ აქვს დაწერის თარიღი.

გრიგოლ იმედაძე

ბ. ფარცხვანიძე — „ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სიხლის სახარტილის კანონმდებლობაში“. სტალინის სახელგობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოსცემა. 1950 წ.



ადამიანის ღირსების დაცვა ჩვენს ქვეყანაში იწყება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან. ჯერ კიდევ 1917 წლის 23 ნოემბერს სრულიად-რუსეთის ცაქისა და სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკრეტი წოდებებისა და სამოქალაქო ხარისხების გაუქმების შესახებ. დეკრეტის პირველ მუხლში ჩაწერილია, რომ ყოველგვარი წოდება და წოდებრივი დაყოფა, წოდებრივი პრივილეგია და შეზღუდვანი, წოდებრივი დაწესებულება, და წოდებრივი ორგანიზაცია და მასთან ერთად ყველა სამოქალაქო ხარისხი უქმდება. მეორე მუხლში კი აღნიშნულია, რომ ყველა წოდება (მემამულე, ვაჭარი, მემწანინი, გლეხი და სხვ.) და ტიტული (თავადი, გრაფი) უქმდება და წესდება მთელი მოსახლეობისათვის ერთი საერთო სახელწოდება — რუსეთის რესპუბლიკის მოქალაქე. ამ საფუძველზე რსფსრ 1918 წლის 10 ივლისის კონსტიტუციის 22-ე მუხლში ჩაიწერა, რომ მოქალაქეთათვის „რამიმე პრივილეგიის ან უპირატესობის დაწესება ან დაშვება... უწინააღმდეგება რესპუბლიკის ძირითად კანონებს“.

სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუციის მე-7 მუხლი და პირველი მუხლის „ქ“ პუნქტი აწესებს საკავშირო მოქალაქეობას. საკავშირო მოქალაქეობა დაკანონებულია აგრეთვე სტალინური კონსტიტუციის 21-ე მუხლით.

ადამიანისათვის დიდი პატივი და ღირსებაა იყოს საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქე, იმ სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც პირველი აგებს კომუნისტურ საზოგადოებას. მხოლოდ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიული ქვეყ-

ნები ზღიან რეალურს მოქალაქეობრივ უფლებებს. სტალინური კონსტიტუციის მე-10 თავი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ამ უფლებებისა და აგრეთვე მოვალეობათა ფიქსირებას წარმოადგენს.

ამხ. ნ. ბულგანინმა სსრ კავშირის მოქალაქეობის კანონის პროექტის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის II სესიაზე 1938 წლის აგვისტოში აღნიშნა, რომ „ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ და დიდმა ლენინმა დააწესეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქის წოდება“.

ამხანაგმა სტალინმა და მის მიერ შექმნილი კონსტიტუციამ განუზომლად ამაღლეს სსრ კავშირის მოქალაქის ეს წოდება“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის II სესიის სტენოგრაფია, გვ. 648).

ბურჟუაზიულ ქვეყნებში ადამიანის ღირსებასა და პატივისცემას განსაზღვრავს მისი ქონებრივი მდგომარეობა. თუ მდიდარი ხარ, მაშასადამე მართალიც ხარ, თუ უქონელი, მაშასადამე — დამანაშავე. როგორც ფ. ენგელსი წერს:

„რაც უნდა გააყუთოს ბურჟუაზი, პოლიციელი მის მიმართ ყოველთვის თავზავნიდა და კანონებს მტკიცედ იცავს; მაგრამ პროლეტარს იგი ტლანქად და მკაცრად ეპყრობა; უკვე მარტოოდენ სიღარიბე ეჭვს იწვევს მის მიმართ ყოველგვარი დანაშაულობის ჩადენის შზრით და იმავდროულად კანონიერ საშუალებას ართმევს მას ზღლისუფლებების თვითნებობისაგან თავდასაცავად; ამიტომ კანონი მას არ მფარველობს;

პოლიცია უხეშად იჭრება მის სახლში, აბატიმ-რებს მას და ძალადობას ახდენს მასზე" („მე-წათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, 1935 წ. გვ. 256).

ბურჟუაზიულ ქვეყნებში „მეწამე კარგად აცის და ეს ხშირადვე გამოსცადა, რომ კანონი მისთვის მათარბია, რომელიც ბურჟუაზიაში და-შადა, და ამიტომ მასთან მხოლოდ მაშინ აქვს საქმე, როდესაც მას ამისათვის იძულებულ-ყოფენ“ („ინგლისი, იქვე, გვ. 210).

და ეს ყოველივე იმბიტომ, რომ პროლეტარია-ტი არაფრის მქონეა, სუსტია, უქონელია, უჭ-ლურია, ხოლო ექსპლოატატორთა კანონი, „კა-ბიტალიზმის მგლური კანონი“ კი ის არის, რომ იქ „ჩამორჩენილებს და სუსტებს სცემენ“. „ჩამორჩი, სუსტი ხარ — მამასადამე, შენ მარ-თალი არა ხარ, მამასადამე, შეიძლება შენი ცე-მა და დამონება. შენ ძლიერი ხარ — მამასადა-მე, მართალიც ხარ, მამასადამე, შენ უნდა გე-რიდონ“ — (ი. სტალინი — სამეურნეო შეწყაო-ამოცანები, 1931 წ., გვ. 15).

მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოში დაფასდა აღმართი, როგორც სრულყოფიანი, დეფაქტო-ბულ იქნა იგი მოქალაქედ ამ სიტყვის ნამდვი-ლი გაგებით, როგორც ამხანაგი სტალინი ამ-ბობს:

„სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიში არ გაუ-წიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველაზე სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოე-ბას. უფრო მეტი, — სოციალისტური საზოგა-დოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დატყის ერთადერთ მტკიცე გარანტიას“ („ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამოცემა, გვ. 710).

დოკ. ბურჟუაზიანობე, ეხება რა ექსპლოატ-ტორული ტიპის სახელმწიფოებს, კერძოდ პე-ტრე I კანონმდებლობას, აღნიშნავს, რომ იქ არავითარი მითითება არ არსებობს პიროვნე-ბის, როგორც მოქალაქის ღირსებაზე. იქ აკ-ნონმდებლობა არ სცნობს პიროვნების ზეთი-ბრივ ღირსებას. აღმართის პიროვნება, ჰიტრევი და ღირსება ფასდება ამ მისი სამსახურებრივი მდგომარეობის, ანდა იმ შემოსავლისა კვალობა-ზე, რომელსაც ის აძლევს შეფს“ (გვ. 114).

საბჭოთა სახელმწიფოში აღმართის ღირსება ფასდება მისი პირადი შრომის საფუძველზე.

„არა ქონებრივი მდგომარეობა, არა ნაციონა-ლური წარმომადგენლობა, არა სქესი, არა სამსახურე-ბრივი მდგომარეობა, — არამედ თითოეული მო-ქალაქის პირადი უნარი და პირადი შრომა გან-საზღვრავენ მის მდგომარეობას საზოგადოება-ში“ (ი. სტალინი — „ლენინიზმის საკითხები“, მე-11 გამოცემა, გვ. 643).

საბჭოთა სოციალისტური სამართალი და სა-ხელმწიფო აბარტი მოწოდებულნი არიან და-ცენ საბჭოთა აღმართის ღირსებას, მისი უფ-ლეზანი. ამ მხრივ სოციალისტური სამართლის სისტემაში დიდი და სერიოზული ადგალი უკა-ვია საბჭოთა სისხლის სამართლის, რომლის სპეციალურ ნაწილშიც გათვალისწინებულია სარეცენზო ნაშრომის თემა. საქართველოს სი-სხლის სამართლის კოდექსის 174-ე, 175-ე და 176-ე მუხლები აწესებენ პიროვნების ღირსე-ბის შეზღაუვის საწინააღმდეგო ნორმებს.

როგორც ავტორი თავის ნაშრომის შესახებ წერს, „წინამდებარე შრომა აშუქებს მხოლოდ ღირსების წინააღმდეგ მიმართული ზეღოფის საკითხებს, ამ სიტყვის ეიწრო გაგებით, სა-ხელმობრ, საკითხებს იმ დანაშაულებრივ ქმე-დობათა შესახებ, რომლებიც მიმართულია უშუალოდ ღირსების წინააღმდეგ, და რომლებ-საც... ეწოდება ზეღოფა პიროვნების ღირსების წინააღმდეგ...“ (გვ. 13).

უნდა ითქვას, რომ დოკ. ბ. ფერცხანიძემ ამ საკითხის დამუშავებაში მიზნის უქველად მიაღწია, შრომა ამართლებს თავის დანიშნუ-ლებას, იგი თეორიულად დიდი ღირებულები-საა და იდეოლოგიურად გამართულია. ყოველი საბჭოთა მოქალაქე, რომელიც ამ შრომას წაი-თხზავს, უფრო იგრძობს თავის მაღალ ღირ-სებას და დიდი უფლებებს, რასაც მას ანიჭებს სოციალისტური სამართალი ამ ღირსების და-საცავად. ამ მხრივ მეტად საგულსძნობა სარე-ცენზო ნაშრომი იურისპრუდენციაში დინტე-რესებული თვითველ აღმართისათვის, ხოლო განსაკუთრებით ამ ნაშრომის მეოთხე თავი კი — პიროვნების ღირსების წინააღმდეგ ზეღოფა მოქმედი საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედ-ვით — საბჭოთა ჩვეულებრივმა მეთხველ-ვაე — ყველა დარგის სპეციალისტმა და ფარ-თო მშრომელთა ფუნქციებს უნდა გაეცნოს.

ჩვენი აზრით წინამდებარე შრომას აბსია-თებს ერთგვარი ნაკლიც, როგორც ზემოთ აღე-ნიშნეთ, ბურჟუაზიულ, ექსპლოატატორულ ქვეყნებში პიროვნება ფასდება ამ შემოსავლის იკალობაზე, რომელსაც ის „აძლევს“ სახელ-მწიფოს, ამის შემდეგ ბ. ფერცხანიძე წერს: „მხოლოდ სხვ კავშირში, სოციალიზმის ქვეყ-ნაში ისმება ყველაზე რადიკალურად საკითხი აღმართისა დაფასების, თვითველი ისეთი ინდი-ვიდუალის პიროვნებისა და ღირსების დაფასე-ბის აუცილებლობის შესახებ, რომელსაც შეე-წყება უ ნ ა რ ი მოუტანოს რაიმე სარგებ-ლობა თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს“ (მა-ზი ზემოთ — გ. ე.), (გვ. 6).

მაგრამ თუ აღმართი მოხუცი, ინვალიდი ან ჰაეშედა, მაშინ როგორ დაისმის საკითხი ასე-თი „ინდივიდუალის პიროვნებისა და ღირ-

სების დაფასების აუცილებლობის შესახებ", მათ ხომ არ შესწევთ უნარი „მოუტანონ ჩაი-მე სარგებლობა თავის ხალხს, თავის სახელმწიფოს“?

ავტორი პიროვნების ღირსების დაცევას მიაწერს მხოლოდ სამკოთა სისხლის სამართალს და არა საერთოდ სამკოთა სოციალისტურ სამართალს. (გვ. 10) ვანა სამოქალაქო სამართალი, შრომის სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი და სოციალისტური სამართლის სხვა დარგები არ იცავენ სამკოთამოქალაქის ღირსებას?

სარეცენზიო ნაშრომში ჩაწერილია: „ჩვენი არ არის და არც შეიძლება იყოს ის უფსკრული სამართალსა და ზნეობას შორის, რომელიც ახასიათებს ექსპლოატატორულ საზოგადოებას, ისედაც აშკარად დამახინჯებული სამართლის ურთიერთობა ზნეობასთან“ (გვ. 49). ექსპლოატატორულ საზოგადოებაში სამართალი ერთი არსებობს — ეს არის ვაბატონებული კლასის ნებისყოფა, სანქციონირებული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, რომლის განხორციელება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იძლეობითი ორგანოების მეშვეობით. ზნეობა კი ანტი-ვონისტურ საზოგადოებაში იმდენი არსებობს, რამდენიც ურთიერთისადმი დაპირისპირებული კლასებია. ამიტომ გავუგებარია ავტორის სიტყვები „დამახინჯებელია სამართლის ურთიერთობა ზნეობასთან“. რომელ ზნეობაზეა ლაპარაკი, ბურჟუაზიულ თუ პროლეტარულ ზნეობაზე, მჭინებელთა თუ არ მჭინებელთა ზნეობაზე? საერთოდ კი ამა თუ იმ სახელმწიფოში სამართალი და იმავე სახელმწიფოში ვაბატონებული კლასის ზნეობა არ შეიძლება „აშკარად დამახინჯებულ“, ე. ი. დაპირისპირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ზნეობა კლასობრივ საზოგადოებაში აუცილებლად კლასობრივია, ამას თავით ავტორიც აღნიშნავს, როდესაც წერს, რომ „რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივ წინააღმდეგობებით ვითარდებოდა, მორალაც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო“ (გვ. 31). ამ აზრის დადებით შინაარსთან ერთად უარყოფითი ის უნდა შევინშნოთ, რომ გამოთქმა „საზოგადოება დღემდე კლასობრივი წინააღმდეგობებით ვითარდებოდა“, ანდა დღემდე „მორალაც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო“, — შუალედურლყოფს პირველყოფილ თემურ წყობილებას, როდესაც კლასები არ არსებობდა, მაგრამ გვაროვნული წყობილების შესაბამისი მორალი მაინც არსებობდა. ასევე იქნება მომავალშიც, როდესაც აიგება სრული კომუნისტური საზოგადოება. შეიცვლება რა კაპიტალისტური გარემოცვა სოციალისტური გარემოცვით, მოკვდება სოციალისტური სახელმწიფო და მასთან ერთად

მოკვდება აგრეთვე სოციალისტური სამართალიც და მის ადგილს დაიკავებს მხოლოდ კომუნისტური მორალი, კომუნისტური ზნეობა.

ადამიანთა ყოფაქცევის წესები, ის ნორმები, რომლითაც რეგულირდება საზოგადოებრივი ურთიერთობა, ეს ზნეობაა, ოღონდ იგი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დაუდგენელია და სახელმწიფოს იძლეობითი ორგანოების გარეშე განსაზღვრული კლასის ინტერესების მიხედვით ბორცელდება. ამიტომ სწორი არაა ავტორის შეხედულება, რომ „სამკოთა საზოგადოებამ შექმნა სოციალისტური სამართალი, რომელიც ითვალისწინებს და შეიცავს აგრეთვე მოქალაქის ზნეობისა და ყოფაქცევის ნორმებს“ (გვ. 49).

ზნეობისა და ყოფაქცევის ის ნორმები, რომელიც სამართლის ნორმებში იქნება მოკუმული, ზნეობის ნორმა ხომ აღარ არის! როგორ შეიძლება სამართალი შეიცავდეს „მოქალაქის ზნეობისა და ყოფაქცევის ნორმებს“? ის, რაც ზნეობის ნორმებშია მოკუმული, არ შეიძლება სამართლის სფეროში იქნას მოთავსებული და პირიქით, ამიტომ ასევე სწორი არაა ავტორის ის შეხედულებაც, როდესაც წერს: „სამკოთა სოციალისტური სისხლის სამართალი იყენებს კანონთა იძლეობით ძალას იმ პირთა მიმართ, რომლებსაც არ სურთ ნებაყოფლობით შეასრულონ სოციალისტურ საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალური ნორმები და საფუძვლები და ხელყოფენ მოქალაქის ღირსებას“ (გვ. 80).

ჩვენი აზრით, იქ ერთმანეთში არეულია სამართლისა და მორალის ნორმები. ვანა სამართალი იძლეობით ასრულებს „მორალურ ნორმებს“? თუ „მორალური ნორმა“, რა საჭიროა იძლება, ხოლო თუ იძლებაა, იქ მორალის ნორმებს რა უნდა? არ შეიძლება წავშალოთ ზღვარი საზოგადოების ამ ორ პარეკულირებულ ნორმას შორის, თუმცა სამართალიც და ზნეობაც ვაბატონებული კლასის ერთდაიგივე ინტერესებს ემსახურება, მაგრამ სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა გზით. ამიტომ სწორია ავტორი, როდესაც წერს: „ნამდელი თანაფარდობა ბურჟუაზიულ სამართალსა და ბურჟუაზიულ მორალს შორის სწორად იმაში მდგომარეობს, რომ ორთავე ისინი წარმოადგენენ მხოლოდ სხვადასხვა საშუალებას მშრომელთა უფრო მეტი ექსპლოატაციისა და ჩაგვრისათვის, ხალხის მოწყობისათვის“ (გვ. 49 — 50). „სხვადასხვა საშუალებას“, მასმასადაც, სხვადასხვა ნორმითა „ზნეობის ნორმითა“ და „სამართლის ნორმითა“ მეშვეობით და არა ურთიერთში გათქვევით.

სარეცენზიო შრომაში უწყველად ღირსეული ადგილი უკავია მის მეორე თავს — „კლასობ-

რაც საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ისტორიულ მიმოხილვას". აქ ავტორი ავლენს საკითხის ღრმა ცოდნას, დიდძალ ისტორიული დოკუმენტების დამუშავებით გამოყვანილია სათანადო, მართებული დასკვნები.

მაგრამ შრომის ამ ნაწილში, კერძოდ, 139-ე გვერდის მეორე შენიშვნაში, ჩვენი აზრით, ერთგვარად ვადაქარბებოთაა აღნიშნული, რომ „საქართველოზე უდიდესი გავლენა იქონია ბიზანტიის კულტურამ“ (ხაზი ჩემია—გ. ე.). ავტორი აქ, კერძოდ, ეხება გავლენას სამართლის მეცნიერების განვითარების საქმეში. სახელმწიფოებრივ ერთმანეთზე გავლენას აუცილებლად ახდენენ, მაგრამ „უდიდესი გავლენა“ იმ ეპოქის საკუთარი კულტურის დამკვირვებამდე მივითყვანს.

შრომში ადგილი აქვს ზოგიერთ, ალბათ, უნებლიე შეცდომას. მაგალითად, შრომის 27—28-ე გვერდებზე დამოწმებულია პროფ. მ. მ. ისაევის შეხედულება, რომ „კანტის, პეგელის, ფეიერბახისა და საერთოდ მთელი გერმანული მეცნიერების მნიშვნელობას XIX და XX საუკუნეების სისხლის სამართლის უფლებრივი აზროვნების ისტორიაში ჩვენ რამდენიმედ ვახედადებდით...“

ჩვენი აზრით, ზოგადად თუ XIX და XX საუკუნეების „მთელი გერმანული მეცნიერების მნიშვნელობაზე“ ვლასარაკობთ, მასში მარქსისა და ენგელსის მოაღვრებაც უნდა ვიგულისხმოთ. ამიტომ ამ „გერმანული მეცნიერების“ განვიადებამზე თუ ვილაპარაკებთ, მარქსი და ენგელსი ცალკე უნდა გამოვყავო, ავტორი კი პირადად, პროფ. ისაევის შეხედულებას არ ხდის „არსებითად სადავოდ“, რადგან „ჩვენი მტკიცება არ ეწინააღმდეგება მის ც. ა. ისაევის—გ. ე.) დებოლიზმს“—(გვ. 28).

ასევე, ჩვენი აზრით, არ უნდა ეთანხმებოდეს ავტორს პროფ. მ. მ. გერნეტს იმ საკითხში, რომ თითქმის ქალაქად ჩადგინლ დანაშაულთა პროცენტი ნაკლებია სოფელთან შედარებით, ვინაიდან „სოფლად პროცენტის წინააღმდეგ მიმართულ ასეთ დანაშაულზე მნიშვნელოვან პროცენტს არ მოსდევს სასამართლოში შეიქმნის აღძვრა, რადგან დაჯი ურთიერთ-შეურაცხყოფით მოაგრდება...“ (გვ. 24).

აქედან შეიძლება ისეთი არასწორი დასკვნების გამოტანაც, თითქმის სოფლად დასაშვებია მოქალაქეთა შეურაცხყოფა და ცილისწამება და აქ ნაკლები პასუხისმგებლობაა, რადგან „დაჯი ურთიერთ შეურაცხყოფით მოაგრდება“.

შრომის 159-ე გვერდზე ჩაწერილია, რომ დეტრეტი № 1 სასამართლოს შესახებ გამოქვეყნებულია 24 ნოემბერს (5 დეკემბერს), სინამდვილეში უნდა იყოს 7 დეკემბერი.

შრომის 161-ე გვერდზე სწერია რომ „შრომელ და ექსპლოატირებულ ხალხთა უფლებათა დეკლარაცია“ მიღებულ იქნა სრულიად რუსეთის III კრილობის მიერ 1918 წლის 18 იანვარს, სინამდვილეში III კრილობა გაიხსნა 1918 წლის 23 იანვარს, ამიტომ შეუძლებელია იგი 18 იანვარს მიეღო.

მე-60 და 163-ე გვერდებზე ჩაწერილია „VIII საგანგებო კრილობა“ უნდა იყოს — „საგანგებო VIII კრილობა“.

39-ე გვერდზე ავტორი ლენინის წიგნს — „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატური კაოცი“ უწოდებს „ბროშურას“.

შრომის 286-ე გვერდზე ნაცვლად „რეპარაციისა“ დაბეჭდილია — „რეპარაცია“.

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ავტორი ვადაქარბებთ აფასებს რევოლუციამდელ იურისტებს (როზინს, სერავეცკისა და სხვებს) და ვადამეტებით ვერდნობა ზოგიერთ მათ დებულებას (გვ. 24-ე).

ზემოაღნიშნული შენიშვნები სრულიადაც არ ამკირბენ წიგნის ღირსებას. იგი, უმკველად, ყარგი შენაძინა იურიდიულ მეცნიერებაში და სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ ავტორმა შემდგომი გამოცემისათვის ზემოხსენებული შენიშვნები გაითვალისწინოს.

დოცენტი **გ. პაპოშვილი**

აზიკიის ზედათიზული შტაბიის მასხანსია დასავლეთ ევროპაში

A. Леонтьев. «Имперализм доллара в Западной Европе Госполитиздат, 1949).



მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ძალების ბანაკი მიზნად ისახავს ამერიკის იმპერიალიზმის ბატონობის დამყარებას მსოფლიოში და დემოკრატიული ძალების განადგურებას. ამ ანტიდემოკრატიული ბანაკის წამყვან ძალას წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები.

კაპიტალიზმის საერთო კრიზისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა კაპიტალისტური საზოგადოების ყველა სოციალ-კლასობრივი ურთიერთობის გამოწვევებით, რამაც გამოიწვია პროლეტარიატის რევოლუციურ ძალთა განუზომელად ზრდა კომუნისტური პარტიების მეთაურობით. კაპიტალისტური ქვეყნების შტატებში

წრეები იმისათვის, რომ მისების უფრადლება ნამოაშრონ ამ წინააღმდეგობათა ვამო შექმნილ ვთაორებას, აღვივებენ ომის ფსიქოზს, აღვივებენ შტატებლობისა და ძარცვის ახლახალ ვეგმებს, იწყებენ ამ ვეგმების განსახორციელებელ ღონისძიებათა ვატარებას.

ამერიკის ეკონომიკა ამავე დროს ღრმა ეკონომიური კრიზისის განიცდის: ომის პერიოდთან შედარებით წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად ვიორდება, ხოლო ამავე დროს იზრდება ამერიკის მონოპოლიების ზემოვება, შატულობს უმუშევრობა, უფრო და უფრო უარესდება მუშათა კლასის მდგომარეობა.

მეორე მხრივ მსოფლიო ომმა კიდევ უფრო ვაძლიერა შეერთებულ შტატებში წარმოების კონცენტრაცია და მონოპოლიების ზრდა. კონცენტრაციის ვაძლიერება კი კაპიტალიზმის პირაბებში ვარდევალად იწყებს მონოპოლიების ვანუკითხველ ბატონობას ეკონომიური და პოლიტიური ცხოვრების ვველა სფეროში.

ბურჟუაზიული დემოკრატია კაპიტალისტურ ქვეყნებში, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, დღემის უკიდურეს საზღვრამდე მივიდა. საფინანსო ოლიგარქია, რომლის ზღვრივ კონცენტრირებულია ამერიკის ეკონომიური ძლიერება, ფაქტურად სრული მარბანებელი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ვველა დარგში. უმსხვილესი ამერიკული მონოპოლიების ორგანიზაცია „მრეწველთა ნაციონალური ასოციაცია“ — წარმოადგენს თავისებურ ზემოთარბობას, რომელიც ვანსაზღვრავს მთავრობის ორგანიზების შემადგენლობას და მის პოლიტიკას. იგი იმუშავებს საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს, მის ნორებს წარმოადგენენ ამერიკის ორივე პარტიის — რესპუბლიკური და დემოკრატული პარტიების ზელმძღვანელი მოღვაწენი, მინისტრები და კონგრესმენთა უმრავლესობა. ნამდვილო მესვეერი „მრეწველთა ნაციონალურ ასოციაციამი“ არის თორბეტთა სიიდულო კომიტეტი, ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, „ვანსაკუთრებული კომიტეტი“. იგი შედგება „ამერიკენ ტელეფონ ვნდ ტელეგრაფ კომპანის“, „აჯენერალ ელექტრიკის“, თოლომის ტრესტის (მორგანის ვგუფი), „დიუპონის ვგუფი“, „აჯენერალ მოტორის“ (დიუპონის ვგუფი), „სტანდარდ ოილის“ (როკფელერის ვგუფი), „ინტერნეიშნელ პარფერტერის“ (მაკკორმეის ვგუფი), „ექსტინაპლზის“ (ელონის ვგუფი) და სხვა კორპორაციების წარმომადგენლებისაგან.

ამერიკის საფინანსო ოლიგარქიამ მთლიანად დამორჩილა საზელმწიფო ზელისუფლების მთელი აპარატი. ბურჟუაზიული ერუდემოკრატის დღემისა და მარბზის მხრივ ამერიკის შეერ-

თებული შტატები, უმკველია, პირველ რიგში დგანან ვველა კაპიტალისტურ ქვეყნებს, შორის ცხოვრება კვლავ და კვლავ მთელი სიციხლი ადასტურებს დიდი ღენის სიტყვებს ომის შესახებ, რომ „არსად კაპიტალის ბატონობა, ერთი შექვა მილიარდერების ბატონობა მთელ საზოგადოებაზე არ იქნეს თავს ისე უხეშად, როგორც ამ ქვეყანაში“ (ვ. ლენინი, ტ. 24, ვვ. 375).

ამერიკული იმპერიალისტების ახლანდელი ლოზუნგია: „შეოცე საუკუნე ამერიკის საუკუნეა“. ტრუმენის დოქტრინა ვამობატავს ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის აგრესიულ მისწრაფებებს, გერმანელ ფაშისტთა „საარსებო სიერცის“ თეორიის ანალოგიურ მისწრაფებებს. ამერიკის იმპერიალიზმი ვამოიდს პიტლურელთა იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრბოლს იარაღის მემკვიდრედ: მიმართავს კაცუპამია რასობრივი თეორიის ვაერცელებას, ვეპოლიტიკურ ბოღვას, იარაღის ეღარუნს, შანტაჟისა და ვამოხალვის მეთოდებს. რასიზმი და კოსმოპოლიტიზმი წარმოადგენს ამერიკული იმპერიალისტური პოლიტიკის ვამოგენების ორ ფორმას, რომლებიც მსოფლიო ბატონობის ამერიკული ვეგმების საშინაურშია.

„ტრუმენის დოქტრინა“ ვამოცხადებულ იქნა 1947 წლის 12 მარტს, პრეზიდენტის მიმართეში კონგრესისაღმძი. ოფიციალური მიზანი — „კომუნისმის ილავება“ — საპირობდა შელამზებულ ფორმას. ეს მიზანულ იქნა „აღდგენისა“ და ამერიკული „დაბმარების“ აღმოჩენის საბით, რაც ომით დაზარალებულ ევროპის ქვეყნებს უნდა ვასწოდათ. იმპერიალისტური დიპლომატიის ისტორიაში ეს იყო ერთერთი ვველაზე მზაყრული სპეკულაცია, ვაწეულ სამეურნეო აღდგენისა და მშენებლობანი შრომის იმ ძლიერ წყურველზე, რომელმაც მოიცვა ომით მოქანტული ევროპის ხალხები.

მაგრამ ომისშემდგომი აღდგენისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების ვარშემო იმთავითვე ნათლად დისახა ორი სხვადასხვა თვალსაზრისი. საბჭოთა თვალსაზრისით ამერიკის „დაბმარებას იმ შემთხვევაში შევდლო იარგებლობა მოეტანა ევროპის ქვეყნების აღდგენის საქმისათვის, თუ ამასთან ერთად არ მოხდებოდა ევროპის ქვეყნების საშინაო საქმეში ჩარევა და მათი სუვერენიტეტისა და ეკონომიური დამოუკიდებლობის შეზღუდვა. საბჭოთა თვალსაზრისით, ამასთანავე, ნავულისხმევი იყო, რომ ომის შემდგომი აღდგენის საქმეში ვადამუშევრე მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვითველი ქვეყნის საკუთარ ღონისძიებებს, ვარედან მიღებულ დაბმარებას კი მხოლოდ დამეშვებარებული მნიშვნელობა.

სრულიად სიწინაღმდეგო თვალსაზრისზე •დგნენ ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. მათ თავიდანვე დასაბეს ამერიკის დახმარება ევროპის ქვეყნების აღდგენის „გადამწყვეტ ფაქტორად“, საიდანაც გამოიტანეს დასკვნა ევროპის მიმართ ამერიკის „ხელშეწყობის“ აუცილებლობის შესახებ. ასეთი „ხელშეწყობა“ გამოიხატება არა მარტო ნაციონალურ სუვერენიტეტს, არამედ თავისუფლებისმოყვარე ხალხთა უზრალო ნაციონალურ ღირსებასა და თავმოყვარეობას.

ამავე წლის 12 ივლისს პარიზში მოწვეულ იქნა იმ ქვეყნების წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელთაც თანხმობა განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ „მარშალის გეგმაში“, ცხრა სახელმწიფომ — სსრ კავშირმა და ცენტრალური და სამხრეთ ევროპის შიგნით რიგმა ქვეყნებმა უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ ამ გეგმის განხორციელებაში. კონფერენციაზე შექმნა ვერტოშოვსკის აეროპის გენოშიური თანამშრომლობის ორგანიზაცია“, რომელშიც ხელშეწყობა რილი მიეკუთვნა ხუთი ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარ აღმსარებლებელ კომიტეტს; ამ კომიტეტის საშუალებით ინგლისმა და საფრანგეთმა შესაძლებლობა მიიღეს თავიანთი სერეული თავს მოეხვიათ „მარშალის გეგმის“ დანარჩენ მონაწილეობისათვის. ამავე კონფერენციაზე დასავლეთ ევროპის ქვეყნები დათანხმდნენ დასავლეთ გერმანიისათვის მიეკუთვნებიათ ის როლი, რაც მას ამერიკელებმა ვანუსაზღვრეს „მარშალის გეგმაში“, ე. ი. ფაქტობრივად რეპარაციების გულქმება, გერმანიის გათიშვის აღიარება, დასავლეთ გერმანიის პრიორიტეტის სხვა ქვეყნებთან შედარებით, მისი ეკონომიური და, უპირველეს ყოვლისა, სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენის საქმეში. ასე დაადგა მარშალისგეგმის გზას ევროპის 16 სახელმწიფო, რომელთაც შემდეგ დემოკრატიული ბიზონია (გერმანიის ოკუპაციის გაპრობანებული — ინგლისურ-ამერიკული ზონა), გერმანიის ოკუპაციის ფრანგული ზონა და ტრიესტის თავისუფალი ტერიტორია.

ამერიკელ იმპერიალისტთა ერთ-ერთი ვერაგული ცდა მიმართული იყო იქითენ, რომ „მარშალის გეგმას“ წამოწყებით საბჭოთა კავშირისათვის ჩამოეშორებინათ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები. მაგრამ დოლარის იმპერიალიზმის ეს ვარაუდი — იმპერიალიზმის ბანაკში დოლარის საშუალებით მიეზღდათ ცენტრალური და სამხრეთ ევროპის ქვეყნები — არ განართლდა და იგი თავიდანვე ჩაიფრმა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების განხრებელი ეკონომიური აღმავლობა, ამ ქვეყნებში დემოკრატიული რევიმების განმტკიცება წარმოად-

გენს უდიდეს დარტყმას იმპერიალიზმის ბანაკის წინააღმდეგ. ეს იყო „მარშალის გეგმის“ პირველი მარცხი, რაც უკვე წინასწარმანდგენდა. ეკონომიურად „მარშალის გეგმა“ ნიშნავს ამერიკის კონტროლს დასავლეთ ევროპის ქვეყნების მრეწველობისა, საკარგო ევროპისა და სოციალურ-სოციალისტური სისტემისადმი; ამ ქვეყნების გადაქცევას ჩრდილოამერიკული სოქონლის გასაღების ბაზრად და ამერიკისათვის დეფიციტური ნედლეულის მიწოდებად; ამ ქვეყნების მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების შეყვედას და უმუშევრობის ზრდას; შრომძღობა ისედაც მძიმე მატერიალური პირობების შემდგომ შეკეთარ გაუარესებას.

პოლიტიკურად „მარშალის გეგმა“ ნიშნავს ევროპის გათიშვას და დაქვემდებარებას, ამერიკის მეთაურობით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შექმნის საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ; ევროპის დასავლეთი ნაწილის გარდაქმნას ამერიკული აგრესიის სამხედრო-სტრატეგიულ პოლიტიკად; გერმანიის გათიშვას და მისი დასავლეთი ნაწილის გარდაქმნას ძირითად სამხედრო-სამრეწველო ბაზად ამერიკული მონოპოლიების იმპერიალისტური ავანტიურებისათვის; ევროპის ქვეყნებისათვის პოლიტიკური ცხოვრების მათთვის უცხო ფორმების თავის მოხვევას, როგორცაა მონოპოლიების განუყოფელი ბატონობა, მსხვილი კაპიტალის შეუზღუდავი ძალაუფლება, რეაქციის ბატონობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; ყველა პროგრესული ელემენტის დევნა კომუნიზმის „საფრთხისაგან“ თავდაცვის მიზნით.

„მარშალის გეგმის“ მოქმედების პირველი ნაწილებიდანვე დიდი სისწრაფით დაეცა დასავლეთ ევროპის ქვეყნების შრომძღობი მასების საარსებო დონე, იმატა უმუშევრობამ. ევროპის ქვეყნები თანდათან იქცევიან ამერიკის სამრეწველო მონოპოლიების დანაშაუდ. დასავლეთ ევროპაში ამერიკული საქონლის შეტანა და სოქონლის უმნიშვნელო გატანა დოლარის უდიდეს დეფიციტს ქმნის დასავლეთ ევროპის საგადასახადო ბალანსში.

ამერიკის ექსპანიზის გეგმებში განსაკუთრებული როლი იქვს მიეკუთვნებული დასავლეთ გერმანიას. მეოთხედი საუკუნის მანძილზე რუბრის მძიმე ინდუსტრია გერმანიის აგრესიის არსენალს წარმოადგენდა. ამერიკელი იმპერიალისტები გულმოდგინედ ცდილობენ ამ არსენალის აღდგენას შეიკრე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. ჯონ ფოსტერ ლაინსმა 1949 წლის 20 იანვარს გულახდილად აღიარა: „შევრთებული შტატები ამაყად დასავლეთ ევროპის მთავრობას წარმოადგენენ, ფაქტი-

ურად ვეროპის ყველაზე ძლიერ მთავრობასაც კი, რამდენადაც კონტროლს უწევდა რურს—ვეროპის ეკონომიურ გულს“ (გვ. 284).

გერმანიის იმპერიალიზმის სამხედრო-ეკონომიური პოტენციალის აღდგენა. „მარშალის გეგმის“ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ „მარშალის გეგმის“ ასიგნობათა უდიდესი წილი გერმანიის დასავლეთი ზონების წილად მიდის: ისინი იღებენ დასავლეთ ევროპისათვის გაცემულ ყველა ასიგნობათა ერთ მეოთხედს, თუ შერტს არა.

გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ ძალთა აღდგენა კი გადაჭრით ეწინააღმდეგება ვეროპის ყველა ქვეყნის საარსებო ინტერესებს. მუხებდავად ამისა, დოლარის იმპერიალიზმის გეგმაში შემხველი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მმართველი წრეები, წინააღმდეგ მოყვებიან მთელ მთელზე საერთო ვალდებულებისა გერმანიის იმპერიალიზმის მოსპობის შესახებ, გამცემლობას უწეიან თავიანთი ნაციონალური ინტერესების მიმართ. ამის შედეგია, რომ ამერიკელ ხელისუფლებთან ერთად მათ ჩაშლას დასავლეთი გერმანიის დემოკრატიისა და დენაციფიკაცია. მათ დაარღვიეს მოკავშირეთა შეთანხმება გერმანიის სამხედრო პოტენციალის მოსპობის შესახებ. გერმანიის იმპერიალიზმის აღორძინება ამერიკის მმართველ წრეებს ესაჭიროებათ როგორც დამხმარე ბაზა მსოფლიო ჰეგემონისათვის ბრძოლაში. ამიტომ გერმანიის დასავლეთ ზონებს ამერიკის მონოპოლიები „მარშალის გეგმის“ დასაყრდენად ზღაპრ. დასავლეთ ევროპის მრეწველობაში ამერიკის მონოპოლიების შეჭრა სწრაფი ტემპებით ხდება, უოლ-სტრიტის დინტერესება დასავლეთი გერმანიით თანდათან ძლიერდება.

ამერიკის აგრესიული პოლიტიკის, ახალი ზონის გახალების პოლიტიკის განხორციელების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს „მარშალის გეგმის“ შექმნა ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულებით.

ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების დადებით ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების აჯგუფმა საბოლოოდ აიღო ხელი კოლმბიტური უშიშროების პოლიტიკაზე და შექმნა განცალკევებული სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება. ამ ხელშეკრულების მიზნად ქვეყნები დაადგინეს გაბლიერებული შეიარაღების გზას: შეიარაღებულ ძალთა ზრდას, ატომური იარაღის გამოყენებას, ატომური ბომბების მარაგის შექმნის, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნის გზას.

ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მიზნებისათვის დასავლეთ ევროპის (ჩრდილოეთ და სამხრეთ) ხორცად გამოყენების მიზნების მიყრდენად კონგრესმენმა კენონმა ცინიკურად განაცხადა: „ქვეყნის აუცილებელი არ არის მომავალ იმში ჩვენი სახმელეთო ჯარები გავგზავნოთ იქ (ევროპაში), როგორც ეს უკანასკნელი ზონის დროს იყო. ჩვენ უნდა აღჭურვათ სხვა ქვეყნების ჯარისკაცები, და დღე მათ გავაზნონ დასაღწავად თავიანთი ახალგაზრდობა, ნაცულად იმისა, რომ ჩვენ გავგზავნოთ ჩვენი ახალგაზრდობა“ (გვ. 334).

ასე უბოდიშოდ წამოიღო კენონმა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების ნამდვილი ზრახვები და „მარშალის გეგმის“ და ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ნამდვილი მიზნები.

მაგრამ კაცობაშია იმპერიალისტთა ასეთი განცხადებანი და ზრახვები ყველა ქვეყნის პროგრესული ძალებისა და საზოგადოებრიობის სამართლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევენ. სხვადასხვა ქვეყნების კომუნისტური პარტიების წარმომადგენელთა ხელმძღვანელებმა სერიოზული გაფრთხილება მოსცეს ამერიკელ იმპერიალისტებსა და მათ ერობულ მსახურთ იმის შესახებ, რომ თუ იმპერიალისტები მაინც ჩაიღებენ დანაშაულებრივ ავანტურას და დაიწყებენ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხალხები საბჭოთა არმიას შეხედებიან როგორც თავიანთ გამათვისებულ ძალებს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ვალუტების დევალუაციამ კიდევ უფრო ფართოდ გაუღო კარი დოლარის იმპერიალიზმს ამ ქვეყნებში, ხოლო კაპიტალისტურ მსოფლიოში უფრო მეტად გაამწვავა ეკონომიური სიძნელეები. მარცხი განიცადა ამერიკის პოლიტიკამ გერმანიაშიც. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნამ დახვარა ჩასცა ამერიკის იმპერიალიზმის ვერაგულ გეგმებს გერმანიის მიმართ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენს აქტს, რომელიც მთელი გერმანული ხალხისა და საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს შეესაბამება.

ამერიკული, დოლარის იმპერიალიზმისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალიზმის აგრესიული და რაკეტული ბანაყის მოპირდაპირე საერთაშორისო ასპარეზზე მძლავრ ძალად დგას სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ბანაყი. ამ ბანაყის მეტაურთა საბჭოთა კავშირი, რომელიც სათავეში უდგას ყველა ქვეყნის ხალხთა ბრძოლას მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის. იმის გამაღებელთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის საგარეო პო-

ლიტერატურა ვერდნობა იმ თვალსაზრისს, რომ შესაძლებელია და აუცილებელიც არის სოციალიზმის ქვეყნის მშვიდობიანი თანაარსებობა კაპიტალიტურ ქვეყნებთან ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში. საბჭოთა ადამიანებს არ ეშინიათ კაპიტალიზმთან მშვიდობიანი შეჯიბრებისა.

ფართოვდება და ძლიერდება ანტიიმპერიალისტური ფრონტი ომის გამჩალებელთა წინააღმდეგ. ყველა ქვეყანაში გაიშალა მძლავრი სახალხო მოძრაობა მშვიდობის დასაცავად და ომის გამჩალებელთა ასალაგმავად. ასეულ მილიონობით ადამიანი ჩაბმული ამ მოძრაობაში, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, ჩვენ ეიბრძვილ და ეიბრძოლებთ მშვიდობისათვის არა იმიტომ, რომ ომისა გვეშინია, ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი ჩვენს სიმაართეში, ძალასა და უძლეველობაში.

როგორც ამხანავი ლ. პ. ბერია თავის სიტყვაში 1950 წლის 9 მარტს თენგიზტყუარაშვილის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წარმომადგენლობაზე აღნიშნავდა, „სრულიად უეჭველია, რომ თუ ომის გამჩალებლები მაინც მოაწყობენ ახალ ომს, ამ ომში თავიანთ დაღუპვას პოეებენ მისი შთამფრინებლები და ორგანიზატორები. ომში თავის დამარცხებასა და დაღუპვას პოეებს მსოფლიო იმპერიალიზმის მთელი სისტემა“.

ამხ. ა. ლონტიევეს თავის წიგნში მოკავს უამრავი ფაქტები, ამონაწერები და ციფრირივი მასალები, რომლებიც ნიღაბს ზღიან ამერიკის იმპერიალიზმის ავაზაკურ ზრახვეს. პარტიული და საბჭოთა აქტივი დიდი ინტერესით ვაცენობა ამ ფაქტებსა და ციფრირივი მასალებს.

ი. ანათიანი.





სოლომონ თამაძე — ფოლადი, რომანი	92
სიმონ ჩიქოვანი — წიგნიდან: ქართლის გზებზე, ლექსები	95
დავით ბაქრაძე — გმირთა სისხლით; ნარკვევი, წიგნი მეორე	121
ივანე თარბაძე — ლექსები, თარგმანი აფხაზურიდან გრ. აბაშიძისა და კონსტ. კვიციანიძისა	128
შირვანშაძე — არტიტი, მოთხრობა, თარგმანი სომხურიდან არტ. დავითიანიისა	122
რამაზ ასაძე — შემოდგომა კახეთში, ლექსი, თარგმანი ოსურიდან ვ. გორგაძისა	131
ილია პლივიძე — ახალი სოფელი, ლექსი, თარგმანი ოსურიდან გრ. ცეცხლაძისა	138
ზურაბ მუშაბერიძე — ქართული საბავშვო ლიტერატურა 1949 წელს, წერილი	141
შალვა ინალიძე — აფხაზი პოეტი ივანე თარბაძე, წერილი	146
რამაზ ასაძე — საშბრეთ-ოსეთის საბჭოთა ლიტერატურა, წერილი	157
ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების წინააღმდეგ — გაზეთ „კომუნისტის“ 28/VI წერილი	162
ი. ბალივიძე — ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები ირანში, წერილი	164
აბაძე თოფჩიანი — „კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ამწანე ლილი“, ბიბლიოგრაფია	166
გ. შალვაშვილი — „დავით სულთაშვილი — მოთხრობები“, ბიბლიოგრაფია	168
ვლ. არტიმიძე — „ახალუტაშვილი — თომიკოს საჭუქარი“, ბიბლიოგრაფია	171
გრიგოლ იშვილი — „ს. ისიანი — ლექსები“, ბიბლიოგრაფია	164
ბ. მარტოვი — „ბ. ფურცხვანიძე — ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“, ბიბლიოგრაფია	166
ი. ასათიანი — „ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსია დასავლეთ ევროპაში“, ბიბლიოგრაფია	171

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო შიჩინაძე, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხიძე, სერბი ზილიანი.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11 ფ. შ 00072. შვე. № 460. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმლოგრაფიამოშველობის“ ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5 ტელეფ. 3-23-42.

Комбинат Печати «Грузполиграфиздата» при Совете Министров Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.